



ქ უ ზ უ ლ ა ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი

ეროვნული

მრავალმრბოსე

დ ე

მაცხოვლის სამართლის

წეტალაშვილები  
ერთწევლი მჩერი კულტივა

და

ქეცქაჭობის სათავეებთან



მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით მონიგრაფიაში მოთხოვილია სახელოვანი ქართველი მამულიმვილების, ცნობილი მრეწველ-კომერსანტებისა და სამაგალითო ქველ-მოქმედ-მეცნატების კათოლიკე ზუბალაშვილების ერთი შტოს საინტერესო მოღვაწეობის თითქმის სამასწლოვანი ისტორია; ეპოქის შესაბამისად არის წარმოჩენილი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადი სურათიც.

ნაშრომი ერთხელ კიდევ შეახსენებს მკითხველს, რომ ნიჭიერებასთან ერთად შრომისმოყვარეობა, მშობლიური ქვეყნისა და ხალხის უანგარო მსახურება ღვთით კურთხეული მადლია, რომ ადამიანის სიცოცხლე სხვა არაფერია, „თუ არა საქმე კეთილი...“

### რედაქტორი პროფ. მურმან პაპაშვილი

რეცენზიერები: ნანა ახობაძე  
პროფ. ნუგზარ ბარდაველიძე

ნიგნი გამოიცა ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის მხარდაჭერით.

© ქ. ფეიქოშვილი, 2011

გამომცემლობა „ენცენსალი“, 2011

თბილისი, 0179, ქ. ვაკევაძის გამზ. 19, ჟ: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-274-8

რედაქტორისაგან.....	5
ეროვნული მრეწველობა და ქართველი კათოლიკენი (რეცენზია) .....	7
ავტორის წინათქმა .....	12
შესავალი .....	18
კათოლიკე ზუბალაშვილების ერთი შტოს გენეალოგია .....	26
ზუბალაშვილების გვარის ისტორია (მოკლე მიმოხილვა) .....	27
კათოლიკე ზუბალაშვილთა ერთი შტოს პირველი წარმომადგენელნი (XVII-XVIII ს.).....	32
ზურაბ ზებალაშვილი .....	32
მიორიგი ზერაბის ძე ზებალაშვილი.....	33
ივანე ზურაბის ძე ზუბალაშვილი .....	39
მიხეილ ივანეს ძე ზუბალაშვილი .....	45
ზაქარია მიხეილის ძე ზუბალაშვილი.....	46
გიორგი ივანეს ძე ზუბალაშვილი .....	50
ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილი .....	53
✓ + იოსებ გიორგის ძე ზუბალაშვილი .....	63
სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი .....	65
იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი.....	68
✓ + ალექსანდრე იაკობის ძე ზუბალაშვილი .....	83
✓ + კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი.....	88
✓ + ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი .....	101
✓ + სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი .....	114
✚ პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.....	154
+ იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.....	159



დავით ივანეს ძე ზუბალაშვილი.....	168
ანტონ დავითის ძე ზუბალაშვილი .....	172
<b>ნიკოლოზ დავითის ძე ზუბალაშვილი.....</b>	<b>175</b>
დავით ანტონის ძე ზუბალაშვილი .....	177
ალექსანდრე ანტონის ძე ზუბალაშვილი.....	181
პავლე ანტონის ძე ზუბალაშვილი .....	182
ანტონ დავითის ძე ზუბალაშვილი .....	183
ანასტასია დავითის ასული ზუბალაშვილი... 185	
 ზუბალაშვილთა მეცნატობა-ქველმოქმედების ზოგადი წუსხა .....	190
 ლიტერატურა და წყაროები.....	196
ანოტირებული ბიბილიოგრაფია.....	205
 დანართი .....	263
ავტორის პოლოთქმა.....	270
ფოტოდოკუმენტური მასალა.....	273

## ლედაქტორისა გან

პატივცემულო მეითხველებო, მოქმიადეთ მეტად სასარ-გებლო და სასიამოვნო წიგნის გასაცნობად. ემერიტუსი პრო-ფესორის უუ ჟუნა ფეიქრი შვილის მიერ შემოთავაზებული ნაშრომი „ზუბალაშვილები ეროვნული მრეწველობისა და მეცნიერების სათავეებთან“ არ შეიცავს ვრცელ „მეცნიერულ“ პასაუებს, მაგრამ იგი გვამაღლებს ავტორის მეცნიერული გა-აზრების სიმაღლემდე და ლოგიკური კონსტრუქციით ნარ-მოგვიდგენს გამოჩენილ ქართველ კათოლიკე ზუბალაშვილთა სახელოვანი გვარის ერთი შტოს საქმიანობის ისტორიას.

თანამედროვე წიგნიერი საზოგადოებისათვის ზუბალაშ-ვილთა სამენარმეო, საქველმოქმედო, კულტურული თუ სხვა საქმიანობის თითქმის სამასწლოვანი ისტორია ნაკლებადაა ცნობილი. ნარმოდგენილი ნაშრომი არა მხოლოდ ავსებს ამ ხარვეზს, არამედ ერთბაშად გვამდიდრებს და სასიქადულო მამულიშვილთა ნიჭი, მრავალფეროვანი კეთილი საქმე, მეცნიერობა სიამაყის გრძნობითაც გვაესებს. ამ წიგნის მიხედვით სრულიად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზუბალაშვილებიმა პირველებმა დაუდეს სათავე საქართველოში სავაჭრო-სამ-რეწველო საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით ავტორი მრა-ვალფეროვანი წყაროებისა და ლიტერატურის საფუძველზე ქმნის ერთიან ქსოვილს ამ გვარის ნარმომადგენელთა მრა-ვალმხრივი ეკონომიკური, სამრეწველო, კულტურული, საგან-მანათლებლო საქმიანობის შესახებ.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ ნაშრო-მი შეუნელებელ ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ თემით, არამედ ავტორისეული მიზანდასახულობითა და სტილით. კერძოდ, ამ სასიამოვნო წიგნით ნათლად ჩანს, რომ ქართველ კათოლიკე ზუბალაშვილთა სავაჭრო-სამენარმეო საქმიანობა



მთლიანად ემსახურებოდა ეროვნული ეკონომიკის შექმნა-განვითარებას და მასში რელიგიური აღმსარებლობა არასტატისტიკური მიზანის მიხედვით დამაპრკოლებელ გარემოებას. ჩვენი დროის ეს გამოწვევა – ზუბალაშვილების ერთი შტოს საქმიანობის ისტორიულ ქრისტიანულ განვითარება დიდ პრაქტიკულ დანიშნულებას იძენს. მისი გახსნა ავტორმა მეცნიერული გამოცდილებითა და გულდასმითი ანალიზით წარმატებით განახორციელა. უფრო მეტიც, ქალბატონმა უუშუნა ფეიქრიშვილმა სხვადასხევა დროს, სხვადასხვა გარემოებაში ზუბალაშვილთა ბიოგრაფიული დახასიათებითა და ამის ფონზე მათი მრავალფეროვანი მოღვაწეობის წარმოჩენა-შეფასებით, თანამედროვე სახელდებით რომ ვთქვა, ქართველ ბიზნესმენებს იმისი მაგალითი დაუსახა, თუ რა დიდი როლი ენიჭება ლვანლს, მეცნიერობას, ქველმოქმედებას როგორც ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში, ისე ისტორიული მახსოვრობისათვის. ამ თვალსაზრისით ეს წიგნი გვიმტებიცებს, რომ ისტორიის სამართალი „ურმით დადის“ და ქველმოქმედ, კეთილი საქმის მკეთებელ ბიზნესმენებს ისტორია არ დაივინყებს.

დაბოლოს, წარმოდგენილი წიგნი საქართველოს სოციალური ისტორიის უკეთ გაებისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია. იგი სიამაყის გრძნობით გვაცეს ჩვენი წინაპრების წიჭისა და ევროპელთათვის დამახასიათებელი მიზანდასახულობისა და სხვა თვისებების იდენტობის გამო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი მურმან პაპაშვილი

# ერთეული მშენებელთა

და

# ქართველი ქათოლიკები

(რეცენზია)

ხშირად გვსმენია ჩვენს თანამემამულეთა მიერ გულის-ტყივილით გამოთქმული წუხილი იმის შესახებ, რომ ქართველებს მრეწველები არ გვყავდა, რომ მრეწველობა მხოლოდ ჩვენი მეზობელი ეთნოსების ხელში იყო თავმოყრილი... და სხვა ამგვარი სტერეოტიპული ციტატები, რომლებსაც ძირითადად გამოთქვამენ ქართული მრეწველობის ისტორიაში სრულიად გაუცნობიერებელი ადამიანები.

სამწუხაროდ, საბჭოთა ისტორიოგრაფიაც დუმდა ქართველ მრეწველებზე, თითქოს ისინი საერთოდაც არ არსებულიყვნენ, მეტიც: ათეული წლების მანძილზე მავანნი ნერგავდნენ აზრს, რომ თბილისი აშენებულია არაქართველთა მიერ...ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ საბჭოთა ეპოქაში ჩვენი საზოგადოებისათვის ძირითადად უცნობი იყო საერთოდ ქართველ მრეწველთა, კერძოდ, ზუბალაშვილების დიდი საგვარეულოს ნარმომადგენელთა შრომა-საქმიანობა, მათ მიერ აგებული მრავალრიცხვანი ნაგებობის ისტორია.

საგულისხმოა ისიც, რომ მაშინდელი პოლიტიკური რეჟიმის მოთხოვნის მიხედვით ზუბალაშვილებს სამშაგი ტაბუ ედოთ: პირველი, ცხადია, იმიტომ, რომ მართლაც ძალიან გავლენიანი მრეწველები იყვნენ; მეორეც, იმიტომ, რომ მათი დიდი ოჯახის ზოგი ნევრი ემიგრაციაში მოღვაწეობდა; მესა-



მე, იმიტომ, რომ გამორჩეულად მორნმუნები, ეკლესიის მეცნა შენებლები და თანაც კათოლიკური მრნამსის ქრისტიანები იყვნენ; კომუნისტებს კი ყველა მორნმუნები მეტად კათოლიკი აღიზიანებდათ.

... და იდგა თბილისის ძველ უბნებში არქიტექტურითა და საზოგადოებრივი ფუნქციით გამორჩეული მრავალი ნაგებობა, რომელიც თბილისის იერსახეს ქმნიდნენ და ახლაც გასული საუკუნის ძეგლებს ნარმოადგენენ. როცა ხედავ თბილისის მშვენებად ქცეულ საჯარო დანიშნულების შენობებს, სადაც განთავსებულია მწერალთა კავშირი, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, მარჯანიშვილის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ყოფილი ოუსტიციის სამინისტრო, უზენაესი სასამართლო და ა. შ. როგორ უნდა დაიჯერო, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველოში მრეწველობა მხოლოდ უცხოთა ხელში იყო.

სიმართლე კი სულ სხვაა: XIX-XX საუკუნეებში რუსული ცარიზმისა და რუსული ბოლშევიზმის ბატონობის დროს კოლონიური ხელისუფლება ცდილობდა მთელი მონდომებით დაემტკიცებინა, რომ ქართველები არასრულფასოვანი ერია და, თუ არა რუსეთის იმპერია, ირანი და ოსმალეთი მთლიანად მოსპობდა საქართველოს; ან: როგორ შეიძლება დამოუკიდებლობაზე იოცნებოს ერმა, თუ მას ეროვნული მრეწველობა არასოდეს არ ჰქონია. ამგვარი მითებით აყალიბებდნენ აზრს ქართველთა სხვაზე დამოკიდებულების შესახებ.

საბედნიეროდ, ის საგანძურო (მატერიალური თუ სულიერი), რაც ქართველმა მრეწველებმა საუკუნეების მანძილზე თავიანთი ქვეყნისათვის შექმნეს, და მათი ადამიანური დვანლი დაფარული არ დარჩინილა. როგორც კი ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, თავისი ისტორიის სრულყოფისთვისაც მოიცალა. ცნობილი ქართველი მრეწველების სახელები გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საჯარო გახდა. როდესაც ეცნობი ქართველ მრეწველთა, კერძოდ კი, ზუბალაშვილთა შესახებ გამოქვეყნებულ მასალებს, მათს ნიჭიერებასა და გა-

ბედულებასთან ერთად თვალში გხვდება გამორჩეული თვეისუ-  
ბა და ღირსება საზოგადოების მიმართ ქველმოქმედების უძილეს  
წევის უსაზღვრო სურვილისა. ეს თვისება მართლაც გამოარ-  
ჩეს ზუბალაშვილებს მათი თანამედროვე სხვა დანარჩენი  
მრეწველებისაგან.

სიმდიდრე მხოლოდ მაშინ არის ზნეობრივი, როცა  
ქველმოქმედება შენი ცხოვრების წესია და როდესაც განურ-  
ჩევლად ყველას, უინც კი საჭიროებს თანადგომას, უანგარიდ  
ეხმარები. მსგავსი მოწყალების აუცილებლობაზე ქრისტიანო-  
ბა და სხვა რელიგიებიც მოგვიწოდებენ, მაგრამ ამ მოთხოვ-  
ნათა განსახორციელებლად ყველა როდი ვართ გახსნილები...

თავად დროებამ დააყენა მოთხოვნა, რომ ქართული  
მრეწველობის სათავეებთან მდგომი ზუბალაშვილების საგვა-  
რეულოს ისტორია მომავალი თაობებისათვის შემოენახა, რო-  
გორც მისაბაძი მაგალითი მამულიშვილობისა და ჭეშმარიტი  
ქრისტიანული ქველმოქმედებისა. მართალია, ზუბალაშვილებ-  
ზე ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მრავალი სტატია გა-  
მოქვეყნდა, მაგრამ, ცხადია, ცალკეულ პუბლიკაციებში შეუძ-  
ლებელი იქნებოდა ამ გვარის სახელოვან ნარმომადგენელთა  
მთელი ამაგის სრულყოფილი ნარმოჩენა.

პროფესორ უუშუნა ფეიქრიშვილის მართლაც  
უდიდესი მონდომებისა და მკვლევარისათვის დამახასიათებე-  
ლი დაულალავი ძიების წყალობით ქართველმა მკითხველმა  
მიიღო შესანიშნავი საჩუქარი – ნიგნი „ზუბალაშვილები ეროვ-  
ნული მრეწველობისა და მეცნატობის სათავეებთან“. მაშინ  
თავმოყრილია კათოლიკე ზუბალაშვილების ერთი შტოს სამ-  
საუკუნოვანი ისტორია. ნაშრომის ავტორი XVIII საუკუნიდან  
იწყებს ზუბალაშვილთა გვარის სხვადასხვა შტოს ამბავთა  
თხრობას; სხარტი, ლაკონური ენით აცოცხლებს ამ საგვარე-  
ულოს ნარმომადგენელთა საქმიანობის მნიშვნელოვან დეტა-  
ლებს; ეს ყველაფერი ვითარდება ქვეყნის რეალური ყოფის  
ფონზე. აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ ავტორი არ  
ისაზღვრება ზუბალაშვილთა მხოლოდ ცალსახად პოზიტიუ-



რი, სქემატური პორტრეტის დახატვით, არამედ არსებული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ცდილობს მკითხველის მიერ ანოდოს ამ გვარის სხვადასხვა ნევრის შეულამაზებელი სურათი (ამ ასპექტით განსაკუთრებით ფასეულია ნიგნის ბოლოს დართული ანოტირებული ბიბლიოგრაფია). ნიგნი არა მარტო ერთი საგვარეულოს წარმომადგენელთა ცხოვრებას აცოცხლებს, არამედ მთელი ეპოქის სურათსაც აღადგენს და, რაც მთავარია, მკითხველს უბიძგებს ფიქრისაკენ ქველმოქმედების მოთხოვნილების შესახებ.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ საჩუქრის მიღებაზე უფრო მეტად ადამიანს საჩუქრის გაცემა ანიჭებს სიამოვნებას. როცა ეცნობი ერთ ნიგნად თავმოყრილ ზუბალაშვილების საგვარეულოს შესახებ შეკრებილ მასალებს, კიდევ ერთხელ ჩნდება რიტორიკული კითხვა: რა უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს – ფულის შოვნა, თუ ამ ფულით ქველმოქმედების კეთება? ვინც წარმოდგენილ ნიგნს ცალი თვალით მაინც გადახედავს, ვფიქრობ, ყველა დამტანება, რომ ზუბალაშვილებმა თავიანთი ცხოვრებითა და საქმიანობით წარმოგვიდგინეს პასუხი კითხვებზე: თუ რა არის ადამიანის ცხოვრების მთავარი მიზანი, ან ვის რაში უნდა მიჰპაძო.

მართლაც, სადაც კი ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ ზუბალაშვილები – საქართველოში, რუსეთსა თუ საფრანგეთში, აგრეთვე ბაქოში – ყველგან დატოვეს სახელი გამორჩეული ადამიანისა, რომლისთვისაც ქველმოქმედება ცხოვრების წესია. და როდესაც კითხულობ ქალბატონ უუუუნა ფეიქრიშვილის მონოგრაფიას ზუბალაშვილების დინასტიის შესახებ, გიჩნდება სურვილი, ამ სახელოვანი ქველმოქმედი ადამიანების მსგავსად თესო სიკეთე.

P.S. ქალბატონ უ. ფეიქრიშვილის მონდომება იმითაც არის აღნიშვნის ლირსი, რომ ეროვნული მრეწველობის ისტორია ჯეროვნად არ არის შესწავლილი და თეთრი ლაქებითაა მოცული. ზუბალაშვილების მსგავსად სხვა ქართველი მრეწველი

ველებიც, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა კათოლიკური იყო და ეს ფაქტი სრულიად ობიექტური მიზეზებით განპირობებული, ელიან მათი ისტორიების გამოცემას. და ეს კვლევები არც კონფესიური თვალსაზრისით ან სხვა რაიმე მოსაზრებით კი არ არის აუცილებელი, არამედ ისტორიული სინამდვილის დასამტკიცებლად, რომ ქართველები მსგავსად საშედრო ან კულტურულ-სამეცნიერო სფეროებისა, მრეწველობაშიც ტოლს არ უდებდნენ არავის და, თუ ჩვენმა ქვეყანამ მოაღწია XXI საუკუნემდე, ამაში ქართული მრეწველობის ლომის ნილია დავანებული.

**პროფესორი ნუგზარ ბარდაველიძე**

## აკტ თანა წინათქმა

ქართველი კათოლიკე ზუბალაშვილების სახელოვანი გვარის ერთი შტოს ნარმომადგენელთა ცხოვრება-საქმიანობის უფრო ღრმად გაცნობამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ქართული გენის სიძლიერეში და იმაშიც, რომ ყოველი კულტურული ერის ნინსვლა-განვითარება ნარმოუდგენელია მისი ნარსული მემკვიდრეობის გათვალისწინების გარეშე...

და რაოდენ დასანანია, რომ გარკვეული პოლიტიკური თუ სხვა მიზეზების გამო თანამედროვე საზოგადოებამ, განსაკუთრებით, ახალგაზრდობამ, ძალიან ცოტა ან თითქმის არაფერი იცის ამ მართლაც სასიქადულო მამულიშვილების, ჟემშმარიტი ერისკაცების სანიმუშო საქმიანობის, მათი დიდ-სულოვნებისა და კათილშობილების შესახებ, მაშინ როცა ნინა საუკუნეების პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია, ვისაც გული შესტკიოდა სამშობლოზე, მოყვასზე, მაღალ შეფასებას აძლევდა ზუბალაშვილთა თაობების ღვანლს; აღიარებდნენ მათს უდიდეს დამსახურებას ქვეყნისა და ერის ნინაშე და ქართველთათვის მისაბად მაგალითად მიიჩნევდნენ არა მხოლოდ მათ მიერ განეულ ფართომასშტაბიან ქველმოქმედებას, არამედ გააზრებულ, გონივრულ საქმიანობას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ვფიქრობთ, დღეს კიდევ უფრო სასურველია (და აუცილებელიც!) ზუბალაშვილთა ცხოვრებითაც ჩვენი თანამედროვეობა ახლოს გაეცნოს ნარსულ მემკვიდრეობას და ისიც კარგად გაითავისოს, რომ ადამიანმა საქმით, ღირსებით უნდა დაადასტუროს მშობელი ქვეყნისა და ერის სიყვარული, რომელიც არ იზომება არც რელიგიური აღმსარებლობით და არც ყალბი პათეტიკით ქართველობაზე...



სამწუხაროდ, ამ ბოლო ათწლეულში არასასიამოვნო რე-  
ალობის ნინაშე აღმოჩენდით: მავანთა და მავანთა პირადულებებით  
ტერესებისა თუ „პატარაკაცობის“ გამო ჩვენში ზოგჯერ ერ-  
თმანეთს უპირისპირებენ რელიგიურ აღმსარებლობასა და  
ეროვნულობას. ამიტომ არცთუ იშვიათად ხმამაღლა გაისმის  
ფრაზები: „მხოლოდ მართლმადიდებელია ქართველი“, „ვინც  
არ არის მართლმადიდებელი, ის არ არის ქართველი“ ... გულ-  
სატკენია, რომ ასეთმა „უბირმა მორნმუნებმა“ არ იციან სა-  
ქართველოს ქეშმარიტი ისტორია და არც ის, რომ ადრექრის-  
ტიონული ხანიდან მოყოლებული საქართველოში კათოლიკე  
ეკლესია არასოდეს არ ყოფილა ანტიეროვნული; პირიქით,  
საქვეყნოდაა აღიარებული უცხოელი კათოლიკე მისიონერე-  
ბის უდიდესი ღვანლი ქართული კულტურის ისტორიაში... და  
მეორეც, ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს კათოლიკების: პეტრე  
ხარისჭირაშვილის, ივანე გვარამაძის (ვინმე მესხი), მიხეილ თა-  
მარაშვილის, ზაქარია ფალაძევილის, პეტრე მელიქიშვილის, მი-  
ხეილ თარხნიშვილის, ზუბალაშვილების, ოცხელების, კოკოჩაშ-  
ვილების, ყაუხჩიშვილების, ხეჩინაშვილების, თუმანიშვილების,  
უმიკაშვილების, ბეთანელების, გოკილების, მიზანდარების, პო-  
ლოლიკაშვილების, დები იშხნელებისა და სხვათა ქართველო-  
ბაში, მათს განსაკულურობაში, ეროვნული საქმეების მსახუ-  
რებაში, ქვეყნის ქეშმარიტ სიყვარულში?!

ღმერთმა ამრავლოს ზუბალაშვილთა მსგავსი ქართვე-  
ლები – ღრმადმორნმუნე ქრისტიანები, ნიჭიერი, საქმიანი  
ადამიანები, რომელთა ცხოვრების მთავარი მიზანი  
იყო პატიოსანი შრომა, რწმენის ერთგულება  
და უსაზღვრო ქველმოქმედება.

მართალია, ზუბალაშვილების სიცოცხლეშივე ამ გვარის  
ნარმომადგენელთა საქმიანობასა და ქველმოქმედებაზე იძეჭ-  
დებოდა ბევრი საინტერესო ინფორმაცია, ინერებოდა ნარკვე-  
ვები, ნიგნები, მაგრამ 1920-იანი წლებიდან ახალი პოლიტი-  
კური რეჟიმის გამო ერთგვარი ტაბუ დაედო საბჭოური პოზი-  
ციით „ხალხის მტრებად“ გამოცხადებული ქართველი მსხვი-  
ლი მრეწველების, ვაჭარ-კომერსანტების, ცნობილი მეცენა-  
ტების ხსენებას, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ზუბა-  
ლების ხსენებას,



ლაშვილებისა და მათი მსგავსი ერისკაცების ღვაწლის მიერ-  
ყებას საბჭოთა რესპუბლიკის პერიოდის ქართულ სენატორთა  
ლეში, ახალი თაობების ქართველთა ცნობიერებაში! უზრუნ-  
ამისა, ამ გაუმართლებელ ტენდენციის ჩვენს შემთხვევაში  
ისიც აძლიერებდა, რომ ზუბალაშვილთა გვარის ერთ შტოს,  
რომელიც ნინა საუკუნეებში გამოირჩეოდა მრავალშვილიანო-  
ბით (მრავალვაჟიანობით), XX საუკუნის დასაწყისისათვის სა-  
ქართველოში თითქმის აღარ დარჩა მეტევიდრე; ზოგი შეენი-  
რა სისხლიან 1937 წელს, ზოგმა კი რეპრესიების გამო თავი  
შეაფარა უცხოეთს და იქვე აღესრულა; ამავე მიზეზით, ცხა-  
დია, სამშობლოში დაბრუნებას ველარ გაბედავდნენ ის ზუბა-  
ლაშვილები, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობდნენ საბჭოთა  
ხელისუფლების დამყარებამდე, რის გამოც ევროპის ქვეყნებ-  
ში მიმოფანტული ზუბალაშვილთა სახელოვანი გვარის შთა-  
მომავლები საბოლოოდ უცნობნი დარჩნენ მშობლიური კუთ-  
ხისათვის.

და ასეთ პირობებში, ათეული ნლების მანძილზე (გასუ-  
ლი საუკუნის 90-იან წლებამდე), ბუნებრივია, ბევრი აღარა-  
ფერი დაინერებოდა ფართო მეითხველისათვის ზუბალაშვილ-  
თა შესახებ, მაგრამ, საბეჭნიეროდ, საბჭოთა ხელისუფლების  
შეცვლის შემდეგ ჩვენშიც გახდა შესაძლებელი საუბარი ე.ნ.  
ტაბუდადებულ თემებზე. ქართული პრესა, ქეყნის ახალი  
სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, უფრო  
დაინტერესდა ნარსული მეტევიდრეობის თანამედროვეობაში  
გადმოტანით, მისი დადებითი მომენტების ფართო პოპულა-  
რიზაციით და ა.შ. ყოველივე ამან განაპირობა საგანგებო ინ-  
ტერესი ზუბალაშვილების სახელოვანი თაობების მიმართაც.  
მათ შესახებ ბოლო ათწლეულებში დაინერა არაერთი პუბლი-  
კაცია, რომლებიც გაბნეულია დღევანდელი ქართული პრესის  
ზღვაში (და ამის გამოც მათი თავმოყრა და ერთიანობაში აღ-  
ქმა დაინტერესებული მკითხველისათვის ერთობ dნელი გახ-  
და!). აქვე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართველი  
მსხვილი ვაჭარ-მრეწველებისა თუ მეცენატების შესახებ საბ-  
ჭოთა პერიოდამდე აბაეჭდილი პუბლიკაციები, უკვე საარქი-  
ვო მასალად ქცეული, დღეს ნაკლებხელმისაწვდომია ფართო

საზოგადოებისათვის, მიზანშენონილად ჩავთვალეთ ზუბალაშვილებთან დაკავშირებით არსებული წერილობითი მასალა ზუბალაშვილებისა ზეპირი ინფორმაციებიც კი შეგვეერიბა, შეგვეჯერებინა და ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ერთ ნიგნად ნარგვედგინა მკითხველისათვის.

ნაშრომი ემყარება სხვადასხვა ნყაროს: სპეციალურ წიგნებს, ცალკეულ სამეცნიერო გამოკვლევებს; XIX-XX საუკუნეებისა და თანამედროვე ქართული პერიოდული პრესის მასალებს, თბილისის მუზეუმებში დაცულ საარქივო ინფორმაციებს, ხელნაწერებსა და სხვა სახის დოკუმენტებს (იხ. ლიტერატურის სია). პირველ ყოვლისა, მუშაობაში დიდი სამსახური გავინია ზაქარია ჭიჭინაძის საგაზეთო სტატიებმა თუ წიგნებმა (მოიცავს დაახლოებით 1910 წლებამდე პერიოდს). ასევე უდიდესი მადლიერებით მოვისხენიებთ ზუბალაშვილთა გვარის უკანასკნელ შთამომავალს, ან გარდაცვლილ ქალბატონს – ანასტასია დავითის ასულ ზუბალაშვილს, რომელიც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე შესაძური შემართებით იცავდა სახელოვანი წინაპრების ღირსებას, რუდუნებითა და სიყვარულით აგროვებდა მამა-პაპათა ცხოვრება-მოღვანეობის ამსახველ პებლიკაციებს ქართული თუ რუსული უურნალ-გაზეთებიდან... ზოგიერთ მათგანს ავსებდა და აზუსტებდა კიდეც საკუთარი მოგონებებით (ეს მასალები ამჟამად ინახება თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების (ამაღლების) კათოლიკური ეკლესიის არქივში).

მაღლობას ვუხდით აგრეთვე ბავშვთა | და ქალაქის | კლინიკური საავადმყოფოების თანამშრომლებს გულისხმიერებისა და თანადგომისათვის, განსაკუთრებით კი ექიმ ნოე ლეფავას საინტერესო ინფორმაციებისა და სხვა საგულისხმო მასალების მოწოდებისათვის, აგრეთვე, მისი იმ დიდი სურვილისათვის, რომ, ერთი მხრივ, თანამედროვეობამ არ დაივინყოს სახელოვანი ერისკაცების – ზუბალაშვილების ღვანლი და, მეორე მხრივ, ჩეკინი საზოგადოებაც უფრო ყურადღებით მოეკიდოს ეროვნული ღირსების დაცვას, კრიტიკულად შეხედოს ყალბ ავტორიტეტებს და თავადაც იზრუნოს ჭეშმარიტების აღსაღენად.

ჩვენი წიგნის პერსონაჟები კათოლიკე ზურაბ ზუბალაშვილის (1640-1737 წ.) შთამომავლები არიან. ამიტომაც მათ შტოს გენეალოგიას ვიწყებთ ზურაბით (პირობითად – პირველი თაობა), მეორე თაობად ვთვლით მის მემკვიდრეს გიორგის (1694-1771 წ.), რომლის შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები აგრძელებენ გვარს, შესაბამისად, ცვლიან თაობებს და თავიანთი საქმიანობით მეტ-ნაკლებად განსხვავებულ კვალს ტოვებენ მშობლიური ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ცხადია, ერთ წიგნში ყველა მათგანზე (7 თაობის მრავალიცხოვან ნარმომადგენელზე) დაწვრილებით ვერ ვისაუბრებთ. ამჯერად გამოვყოფთ მხოლოდ ისეთებს, რომლებმაც გამორჩეული ნიჭიერებით, განათლება-კულტურით, მოღვაწეობით, ეროვნულ საქმეებზე ზრუნვითა და უდიდესი მეცენატობა-ქველმოქმედებით თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრეს საქართველოს ისტორიაში.

წიგნის დასასწილი მეითხველი ზოგადად გაეცნობა ზუბალაშვილების გვარის ისტორიის მოკლე მიმოხილვასა და XVII-XVIII საუკუნეებში მცხოვრებ კათოლიკე ზუბალაშვილთა ამ შტოს ზოგიერთ ნარმომადგენელს, ნაშრომის ძირითადი ნაწილი კი ეძღვნება მესამე და მომდევნო ოთხი თაობის ზუბალაშვილთა შედარებით ვრცელ დახასიათებას. ამ ნაწილში თხრობას ვიწყებთ ივანე გიორგის ძე ზუბალაშვილით (III თაობა), შემდეგ კი, ცალკეული ქვეთავების მიხედვით, ნარმოდგენილია ივანეს თითოეული ვაჟის (და იქვე მათივე მემკვიდრეების) ცხოვრება-საქმიანობა.

პოპულარული ხასიათის გამო ნაშრომის ძირითადი ტექსტი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ გადავტვირთეთ დამოწმებული ლიტერატურისა და წყაროების დასახელებით, თუმცა ზოგჯერ მეტი ინფორმაციისათვის გვერდი ვერ ავუარეთ სქოლიოების მნიშვნელობით გამოყენებულ შენიშვნებს.

გარდა ამისა, რომ სულო სრულყოფილად ნარმოგვეჩინა ზუბალაშვილთა ცხოვრება-საქმიანობისა და ქველმოქმედების მრავალფეროვანი ასპექტები, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ,

დამოწმებული წყაროების გვერდით ცალკე შეგვეტანა იმდროვა უფრო მაღალი პრესის მასალების ანოტირებული ბიბლიოგრაფიაც.

ნიგნს არა აქვს სისრულის პრეტენზია და ეს ბუნებრივი-ცაა: ზუბალაშვილებს იმდენად საინტერესო ცხოვრება და მართლაც უსაზღვრო მოწყალების გაღების სურვილი ჰქონიათ, რომ ნერილობითი სახით მათი გამოწვლილვითი აღნერა მაშინაც ვერ მოხერხდებოდა, მით უმეტეს, როცა თავად ზუბალაშვილებს არ ახასიათებდათ თავისმოწონება ქველმოქმედების გამო... მიუხედავად ჩვენი დიდი სიფრთხილისა, ვერ ვიქნებით დაზღვეული ზოგიერთი უზუსტობისაგან, თუნდაც იმის გამო, რომ თვითონ წყაროებში ესა თუ ის ფაქტი (მოვლენა) ზოგჯერ სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი და საბოლოო სიზუსტის დადგენა გაძნელდა (ამიტომაც ხანდახან ვიშველიებდით პარალელურ ვერსიებსაც).

ალბათ, ნიგნში ვერ მოხვდა ზუბალაშვილთა შესახებ არ-სებული სხვა საგულისხმო ინფორმაციებიც, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ კვლავაც ბევრი დაინერება ამ ღირსეული მამულიშვილების მოღვაწეობაზე და ახალ-ახალი საინტერესო ფურცლებით შეიცსება მათი ცხოვრების მატიანე, რომლის ერთ-ერთ სანდო წყაროდ გვესახება ეს ნიგნიც – ადრესატების მი-მართ ჩვენი მადლიერებისა და მოკრძალების გამომხატველი.

**P.S. მადლობას ვუხდით ყველას, ვინც ხელი შეუწყო ამ ნიგნის შექმნასა და გამოცემას.**

## ქესაკლი

„თუ ოდესმე საქართველოს ვრცელი ისტორია დაიწერა, თუ აღინუსხა ქართველი ერის ყოველი ნაბიჯი განვითარებისა და გამეცნებისა, ცხადია, რომ ზუბალაშვილების სახელი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს... ქართველი ახალთაობა ასეთ მამულიშვილებს შესაფერის პატივს მიაგებს... დრო და მისი მიმდინარეობა ბევრი შეძლებული კაცის შეძლებასა და სახელს შეჭამს, ბევრს შემდგომ გმობის დაღიც დაესმება, მაგრამ ზუბალაშვილების სახელს ყოველთვის მედიდურად მოიხსენიებს მთელი ქართველი ერი და საქართველო...“

ზუბალაშვილებმა თანამედროვეთ ამცნეს, რომ ქართველსაც შეუძლია მომავლის მოქალაქური ცხოვრებისათვის შრომა, ცდა და მეცნიერული ჰაზროვნება” (ზ. ჭიჭინაძე).

ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ზ. ჭიჭინაძის ეს სიტყვები ლიტონი ფრაზები როდია, ოდენ ვინმეს საამებლად ნარმოთემული. კათოლიკე ზუბალაშვილთა გარის სახელოვანი ნარმომადგენლები ჭეშმარიტად იმსახურებდნენ ასეთ შეფასებას და დაფასებასაც! მათ ხომ ერთ-ერთმა პირველებმა დაუდეს სათავე საქართველოში ვაჭრობა-მწერნებელობის ისტორიას, აჩვენეს ქვეყნის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის განვითარების გზები; თავიანთი განათლება-კულტურით, ეროვნული საქმეებისადმი ერთგულება-თანადგომითა და უსაზღვრო ქველმოქმედებით დაადასტურეს ქართული გენის ნიტიერება, ღირსება და კაცუმოყვარეობა.

კათოლიკე ზუბალაშვილთა ისტორია, წყაროების მიხედვით, იწყება დაახლოებით XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან (ცრცლად ამის შესახებ იხ. ქვემოთ). ამ გვარის რამდენიმე მამაკაცმა, რომლებმაც მიიღეს კათოლიკური აღმსარებლობა,

ლათინური წესის უცხოელ მღვდლებთან საღვთო სკოლის  
გარდა ისნავლეს ელემენტარული ანგარიში, უცხო ენციკლიკური თავე ხელშეწყობით გაიცნეს ევროპული სახელმწიფოები, იქაური ვაჭრობის წესები და იმთავითვე დაიწყეს მცირე მასშტაბის აღებ-მიცემობა, მარტივი ხელოსნობა სამცხე-ჯავახეთში, შემდგომ – ქართლსა და სხვა რეგიონებშიც. გონიერმა ზუბალაშვილებმა ამ საქმეში მაღე გამოავლინეს დიდი ნიჭი და ალლო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ კათოლიკე მოძღვრების დახმარებით დაიწყეს მოგზაურობა ევროპაშიც, ვაჭრობდნენ უცხოური საქონლით და დაგროვილ თანხას მიზანმიმართულად აპანდებდნენ ახალ-ახალ სამრეწველო კომერციულ საქმიანობაში.

თანამედროვეთა შეფასებით, 1800 წლის შემდეგ თბილისში, გორში, ქუთაისში, ახალციხესა და სხვა ქალაქებში მსხვილი სამრეწველო საქმე არ დაწყებულა, რომ ზუბალაშვილებს მონაბილეობა არ მიეღოთ. ისინი მხოლოდ საკუთარ სიმდიდრეზე როდი ფიქრობდნენ. პირიქით, ყოველთვის წამოიწყებდნენ ისეთ საქმეს, რაც მათაც მისცემდა მოგებას, და, რაც მთავარია, ნინ ნასწერდა ქვეყნის ეკონომიკას, განსაკუთრებით დაეხმარებოდა გლეხობას: ასწავლიდა საკუთარი მეურნეობის უკეთ გაძლოლას, უხვი მოსავლის მოყვანას და ა. შ.

თუ XIX საუკუნემდე საქართველოში სამრეწველო საქმე უფრო შენაურული ხასიათისა იყო – ოჯახებში ამზადებდნენ იმდენ პროდუქციას, რასაც თვითონ მოიხმარდნენ, 1800-იანი წლების დამდეგიდან ჩვენშიც ნელ-ნელა დაიწყეს საქონლის დამზადება გასასყიდად. ახლადნარმოქმნილმა სოციალურმა ფენამ – ვაჭარ-მრეწველებმა ფართომასტუბიანი აღებ-მიცემობით ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში შეიტანეს სიახლე, რაც, პირველ ყოვლისა, ზუბალაშვილთა დამსახურება იყო. მაგალითისთვის რამდენიმე ფაქტს დავიმოწმებთ.

ცნობილია, რომ ზუბალაშვილები თავიანთი ფულით ძველთაგანვე ათავისუფლებდნენ საბატონო ყმებს (პირითადად ქართლში მცხოვრებთ) და აქცევდნენ თავისუფალ გლეხებად, თანვე ეხმარებოდნენ პურით, უფასოდ აძლევდნენ ხარ-კამეჩისა და ურემს, რომ დამოუკიდებლად მოეწყოთ საკუთარი მეურნეობა. ისინი გლეხობას ასწავლიდნენ ფულის



მიზანმიმართულად გამოყენებას, მათი პროდუქტის სასაქონლო ღირებულებას, აჩვევდნენ ნერილი ვაჭრობის წამოწყებას; რისთვისაც ხშირად ფულითაც წაახალისებდნენ ხოლმე. გარდა ამისა, სადაც კი სახელმწიფო შენობების აგებას დაიწყებდნენ, ყველგან მუშებად მიჰყავდათ ქართლელი გლეხები. ამ გზითაც ბევრი გლეხი შეაჩინეს სოფლიდან გარეთ გასვლას, ფულის მოვნას, გასტავის გადასაცემას.

ზუგალაშვილებმა იმქრეთში გლეხობას ასწავლეს ყურძნის ჭაჭის გამოყენება და არყის გამოხდა-გაყიდვა; ასევე ქართლელი გლეხები დააინტერესეს შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანითაც და ა. შ.

XIX საუკუნის 30-იან ნლებში ამიერკავკასიის მაშინდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრის – თბილისის პირველი გილდის ვაჭართა (ეფრემოვები, თამაშევები, არწრუნები, მულიქოვები, კუზანოვები, მანთაშოვები, ბეზირგანიშვილები, ნაზარიშვილები, სარაჯიშვილები...) შორის პირველ რიგში არიან მოხსენიებული მსხვილი მრინეელები ზუბალაშვილები.

კათოლიკე ზუბალაშვილთა ოჯახები ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ყოფილან გამორჩეულები თავიანთი პატიოსანი შრომა-საქმიანობით, განათლება-კულტურითა და ადამიანური ეპილობილებით, რასაც დიდად აფასებდნენ და ანგარიშს უწევდნენ საქართველოს მეცე-დიდებულები, მთავრები და სამეფო კარის მოხელეები.

მაღლიერებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზუბალაშვილთათვის ქართული ენა და მწიგნობრობა ყოველთვის იყო მონიშვნების საგანი. „ქართული ენის მფარველობა ქართველ კათოლიკებში საღმრთო ვალად არის მიჩნეული. ზუბალაშვილების სახლშიც ქართული ენა მეტობს“ (ზ. ჭიჭინაძე). ამ სახელმწიფო გვარის ნარმომადგენლებმა ოჯახებში ტრადიციად აქციეს (და ბოლომდე შეინარჩუნეს) ქართული სულიერი კულტურის სიყვარული და განსაკუთრებული პატივისცემა.

ზუბალაშვილები ქართველთაგან პირველები მიემგზავრებიან რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქალაქებში უმაღლესი განათლების მისაღებად, უუფლებიან სხვადასხვა პროფესიას და სამშობლოში დაბრუნებულები აეტიორად მოღვაწეობისას.



წეობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ისინი დანინაურებულები ყოფილან აგრეთვე ოქრომჭედლობაში ან სახელუროთმოძღვრულ ოსტატობაში; აგებდნენ მშვენიერ სასახლეებს, ხიდებს, ეკლესიებს... ამიტომაც აღნიშნავდნენ თანამედროვენი ხმამაღლა: „დღეს ქალაქი თბილისი გამშვენებულია ზუბალაშვილების აგებულ ძეგლებით. სადაც კი გაიხედათ, მარჯვნივ თუ მარცხნივ, ზეით თუ ქვეით, – ამათ ნაშენ ძეგლებს დაინახავთ“ (ზ. ქიქინაძე).

მართლაც, უამრავი შენობა არის აგებული ზუბალაშვილთა მიერ თბილისში, გორში, ქუთაისში, ახალციხეში და სხვაგან. მაგალითად, სხვადასხვა ინფორმაციის მიხედვით, მარტო რუსთაველის გამზირზე 9 არქიტექტურული შენობა მათი აშენებული იყო (ამათგან 5 დღესაც უცვლელად დგას), ასევე: ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე „სამი დიდი შენობა ზუბალაშვილების მარჯვენითა აშენებულ-დამშვენებული“ (ი. ახუაშვილი)...ამიტომაც ამბობდნენ თანამედროვენი: ზუბალაშვილებმა მრავალი კეთილი საქმე აკეთეს ქვეყნისათვის და აურაცხელი სიმდიდრე დაუტოვეს ქართველ ხალხსო.

კათოლიკე ზუბალაშვილები – მსხვილი ვაჭრები და დიდმრენველები – კიდევ უფრო ცნობილი გამხდარიან მთელს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც არა მხოლოდ გორივრული კომერციული საქმიანობით, არამედ სასიქადულო მამულიშვილობით, ეროვნული იდეების ერთგულებით, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ქეშმა-რიტი მეცენატობით, კაცომყვარეობით, განსაკუთრებული მასშტაბის ქველმოქმედებით, ღარიბთა და შეუძლოთა შეწყალება-მფარველობით

ზუბალაშვილთა გვარის რამდენიმე თაობის მიერ განეული ქველმოქმედების მადლი სწვდებოდა ყველა სფეროს ჩვენში თუ საზღვარგარეთ, სალბუნად ედებოდა საზოგადო საქმე-თა მესვეურებსა თუ ცალკეულ პიროვნებებს, შეძლებულებსა თუ ხელმოქლე ოჯახებს, უცხოეთში სასწავლებლად ნასულ ახალგაზრდებსა თუ მარტოხელა მოხუცებს, სასწავლო დაწესებულებებსა თუ ეკლესიებს, ნერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა თუ სათავადაზნაურო ბანეს, ჟურნალ-გაზე-ზე



თების რედაქციებსა თუ წიგნის სტამპებს, ხოფლის გლეხობა-  
სა თუ მუშებსა და ხელოსნებს... და ასე არიგებდნენ, შეუძლიათ ის  
ლაშვილები მოწყალებას მეტნილად უხმაუროდ, ისე ჩუმად,  
რომ მარჯვენა ხელის ნამოქმედარს მარცხენაც ვერ გებუ-  
ლობდათ.

ჭეშმარიტი ქრისტიანები – ზუბალაშვილები ცხოვრობ-  
დნენ სახარებისეული მცნებებით: „ჩვენ რომ ღმერთი გვაძ-  
ლევს, ჩვენც ხელგაშლით უნდა ვიყოთ, რომ ხალხს სარგებლობა  
მოვუტანოთ“ (სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბა-  
ლაშვილი). ისინი უხვად გასცემდნენ მოწყალებას ღარიბ-  
თათვის, იმავდროულად ფინანსურად ეხმარებოდნენ ეკლესია-  
მონასტრებს, იქვე არსებულ სამრევლო სკოლებს.

დიახ, ამ გვარის ნარმომადგენელთა ცხოვრების პრინ-  
ციპი იყო: „თუკი შეგიძლია, თესე სიკეთე“. მათი საგვარეულო  
ლირსება-სიძლიერის საფუძველს ნარმოდადგენდა შრომისმოყ-  
ვარეობა, დროის ფასი (ყადრი), ადამიანთა სიყვარული და  
სამშობლოს ერთგული მსახურება: „მათს ოჯახში კაცი ნახავს  
სულის მშვიდობას, გამამხნევებელ ძალას, დიდ სასოფტას. მათში  
ერთი მცირე დრო, მცირე წუთიც არ დაიკარგება“ (ზ. ჭიჭინაძე).

სწორედ ამ ლირსებით შემკული ზუბალაშვილები სანი-  
მუშონი და მისაბაძნი ყოფილან მთელს ამიერკავკასიაში და  
დამსახურებულადაც მოუპოვებიათ თანამედროვეთა უდიდესი  
სიყვარული და პატივისცემა.

„ჩვენს მოვალეობად მიგვაჩინია, გაუწყოთ, რომ საქარ-  
თველოში ყოველი კეთილი საქმის ნამოწყებას მხარს უჭერ-  
დნენ... ძმები ზუბალაშვილები... უმაგალითო დიდსულოვნე-  
ბით აღვასილნი, მხსნელებად ევლინებიან თავიანთი ქვეყნის  
ბედერულთ“ (მიხ. თამარაშვილი).

„საქართველოში ბევრია მდიდარი, მაგრამ ზუბალაშვილ-  
თა მსგავსი ქველმოქმედი არავინაა“ (ნიკო ნიკოლაძე).

კათოლიკე ზუბალაშვილთა განვლილი ცხოვრების გზა,  
რომელსაც შეიძლება თვალი გავადეენოთ XVII საუკუნიდან,  
არის ნათელი დადასტურება იმისა, თუ როგორ შეიძლება იქ-  
ცეს წვრილი ვაჭარ-ხელოსანი მსხვილ მრეწველ-კომერსანტად

მხოლოდ და მხოლოდ გონივრული, გააზრებული, ცოდნა-გა-  
ნათლებაზე დამყარებული პატიოსანი აღებ-მიცემობით. გიგანტისა

მილიონერი ზუბალაშვილები – ასე იყვნენ ცხო-  
ბილნი ისინი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის  
20-იან წლებამდე ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ბევრ მსხვილ  
სავაჭრო-სამრეწველო კომპანიებში... და მაინც ზუბალაშვილ-  
თა გვარის ყველაზე დიდ სიმდიდრეს ნარმოადგენდა არა ფუ-  
ლი, არამედ სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, უდიდესი  
სურვილი საქართველოს აღორძინება-განვითარებისა. მათ  
კარგად მოეხსენებოდათ, რომ ჩვენს ქვეყანას გადაარჩენდა  
განათლებული, საერთო ინტერესებით გაერთიანებული საზო-  
გადოება, ისეთი ქართველობა, რომელიც დროსტარების ნაც-  
ვლად დღენიადაგ იფიქრებდა და კიდეც იზრუნებდა ერის  
სატკივარზე. სწორედ ამგვარ საერთო საქმეს ხმარდებოდა  
ზუბალაშვილთა მილიონები უხმაუროდ, საკუთარი სურვილით  
და არა სხვათა საჩვენებლად, თავის მოსაწონებლად (ზუბა-  
ლაშვილთა ქველმოქმედების ზოგადი ნუსხა იხ. ქვემო).

„ზუბალაშვილები საყურადღებო არიან ჩვენი ცხოვრები-  
სათვის არა როგორც მარტო ქველმოქმედნი და დიადი გულ-  
კეთილობის მატარებელი გვამები, არა, ისინი საგულისხმო  
არიან, როგორც გაევროპელებული ქართველებიც, რომელ-  
თაც დავვარნმუნეს, რომ ქართველს შეუძლია გამდიდრდეს,  
მოიხვეჭოს ძალ-ლონე, შექმნას თავისი ბურუუაზია და განძი,  
რომ მით კაპიტალისტური დიდი მომავლისკენ ნინ სულა გა-  
ნამტკიცოს და „უზრუნველყოს“ (მღვდ. სიმონ მჭედლიძე).

„Братья Зубаловы (Зубалашвили) оставили глубокий след  
в культуре трех стран – Грузия, Росия, Франция, где, хочется  
верить, о них с благодарностью будут помнить... В наше время,  
когда почти все измеряют деньгами и благополучие страны  
связывают с „золотовалютными запасами“, очень важно поду-  
мать о пополнении богатств духа и души. Вся жизнь братьев  
Зубаловых пример высокой нравственности, интеллигентности  
настоящей любви к ближнему“ (Н. Боброва, стр. 2)

„ზუბალაშვილების გვარის ნარმომადგენლების შემცირებული მოქმედება საამაყო და სამაგალითოა ნებისმიერია უწისტესურ ქვეყნისათვის. მათ შეუფასებელი საქმეები განახორციელეს არა მარტო თავიანთ სამშობლოში, არამედ იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრობდნენ თუ მუშაობდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. შემორჩენილი წყაროებით დასტურდება, რომ ზუბალაშვილების ხანგრძლივ და ნარმატებულ ბიზნესს მუდმივად ამშვენებდა უდიდესი და უანგარო ქველმოქმედება, რაც არა მხოლოდ კონკურეტულ ადამიანებს, არამედ საქართველოს საქმეებსა და ერის განვითარებას ემსახურებოდა... ისინი იყვნენ საქართველოს ერთ-ერთი პირველი კაპიტალისტები და სამაგალითო მენარმეები (ხაზი ჩვენია – უ. ფ.). რაც უფრო იზრდებოდა მათი ქონება და შემოსავალი, მით უფრო მეტ ქველმოქმედებას ახორციელებდნენ ეს მართლაც ჭეშმარიტად ქრისტიანები და სამაგალითო კათოლიკენი“ (ნ. თათარაშვილი).

„ისტორიის კარგი მცოდნენი ამბობენ, არც ერთ ქველმოქმედს საქართველოსათვის არ გააკეთებია იმდენი, რამდენიც ზუბალაშვილმა გააკეთესო... ეს ზუბალაშვილები აშენებდნენ არა რესტორნებსა და კაზინოებს, არამედ უნივერსიტეტს, კონსერვატორიას, თეატრებს, ეკლესიებს, საავადმყოფოებს, უპოვართა სახლებს, უფასო სასადილოებს უმნეოთათვის, აფინანსებდნენ უურნალ-გაზეთებს, მხარში ედგნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, სტიპენდიებს უნიშნავდნენ ნარჩინებულ და ხელმოკლე სტუდენტებს და ა.შ.“ (ნ. ჯოხარიძე).

„ზუბალაშვილების გვარი თითოეულ ჩეენგანში უდიდეს პატივისცემასა და მონინებას იმსახურებს. თავისი მასშტაბით, ჭეშმარიტი პატრიოტების მიერ განეული ქველმოქმედება საქართველოს ისტორიაში ვერჯერობით განუმეორებელია“ (ნ. ფრიდონაშვილი).

ყოველივე ამის გამო იყო, რომ საქართველოს მონინავე ინტელიგენცია, პროგრესულად მოაზროვნე ერისკაცები და თვით ღარიბი მოსახლეობაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ ზუბალაშვილთა მოღვაწეობა-საქმიანობას, კარგად ესმოდათ ამ კეთილშობილი ადამიანების ქველმოქმედების არსი და მი-

ზანდასახულობა, რადგან, მათი აზრითაც, „მთავარი გულაძე რუსეთის და არა ფული“ – ზუბალაშვილთა ქველმოქმედების გასტორიკოსება მად შენირული თანხის რაოდენობა კი არაა მთავარი, არამედ ფაქტი და შენირულობათა მრავალფეროვნება.

... გაზეთმა „ივერიამ“ ზუბალაშვილების ქველმოქმედება „მიბინდული საზოგადოების ლამპარს“ შეადარა. დაე, ამ ლამპარმა ანუ ზუბალაშვილთა ცხოვრება-საქმიანობამ კვლავაც გაუნაოოს გზა თანამედროვე ახალგაზრდობას, გაუსპეტაკოს სული და გონება ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ; ხშირ-ხშირად შეახსენოს, რომ შრომისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება და ადამიანთა პატივისცემა მარადიული ცნებებია. სწორედ ეს იქნება ჩვენი დიდი ისტორიის გაგრძელება, ზუბალაშვილთა მსგავსი ერისკაცების ხსოვნის პატივისცემა, მათი ლვანლის დაფასება.



# ზუბალაშვილთა გვარის თავდაპირველი საცხოვრისის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. ერთი მათგანის მიხედ- ვით, ისინი ცხოვრობდნენ ერთო-თიანეთში, ქუთაისში, მეს- ხეთ-ჯავახეთში; მე-16 საუკუნიდან სახლდებიან ქართლის სოფლებში, ხოლო XVII ს-ის I ნახევრიდან – ქ. გორსა და მის მიმდებარე ადგილებში.

(მოკლე მიმოხილვა)

ზუბალაშვილთა გვარის თავდაპირველი საცხოვრისის  
შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. ერთი მათგანის მიხედ-  
ვით, ისინი ცხოვრობდნენ ერთო-თიანეთში, ქუთაისში, მეს-  
ხეთ-ჯავახეთში; მე-16 საუკუნიდან სახლდებიან ქართლის  
სოფლებში, ხოლო XVII ს-ის I ნახევრიდან – ქ. გორსა და მის  
მიმდებარე ადგილებში.

სხვა გადმოცემებით, ზუბალაშვილები მესხები არიან.  
ძველად მესხეთში ცხოვრობდნენ, შემდეგ ქართლში გადასუ-  
ლან, მაგრამ მალე ისევ მესხეთში დაბრუნებულან და დასახ-  
ლებულან ახალციხეში, ბორჯომის ხეობაში, ჯავახეთში, ოც-  
ხეში, აწყვერში, ქვაბლიანს... ზოგ წყაროში ისიცაა ნათქვამი,  
რომ შუა საუკუნებში ზუბალაშვილთა ძირითადი საცხოვრისი  
უნდა იყოს სოფელი ოცხე. მაგრამ ოსმალთა შემოსევების გა-  
მო ისინი აქედან ჯერ ახალციხეს შეჰვარებიან, შემდეგ კი სა-  
ქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაფარტულან.

ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ცნობებზე დაყრდნობით,  
ზ. ჭიჭინაძე ვარაუდობს: ზუბალაშვილთა წინაპრების სამკვიდ-  
რო ძველთაგანვე უნდა ყოფილიყო ცხინვალის ზემოთ ჯავის  
ხეობაში მდებარე სოფელი ხეთი. აქ ისინი თურმე თავისუფალ  
გლეხებად ირიცხებოდნენ, ჰქონდათ სახნავ-სათესი მიწები,  
მისდევდნენ სოფლის მეურნეობას, რიცხობრივად მრავლდე-  
ბოდნენ და ეკონომიკურადაც თანდათან ძლიერდებოდნენ. ამ  
გვარის წარმომადგენლების საკუთრება ყოფილა ერთი კარგი  
ტყეც. სოფელში „ზუბალთ უბანიც“ კი არსებულა.



ცხინვალში მცხოვრები ზუბალაშვილები ენეოდნუნ  
აღებ-მიცემობასაც. ეს საქმე მათ წამოუნყით ლათინურა-  
სის კათოლიკე მღვდლების რჩევითა და ხელშენყობით. ზუბა-  
ლაშვილები დაახლოებით XVI საუკუნის შუა ხანებში ცხინვა-  
ლიდან გადასახლებულან უფრო სამხრეთით, შემდეგ კი დამ-  
კვიდრებულან გორში, სადაც კიდევ უფრო გაუფართოებით  
ვაჭრობა-ხელოსნობა. მართალია, ქართლში მოსახლე ქართვე-  
ლები, მათ შორის, ზუბალაშვილებიც, ხშირად მონაწილეობ-  
დნენ ომებში, მაგრამ მევენახეობასა და სოფლის მეურნეობის  
სხვა დარგებსაც კარგად ავითარებდნენ, გაჰყავდათ სარწყავი  
არხები, აკეთებდნენ ხიდებს, ხელისუფლების დახმარებით მი-  
უვალ ადგილებშიც აღორძინებდნენ მეურნეობას.

სტორიული მასალებით ირკვევა, რომ XVII საუკუნის  
ბოლოდან საქართველოში ზუბალაშვილების გვარი აქტიურად  
ებმება კულტურულ საქმიანობაშიც. მაგალითად, ამ გვარის  
ერთი შტოს წარმომადგენელი მართლმადიდებელი მღვდელი  
გიორგი ზუბალაშვილი მოღვაწეობდა ვახტანგ VI-ის კარზე.  
დიდად განათლებული პიროვნება ქართული სტამბის გახსნის  
მონაწილეც ყოფილა, ხოლო რომანოზ ზუბალაშვილს (ზუბა-  
ვილს) (ზოგის აზრით, გიორგის შვილს – უ.ფ.) სასტამბო საქ-  
მიანობაში ისე გამოუჩინა თავი ერეკლე მეორის დროს, რომ  
ამ დამსახურებისთვის მეფისაგან აზნაურობაც მიუღია. ცოტა  
მოგვიანებით, ერეკლე მეფის გარდაცვალების შემდეგ, რომა-  
ნოზი იმერეთში გადასახლებულა. ჯერ ქუთაისში დაუწყია  
ნიგნების ბეჭდვა, შემდეგ შეიღებთან ერთად ეს საქმე გაუგ-  
რძელებია დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც (მაგ.,  
საჩხერეში, რაჭაში – ნესში...).

ზოგიერთ ისტორიულ ნაირობა თუ მოგონებაში ზუბა-  
ლაშვილები მოხსენიებული არიან ზუბალაშვილებად. არის ვარა-  
უდი, რომ ეს გვარი ზუბალაშვილად ინოდება დაახლოებით  
XVII საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ახალციხეში მიიღეს კათო-  
ლიკური აღმსარებლობა. თუმცა აქვე იმაზეც მიუთითებენ,  
რომ უკვე გაკათოლიკებული, ქართლში მოსახლე, ზუბალაშ-  
ვილების სახლიკაცების ერთ-ერთ ოჯახს თავისი თავდაპირ-  
ველი გვარი არ შეუცვლია და დარჩინილა ზუბალაშვილად.

ამიტომაა, რომ ეს კათოლიკენი XVIII საუკუნის ნახევრამდებარებული ზუბაშვილებად არიან მოხსენიებულნი (ზ. ჭიჭინაძე). აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ კათოლიკე ზუბაშვილების შტომ ბოლომდე შეინარჩუნა თავისი გვარი თავდაპირელი ფორმით.

**შენიშვნა:** ვფიქრობთ, სადაც არ უნდა იყოს ზუბაშვილისა და ზუბალაშვილის ერთი ძირისაგან წარმომავლობა, ხოლო მათი შემდგომი მცირეოდენი ფორმობრივი ცვლილება შეიძლება სულაც არ იყოს დაკავშირებული რელიგიურ აღმსარებლობასთან (ეს ცალკე კვლევის საკითხია). ამჯერად ჩვენთვის არ სებითია ის ფაქტი, რომ ქართულ სინამდვილეში XVII-XVIII საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე კათოლიკები არიან ზუბაშვილებიც და ზუბალაშვილებიც.

ზემოთ წარმოდგენილი მასალების შეჯერებით შეიძლება ვივარაუდოთ: ზუბალაშვილები (იგივე ზუბაშვილები) თავდაპირველად მართლმადიდებლები იყვნენ, მაგრამ არაუგვიანეს XVII საუკუნის დასაწყისისა ამ გვარში გაჩნდა ახალი შტო კათოლიკე ზუბალაშვილებისა (იხ. საქ. სიძველენი, ტ I, ტიუ. 1899, გვ. 416).

როგორც ცნობილია, XVI საუკუნიდან ეიდევ უფრო გაძლიერდა თავდასხმები საქართველოზე სპარსეთისა და ოსმალეთის მხრიდან. ოსმალეთმა დაიმორჩილა სამხრეთ საქართველო, მთელი სამცხე-საათაბაგო. აქ მცხოვრები ქართველების ნაწილი გაათათრეს, მაგრამ ქართლის სამეფო ვერ მოსპეს. ამიტომ მათვის აუცილებელი იყო თბილისის აღება; ამ საბოლოო მიზნის მისაღწევად კი, პირველ ყოვლისა, ხელთ უნდა ეგდოთ ქ. გორი. ოსმალები 1610 წელს ბორჯომის გავლით მიადგნენ გორს. მაშინ ქუდზე კაცი გამოსულა ქალაქის დასაცავად, მათ შორის ყოფილან ზუბალაშვილებიც. ქართველებმა გმირული ბრძოლით იხსნეს განსაცდელისაგან მშობლიური ქალაქი, მტერი უკუაქციეს, მაგრამ ზოგი მათგანი ოსმალების ტყვეობას ვერ გადაურჩა. მათ რიცხვში მოხვდნენ თურმე ზუბალაშვილებიც.



ტყველები ჩაიყვანეს სამცხე-საათაბაგოს ცენტრული კულტურული ახალციხეში და მოსთხოვეს რჯულის გამოცვლა. ტყველები თვეელებს ფაქტობრივად მოელოდათ ან გათათორება, ან და-ლუპვა. მაგრამ ღმერთმა შეინყალა ისინი – მფარველებად მო-უვლინა ახალციხის კათოლიკური ეკლესიის ლათინური წესის მღვდლები. ეს ის დრო იყო, როცა ახალციხესა და მის მიმდე-ბარე რეგიონებში არსებული მართლმადიდებლური ეკლესიები მუსულმანებმა გააუქმეს და ჯამედ გადააკეთეს, თუმცა იქა-ურ კათოლიკებსა და კათოლიკურ ეკლესიებზე თავიანთ ძა-ლაუფლებას ერ აერცელებდნენ.

კათოლიკე პატრიებმა სრულიად უანგაროდ გამოისყიდეს ოსმალებისაგან ქართველი ტყვეები და კარგახანს შეიფარეს თავიანთ ეკლესიაში. გათავისუფლებულთაგან ზოგი დაბრუნ-და ქართლში – მშობლიურ კუთხეში, ზოგმა კათოლიკობა მი-იღო და ახალციხეში დამკვიდრდა. ეს უნდა მომხდარიყო და-ახლ. 1620-იან წლებში.

ირკვევა, რომ მესხეთში დარჩენილმა ზუბალაშვილებმა კათოლიკობა მიიღეს და პატრიების ხელშეწყობით დაინყეს ნვრილი ვაჭრობა. ისინი თავიანთი გააზრებული და კეთილ-სინდისიერი საქმიანობით მალე გახდნენ ცნობილნი მთელს ახალციხეში. ცოტა ხნის შემდეგ აღებ-მიცემობა გააგრძელეს ჯავახეთში, ოცხეში, არტაანში, შავშეთში, ართვინში, აჭარაში; მოკლე ხანში დააგროვეს საკმაო თანხა და დიდი მამულები შეიძინეს ახალციხეში, ასპინძაში, ხიზაბავრაში, ანწყვერში. ასე რომ, XVII საუკუნის 50-იანი წლებისათვის ასპინძაში მცხოვ-რებ ზუბალაშვილებს მამულების გამო მებატონეებადაც კი თვლიდნენ.

კათოლიკე ზუბალაშვილების ნაწილი დაახლოებით XVII საუკუნის მინურულს დაბრუნდა მამაპაპისეულ კუთხეში – ქართლში; საცხოვრებლად გორში დამკვიდრდნენ, მაგრამ სა-ვაჭრო საქმიანობას აგრძელებდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ცოტა მოგვიანებით კი გასცდნენ საქართველოს ფარგლებს და გავიდნენ ოსმალეთში, სპარსეთში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებშიც (უცხოეთიდან შემოჰქონდათ შაქარი, ყა-ვა, ქალალდი, სარკე, ფართლეულობა და ა. შ.).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართლში ზურავები  
ბალაშვილებს თავიდანვე დიდ პატივს სცემდნენ თურმე. ჯერ  
ერთი, ადგილობრივებს ჯერ კიდევ ახსოვდათ ზუბალაშვილ-  
თა წინა თაობის ცხოვრება-საქმიანობა, მათი გმირული ბრძო-  
ლა მტრების წინააღმდეგ, ტყვედ ჩავარდნის ისტორიაც და,  
მეორეც, თვითონ ზუბალაშვილები ყოფილან კაცთმოყვარე-  
ნი, შრომისმოყვარენი, კეთილსინდისიერი ვაჭრები. ამასთან  
დაკავშირებით, ზ. ჭიჭინაძეც არაერთგზის აღნიშნავდა:  
„ახალციხეში ზუბალაშვილებმა კათოლიკე მღვდლებისაგან  
ბევრი კარგი თვისება შეიძინეს: ისნავლეს გონივრული საქ-  
მიანობა, სხვათა დახმარება-ხელშეწყობა“... და, რაც მთავა-  
რია, მათთან ურთიერთობის შედეგად პირველმა კათოლიკე  
ზუბალაშვილებმა მთელს საგვარულოში მომავალ თაობებ-  
საც დაუმევიდრეს ტრადიციად მუყაითი შრომა და გარჯა, პა-  
ტიოსნება, ერთგულება საქმეში, ეკლესიებზე ზრუნვა, მოძმე-  
თა ქომავობა და ღარიბთა სიბრალული.

ქათოლიკური ტემპარატურული თა  
 ქრისტიანული მართლი წარმომადგენერაცია  
 (XVII-XVIII საუკუნეები)

## ზურაბ ზუბალაშვილი

ისტორიული საბუთების მიხედვით, კათოლიკე ზუბალაშვილების ახალციხიდან ქართლში გადმოსახლება მიენირება XVII საუკუნის ბოლოს, დაახლოებით 1680-იან ნლებს. ამ პერიოდის საეკლესიო ჩანანერებში მოხსენიებული არიან ზურაბ ზუბალაშვილი (დაბადებული 1640 წელს), მისი მეუღლე მარიამი; აგრეთვე: პავლე და კონსტანტინე.

ზურაბისა და მარიამის შესახებ ზუსტი ცნობები არაა შემონახული. სხვადასხვა დროის მონაცემთა შეჯერებით, საფიქრებელია, რომ ისინი ახალციხეში დაბადებულან, იქვე დაქორნინებულან. ზურაბი აღებ-მიცემობაში ისე დაწინაურებულა, რომ ახალციხის გარდა ქართლშიც ხშირად დადიოდა სავაჭროდ და, როცა ეკონომიკურად საკმაოდ გაძლიერებულა, მუდმივ საცხოვრებლად ახალციხიდან გადმოსულა გორში. აქ ზურაბსა და მარიამს შესძენიათ ვაჟი გორგი, თუმცა არ არის გამორიცხული, მათ სხვა შვილებიც ჰყოლოდათ, მაგრამ სათანადო მასალების უქონლობის გამო ამჯერად მათზე კონკრეტული საუბარი შეუძლებელი ხდება.

## გიორგი ზურაბ შვილი დაიბადა 1694 (სხვა ვერ- სით: 1696) ნელს. მან ქართული ნერა-კითხვა, ანგარიში შე- ისწავლა გორმი მოღვაწე კათოლიკე მღვდლებთან.

**შენიშვნა:** ცნობილია, რომ 1630 (სხვა ვერსით: 1624) ნელს თბი-  
ლისში ლათინური წესის მღვდლებს კათოლიკეთა ეკლესიის  
გვერდით გაუხსნიათ უფასო საერო სასწავლებელი, რომელიც  
ქართულ სინამდვილეში (საქართველოს ისტორიაში) იყო პირ-  
ველი ქართულენოვანი საერო სკოლა. აյ იტალიელი და ფრან-  
გი პატრიები ქართველ ბავშვებს, მოუხედავად მათი სოციალუ-  
რი ნარმომავლობისა და განსხვავებული აღმსაჩებლობისა,  
ასწავლიდნენ ნერა-კითხვას, ელემენტარულ ანგარიშს, ქარ-  
თულ და ევროპულ ენებს, მოზრდილებს აცნობდნენ ევროპულ  
სამეცნიერო საგნებასაც, მედიცინის საკითხებს. თბილისის სა-  
ერო სკოლაში განსაკუთრებით განავითარეს თურმე საექიმო  
საქმეც. ამას ისიც უნყობდა ხელს, რომ თეითონ პატრიები იყ-  
ვნენ „ხელოვანნი მკურნალნი“ და თავიანთ შეგირდებასაც ას-  
ნავლიდნენ მკურნალობას, ნამდების დამზადებასაც. შეიძლე-  
ბა ითქვას, რომ XVIII საუკუნის დამლევისათვის თბილისში არ-  
სებობდა საექიმო სასწავლებელი და „აფთიაქიც – ნამალხანა“  
(ზ. ჭიჭინაძე).

ლირსსაცნობია ისიც, რომ კათოლიკე ეკლესიასთან  
„აარსებენ მცირე სააფადმყოფოს, რაც სრულიად უცხო რამ  
იყო მამინდელი საქართველოსთვის“ (ნ. ბარდაველიძე).

აქვე დავსძენთ: 1800-იანი ნლების დამდეგიდან, როცა  
აშენდა და იკურთხა თბილისში კათოლიკეთა ახალი ეკლესია –  
მარიამის მიძინების კათედრალური ტაძარი, ზემოაღნიშნული  
საერო სასწავლებელი ინოდებოდა მარიამის ეკლესიასთან არ-  
სებულ სკოლად და თავის საინტერესო მოღვაწეობას აგრძე-  
ლებდა ქართულ ენაზე XX საუკუნის 30-იან წლებამდე (ტაძ-  
რის დახურვამდე).



საგულისხმოა, რომ 1670 წელს გორშიც, კათოლიკოსი ეკლესიის გვერდით, გაუხსნიათ სამრევლო სკოლა პირველდაწყებით განათლებას ღებულობდნენ იქ მცხოვრები ზუბალაშვილებიც.

გიორგი ზუბალაშვილმა ხელი მოჰკიდა ვაჭრობას და მამის საქმიანობა გააგრძელა. რამდენადაც იმ დროისათვის ვაჭრებსა და ხელოსნებს ქართლში კარგი პირობები ჰქონდათ, გიორგიმაც (თავის საქმეში ალღოიანმა და უნარიანმა) დიდი ქონება დააგროვა და გორში მშენებელი სახლისა და ადგილ-მამულების მფლობელი გახდა.

გადმოცემის მიხედვით, გორში გადმოსახლებული ზუბალაშვილები იმთავითვე გამოირჩეოდნენ თურმე რწმენის ერთგულებით, კათოლიკური აღმსარებლობის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემით. ამ საქმეში დიდი როლი უთამაშია აგრეთვე გორელ პატრის ტულუკანთ დავითას (მას სასულიერო განათლება რომში ჰქონდა მიღებული). აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკურად უკვე მოძლიერებული ზუბალაშვილების ფინანსური მხარდაჭერით პატრ დავითას 1733 წელს რომში დაუსტამბავს ქართულ ენაზე „საქრისტიანო მოძღვრება“, რომელიც ისევ ზუბალაშვილებს ჩამოუტანიათ საქართველოში და გაუვრცელებიათ.

საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით, გიორგისა და მის მეუღლეს თამარს (გორში მცხოვრებ კათოლიკეთა ოჯახის ასულს) ჰყოლიათ 8 შვილი: პეტრე, ფელიქსი, ფრანცისკე, ანნა, იერონიმე, ივანე, მარიამი, ნათელა (ზ. ჭიჭინაძე).

გიორგი ზურაბის ძე ზუბალაშვილი თავისი დროისათვის გორში ერთ-ერთი ცნობილი პირი იყო. მას პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ მეფე-დიდებულებიც. კათოლიკეთა მრავალსულიანი ოჯახი გამოირჩეოდა თურმე შრომისმოყვარეობით, პატიოსანი საქმიანობით, რწმენის ერთგულებით, რწმენისა, რომელიც ყოველთვის უქადაგებდა მრევლს კაცოყვარებასა და გაჭირვებულთა შემწეობას.

აქვე დავსძენთ: გიორგის სახლი გორის კათოლიკეთათვის ეკლესიადაც ყოფილა გამოყენებული წირვა-ლოცვისა თუ სხვა რელიგიური რიტუალების აღსასრულებლად. მაგალი-



თად, ამ სახლში მოუნათლავს 1767 წელს ანდრია ზუბალაშვილი პატრის – გიორგი მთვარინელს (ზ. ჭიჭინაძე).

გიორგი ზუბალაშვილის შვილები ყოფილან საქმიანი და კეთილშობილი ადამიანები. მაგალითად, ფრანცისკე გიორგის ძეს იცნობდნენ როგორც ტყვეთა დამხსნელს, საოცრად სათნოსა და გაჭირვებულთა დამხმარეს, გარდა ამისა, იგი მებატონისაგან ხშირად გამოისყიდდა ყმებს და ათავისუფლებდა თურმე; ხოლო ივანე გახლდათ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი პირველი ქართველი დიდვაჭარი და ქველმოქმედი (მის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ).

გიორგი გარდაიცვალა 1771 წელს, თამარი – 1785 წელს.



XVII-XVIII საუკუნეებში ზურაბისა და გიორგის გარდა გორში ოჯახებით ცხოვრობდნენ აგრეთვე მათივე შტოს ნარ-მომაზგენელი სხვა ზუბალაშვილებიც (ერთმანეთის ახლო ნათესავები), რომლებიც თავისი დროისათვის ცნობილ მოქალაქებად ითვლებოდნენ გორსა და თბილისშიც კი. ამჯერად მყითხველს გავაცნობთ მხოლოდ რამდენიმე ინფორმაციას ზოგიერთ მათგანზე.

იოსებ ზუბალაშვილი (დაიბადა 1694 წ. – გარდაცვლილი უნდა იყოს 1780 წელს) ცხოვრობდა XVIII საუკუნეში თბილის-სა და გორში. იგი სამცხიდან გადმოსახლებულა ვაჭრობის გამო. თბილისში, გორსა და ახალციხეში გახსნილი პქონია სან-თლის, საპნის ქარხნები; ლარის, ლაზლის, ძაფისა და შალეულის სავაჭროები. გარდა ამისა, მას ოსმალეთსა და სპარსეთშიც გაპქონდა გასასყიდად მატყლი და სხვა ამგვარი საქონელი, რაზედაც იქ მოთხოვნილება იყო. სამაგიეროდ, ამ ქვეყნები-დან შემოპქონდა საქართველოსათვის უცხო საქონელი.

იოსები მთელს ქართლში ცნობილი ვაჭარი გამხდარა; დიდი გავლენა პქონია არა მარტო ქართველ მეფეებსა და ბატონიშვილებზე, არამედ ოსმალეთის მთავრობაზეც. მის საქო-



ნელს გზაში თურმე ვერავინ გაძარცვავდა: ოსმალეთში ენგრი-  
რები მფარველობდნენ, საქართველოში კი – სამეფო ჯარისა  
დარაჯი.

იოსებს ცოლად ჰყავდა გორელი მოქალაქის ასული  
ელენე. ღრმადმორწმუნე მეუღლენი გამოიჩინა დნებილ-  
შობილებით, კაცომყვარეობით; დიდად აფასებდნენ ნათელ-  
მირონობას, ხშირად ნათლავდნენ ბავშვებს და ყოველთვის  
ზრუნავდნენ ნათლულებზე, მათს ოჯახებზე.

ანდრია ზუბალაშვილი XVIII საუკუნის მეორე ნახევრი-  
სათვის გორში ითვლებოდა ცნობილ მოქალაქედ. მას ახლოს  
იცნობდნენ მეფე ერეკლე, ანტონ კათალიკოსი და სხვა ნარ-  
ჩინებული პირი, რომლებიც გორში სტუმრობისას ანდრიას  
აუცილებლად მოინახულებდნენ თურმე. ზოგჯერ ანდრია თა-  
ვადაც მიინვევდა ოჯახში ამ საპატიო სტუმრებს და შესაფე-  
რის ნადიმს გაუმართავდა.

ანდრია ძალიან ჭკვიანი და ღირსეული ადამიანი ყოფი-  
ლა. მართალია, მეფე-დიდებულები განსაკუთრებული პატი-  
ვით ეპყრობოდნენ, მაგრამ მას ამ მდგომარეობით არასოდეს  
„უსარგებლია“. ამასთან დაკავშირებით დავიმოწმებთ ერთ  
ფაქტს:

„ – ანდრია, მეფეს სთხოვე თავადიშვილობა გიბოძოს, –  
ურჩიეს ანდრიას სახლიკაცებმა.

– არა, ბატონებო, მე სადილზე მოსამსახურეობის თავი  
არა მაქვს. მის უმაღლესობას სადილზედ ყოველთვის თავად-  
აზნაურები ემსახურებიან და მე კი ასეთ ტვირთს ვერ ავიტან. მეფე და მეფის ძენი იქამდის მწყალობელნი არიან ჩვენი, რომ  
ამ პატივისცემის გარდა მე სხვა ამაღლება არ მჭირია“ (ზ. ჭი-  
ჭინაძე, ისტორია ზუბალაშვილების გვარისა, გვ. 103). თბი-  
ლისაა და გორში მცხოვრები კათოლიკე ზუბალაშვილები უკ-  
ვე XVIII საუკუნეშივე იყვნენ ცნობილი ღარიბთა შენყალებით,  
სხვა კეთილი საქმეებით. მაგალითად, ანდრიას 1775 ნელს  
თბილისში ღარიბთა დასახმარებლად მოუწყვია სამათხოვრო  
სახლი, რისთვისაც დიდალი თანხა შეუწირავს (ზ. ჭიჭინაძე).

ანდრია გარდაცვლილი უნდა იყოს დაახლოებით 1793 წელს.



დავით ზუბალაშვილი ირიცხებოდა XVIII საუკუნეში გორის წარჩინებულ მოქალაქეთა სიაში არა მხოლოდ დიდი შეძლების, საუკეთესო სახლისა და მამულების გამო, არამედ პატიოსნებით, კეთილშობილებით, ღარიბთა შეწყალებითა და, რაც მთავარია, თანამოქალაქეთა საერთო ინტერესებზე ზრუნვით.

დავითი საოცრად მორჩმუნე კაცი ყოფილა. როცა გორიდან მეფე თემურაზის ბრძანებით გააძევეს უცხოელი კათოლიკე მღვდელები და იქაურ კათოლიკებს ნაართვეს ეკლესიაც, გორელი კათოლიკენი სალოცავად მაინც იკრიბებოდნენ დავით ზუბალაშვილის ოჯახში, მისი სახლის ერთ დიდ დარბაზში (ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ეს დარბაზი მოგვიანებით გადააკეთეს გორის საოსტატო სემინარიის თათარ მოსწავლეთა განყოფილების საცხოვრებელ ბინად). რადგან მაშინ ქადაგებისა თუ სხვა რელიგიური რიტუალების აღსასრულებლად ახალციხიდან ინვევდნენ უცხოელ პატრიებს, ასეთი ვითარების გამო ეკლესიის ხარჯებს, თანხას მღვდლების სამგზავრო თუ სხვა აუცილებელი საჭიროებისათვის დავით ზუბალაშვილი იხდიდა. კათოლიკე ზუბალაშვილთა ამგვარი კეთილი საქმეების შესახებ პატრიები პაპსაც აცნობებდნენ ხოლმე. ამიტომ იყო, რომ 1770 წელს პაპმა გორის ზუბალაშვილებს ლოცვა-კურთხევა და შენდობის ნერილი გამოუგზავნა.

მერაბ ზუბალაშვილი დაბადებული უნდა იყოს 1698 (ან: 1700) წელს ხიზაბავრაში. შემდეგ საცხოვრებლად გადმოსულა გორში. XVIII საუკუნის შეახანებიდან გორის ერთ-ერთი ნარჩინებული პირი გამხდარა. იყო კარგი მეტყველი, თანაც თამამი. ჭევიანსა და განათლებულ მერაბს მთელს ქართლში ყველა პატივს სცემდა. როცა გორში მობრძანდებოდნენ მეფე ერეკლე და მისი შვილები, მათთან ყოველთვის მიინვევდნენ მერაბსაც (რომელიც ბოლო წლებში დაბრმავდა და დაკუტაცია). ბრძენი მოხუცის საუბარი მეფეს მოსწონდა თურმე,

რადგან მერაბი მეფე-დიდებულებს ესაუბრებოდა მხოლოდ გორელების სატკივარზე, საერთო საქმეზე. ერთური მომიწმენა სტუმრობის დროს მერაბმა კათოლიკე მრევლის სახელით მეფეს სთხოვა: „პატონო მეფევ, წყალობა გვიყავით და გორის ეკლესია დაგვეიძრუნეთ, რომ ვილოცოთ ჩვენი სულისათვის და თქვენი მეფობის გაძლიერებისათვის“. მეფე ერეკლემ ამ კეთილ მოხუცს აუსრულა თხოვნა: გორელებს დაუბრუნეს საკუთარი ეკლესია (თავის ნივთებიანად) და თეიმურაზის დროს განდევნილ პატრებსაც ოფიციალურად დართეს ნება წირვა-ლოცვის აღსავლენად.

წყაროებით ცნობილია, რომ გორის კათოლიკენი თავი-დანვე გამორჩეული ყოფილან გაჭირვებულთა შემწეობით. მათ ცალი ხელი ღარიბებისკენ ჰქონდათ განვდილიო.

მერაბ ზუბალაშვილი გარდაცვლილა 1781 წელს.

**შენიშვნა:** ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ მეფე ერეკლე, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, დიდად აფასებდა ვაჭარ-ხელოსნებისა და მოქალაქეების საქმიანობას; დარწმუნებული იყო, რომ ასეთი ჭკვიანი და საქმიანი სოციალური ფენა ქვეყნის მომავლის ძირითადი ძალა გახდებოდა. სწორედ ამით იყო განპირობებული მეფის სიახლოეს და პატივისცემა ანდრია, მერაბ და ივანე ზუბალაშვილების ოჯახებთან.

## ივანე გიორგის ძე ჩუბალაშვილი

ივანე ზუბალაშვილი დაიბადა 1747 წელს გორში, ქართველ კათოლიკეთა ოჯახში. მან წერა-კითხვა, ანგარიში, ლათინური ისწავლა გორის კათოლიკური ეკლესიის სკოლაში. ადრეულ ასაქში მოჰკიდა ხელი აღებმიცემობას და გამჭრიახი გონიერისა და ნიჭის ნყალობით კიდევ უფრო გააფართოვა მამის სავაჭრო საქმიანობა.

ივანე თავდაპირველად ვაჭრობდა გორში, თბილისში, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა მხარეში, შემდეგ კი ქართული საქონლის გატანა და ინწყო უცხოეთის ქვეყნებშიც; ოსმალეთში, სპარსეთში, რუსეთში, საიდანაც ჩვენში შემოჰქონდა ის პროდუქტი, რაზედაც დიდი მოთხოვნილება იყო.

ივანე მთელს საქართველოში ცნობილ პირად იქცა, დაუახლოვდა ქართლის სამეფო კარს; იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს; სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის მთავრებს. რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა ივანეს ავტორიტეტი არა მხოლოდ დაგროვილი ქანების ნყალობით, არამედ ჭეშმარიტი ვაჭარ-მრეწველისათვის დამახასიათებელი თვისებებით, საქმის ცოდნით (უტყუარი აღლოთი) და პატიო-სანი პარტიინორობით. ყოველივე ამან ივანეს დამსახურებულად მოუპოვა კეთილსინდისიერი ვაჭრის სახელი, ხოლო შინაგანმა-კეთილშობილებამ და უხვი მოწყალების გაღებამ ნაცნობ-მეგობართა წრეში იგი პატივსაცემ პიროვნებად აქცია.

ივანემ ცოლად შეირთო გორელი ქალი ანასტასია (კათოლიკეთა ოჯახის ასული). საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით, მათ ჰყოლიათ 10 შვილი (9 ვაჟი და ერთი ქალი). ამათგან რამდენიმე ადრეულ ასაქში გარდაცვლილა, ხოლო ანდრია, მიხეილი (მიქელი), გიორგი, სტეფანე, იაკობი და დავითი



მეტ-ნაკლებად ცნობილი ყოფილან თავიანთი საქმიანობით, / ეროვნული განათლებითა და ქველმოქმედებით.

არა იმაზე მართვა

არა მართვა

ივანე ცდილობდა, რომ მის შვილებს კარგი განათლება მიეღოთ, ამავე დროს აჩვევდა მათ ფიზიკურ შრომას, სავაჭრო საქმის გაძლოლასაც. ამ მიზნით შვილები ბავშვობის ასაკიდანვე დაჰპყავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და აცნობდა პატიოსანი აღებმიცემობის წესებს, პირადი მაგალითით ასწავლიდა საქმიან ურთიერთობას საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან. მამის კეთილისმყოფელი ზეგავლენით ივანეს შვილებიც ენერგიული, გამჭრიახი გონების საქმიანი ადამიანები იყვნენ.

ივანეს ოჯახი იმ დროის საქართველოში ითვლებოდა სანაქებო ოჯახად. ჭეშმარიტ ქრისტიანებს უყვარდათ ლარიბთა შეწყალება, გაჭირვებულთა დახმარება. ზ. ჭიჭინაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მაშინდელი გორის კათოლიკენი ქებული იყვნენ ამ სანაქებო საქციელით“.

ივანესა და მის მეუღლეს ნათელმირონობაც მტკიცედ სწამდათ, ნათლულიც ბევრი ჰყოლიათ.

საგულისხმო და ღირსსაცნობია ისიც, რომ ივანე და მისი ნათესავი ზუბალაშვილები საქვეყნო საქმეებში ყოველთვის ერთგულად ედგნენ გვერდით მეფეებს, მთავრებს; იმავდროულად პოლიტიკური ძნელებეფობის უამსაც არ ივინწყებდნენ შრომელ ხალხს. მაგალითისათვის ამჯერად დავიმოწმებთ ორაოდე ფაქტს: ცნობილია, რომ ასპინძის ოში (1770 წ.) მეფი ერეკლეს სურსათით დახმარებიან ასპინძაში მცხოვრები ზუბალაშვილები (რომლებიც XVII საუკუნიდან გადასახლებულან ახალ/ვიხიდან), ხოლო, როცა 1795 წელს აღა-მაშმად-ხანის შემოსცის შედეგად თბილისის მოსახლეობა, განსაკუთრებით ლარიბობა, დიდ გაჭირვებაში ჩავარდა (მტკირმა დაანგრია და გადაწვა საცხოვრებელი სახლებიც), გორსა და თბილისში მცხოვრები ზუბალაშვილები მოსახლეობას უხვად ან-ვდიდნენ პურს, ღვინოს, ფულს, სახლის ასაშენებელ მასალას და ა. შ. ამგვარი ქველმოქმედებით, ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით ივანე ზუბალაშვილი

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა ყველა გან: სამეფო კარზე, ლარიძ მოსახლეობაში...

„ივანე ზუბალაშვილი მრავალნაირად ამაღლებული პირია, ნამდვილი სახე ძველი დროის ქართველისა, გავლენიანი პირი არა მარტო ნარჩინებულ პირთა ნინაშე, არამედ გორის, თბილისისა და იმერეთის ხელოსნებსა და ვაჭრებშიაც... იგი იყო გორელების მოსამართლე, მოსამართლე, დამრიგებელი და დახმარების მიმცემი“ (ზ. ჭიჭინაძე).

თანამედროვეთა გადმოცემით, ივანეს მსგავსი პატიოსანი ვაჭრების საქმიანობა მაშინ დიდად მოწონებული და თანაც მისაბაძი მოვლენა გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ მეფე ერეკლე საქართველოს აღორძინებისათვის აუცილებლობად მიიჩნევდა ეკონომიკის ახლებურ განვითარებას ვაჭრობისა და მრეწველობის გზით. ამიბურ იგი დიდად აფასებდა გონიერსა და ჭკვიან ვაჭარტომაც იგი დიდად აფასებდა გონიერსა და ჭკვიან ვაჭარმრენველებს, რომლებიც აღებ-მიცემობას ენეოდნენ როგორც მრეწველებს, რომლებიც აღებ-მიცემობას ენეოდნენ რაოდნენ სამეცნიერო, ისე უცხოური საქონლით, ხსნიდნენ მარტივ სამეცნიერო საწარმოებს, რის შედეგადაც ქვეყნის მეურნეობაში ჩნდებოდა კაპიტალისტური ელემენტები. სამეფო კარისათვის ცხადი გახდა, რომ ამ პერიოდში თბილისისა და, საერთოდ, საქართველოს საზოგადოებრივსა თუ ეკონომიკურ ცხოვრე-ბაში ქვეყნის წამყვან, დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა ახა-ლი სოციალური ფენა – მსხვილი ვაჭარ-მრეწველები, თბილი-სის მოქალაქენი, რომელთა საქმიანობას მეფე ერეკლე ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა; ამ მხრივ განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდა ივანე ზუბალაშვილს.

ივანე ხშირად ეახლებოდა მეფეს, ესაუბრებოდა ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, არსებულ პრობლემებზე. მეფეს ძალიან მოსწონდა თურმე ივანეს დარბაისლური საუ-მეფეს ძალიან მოსწონდა თურმე ივანეს დარბაისლური საუ-ბარი, სიტყვა-პასუხი და გონივრული რჩევებიც. ერთხელ 1797 წლის მიწურულს) ასეთი სტუმრობის დროს მეფე ერეკ-ლემ ივანეს აზნაურობა შესთავაზა, ივანეს კი დინჯად უპასულემ ივანეს აზნაურობა შესთავაზა, მეტი არაფერი გვინდაო. მეფემ ამ შემთხვევაშიც დაინახა მეტი არაფერი გვინდაო. მეფემ ამ შემთხვევაშიც დაინახა ივანეს პიროვნული ლირსება, თავმდაბლობა და მადლიერე-



ბით უთხრა: „მე კარგად ვიცი თქვენი ერთგული სამსახური და ხალხის პატივისცემა. თქვენ ხომ, შვილო, ძალათამართა მთხოვთ; მე ჩემის ნებითა და ჩემის სურვილით გეუბნებით. მეფის მოწყალება, გინდ მცირეც რომ იყოს, მაინც მოწყალებად მისათვლელია“. მეფემ მაშინვე ბრძანა სასახლეში ივანესა და მისი შვილების დაჯილდოება აზნაურის წოდებით, მაგრამ ველარ მოასწრო ამ სიტყვიერი დაპირების წერილობითი აღსრულება, მალე გარდაიცვალა. ივანეს ოჯახს ამის შემდეგაც არ მოუთხოვია აზნაურობა. ოფიციალური წოდება მათვის ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგან სნამდათ, რომ ადამიანი უნდა ფასდებოდეს საქმიანობით, კეთილშობილებით.

ივანეს პიროვნული თვისებებისა და ავტორიტეტის ნათელსაყოფად მოვიზიმობთ კიდევ ერთ ინფორმაციას: 1770 წლიდან, რუსეთისა და საქართველოს ხელისუფალთა შეთანხმებით, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ რუსეთში იმართებოდა „დიდი იარმარკა“, სადაც რუს ვაჭრებს მიჰეონდათ თავიანთი საქონელი. ამ ბაზრობაზე საქართველოდანაც წარიგზავნებოდა ხოლმე ქართველი ვაჭრები ადგილობრივი ნანარმით. ასეთი ბაზრობები ბუნებრივად აძლიერებდა ქვეყანაში ვაჭრობას, შესაბამისად – ეკონომიკას. სწორედ ამიტომ მეფე ერეკლე ამგვარ სავაჭრო ურთიერთობას ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას და ხელსაც უწყობდა ქართველ ვაჭრებს. ამ საქმეში მეფე ყველაზე მეტად ენდობოდა თურმე ივანესა და სხვა კათოლიკე ზუბალაშვილებს. საგულისხმოა, რომ ერეკლეს შემდეგაც საქართველოსა და თვით რუსეთშიც კარგად უნყოდნენ, რომ ზუბალაშვილები მეტად პატიოსანი, საქმიანი ვაჭრები იყვნენ, რის გამოც ისინი ყველგან და ყოველთვის დიდი პატივით სარგებლობდნენ. „ასეთ პატივს მაშინდელი თბილისის ვაჭრები და ძველი მოქალაქენი დანატრებულნი იყვნენ“ (ზ. ჭიჭინაძე).

ივანეს ოჯახი ცნობილი იყო ქველმოქმედებითაც. გარდა იმისა, რომ ღარიბთათვის სისტემატურად გასცემდნენ მოწყალებას, ისინი ეხმარებოდნენ აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ კათოლიკურ ეკლესიებსაც. მაგალითი-სათვის მკითხველს შევახსენებთ მხოლოდ ორიოდე ფაქტს: 1.



მასალებით ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1800-იანი წლების დამდეგს თბილისის ცენტრში, შუა ბაზარში (დღ. ლესელიშვილის ქუჩის დასაწყისში), ზუბალაშვილებსა და ისარლიშვილებს თბილისის კათოლიკეთა ახალი ეკლესიისათვის შეუნირავთ ადგილი და დიდალი თანხაც გაულიათ მისი (ლეთისმშობლის მიძინების ეკლესიის) აგება-მოწყობისათვის (ივანეს რამდენი-მე შთამომავალი ამ ეკლესიაში იყო დაკრძალული). 2. XVIII სა-უკუნიდან ქუთაისში მრავლდებოდა ქართველ კათოლიკეთა რიცხვი (ისინი ძირითადად გადმოსახლებული იყვნენ ახალცი-ხიდან, სადაც მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გამო არ ჰქონ-დათ ვაჭრობისა თუ, საერთოდ, ნორმალური ცხოვრების შე-საძლებლობა. ქუთაისში კი ამ მხრივ შედარებით უკეთესი პი-რობები იყო). ამიტომ 1780-იანი წლებიდან აუცილებელი გამ-ხდარა, მრავალრიცხოვან მრევლს ჰქონოდა საკუთარი ეკლე-სია. ადგილობრივი მრევლის ძალისხმევით 1785 წელს დაუნ-ყიათ მშენებლობა პატარა ეკლესიისა, რომელიც მომდევნო წლებში რამდენჯერმე განუახლებიათ და გაუფართოებიათ, მაგრამ მოკლე ხანში არც ეს შენობა აღმოჩნდა თურმე საკმა-რისი და 1826 წელს ძველის საძირკველზე საფუძველი ჩაეყა-რა ახალ ეკლესის. იგი საბოლოოდ დასრულებულა 1860 (სხვა ვერსიით: 1862) წელს. იქიდან მოყოლებული XX საუკუ-ნის 40-იან წლებამდე ქუთაისის ცენტრში, კათოლიკეთა უბან-ში, მოქმედებდა ფრანგების ეკლესიის სახელით ცნობილი ლვთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის დიდებული ტაძარი და ემ-სახურებოდა დასავლეთ საქართველოს კათოლიკებს (დღეს შენობა დაკავებული აქვთ მართლმადიდებლებს. ჰქია ხარუ-ბის ეკლესია).

ქუთაისელ კათოლიკებს ამ ლვთიურ საქმეში ყოველ-თვის ედგნენ გვერდით თბილისელი და გორელი კათოლიკი ზუბალაშვილები. ცნობილია, რომ ჯერ ივანემ და მისმა ძმებ-მა, შემდეგ – ივანეს შვილებმა რამდენჯერმე გაიღეს ქუთაი-სის ეკლესიისათვის უხვი შენირულობა (ფულადი თანხა, ეკ-ლესიისათვის საჭირო ნივთები და ა. შ.). სიკეთის თესვა მათ დიდ ქრისტიანულ ვალად მიაჩნდათ. „ჩვენ სიკეთეს მიტომ კი არ ვთესავთ, რომ მერე ამისათვის სხვებმა გვაქონ, არამედ ამას



იმიტომ ვასრულებთ, რადგანაც ეს ჩვენი კაცობრიობისათვის დიდ საქრისტიანო ვალად მიგვაჩინია", – ხშირად იტყოდა თურქეთის მე ივანე.

თანამედროვეთა აზრით, ივანესა და მისი ნათესავების ასეთი გულუხვი ქველმოქმედების საფუძველი იყო არა მარტო ამ გვარის წარმომადგენელთა შინაგანი ბუნებითი კეთილშობილება, არამედ ისიც, რომ იყვნენ კათოლიკენი, კათოლიკე მოძღვართა გავლენის ქვეშ აღზრდილნი, გულწრფელი მორნმუნენი. ლათინი მოძღვრები კათოლიკებს ბავშვობიდანვე უნერგავდნენ უბრალო მოსახლეობის სიყვარულს, პატივისცემას. ამ რწმენით შთაგონებული ზუბალაშვილები ხშირად გამოისყიდდნენ ყმებს მებატონებისაგან და ათავისუფლებდნენ ან, თუკი თვითონ აიყვანდნენ, კეთილსინდისიერად ექცეოდნენ, არასოდეს არ შეურაცხყოფდნენ მათს ლირსებას. ზუბალაშვილთა ყმობას ლარიბი ხალხი ნატვრით ეძებდა ო (ზ. ჭიჭინაძე).

ნუაროებით ირკვევა, რომ უკვე XVIII საუკუნეშივე ქართლში, სამეფო კარზე, მოქალაქეთა შორის ყველაზე დანინაურებული ყოფილა ზუბალაშვილთა გვარი. მაშინაც და მომდევნო პერიოდშიც ამ გვარის წარმომადგენლებს მიიჩნევდნენ საპატიო მოქალაქეებად არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთის მთავრობის მაღალ წრეებშიც და ამ წარმატებაში უდიდესი როლი მიუძლოდა ივანესა და მის ოჯახსაც.

ივანე ზუბალაშვილი გარდაიცვალა 1817 წელს.

## მიხეილ ივანეს ძე ზუბალაშვილი

მიხეილ (ნათლობის სახელი მიქელი, ლათინი მოძღვრების პატივსაცემად დარქმეული) ზუბალაშვილი დაიბადა 1780 წელს. ოჯახში შეითვისა შრომისმოყვარეობა, პატიოსანი ცხოვრება-საქმიანობის ჩვევები. მიიღო თავისი დროის კეალად საჭირო განათლება და ძმებთან ერთად ჩაეძა აღებმიცემობაში; ენეოდა ნარმატებულ ვაჭრობას რუსეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია).

მიხეილმა ცოლად შეირთო ცნობილი თავადის, კათოლიკე თუმანიშვილის ასული ნატალია. მათ ოვადშიც, საგვარეულო ტრადიციისამებრ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ შვილების სწავლა-განათლებას, რადგან მიაჩნდათ, რომ მხოლოდ გონიერი, ცოდნით აღჭურვილი ადამიანი დაიმკვიდრებდა საზოგადოებაში ღირსეულ ადგილს და ქვეყანასაც მოუტანდა სარგებლობას.

მიხეილს ჰყავდა ორი ვაჟი: ზაქარია და თომა (სხვა ცნობით: ზაქარია, ალექსანდრე და თომა).

# ზაქარია მიხეილის (მაქელის) ბე ზუბალაშვილი

ზაქარია ზუბალაშვილი იყო XIX საუკუნეში კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი დამარსებელი. მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული მედიცინის აღორძინება-განვითარებაში.

ზაქარია დაიბადა 1810 წელს თბილისში. დაწყებითი განათლება მიიღო ჯერ ოჯახში, შემდეგ კი კათოლიკე მღვდლების დახმარებით კათოლიკურ სკოლაში. 1826 (სხვა ცნობით: 1825) წელს დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. მშობლებმა იგი იმავე წელს გაგზავნეს ვაჭრობისა და ბუღალტერიის შესასწავლად გერმანიაში, დერპტის უნივერსიტეტში. აქ ზაქარიას შეხვედრია ერთი თბილისელი ვაჭარი შადინაშვილი, რომელსაც ყმანვილისათვის ურჩევია, ესწავლა ექიმობა. მართლაც, ზაქარია შესულა ლაიფციგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიიღო მედიცინის და ქიმიურგიის დოქტორის ხარისხი, დაბრუნდა საქართველოში და 1835 წლიდან თბილისში დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა (მკურნალობა), იმავდროულად ენეოდა სამეცნიერო მუშაობასაც. 1836 წელს დერპტის უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარების შემდეგ მიანიჭეს მეორე განცოდილების ექიმის წოდება.

1837 წლიდან ზაქარია ექიმად მუშაობდა ჯერ დუშეთში, შემდეგ კი —ახალციხის მაზრაში, 1839 წელს გადმოიყვანეს თბილისში და დაევალა ანტიეპიდემიური ღონისძიებების კოორდინატორობაც. ამიერიდან იგი მხოლოდ თბილისის გუბერ-



ნის მეურნალი როდი იყო, საექიმო მომსახურებისათვის იგ-ზავნებოდა სხვა რეგიონებშიც. მაგალითად, 1854 წელს მონაცემების ნილეობდა განჯის მაზრაში შავი ჭირის ეპიდემიის საწინააღმდეგო ზომების გატარებაში. აღსანიშნავია, რომ ზაქარიამ მაღა მოიხვეჭა დიდი ავტორიტეტი, როგორც კარგმა სპეციალისტმა, და დაიმსახურა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

1844 წელს სადისერტაციო ნაშრომისა და საექიმო დამსახურებისათვის ზაქარიას მიენიჭა შტაბსმენურნალის ნოდება. 1846 წელს პირველად ქართულ ენაზე გამოსცა „შემოკლებითი დარიგება ჯეროვანის ხმარებისათვის ქინაქინის მარილისა ადვილმოსარჩენად დღეგამოშვებითის ცივებისა“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია). ზ. ჭიჭინაძის თქმით, ზაქარია ზუბალაშვილი იმ დროს ერთადერთი ქართველი ექიმი იყო და, აგრეთვე, პირველი ქართველი, ვინაც „უმაღლესი სამეურნალო განათლება მიიღო გერმანიაში“, საზღვარგარეთ. ზაქარია თავისი დროისათვის დიდად განათლებული ყოფილა, ზედმინევნით იცნობდა ქართულ მნიგნობრობას, საფუძვლიანად ფლობდა ევროპულ ენებს; დედანში კითხულობდა ევროპულ ლიტერატურას, აინტერესებდა ამ ქვეყნის ისტორიაც. ევროპული ენებიდან (მეტნილად რუსულიდან) ქართულად თარგმნიდა სამედიცინო ლიტერატურასაც.

თანამედროვეთა გადმოცემით, ზაქარია – ეს ღვთისმოსავი და კაცომოყვარე ადამიანი, საუკეთესო ექიმი – ღარიბებსა და გაჭირვებულთ უფასოდ მკურნალობდა, ავადმყოფებს ნამლების გარდა ხშირად საჭირო საჭმელსაც (სურსათს) უგზავნიდა, „მისი სახლის კარი ყველა ხელმოკლე და ღარიბ სნეულთათვის მუდამ ღია იყო“. ღირსსაცნობია ისიც, რომ იგი უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოში ქოლერისა (1838, 1842, 1854 წ.) და შავი ჭირის (1865 წ.) ეპიდემიების ნინააღმდეგ ბრძოლაში. ქოლერით დაავადებულებს მკურნალობდა მის მიერვე დამზადებული ნამლებით, თავადვე უვლიდა და ბევრი უიმედო ავადმყოფიც გადაურჩენია.

ზაქარია აეტიურად იღვნოდა კავკასიის სამედიცინო საზოგადოების შესაქმნელად, ამიტომაც იგი სამართლიანადაა

მიჩნეული საქართველოში ამ საზოგადოების ერთ-ერთ მესა-ძირკვლედ. ლირსსაცნობია, რომ ზემოაღნიშნული ქართული უკანასკნელი ება მხოლოდ სამეცნიერო ორგანიზაცია როდი იყო. იგი გან-საკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე საზოგადოებ-რივი ხასიათის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: სახალხო ჯანდაცვა, სანიტარია და ჰიგიენა, დაავადებები, სა-ნიტარული განათლება და ა. შ.

„1864 წლის პრილიდან ზ. ზუბალაშვილი ითვლებოდა კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ნამდვილ წევრად. სა-ზოგადოების სხდომებზე ხშირად გამოდიოდა მეცნიერული და ორგანიზაციული მნიშვნელობის მოხსენებებით. მეტად საინ-ტერესოა მის მიერ 1866 წელს ერთ-ერთ სხდომაზე ნაკითხუ-ლი მოხსენება, რომელიც კავკასიაში ქოლერის ეპიდემიის შეწყვეტის საკითხს შეეხება. 1869 წელს ნაკითხული ვრცელი მოხსენება თბილისში ბავშვთა თავშესაფრის დაარსებას ეხე-ბა, რაზედაც თავდადებით ზრუნავდა ეს ამაგდარი ექიმი“ (მ.სააკაშვილი, ა.გელაშვილი ... საქართველოს მედიცინის ისტო-რია, გვ. 121).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო საზო-გადოებამ ხალხის, განსაკუთრებით, ლარიბი მოსახლეობის სა-კეთილდღეოდ ბევრი რამ გააკეთა. მაგალითად, ჯერ კიდევ 1854 წელს „კავკასიის საექიმო გამგეობამ“ გადაწყვიტა გლე-ხობის დასახმარებლად ქართულ ენაზე გამოეცათ ბროშურე-ბი, სადაც საუბარი იქნებოდა როგორც ადამიანთა, ისე მცე-ნარეთა, ცხოველთა და ფრინველთა ავადმყოფობაზე, მათს მკურნალობაზე, სოფლის მეურნეობის უკეთ გაძლილაზე და ა. შ. ეს მეტად საჭირო და საშური საქმე მიანდეს ზაქარია ზუბალაშვილს. იგი ნლების მანძილზე უდიდესი პასუხისმგებ-ლობითა და ინტერესით მუშაობდა ამ მიმართულებითაც; ხან-გრძლივი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და ევ-როპელ მეცნიერთა ნაშრომების გათვალისწინებით წერდა (ან კიდევ ევროპული ენებიდან ქართულად თარგმნიდა) პატარ-პატარა წიგნებს, რომლებიც პერიოდულად იბეჭდებოდა ბრო-შურების სახით და სოფლის მოსახლეობას ურიგდებოდა თითქმის უფასოდ. თბილისში ამგვარი წიგნების ბეჭდვა-გამო-



ცემას მომდევნო წლებშიც ძირითადად თაოსნობდნენ ისევ ზუბალაშვილები, ზაქარიას ნათესავები, პირველ რიგში, უკურნალობას ფანჯ ზუბალაშვილი.

ზაქარიამ თავისი ნაშრომებით სამედიცინო დარგში ბევრი ახალი, საინტერესო ინფორმაცია მიანოდა ქართველობას, ძირითადად სოფლის მოსახლეობას (უფრო ვრცლად ამ ნიგების შესახებ იხ. ქვემოთ).

ცნობილია ისიც, რომ საქართველოში, როცა 1840 წელს ვაზის სენი გაჩენილა, ვაზისა და ყურძნის მკურნალობა პირველად ზაქარიას შემოუღია. თვითონვე ამზადებდა საჭირო ნამლებს და უფასოდ ურიგებდა ღარიბ გლეხებს.

ზაქარია თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით, მაღალი ადამიანური თვისებებით, ქველმოქმედებით აღიარებული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში, უცხოეთის ბევრ ქვეყანაშიც; სახალხო მედიცინაში ორმოცნლიანი დაუღალავი პრაქტიკული თუ სამეცნიერო მოღვაწეობისათვის არაერთგზის დაიმსახურა მაღლობა სამედიცინო საზოგადოებისაგან (გ. ნათაძე, კ. დემეტრაშვილი).

ზაქარიასა და მის მეუღლეს ნატალიას (თავად ანდრონიკაშვილის ასულს) ჰყოლიათ სამი ვაჟი: ალბერტი, ადოლფი და რუდოლფი (საფიქრებელია, რომ შვილები თავისი ოჯახებით საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ).

ზაქარია ზუბალაშვილი გარდაიცვალა 1877 წელს. დაკრძალეს თბილისში კათოლიკეთა სასაფლაოზე.

დასასრულ, მაღლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ზუბალაშვილი XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე, როცა „საქართველოში მხოლოდ 10 ქადაგი იყო“ (ნ. ჩიხლაძე, მ. კერესელიძე) ღირსეულად იდგა ქართული სამამულო მედიცინის ისტორიის სათავეში როგორც საუკეთესო სპეციალისტი, ღრმად განსწავლული მკურნალი, შემოქმედი მეცნიერი და უსაზღვროდ კეთილშობილი პიროვნება, ხალხის (განსაკუთრებით, ღარიბი მოსახლეობის) ჯანმრთელობის უანგარო მსახური და ქველმოქმედი.

## გიორგი ივანეს ძე ზუბალაშვილი

გიორგი (ზოგი წყაროს მიხედვით, ეგორი, იაგორი, იგორი) ზუბალაშვილი დაბადებული უნდა იყოს 1783 წელს გორში, იზრდებოდა ივანესა და ანას მრავალსულიან ჯვარში, მშვიდ და საქმიან გარემოში, სადაც შვილები სწავლიდნენ როგორც შრომიასა და პატიოსასან ცხოვრებას, ისე უბრალო ხალხის პატივისცემას, უძლურთა და გაჭირვებულთა შემწეობას.

გიორგი აგრძელებდა მამის შრომითს გზას, ენეოდა კომერციულ საქმიანობას; ძმებთან ერთად მონანილეობდა ახალ-ახალ სავაჭრო-სამრეწველო წამოწყებებში, მშვინიერი სასახლეებისა თუ სხვა სახის მშენებლობებში. მაგალითდ, სამშენებლო, რომ იგი იჯარის ნესით (როგორც მოიჯარე) ას-რულებდა მცხეთის ხიდის სამშენებლო სამუშაოებს 1839-1841 წლებში (ნ. კვეზერელი-კოპაძე, გვ. 62)<sup>1</sup>. ამავე დროს ითვლებოდა სახელმწიფო სამსახურის მოხელედ – პქონდა „ნადვორნი სოვეტინიკობისა“ და კავალერიის ხარისხიც; „მამაცობისათვის“ მთავრობისაგან ჯილდოდ ხმალიც მიუღია.

გიორგი ივანეს ძე ერთხანს, 1800-იანი წლების დასაწყისში, ქუთაისშიც (ცხოვრობდა სოლომონ მეფის კარზე (მას რუსულიც კარგად სცოდნია) და აქტიურად იყო ჩართული იმერეთის სამეფოს საქმიანობაში).

გიორგი ზუბალაშვილი გახლდათ თავისი დროისათვის თბილისში (ცნობილი და გავლენიანი პირი, გონიერი მრეწველ-მეურნე, კარგი შეძლების პატრონი). კომერციული საქმიანობისა თუ პიროვნული თვისებების (კეთილშობილების) გამო საკ-

<sup>1</sup> შდრ. ალ. დიუმა, „კავკასია“, 2009, გვ. 237.



მათ და აღიარებულიც ხელისუფლების მაღალ წრეებში. ამავე აუკრონული დროს პატივისცემით სარგებლობდა რუსთის მთავრობაში და გიორგი ზუბალაშვილი ყოფილა ღრმადმორნმუნე ადამიანი. ამასთან დაკავშირებით დავიმოწმებთ ერთ საინტერესო ინფორმაციას ლათინი პატრის მიერ რომში გაგზავნილი წერილიდან: „ნინამდებარე წერილის მომტანი პოლეოვნიკ გიორგი ზუბალოვის<sup>2</sup> ვაჟი, კეთილშობილი ბატონი იოსები გახლავთ. გიორგი ზუბალოვი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პირია იმ ქართველ კათოლიკეთა შორის, რომლებიც რომს მიემგზავრებიან ამ მთავარი ქალაქის დიდებულებისა და სიძველის და ასევე ჩევნი წმინდა კათოლიკური რელიგიის ყველაზე უფრო ჩინებული ღვთისმსახურების სანახავად. მისი წინაპრები ჯერ კიდევ ძველი დროიდან მოყოლებული კეთილგანწყობილები იყვნენ ჩევნი სათნო ცხოვრების წესის მიმართ და აქამდეც ჰქონდათ ძმობა ჩევნდამი.

პატიოსანო მამაო, ამაში შეგიძლიათ დარწმუნდეთ იმ ავთენტიკური (=ნამდვილი, სარწმუნო, პირველწყაროზე დამყარებული, დედნის შესაბამისი — უ.ფ.) ფურცლის წაკითხვისას, რომელსაც გიგზავნით. რადგან ზემოხსენებული ძმობა შეწყდა ამ ბატონის მამისა და ბიძების დროს, ახლა ძალიან გვთხოვთ მის განახლებას. ეს ოჯახი მართლაც ღირსია ყველანაირი ყურადღების, რადგან არ ლალატობს თავის წინაპრებს კათოლიკური სარწმუნოების სადიდებლად. პატიოსანო მამაო, თქვენთვის ალბათ საკმარისი იქნება იმის გაგებაც, რომ გორის მშვენიერი ეკლესია უმეტესად მათი ხარჯითაა აშენებული და შემცული... (ხაზი ჩევნია — უ. ფ.). ძმა დამიანო ვიარეჯიონელი, პრეფექტი“. რომში დაცული კაპუცინთა არქივერეჯიონელი, კართველი ეკლესია დასაბამიდან დღემდე, ბი (მ. თამარაშვილი, ქართველი ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 704).

<sup>2</sup> XIX და XX საუკუნის დასაწყისში, პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, ზოგჯერ ამოკლებდნენ შეილზე დაბოლოებულ ქართულ გვარებს, ამიტომაც, განსაკუთრებით არაქართულ წყაროებში, ზუბალაშვილები მოიხსენიებიან ზუბალოვებადაც.



ცნობისათვის აქვე დავსძენთ: ზუბალაშვილებმა გორში ეკლესიის გვერდით ააგეს მასთან არსებული სამრევლო ჯერიგოვალის შენობაც (სადაც ახლა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუ-ზეუმია განთავსებული).

გიორგის მეუღლე იყო თავად ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ასული ანნა. ჰყოლიათ რამდენიმე ვაჟი: სიმონი, ალექსანდრე, იოსები, ნიკოლოზი, ივანე.

გიორგი ზუბალაშვილი გარდაიცვალა 1864 წელს, დაკ-რძალეს თბილისში, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში.

## ნიკოლოზ გოთიგის ქებალაშვილი

ნიკოლოზ ზუბალაშვილი დაიბადა გორში 1820 წელს, დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია, შემდეგ კი სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში.

კათოლიკეთა ოჯახში აღზრდილ ნიკოლოზს, სათნოსა და კეთილს, მშრომელი ხალხის სიბრალული ბავშვობიდანვე ჰქონია შეთვისებული და მთელი ცხოვრების მანძილზე არ განელებია ეს გრძნობა, ყოველთვის იყო ღარიბთა და შეუძლოთა დამხმარე, ხელისშემწყობი.

ნიკოლოზი თავიდანვე გამოიჩინდა თურმე გონიერებით, მოხერხება-სიყოჩალით. მამის მსგავსად იყო ძალიან მშრომელი, საქმიანი, ზომიერი ცხოვრების მიმდევარი. მან „მემკვიდრეობით მიღებული ქონება კი არ გაფლანგა, არამედ კარგად გამოიყენა გაჭირვებულთა დასახმარებლადაც“, – წერდნენ ნიკოლოზის შესახებ თანამედროვენი.

ნიკოლოზმა ცოლად შეირთო ფრანგი (პარიზელი) ქალი ემმა. სათნოებით აღსავსე, ქმრის უაღრესად ერთგული, თანამოაზრე და პატივისმცემელი ქალბატონი ყოველთვის გვერდით ედგა მეუღლეს ყველა საქმეში.

მართალია, მათ მემკვიდრე არ ჰყავდათ, მაგრამ, მათივე ახლობლების გადმოცემით, ამას მტკიცნეულად არ განიცდიდნენ, რადგან ყოველთვის ჰქონდათ საზრუნვი ღარიბებისა და ავადმყოფების სახით, ეხმარებოდნენ და პატივს სცემდნენ მშრომელ ხალხს, უბრალო ადამიანებს.

უკვე ხანძიშესული მეუღლენი (ემმას პატივსაცემად) პარიზში გადავიდნენ საცხოვრებლად, მაგრამ ნიკოლოზი 2-3 წელინადში ერთხელ მაინც ჩამოდიოდა თავის უსაზღვროდ საყვარელ სამშობლოში. მისი ფიქრი მუდამ დასტრიალებდა

საქართველოს, მშობლიურ მხარეს. ამიტომ იყო, რომ სიკვდილის ნინ მოითხოვა, დაესაფლავებინათ თბილისში, ახლანდებული განაცილება ბის გვერდით.

ნიკოლოზის ანდერძი ნათესავებმა აღასრულეს: მისი გარდაცვალებიდან 5 თვის შემდეგ ცხედარი საფრანგეთიდან გადმოასვენეს საქართველოში და დაკრძალეს ლევისმშობლის მიძინების ეკლესიაში, მამის – გიორგის და ძმის – სიმონის (1805-1870) გვერდით. მისი საფლავის კედლის ზედა ნაწილში, მარმარილოს ქვაზე ეწერა: „ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილი გარდაიცვალა ქ. ნიკას 21 იანვარს, 1898 წელს, შობით გან 78 წლისა“.

ნიკოლოზი, მახვილგონიერი კაცი, „ქართული ენის კარგი მცოდნე, კარგი ქართულის კილოთი მოსაუბრე“, ყოველთვის გამოირჩეოდა საზოგადოებაში. განსაკუთრებით აინტერესებდა საქართველოს ისტორია, ზედმინევნით იცნობდა ძველებურ ამბებს; დიდ პატივს სცემდა მშობლიურ ქვეყანასა და ხალხს; ფლობდა რამდენიმე უცხო ენას, ამიტომ სხვა ქვეყნების ისტორიაშიც კარგად ერკვეოდა.

ნიკოლოზ ზუბალაშვილი თბილისში ცნობილი იყო როგორც დიდად განათლებული პიროვნება, ეროვნული ტრადიციების უაღრესად პატივისმცემელი და ამავე დროს უსაზღვროდ ეკილშობილი.

თანამედროვეთა შეფასებით, ნიკოლოზის ცხოვრებისეული მრნამსი იყო შრომა, გარჯა და მოქმედება კეთილსინდისიერად, მოყვასთა სიყვარული, შეუძლოთა და სნეულთა პატივისცემა. სწორედ ამაზე მეტყველებს ის უცხო შენირულობა, რომელიც მან გაიღო თბილისში ღარიბთა და სნეულთათვის თავშესაფარი სახლის ასაგებად.

ნიკოლოზმა გარდაცვალებამდე თბილისის გამგეობას ანდერძის სახით გადასცა დაახლ. 600 ათასი მანეთის ოდენობის თანხა, ნაღდი ფულითა თუ ნივთიერი სახით. (დაწვრ. ამის შესახებ იხ. ნიკოლოზის ანდერძი ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში), რომელიც უნდა მოხმარებოდა როგორც შენობის აგება-კეთილმოწყობას, ისე იქ მცხოვრებთა შენახვას.



**შენიშვნა:** ნ. გ. ზუბალაშვილის ანდერძის მიხედვით, ქალაქის გამგეობას თანხა გადაეცემოდა „შეუძლებელ“ ქრისტიან ბავ-შეთა თავშესაფრის დასაარსებლად. „თავშესაფარში უნდა მო-თავსდეს მხოლოდ ის ყმანვილები, რომელთაც მუშაობა არ შე-უძლიათ: 1/3 რომის კათოლიკეთა სარწმუნოებისა, 1/3 მარ-თლმადიდებელი და 1/3 სომებ გრიგორიანთა ბავშვები. თავშე-საფარს სახელად უნდა ენოდებოდეს „ლარიბთა თავშესაფარი“ ნიკ. ეგ. ზუბალაშვილისა“ (ივერია, 1898, 10 ოქტ., №30, გვ. 1-2).

როგორც ჩანს, ანდერძის გახსნის შემდეგ, ნიკოლოზის  
ახლობლებმა, ნათესავებმა და ქალაქის გამგეობამ, თბილისშესახსრის  
მცხოვრებთა სოციალური ვითარებიდან გამომდინარე შუტის  
მართებულად ჩათვალეს მხოლოდ ბავშვთა თავშესაფრის ნაც-  
კლად დაერსებინათ საერთოდ შეუძლოთა სახლი, რომელიც  
შეიფარებდა ყველა ასაკის დარიბს, სწეულს თუ მოხუცს (და-  
ახლ. 70 ადამიანის რაოდენობით).

ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილის ნაანდერძევი  
თანხით ყოფილი სასამართლოს ქუჩაზე, სადაც იდგა ნიკო-  
ლოზის კუთვნილი სახლი (საკმაოდ ფართო და დიდი ეზოთი),  
აშენდა სამსართულიანი აგურის მშვენიერი შენობა, რომელიც  
უპოვართა თავშესაფრად გადაეცა ქალაქის მაშინდელ გამგე-  
ობას. შემდეგ კი ყველა ხარჯი და საქმიანობა, რაც დაკავში-  
რებული იყო თავშესაფრის მოწყობასა თუ მასში შეფარებულ-  
თა მოვლა-პატრონობასთან, მიმდინარეობდა ნიკოლოზის ნა-  
თესავების, განსაკუთრებით, ძმები ზუბალაშვილების შენირუ-  
ლობითა და მათივე ხელმძღვანელობით.

ცნობისათვის აქვე დავსძხნთ: თავდაპირველად შენობის  
მთავარ ფასადს შემომწირველის პატივისცემისა და მადლიე-  
რების ნიშნად აშვენებდა ნარნერა: ДОМ НЕЙМУЩИХ  
ИМЕНИ Н. Е. ЗУБАЛОВА. 1902-1906. დღეს კი მხოლოდ თა-  
რილია შემორჩენილი!!!

მაშასადამე, 1906 წლიდან მთაწმინდაზე (დღევანდ. ძმე-  
ბი ზუბალაშვილების ქუჩის 48 ნომერში) ამოქმედდა დარიბთა  
სამადლო სახლი, რომელიც თავისი ფუნქცია-დანიშნულების  
მიხედვით მოიხსენიებოდა სხვადასხვა სახელით: „უპოვართა  
სახლი“, „სამათხოვრო სახლი“, „შეუძლოთა სახლი“, „უპოვარ-  
თა თავშესაფარი“, „დარიბთა თავშესაფარი“, „უმწეოთა თავ-  
შესაფარი“, „დაერდომილთა თავშესაფარი“, „უქონელთა სახ-  
ლი“... შენობა ყურადღებას იქცევდა არა მხოლოდ გარეგნუ-  
ლი იერსახით, გრანდიოზულობით, არამედ საუკეთესოდ მოწ-  
ყობილი ოთახებითაც.

უპოვართა სახლის I სართულზე განთავსებული იყო სა-  
მედიცინო პუნქტი, აფთიაქი, აბაზანები, საპარიკმახერო, სამ-  
რეცხაო და სამზარეულო, დანარჩენ – მე-2 და მე-3 სართუ-

ლებზე კი – საცხოვრებელი და გასართობი ოთახები. შენობა-  
ში იდგა ძვირფასი (მოჩუქურთმებული) ავეჯი. კიბეები, კაბინეტები, რეფენები, კაბინეტები ირანული და თურქული ხალიჩებით იყო  
დაფარული... იქაურ მობინადრებს ჰქონდათ კარგი მოვლა,  
უხვი სასმელ-საჭმელი (ოთხჯერადი კვებით); გერმანული და  
იაპონური ჭურჭელი, პოლანდიდან გამოწერილი ტანსაცმელი  
და თეთრეული.

**შენიშვნა:** უპოვართა თავშესაფრის შიგა მოწყობილობისა და იქაურ მობინადრეთა საყოფაცხოვრებო პირობების ამსახველი ფორმმასალა ინახება ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში („ქარვასლაში“).

სახლის შესასვლელში გამოკვეთილი წარწერა – „ვისაც უჭირდეს, მოვიდეს, დაპურდეს და ლამე გაათიოს“ – შესვლის-თანავე აგრძნობინებდა მნახველს დამფუძნებელ-მეპატრონე-თა კაცუთმოყვარეობას, შენობის კეთილშობილურ მისიას... ამიტომაც შეარქება ხალხმა მას „სამადლო სახლი“. თავშესაფარში ცხოვრობდნენ მართლაც შეუძლონი, ღარიბები, მარტოხელა მოხუცები, უძლურნი – ვისაც ფიზიკური მუშაობა არ შეეძლო. იქ გარდაცვლილებსაც ზუბალაშვილების ხარჯით ასაფლავებდნენ.

ქალაქის გამგეობა წინასწარ სპეციალურად ამონმებდა ყოველი შეუძლოს ჯანმრთელობას, მის ოჯახურ მდგომარეობას და შემდეგ იგზავნებოდნენ ამ სახლში. აქვე ცნობისათვის შევნიშნავთ: ამ თავშესაფარში გაატარა თავისი ცხოვრების ბოლო წლები ჰეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალ. ცაგარელმა (ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მასწავლებელმა).

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ქართველებს ძველთაგანვე მოსდგამდათ ღარიბთა სიბრალული. უნინ ჩვენთან მათხოვრები იყვნენ სპარს-ოსმალოსაგან გამოქცეული სომხები და ასირიელები. ქართველი მათხოვარი იშვიათი იქნებოდა, მაგრამ სამეფოს მაინც ჰქონდა თბილისში ორი სამათხოერო სახლი. ერთ სახლში მუდამდღე დაიარებოდნენ ღარიბნი და კერძს ჭამდნენ, მეორე სახლიდან შეუძლოთა



ოჯახებს კვირაში ერთხელ, შაბათობით, აძლევდნენ ფქვილს, მარილს, ლობილს, ზეთს, ერბოს, ბრინჯასა და სხვას თუ არა ამაღლები ნევრთა საჭიროების შესაფერისად. 1795 წელს ეს სამადლო სახლები დაანგრიეს და გაანადგურეს. XIX საუკუნეშიც ცოტა-ცოტა ხნით არსებობდა ასეთი სამადლო სახლები, მაგრამ ნიკოლოზ ზუბალაშვილის მსგავსი ქველმოქმედება არავის გაუკეთებია (ზ. ჭიქინაძე).

მადლიერების ნიშანად ქალაქის ხელმძღვანელობამ უპოვართა სახლის ვესტიბიულში დადგა ნიკოლოზის ბიუსტი (მწვანე მარმარილოს ქვისა).

სამათხოერო სახლი წლების მანძილზე უფასოდ ემსახურებოდა უმწეოებს, მაგრამ 1921 წლის თებერვლიდან, როცა საქართველოში შემოვიდნენ ნითელარმიელები, რომელთაც არ იცოდნენ და ვერც გაიგებდნენ(!) ამ სახლის კეთილშობილურ მისიას, პირველივე დღიდანვე დაიწყო მძიმე პერიოდი თავშესაფრისათვის, მოულოდნელად დაირღვა უმწეოთა მშვიდობიანი ცხოვრება. ამასთან დაკავშირებით შემოგთავაზებო ქალბატონ ანასტასია დავითის ასული ზუბალაშვილის მოგონებას: „1921 წლის 25 თებერვალს, ძალიან კარგად მახსოვს, ჩვენს სახლში აქოშინებული შემოვარდა უპოვართა სახლის დარაჯი და მამაჩემს უთხრა: რუსის ჯარი შემოვიდა, ყველაფერს აფუჭებებ; წამობრძანდით, იქნებ რაიმე გადავარჩინოთო. მამა სასწრაფოდ გაემართა ეტლით შენობისაჟენ, მაგრამ მალე დაბრუნდა საშინლად შენუხებული: ახალგაზრდებს ყველაფერი გაუნადგურებიათ, ნიკოლოზის ბიუსტიც ნაშისხვრევებად უქცევიათო. მამას ხელში ეჭირა ამ ბიუსტის სამი ნატეხი (მწვანე ფერისა იყო), მაგიდის უჯრაში ჩადო. ისიც მახსოვს: მამა უჯრიდან ხშირად ამოიღებდა ამ ნატეხებს, გულდანყვეტით დახედავდა და მერე ისევ შენიახავდა მონიშებით...“

ნითელარმიელებს შენობა ჰგონებიათ ვინმე ბურუუის კერძო სახლი, სადაც პატრონს საკუთარი თავისათვის ძეგლი დაუდგამსო. ამაზე კიდევ უფრო განრისხებულან, ბიუსტი ტყვიებით დაუცხრილავთ და იქაურობაც საშინლად დაურჩევიათ. ამგვარი უზნეო ქმედებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა იმ პერიოდში, როცა აღარავის სწამდა კეთილშობილება,

ხოლო ქველმოქმედება სრულიად უცნობი სიტყვა იყო XX სა-  
უკუნის 20-იანი წლების საქართველოში "...

... ნიკოლოზ ზუბალაშვილის ანდერძი მისი ქველმოქმე-  
დების შესახებ მოთავსებული იყო იმ დროს გაზიერებში. აქვე  
ეცნობოდა ფართო საზოგადოება ამ სახელოვანი მამულიშვი-  
ლის სხვა სამადლო საქმეებსაც: უხვი შენირულობანი თბილი-  
სის, გორის... კათოლიკეთა ეკლესიებს, სამრევლო სკოლებს,  
„სავარდის“ ძმობას, სხვა დანესებულებებს და ა. შ. საგანგე-  
ბოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გორის მაზრაში მცხოვრები  
ერთ-ერთი ლარიბი ქართველი თავადის ან აზნაურის შეიღის  
სწავლისათვის 1900 წლიდან დაწესდა ნიკ. ზუბალაშვილის სახე-  
ლობის სტიპენდია, რომელიც კენჭის ყრით პირველად ერგო  
მიხეილ თუხარელს. ეს სტიპენდია არსებობდა 1918 წლამდე  
(ნიკ. ზუბალაშვილის მიერ გაღებული მოწყალების შესახებ  
დაწვრ. იხ. ქვემოთ, ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში).

და ბოლოს: ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილის პი-  
როვნების შესაფასებლად მოვიხმობთ ზ. ჭიჭინაძის სიტყვებს:  
„ნიკოლოზი – კაცი მაღალის გონებისა და განათლებისა,  
დარბასისელი და თბილისის ხალხის ნინაშე ჭეშმარიტის სამსა-  
ხურისაგან დაღლილი, ერთგული კაცი ქალაქის საქმეებისა,  
მხურვალე მონანილე ყველა საზოგადო საქმეთა დაარსებაში,  
განურჩეველი მსახური ყველა ტომისა, ჭეშმარიტი კანონმდე-  
ბელი... გაივლის წლები, საუკუნენი. ბერის სიმდიდრე შეიჭ-  
მება... მაგრამ ნიკოლოზ ზუბალაშვილისაგან ლარიბთა, მო-  
ხუცთა და სწორობთა სასარგებლოდ აღგებული სახლი კი არა-  
სოდეს არ დაინგრევა... და მომავალშიც რიგიან კაცთა შორის  
ბჭობასა და კამათშიც პირველი ადგილი დაეთმობა. ეს სამა-  
გალითო საქმეა როგორც ზუბალაშვილისა, ისე ჩვენის მთე-  
ლის ქართველობისათვის“ (ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ზუბალაშვი-  
ლების გვარისა, გვ. 188).

**შენიშვნა:** 1. დღევანდ. ბაგჟვათა საავადმყოფოს თანამშრომელთა  
ინფორმაციით უპორავთა სახლში გახსნილი ყოფილა ქალთა  
სათნოების სკოლაც.

2. სამწერლოდ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების  
პირველ წლებში ზუბალაშვილთა მიერ გაღებულ მოწყალებას



უცხო ტომელები თუ ადგილობრივნიც აღიქვამდნენ მაშინდელი საბჭოური პოზიციიდან და, რაც შეეძლოთ, აზიანურულები ან კიდევ იტაცებდნენ (ითვისებდნენ) შენობაში არსებულ უმნეოთა კუთვნილ ძეირადლირებულ ქონებას; თითქმის აღარავის ახსოვდა მშეერ-მწყურვალი, უპატრონო და უძლური ადამიანები...

იმ დროის მომსნრეთა გადმოცემების მიხედვით, ამ დოდებულ შენობას მომდევნო წლებშიც ერქვა უპოვართა თავშესაფარი, მაგრამ იგი თავის ფუნქცია-დანიშნულებას რომ თანდათან კარგავდა, ესეც აშკარა იყო. 1920-იანი წლებიდან მოყოლებული, ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ და ხოციალურ ვითარებაში, ბუნებრივია, უმნეოთა სახლის მობინადრებს ხელისუფლება ვერ შეუქმნიდა ნორმალური ცხოვერების პირობებს (მეორე მხრივ, ქართველ მდიდარ – ქუშმარიტ ქველმოქმედებს მთლიანად ჩამოართვეს ქონება და ვიღა იქნებოდა ამ ხალხისათვის ზუბალაშვილთა მსგავსი მფარველი, პატრონი!!!).

თუ როდის შენყვიტა ოფიციალურად თავშესაფარმა არსებობა, ზუსტ ინფორმაციას ვერ მივაკვლიერ. ერთი წყაროს მიხედვით, სავარაუდოა, რომ იგი კვლავ „ემსახურებოდა“ უმნეოებს დაახლ. 1930 წლამდე. კერძოდ, ცნობილია, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფ. ალ. ცაგარელი საქართველოში დაბრუნდა 1922 წელს და გარდაცვალებამდე, 1929 წლამდე, ამ თავშესაფარში ცხოვრობდა.

და, ალბათ, როცა გაუქმდა თავშესაფარი, უფრუნქციოდ დარჩენილ შენობაში 1937 წლის ივნისში ექიმ პედიატრის ილია ლიორთქიფანიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაფუძნდა ბავშვთა საავადმყოფო. ამიერიდან კვლავ განახლდა და ერთგვარად გაგრძელდა თავშესაფრის თავდაპირველი მოსია – ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სამსახური; აქ, ამ შენობაში, სათავე დაედო ამიერკავკასიაში პირველ დამოუკიდებელ ბავშვთა კლინიკურ საავადმყოფოს, რომელსაც სამართლიანად თვლიან ყველა თაობის პედიატრთა და ბავშვთა ქირურგთა Alma Mater – ად (საგულისხმოა ისიც, რომ თავიდანვე აქ ბავშვებს უფასოდ მუშაობდნენ... ზუბალაშვილთა ქველმოქმედება კვლავ გრძელდებოდა...).

აღსანიშნავია, რომ საავადმყოფომ იმთავითვე მოიპოვა რესპუბლიკაში ერთ-ერთი მონინავე სამკურნალო დანესებუ-



ლების სახელი. ამის ნათელი დადასტურება გახდათ საავადმყოფოს 60 წლის იუბილეც (1998 წლის 22 დეკემბერი). ფარგლებით თომასტაბიან ღონისძიებაზე მასპინძლებმა თუ სტუმრებმა ისაუბრეს მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე, მადლიერებით მოიგონეს კათოლიკე ზუბალაშვილთა ეკითილი საქმენი, დიდი ღვანილი და დამსახურება ქართველი ერის წინაშე. აქვე იმასაც გაესვა ხაზი, რომ დღეს ეს სახელოვანი გვარი უდავოდ იმსახურებს მეტ ყურადღებასა და პატივისცემას ხაზოგადოების მხრიდან. თავად სავადმყოფოს კოლექტივი, რომელმაც 1990-იან წლებში კეთილი ნების სხვა ადამიანებთან ერთად „დიდი მრძოლა“ გადაიტანა ზუბალაშვილთა ქუჩის სახელნოდების შესანარჩუნებლად, ახლა მოგონებათა სახით პატივს მიაგებს ზუბალაშვილების ხსოვნას, ამ დიდებული შენობის საინტერესო ისტორიის ძვირფას რელიევიად ინახავს ნიკოლოზ ზუბალაშვილის ბიუსტის აღდგენილ ფოტოს და ამ სახლის თავშესაფრის თავდაპირველი ძვირადლირებული ქონებიდან შემოჩენილ ორ ნივთს: იშვიათი ხელოვნებით მოჩუქურთმებულ ორ ერთნაირ სარკეს და ქალის (გოგონას) ქანდაკებას.

დაახლოებით 4 მეტრის სიმაღლის, ძვირფასი ხარისხის სარკეები (დღესაც ახალთახალივით რომ გამოიყურება) უკვე ასწელზე მეტია ამშვენებს მეორე და მესამე სართულების დერეფნებს („გატაცებას“ გადარჩენილი დგას ასასვლელი კიბეების მოპირდაპირე კედელთან), ხოლო შევ 1,5 მეტრის სიმაღლის გოგონას ქანდაკება, რომელსაც თავშესაფრის ხანდაზმული მოინადრები, აღბათ, აღიქვამდნენ სიცოცხლის სიმბოლოდ, გასული საუკუნის ბოლომდე აღამაზებდა / სართულის ფოიეს. დღეს იგი, მავანთა უყურადღებობით დაზიანებული (ერთ-ერთ თაბეტი შენახული), უთუოდ ახლაც ეღის მზრუნველ ხელს სიცოცხლის გასაგრძელებლად, სიცოცხლისა, რომელიც აჩუქეს ზუბალაშვილებმა სხვათა სანუგეშოდ...

საავადმყოფოს თანამშრომელთა აზრით, „ზუბალაშვილების ცხოვრება და მოღვაწეობა მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს ცველასათვის, განსაკუთრებით იმათვეის, ვისაც აქვს საშუალება იზრუნოს სიკეთისათვის, სულისათვის, ხალხში საყოველთაო პატივისა და სიყვარულის მოპოვებისათვის... საავადმყოფომ უნდა შეინარჩუნოს ძველი ტრადიციები და ეს ლამაზი შენობა კიდევ მრავალ წელს იდგეს ასე ამაყად, ლა-



ღად, მხრებგაშლილად” (ლ. გვენცაძე, გვ. 4) მისი მესამირი კვლევების ხსოვნის უკვდავსაყოფად და მომავალი თავმომატებელი შემთხვევაში საკეთი დადგეოდ.

საავადმყოფოს კოლექტივის კეთილ სურვილებს ჩვენი მხრიდან ერთსაც დავამატებდით: სასურველია აღდგეს ამ დო-დებული შენობის ფასადზე თავდაპირველი ნარწერა – ნიკ. გ. ზუბალაშვილის სახელობის უპოვართა სახლი. ამას ბუნებრი-ვად გვავალდებულებს ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი ისტორია და სამაგალითო ქველმოქმედთა ხსოვნისადმი პატივისცემა.

## იოსებ გიორგის ძე ზუბალაშვილი

იოსებ ზუბალაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ჩვენში არ შემონახულა ვრცელი მასალები, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ იგი ახალგაზრდობაშივე ნასულა ევროპაში, იქვე დაცოლშვილებულა და სამუდამო საცხოვრებლადაც უცხოეთი აურჩევია (გარდაცვლილა ვენაში). მიუხედავად ამისა, თანამედროვენი იოსებს ახასიათებენ, როგორც უაღრესად განათლებულ, კეთილშობილ და პატიოსნებით აღსავსე ქართველს (ზ. ჭიჭინაძე).

იოკვევა, რომ იოსებ ზუბალაშვილი საქართველოში ყოფილისას მუშაობდა თბილისში აბოვიანის პანსიონში პედაგოგად. დედაქალაქის საზოგადოება, ინტელიგენცია ჯეროვნად აფასებდა მის საქმიანობას, ღრმადგანსწავლულობას, ევროპული ენების ცოდნას... ამასთან დაკავშირებით მკითხველს შევახსენებთ ერთ ინფორმაციას:

1859 წელს დიმიტრი ყიფიანმა ფრანგულიდან პროზაულად თარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და დასაბეჭდად გადასცა ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორს – ივ. ერესელიძეს. რადგან მაშინ ქართველი მკითხველი ნაკლებ ინფორმირებული იყო ამ ტრაგედიაში მოთხრობილი ტრაგიკული სიყვარულის ისტორიული ფონის შესახებ, ივ. ერესელიძემ თარგმანის დაბეჭდვამდე იოსებ ზუბალაშვილს შემდეგი თხოვნით მიმართა: „თქვენ ერთობ განსწავლული კაცი ბრძანდებით, დასავლეთ ევროპაში გიმოგზაურიათ და იტალიის ქ. ვერონაშიც ყოფილხართ. ჩვენ ვიცნობთ თქვენს განვითარებულ ცნობისმოყვარეობას: გიყვართ კვლევა-ძიება. იქნება შეგვენიოთ და რაიმე განმარტება მოგვანოდოთ – არის თუ



არა ხსოვნა-გადმოცემა ქ. ვერონაში რომეოსი და ჯულიეტაზე  
ან რას ამბობენ იქ მათ შესახებ. თუ შეგვენევით, უწინალის  
რედაქცია დიდად დაგიმადლებთ".

იოსებ ზუბალაშვილმა, რომელიც მართლაც ნამყოფი  
იყო ქ. ვერონაში და შესწავლილი ჰქონდა რომეოსა და ჯუ-  
ლიეტას ტრაგიკული სიყვარულის ისტორია, დიმიტრი ყიფია-  
ნის ამ თარგმანს გაუკეთა ვრცელი და საინტერესო კომენტა-  
რი... სადაც აღუნერია ვერონის მდებარეობა, ბუნებრივი პი-  
რობები, მოთხრობილია, რომეოსა და ჯულიეტას ოჯახების  
დაპირისპირებისა და ბოლოს შეყვარებულთა სიკედილის შე-  
სახებ... ეს ყველაფერი ვერონაში გუშინდელივით ახსოვს  
ხალხსო, – ნათქვამია კომენტარის დასასრულს.

მკვლევართა აზრით, ზუბალაშვილისეულ ამ მიმოხილ-  
ვას, რომელიც უ. „ცისკრის“ იმავე ნოტის №6-ში დაიბეჭდა,  
უთუოდ გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული შექსპირო-  
ლოგიისათვის, კონკრეტულად კი ი. ზუბალაშვილი შეიძლება  
ჩაითვალოს შექსპირის პირველ ქართველ კომენტატორად  
(ვ. სიდამონიძე).

## სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი

სტეფანე ზუბალაშვილი დაიბადა 1785 წელს გორში. მან ქართული წერა-კითხვა ისნავლა შინ, შემდეგ მიაბარეს გორის კათოლიკური ეკლესიის სკოლაში. აქ სხვა საგნებთან ერთად კათოლიკე პატრიკის მეშვეობით ჩინებულად აითვისა ფრანგული ენა და ისეთი ზოგადი საკითხები, როგორიცაა ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა საზღვრები, გზები და ვაჭრობის თავისებურებანი. თანამედროვეთა გადმოცემით, სტეფანე ყოფილა ძალიან ცოცხალი, სხარტი, გამჭრიახი გონების ბავშვი; უყვარდა წიგნების კითხვა, აინტერესებდა ისტორია, განსაკუთრებით იზიდავდა მოგზაურობა. პატარაობისას იგი მამას ხშირად დაჰყავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ადრეულ ასაკში კარგად გაიცნო იმერეთი, სამეგრელო, გურია, ახალციხე, ბათუმი (რომელიც იმ დროს ოსმალეთს ეკავა)...

15 წლის სტეფანემ დამოუკიდებლად დაიწყო ვაჭრობა. ამ საქმეში მალე ისეთი მოხერხება და უნარი გამოიჩინია, რომ უკვე ჭაბუკობის ასაკშივე სახელდებოდა (ცნობილ ვაჭრად (თბილისში ჰქონია კარგი მაღაზიები). აღებ-მიცემობით სტეფანეს დაინტერესებას ისიც აძლიერებდა, რომ იმ დროს (XIX საუკუნის დასაწყისში) თბილისში ბლობად ჩამოდიოდნენ უცხოელი ვაჭრები. მათ მიერ ჩამოტანილ საქონელს ყმანვილი აღტაცებაში მოჰყავდა თურმე, ამიტომ მტკიცედ გადაუწყვეტია სავაჭროდ გამგზავრებულიყო უცხოეთში. პირველად ნასულა ამიერკავკასიასა და რუსეთში (1816 წლიდან დადიოდა მოსკოვშიც), შემდეგ სხვა ქართველ (ახალციხელ) ვაჭრებ-



თან ერთად – თურქეთში, სპარსეთში, 1819 წელს ინდოეთში ქართული ქარვასლებიც ყოფილა. XVIII საუკუნის შუა პერიოდში საქართველოს გადმომდებარების მიზენდათ, ნანილი – ქართველებს. ასე გაიკავეს გზა ინდოეთისაკენ ქართველმა ვაჭრებმა. მათ შორის გამორჩეული ყოფილა ახალციხელი კათოლიკე ვაჭარი გრიგოლ ხურსიძე (ისარლიშვილი), რომელიც სხვა რამდენიმე თანამედროვესთან ერთად საბოლოოდ დამკვიდრებულა ინდოეთში. აյ იგი ენეოდა ფართო ვაჭრობას, დიდალ საქონელს აგზავნიდა საქართველოშიც... ყოველთვის ეხმარებოდა ინდოეთში ჩასულ ქართველებს სავაჭრო საქმიანობაში.

სტეფანე ინდოეთში დაუახლოვდა აქ მცხოვრებ ქართველ და სომებს ვაჭრებს, განსაკუთრებით, უკვე ცნობილ დიდვაჭარს – გრ. ხურსიძეს და მალე (მათი ხელშეწყობითაც) მაღრასასა და კალეუტაში თავადაც დაინყო აღებმიცემობა. მართალია, სტეფანე ძალიან ენერგიული და საქმიანი კაცი ყოფილა, მაგრამ ვაჭრობაში ბედი დიდად არ სწყალობდა თურმე, კარგ მოგებას ყოველთვის ვერ ნახულობდა, რადგან ზოგჯერ უცხოეთიდან ნამოღებული საქონელი უამინდობისა თუ ხანგრძლივი მგზავრობის შედეგად ფუჭდებოდა ან კიდევ საქართველოში მისი სასაქონლო ფასი უკვე დაცემული ხვდებოდა. მიუხედავად ამისა, სტეფანე ყოველთვის იმედიანად აგრძელებდა საქმიანობას.

ინდოეთის შემდეგ სტეფანე ერთხანს სპარსეთშიც ცხოვობდა. ვაჭრობით იქაც დიდი სარგებელი უნახავს, მაგრამ მაინც ინდოეთი იზიდავდა და 1822 წელს კვლავ გაემგზავრა ინდოეთში (მას შემდეგ საქართველოში აღარ დაბრუნებულა), დასახლდა კალკუტაში და შეუდგა ფართო მასშტაბის სავაჭრო საქმიანობას. ცოლად შეურთავს იქაური ქალი. ერთი ვერსიით, სტეფანეს ქალ-ვაჟიც შესძენია.

პირველ ხანებში სტეფანე სავაჭრო საქონელს (შაქრის ლერნამს, სანელებლებს, ყავას, აბრეშუმის ნაწარმს...) უგზავნიდა საქართველოში ძმებსა და ნათესავებს, რომლებმაც

1830-იანი წლების დასაწყისში, სტეფანეს ნყალობით, მაცხოველი გაითქვეს სახელი. ისინი (დავითი, იაკობი, გიორგი, მიქელი) ანართობდნენ აღებმიცემობას რუსეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

1830-იანი წლების შემდეგ სტეფანეს ამბავი საქართველოში აღარ მოსულა. უფრო გავრცელებული ცნობით, იგი გარდაცვლილი უნდა იყოს 1840 (სხვა ვარაუდებით: 1845, 1848, 1858) წელს, დაკრძალულია ინდოეთში.

სტეფანე გახლდათ „მაგარი ხასიათის კაცი, გაუტეხელი, ვაჭრობის მებრძოლი, დაუღალავი მუშაკი. მის ენერგიულ სავაჭრო მხნეობას განცვილებაში მოჰყავდა მრავალი ქართველი“ (ზ. ჭიჭინაძე). თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებულ სტეფანეს სავაჭრო საქმიანობაში ეხმარებოდა არა მხოლოდ უცხო ენების (ფრანგული, სპარსული, ოსმალური, სომხური, ინგლისური), არამედ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიის კარგი ცოდნაც.

საქართველოს ისტორიაში სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი მოიხსენიება როგორც „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი პირველი გამკვალავი.

## იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი

იაკობ ზუბალაშვილი დაიბადა 1792 წელს თბილისში. ქართული წერა-კითხვა დედამ ასწავლა ოჯახში. პირველად შეიყვანეს თბილისის კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ სკოლაში. აქ სხვა საგნებთან ერთად შეისწავლა ფრანგული და ლათინური ენები, შემდეგ კი საქმაოდ კარგად დაეუფლა ქართულ ენასა და მნიგნობრობას, საქართველოს ისტორიას, აგრეთვე რუსულ, სომხურ და თურქულ ენებს რუსეთის მთავრობის მიერ 1804 წელს გახსნილ კეთილშობილთა სასწავლებელში (რომელიც 1830 წელს გადაკეთდა თბილისის I გიმნაზიად, XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების შემდეგ კი ეწოდა კლასიკური გიმნაზია), ერთხანს ევროპაშიც ყოფილა ზოგადი განათლების მისაღებად, ევროპული ენების უკეთ დასაუფლებლად.

იაკობს ბავშვობიდანვე ეტყობოდა თურმე საგვარეულო ნიჭიერება და სწრაფვა ყველა ახალი საქმისადმი; ადრეული ასაკიდან ჩაერთო სავაჭრო საქმიანობაში. მამას – უკვე ცნობილ ვაჭარს – დაჟყვებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სწავლობდა კომერციული საქმიანობის ნესებს, მამის დახმარებით პირადად ცენობოდა სხვა დიდვაჭრებს, მაღალი წრის წარმომადგენლებს. ამიტომ არც იყო გასაკვირი, რომ იაკობი სრულიად ახალგაზრდა გამოვიდა ცხოვრების დიდ ასპარეზზე, როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო ვაჭარი, სხვადასხვა სამრეწველო საქმის დამფუძნებელი, შემოქმედი. და, რაც მთავარია, გახდა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე, ქართული ეროვნული ლირსების თავგამოდებული დამცველი, დიდი ქველმოქმედი



და მამულიშვილი. იგი, ერთი მხრივ, ენეოდა ფართო კომერციას საქართველოსა და უცხოეთში (საქართველოდან ჭუბალუშვილებითავთავა სტანტინოპოლში გაპქონდა სავაჭროდ ბამბა, მატყლი, აბრე-შუმი, ბზის ხე. იქიდან შემოჰქონდა შაქარი, ყავა, სარკე, ფარჩეულობა, ძაფეულობა), მეორე მხრივ, როგორც გონიერი და ჭკვიანი კომერსანტი, ზრუნავდა საქართველოშიც შექმნილი ყო სამრეველო სანარმოები, სადაც იქნებოდა გამოყენებული ადგილობრივი ნედლეული. ყოველივე ამას ჩვენშიც ბუნებრივად მოჰყვებოდა სავაჭრო ურთიერთობის გაჩენა, გლეხობის დაინტერესება, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება და საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ახალ ყაიდაზე გადასვლა, მისი აღორძინება.

იაკობ ზუბალაშვილის მრავალმხრივი საქმიანი ცხოვრება და მოლვანეობა, მისი საინტერესო შრომითი გზა ზოგადად ასე გამოიყურება:

ერთი ინფორმაციით, იაკობმა თავისი პირველი სავაჭრო საქმიანობა დაინყო არყის გამოხდა-გასალებით. 1826 წელს სახელმწიფოსგან იჯარით უყიდია არყის ნარმოების მონოპოლია რამდენიმე წლის ვადით (იმერეთის გარდა, არყის სახდელი ჰერინია ყიზლარშიც). მან ადრიდანვე იცოდა, რომ არაყს ქართლსა და კახეთში ხშირად იყენებდნენ ლვინოსთან ერთად, იმერეთში კი მას გასავალი არ ჰერინდა. ამიტომ აქ ყურძნის დაწურვის შემდეგ ჭაჭა გამოუყენებელი რჩებოდა (უბრალოდ ყრიდნენ). იაკობმა ნინასნარ განჭვრიტა, თუ როგორი სარგებლობის მოტანა შეეძლო არყის გამოხდას ანუ ჭაჭის გამოყენებას. მალე კიდეც დაინყო ამ მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობა: შეადგინა პატარა ამხანაგობა (რომლის ერთი ნევრი მისი ძმა გიორგიც იყო – იმხანად ქუთაისში მცხოვრები) და მთავრობას სთხოვა იმერეთში არყის ქარხნის ნებართვა. ხელისუფლების თანხმობის შემდეგ 1826 გახსნის ნებართვა. ხელისუფლების თანხმობის შემდეგ 1826 (სხვა ვერსიით: 1835) წელს ქუთაისის ახლოს გახსნეს პირველი არყის გამოსახდელი ქარხანა. მეპატრონენი ადგილობრივი გლეხებისაგან ყიდულობდნენ გადასაყრელ ჭაჭას და მისგან ხდიდნენ არაყს სარეალიზაციოდ (წელინადში „7200 ვედრა ჭაჭის არაყი გამოჰყვანდათ“ (ზ.ჭიჭინაძე) თურმე). ამ ახალმა



ნარმოებამ დიდი მოგება მოუტანა იაკობის ამხანაგობას და /  
სარგებელი ანახა გლეხობასაც. და მაინც ამ შემთხვევაში კოდნები  
კობის საქმიანობის უმთავრესი დადებითი შედეგი მის განა-  
ლდათ, რომ იმერეთში გლეხობამ ისწავლა არყის გამოხდის  
ნესები, გაიჩინა ოჯახის შემოსავლის ახალი წყარო. საგულის-  
ხმოა ისიც, რომ ამხანაგობამ ქარხანაში მუშებად მოინვია ად-  
გილობრივი გლეხები, რომლებიც მალე ისე დაოსტატდნენ, რომ  
დამოუკიდებლად საქუთარ ოჯახებშიც დაიწყეს არყის  
გამოხდა მარტივი წესებით. ასე რომ, იმერელი გლეხი თანდა-  
თან მიეჩვია ახალ საქმეს (არყის გამოხდას და მის გაყიდვა-  
საც). რამდენიმე ხნის შემდეგ იაკობისა და მისი თანამოსაქმე-  
ებისათვის ცხადი გახდა, რომ მათი ქარხანა უკვე აღარ იყო  
საჭირო და კიდეც შენცვიტეს არყის ნარმოება. გადაუჭარბებ-  
ლად შეიძლება ითქვას, რომ იაკობ ზუბალაშვილმა იმერეთში  
მყარად დააფუძნა არყის მრეწველობა.

**შენიშვნა:** ცნობილია, რომ იაკობის „ამხანაგობის“ შემდეგ იმე-  
რეთში არყის ქარხნები გახსნეს რუსებმა, კერძოდ: ორპირში  
1845 (სხვა ვერსიით 1840) წელს და სამტრედიაში – 1850 წელს.  
მართალია, ეს ქარხნები შედარებით მოკლე ხანში დაიხურა,  
მაგრამ იმერეთში არყის (და, საერთოდ, სასმელების) ნარმოე-  
ბა მალე იქცა ახალ მძლავრ სამრეწველო საქმედ. 1865 წელს  
გიორგი ქაიხოსროს ძე ბოლქვაძემ (რომელსაც კონსტინო-  
პოლში ბერძნებისაგან უსწავლია არყის გამოხდა, გასუფთა-  
ვება და სასმელების შეზავება) ქუთაისში გახსნა არყის დიდი  
ქარხანა და დაიწყო სასმელების დამზადება.

გიორგი ბოლქვაძე გონიერი მრეწველი გამოდგა, თან-  
დათან აძლიერებდა ქარხნის ნარმაღლობას, პროდუქციის ხა-  
რისხს; შესაბამისად, ქუთაისის სასმელების ქარხანა და მისი  
მეპატრონე მრავალფეროვანი და საუკეთესო სასმელებით  
მთელს საქართველოში მალე გახდა ცნობილი.

საგულისხმოა, რომ იმერეთის გარდა ქართლშიც უფრო  
მასშტაბურად დაიწყეს სასმელების ნარმოება ჯერ ფორაქიშ-  
ვილებმა, შემდეგ – მირზაშვილებმა, სარავებიშვილებმა...

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს ეკონომიკა-  
ში ამ ახალი დიდი სამრეწველო საქმიანობის შემდგომი განვი-

თარება უცილობლად უნდა დაუკავშირდეს ზუბალაშვილების  
სახელს, მათს კომერციულ ალიოსა და გონიერებას.

1837 წელს იაკობმა შექმნა ახალი სავაჭრო ამხანაგობა,  
რომელიც, ზ. ჭიჭინაძის აზრით, საქართველოში შეიძლება ჩა-  
ითვალის პირველ სამაგალითო ამხანაგობად. ამხანაგობამ  
გადაწყვიტა თბილისში შაქრის ქარხნის გახსნა. ქვეყნისთვის  
მეტად საჭირო ამ ნამონებას მთავრობამ (ქალაქის გამგეო-  
ბამ) სიამონებით დაუტირა მხარი იმის გამოც, რომ იმხანად  
საქართველოში რუსეთიდან შაქრის შემოტანა ძვირიც იყო და  
ძნელიც.

1838 წელს თბილისში (ჯერ ვერაზე, შემდეგ – კუკიაზე;  
სხვა ცნობით: პეტრიაშვილის ქუჩაზე, ახლანდელი ლვინის  
ქარხნის ადგილზე) გაიხსნა შაქრის ქარხანა, რომელიც პირვე-  
ლი იყო მთელს ამიერკავკასიაში. ქარხნის მაქსიმალურმა ნარ-  
მადობამ 186 ათას მანეთს მიაღწია, ნელინადში 40-55 ათას  
ფუთ შაქარს აწარმოებდა. ქარხანაში მუშაობდა 80 დაქირავე-  
ბული მუშა (ადგილობრივი მცხოვრები), 10-ზე მეტი ოსტატი  
(ძირითადად რუსეთიდან და უცხოეთიდან მონვეულები) და  
ზედამხედველი.

ალლოიანი მრეწველის გათვლა მეტად ნარმატებული  
აღმოჩნდა. დიდი მოთხოვნილების გამო შაქრის ნარმობა იმ-  
დენად გაფართოვდა, რომ მოიცავა ამიერკავკასია და შეაღწია  
სამხრეთ რუსეთშიც. მთელ საქართველოში იაკობ ზუბალაშ-  
ვილი მაღე გახდა აღიარებული შაქრის მრეწველი და დიდვა-  
ჭარი.

იაკობის შაქრის ქარხანა იყო ჭეშმარიტად კაპიტალის-  
ტურ საწყისებზე მოწყობილი სამრეწველო სანარმო მთელს  
ამიერკავკასიაში. აქ ყურადღება ექცევდა არა მარტო გამოშ-  
ვებული პროდუქციის ხარისხს, არამედ მის სასაქონლო სახე-  
ვებული პროდუქციის ხარისხს, არამედ მის სასაქონლო სახე-




ვილად იმტვრეოდა, იყო ტკბილი, თანაც იაფი) ხალხს ძალიან  
მოსწონდა და დიდი გასავალიც ჰქონდა.

ქარხნის ძირითად ნედლეულს ნარმოადგენდა უცხოური –  
დან, კერძოდ – ინდოეთიდან ქართველი ვაჭრების მიერ (მათ  
შორის იყო იაკობის ძმა – სტეფანეც) შემოტანილი შაქრის  
ლერნაში. გარდა ამისა, მცირე რაოდენობით იყენებდნენ ად-  
გილობრივ ნედლეულსაც – ქართლელი გლეხებისაგან შესყი-  
დულ შაქრის ჭარხალს (რაც, თავის მხრივ, გარკვეულად აუმ-  
ჯობესებდა სოფლის მოსახლეობის მატერიალურ მდგომარე-  
ობას, ცხოვრების პირობებს).

დაახლოებით 8 წლის შემდეგ თბილისის შაქრის ქარხანა  
დაიხურა რუსეთიდან შემოტანილი შაქრის კონკურენციისა და  
ადგილობრივი ნედლეულის უქონლობის გამო, უცხოეთიდან  
შაქრის ლერნმის შემოტანა კი ხშირად ძვირი ჯდებოდა და  
ბუნებრივად ზრდიდა თბილისში დამზადებული შაქრის თვით-  
ლირებულებას.

იაკობ ზუბალაშვილი იყო საქართველოში პურით ვაჭრო-  
ბის დამწყებიც. ცნობილია, რომ თბილისში პირველად ივანემ  
და მისმა შვილებმა გახსნეს ავლაბარში ორი მაღაზია, სადაც  
ვაჭრობდნენ ადგილობრივი გლეხებისაგან შესყიდული ხორ-  
ბლითა და ფქვილით. იაკობმა ეს საქმიანობა კიდევ უფრო გა-  
აფართოვა მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ მიანდო სა-  
ქართველოში მდგარი რუსის ჯარის პურით მომარაგება იჯა-  
რის ნესით (პურის „ფოდრატი“). იაკობი ქართლელი გლეხები-  
საგან ყიდულობდა დიდაც ხორბალსა და ქერს, რაშიც, სხვა  
ვაჭრებისაგან განსხვავებით, კარგ საფასურსაც უხდიდა მე-  
პატრონეს. იგი ყოველნაირად უწყობდა ხელს ადგილობრივ  
გლეხებს, რათა მათ უხვი მოსავალი მოეწიათ და ნამეტი  
პროდუქციით ოჯახის შემისავალი გაეზარდათ... მეტიც: ია-  
კობი სრულიად ღატაკ, უქონელ გლეხებს ხშირად ჩუქნიდა  
ურემს, ხარ-კამეჩს, რომ მათ შესძლებოდათ მინის დამუშავე-  
ბა, აგრეთვე, ქირაზე ნასვლა და ამ გზითაც ფულის შოვნა.

პურით ვაჭრობამ ზუბალაშვილებს დიდი მოგება მოუტა-  
ნა, მაგრამ ეს საქმიანობა უფრო მნიშვნელოვანი და სასარგე-  
ლო აღმოჩნდა როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკის განვითა-



რების თვალსაზრისით, ისე სოფლის მოსახლეობისთვის: ზუ-  
ბალაშვილებმა გამოაფხიზეს სოფლის დარიბი მოსახლეობა,  
ასწავლეს ფულის შოვნის პატიოსანი გზა (მინის უკეთ დამუ-  
შავებით კარგი მოსავლის მიღება და მისი გონივრული გასა-  
ლება, სოფლის პროდუქტების სასაქონლო დანიშნულება და,  
საერთოდ, მიაჩინეს თავიანთი მეურნეობის სწორად გაძლი-  
ლას); გლეხი გაიყვანეს სოფლის გარეთ და დაანახეს სხვა  
ცხოვრება, განსხვავებული ფორმითა თუ ინტერესებით.

ამგვარი თანადგომა-დახმარების გამო იაკობი (და მათი  
გვარის სხვა წარმომადგენლები) ქართლში ყველას უყვარდა  
თურმე, გარდა გორელი სხვა ვაჭრებისათ. მას განსაკუთრე-  
ბით უპირისპირდებოდნენ სომები ვაჭრები, ბევრჯერ ცილიც  
დასწამეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რადგან იაკობი ყოველ-  
თვის პატიოსნად ანარმობდა კომერციას.

სწორედ კეთილშობილებისა და საქმის ერთგულების  
გამო პატიოს სცემდნენ იაკობს მთელს საქართველოში რო-  
გორც ღარიბი მოსახლეობა, ისე საზოგადოების მაღალი ნრე-  
ები. იაკობი – განათლებული, ევროპული ენების მცოდნე;  
ჭევიანი და პატიოსანი ვაჭარი – დაახლოებული იყო ბატო-  
ნიშვილებთან, გურიისა და სამეგრელოს მთავართა ოჯახებ-  
თან. მაგალითად, სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი და მი-  
სი მეულე ეკატერინე ჭავჭავაძე იაკობს თვლიდნენ „პატიოსნე-  
ბით ალსავსე კაცად“, ამიტომაც იგი დანიშნეს სასახლის ვაჭ-  
რად და მთელს სამეგრელოში ვაჭრობის ნებაც მისცეს.

იაკობ ზუბალაშვილის პიროვნული ღირსებისა და ავტო-  
რიკტეტის წარმოსაჩენად დავიმორჩმებთ აგრეთვე ერთ ნაწ-  
ყვეტს ზ. ჭიჭინაძის ნიგნიდან „ისტორია ზუბალაშვილების  
გვარისა“: „სამეგრელოს მთავარმა დადიანმა იაკობი წარუდ-  
გინა მთავარმართებელს და განუცხადა: „ეს გახლავთ ვაჭარი  
ზუბალაშვილი. ზუბალაშვილები საქართველოში ადრიდანვე  
არიან ვაჭრობით ცნობილნი და დამსახურებულნი როგორც  
ქართლში მეფე ერეკლესა და გიორგი მეფის ნინაშე, ისე აქ,  
იმერეთსა და ჩვენი სამთავროს ნინაშე. იგი არის სანდო პირი,  
სწორი. ამიტომ ვითხოვ, რომ, როგორი პატივისცემაც ამ  
პირს და ამათ გვარის ნევრთ მეფე ერეკლეს, გიორგის და



ჩვენი სახლის ნინაშე ჰქონდათ, ისეთივე მიანიჭოთ თქვენ და, /  
თუ საღმე ვაჭარი კაცები დაგჭირდეთ, ამას მიმართეთ ჩატარება  
მეტურ თქვენს ჯარს ეს დაეხმარება სურსათის გადმოცემით,  
„ფოდრატებით“. ზუბალოვს შეგიძლიათ ერთი მილიონის იჯა-  
რა მისცეთ. მე ვარ ამის პასუხისმგებელიო” (გვ. 82-83).

აქვე დავსძენთ: ამის შემდეგ მთავარმართებელმა მარ-  
თლაც სანდო პირად ცნო იაკობი და მას მიანდო პირველივე  
ნელს პურის „ფოდრატი“. იაკობმა პატიოსნად შეასრულა ეს  
დავალება და მთავრობისაგან მადლობაც დაიმსახურა.

იაკობ ზუბალაშვილი თავისი საქმიანობით იყო რეალური  
სახე XIX საუკუნის საქართველოში მრეწველობის განვითარები-  
სა. მის ძირითად სავაჭრო საქონელს ნარმოადგენდა პური,  
ლვინო, არაყი, შაქარი, ჩაი, ნართი. „იაკობ ზუბალაშვილი იყო  
XII კლასის სოფდაგარი. იგი სასმელითა და სურსათ-სანოვა-  
გით ამარაგებდა კავკასიის ცალკე კორპუსს, ხოლო შემდეგ  
თვითონ მოჰკიდა ხელი არაყის ნარმოებას. 1840-იანი წლები-  
დან იაკობს თბილისში (ავლაბარში – უ.ფ) ჰქონდა ცალკე  
ქარვასლა, რომელშიც იყო 10 სავაჭრო მაღაზია, საწყობები,  
ლვინის სარდაფები და 71 სასტუმრო ოთახი“ (პ. გუგუშვილი,  
1979, გვ. 353-354).

ი. ზუბალაშვილის ეს ქარვასლა მდებარეობდა ავლაბრის  
ახალ ხიდთან; დაანგრიეს 1940 წელს ქალაქის ამ ნაწილის რე-  
კონსტრუქციასთან დაკავშირებით (თ. გერსამია). საგულის-  
ხმოა, რომ საკუთარი ქარვასლის გარდა იაკობს (და მის ძმას  
დავითს) მაღაზიები ჰქონიათ ერევნის მოედანზე, თამაშევის  
ქარვასლაშიც.

ისტორიული თუ სხვა წყაროების მიხედვით, XIX საუკუ-  
ნის 30-40-იანი წლების საქართველოში იაკობ ზუბალაშვილი  
საქმიანდ გავლენიანი და მდიდარი ვაჭარი იყო. გარდა ამისა,  
კარგი განათლება, უცხო ენების ცოდნა, ადამიანური კეთილ-  
შობილება და სპეტაკი ბუნება მას აძლევდა საშუალებას ყო-  
ფილიყო ცნობილი პიროვნება, პატივსაცემი და აღიარებული  
მამულიშვილი.

იაკობი და მისი მომდევნო თაობის ზუბალაშვილები იმი-  
თაც იყვნენ გამორჩეულები, რომ მათ თბილისში ააგეს უამ-



რავი შენობა-სასახლე, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ამშვენებდა ქალაქს (ზოგი მათგანი დღესაც არსებობს) უკანასკნელი რომლებიც მოგვიანებით თბილისელი მოქალაქეებისა თუ ადგილობრივი თვითმართველობის საკუთრებად დარჩა (ამათ შესახებ ქვემოთაც გვენება საუბარი, ამჯერად მხოლოდ ორიოდე მათგანზე შევჩერდებით).

ცნობილია, რომ თბილისი საუკუნეების მანძილზე გან-  
თქმული იყო დიდებული სასახლეებით, დიდრონი ქარვასლე-  
ბით, მშვენიერი ბალებითა და მარმარილოს აუზებით. ერთ-  
ერთი ამათგანი გახლდათ სამეფო სახლი. ამ სასახლის ზემოთ  
ძველთაგანვე მდგარა ერთი დიდი შესანიშნავი ქარვასლა,  
ოთხსართულიანი შენობა. იგი აუგიათ მეფეებსა და ბატონიშ-  
ვილებს საქართველოში მოსული უცხოელი ვაჭრებისა და  
მოგზაურებისათვის. მათთვის იქვე ყოფილა სასტუმროც. მაგ-  
რამ ეს ძვირფასი შენობა XVII-XVIII საუკუნეებში მტკრთა შე-  
მოსევების შედეგად ძალიან დაზიანებულა და XIX საუკუნის  
დასაწყისისათვის მთლიანად დანგრეულა. ფართოდ გავრცე-  
ლებული ცნობებით, სწორედ ამ ქარვასლის ადგილზე, მის სა-  
ძირეველზე, იაკობის ოჯახმა ააგო დიდებული სასახლე –  
სასტუმრო „პალასი“ (ამ სახლს ქებით მოიხსენიებენ თანამედ-  
როვენი, მათ შორის, პლატონ იოსელიანიც). ეს უნდა მომხდა-  
რიყო დაახლოებით 1827 წელს ან 1830-იანი წლების დასაწ-  
ყისში (ერთი ვერსიით, ზუბალაშვილებმა აქ მიწის ფართობი  
შეიძინეს 1820 წელს). არქიტექტორ ბერნარდაცის პროექ-  
ტით გვიანდელი ელასიციზმის სტილში შესრულებულ ნაგე-  
ბობას (სადაც ახლა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმია)  
მთელს ქალაქში სხვა ვერც ერთი შენობა ვერ შეედრებოდა  
თურმე.

ეს სასახლე იმდენად სახელგანთქმული ყოფილა, რომ  
1837 წლის 11 ოქტომბერს ქავკასიის კორპუსის სარდლობამ  
სწორედ აქ მოუწყო ბრნიცვალე მეჯლისი საქართველოში  
სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს. იმპე-  
რატორი გაევირვებულა სასახლის მთავარი დარბაზის მოწყო-  
ბილობით და მოუსურებია ზუბალაშვილების პირადად გაც-  
ნობა. ამ დარბაზობის (ნვეულების) ერთ-ერთი სტუმრის ბა-



რონ კოხის ჩანაწერების მიხედვით, „ზუბალაშვილების სასახლეში სადარბაზოდ ათასი კაცი დაეტიაო“ (ზ. ჭიჭინაშვილის მიხედვით).

საქართველოს ეგზარხოსსაც ძალიან მოქმნა თურმე ეს სასახლე და ზუბალაშვილებს სთხოვა, დაეთმოთ იგი თბილის სასულიერო სემინარიისათვის (რომელიც 1817 წელს იყო გახსნილი). ჭეშმარიტმა ერისკაცებმა თითქმის უსასყიდლოდ (მხოლოდ აგურის ფასად) გადასცეს ქალაქს შენობა, სადაც 1840 წლიდან 1920-იანი წლების დასაწყისამდე განთავსდა სასულიერო სემინარია, ხოლო 1952 წლიდან – ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი (ერთი ინფორმაციით, სემინარიის ხელმძღვანელობას მოგვიანებით მიუყიდია ვინმე კერძო პირისათვის შენობა, რომელიც მომდევნო წლებში გამოიყენებოდა თურმე სხვადასხვა დანიშნულებით, 1932-1951 წლებში კი აქ სახვითი ხელოვნების გალერეა ყოფილა).

ამ სასტუმრო „პალასის“ გვერდით, ყოფილი ცეკვაშირის შენობის ადგილზე (მაშინდელი ერევნის მოედანზე მდგარი ქარვასლის ახლოს), იაკობმა ააგო მეორე სასახლეც – სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი და მოაწყო ევროპულ ყაიდაზე. იაკობი-ეს საქვეყნოდ აღიარებული ვაჭარ-მრენველი, ხელოვნების დიდი მოყვარული, ყოველთვის ესწრებოდა თურმე საოპერო თეატრის ნარმოდგენებს.

**შენიშვნა:** ერევნის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე იყო დიდი ქარვასლა მარჯვენა მხარეს ჩამნერიცვებული მაღაზიებით, მარცხენა მხარეს კი შესანიშნავი თეატრით, სადაც იტალიური დასი დგამდა იტალიელი კომპოზიტორების ოპერებს, იმართებოდა სწავა ნარმოდგენებიც.

ლირსსაცნობია ისიც, რომ იაკობ ზუბალაშვილი პატიო-სანი ცხოვრება-საქმიანობის გარდა ყოველთვის ცდილობდა უცხოელთათვის ეჩვენებინა ქართული სტუმართმოყვარეობა, ნარმოეჩინა ქართველი კაცის ბუნება, მისი სულიერება, მაღალი იდეალებისაკენ სწრაფვა და, რაც მთავარია, გონიერება და ნიჭიერება. ამასთნ დაკავშირებით მოვიხმობთ მრავალთა-გან მხოლოდ ერთ ფაქტს:



1858 წლის ბოლოს საქართველოს უნდა სწვეოდა სახელმძღვანი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა(მამა). იაკობ ზუბალაშვილმა სტუმარი მიინვია თავის ოჯახში,დაუთმო პირველ სართულზე რამდენიმე ოთახი და თითქმის 2 თვე (მის თანმხლებ პირებთან ერთად) გულუხვი მასპინძლობაც გაუნია. გამგზავრებისას მწერლისათვის უჩუქებია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქუდები (სხვა ვერსიით: ორი ქუდი – თუშერი და გურული) ალმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სიმბოლოდ. ალ.დიუმა ფოთის გზით დაბრუნდა სამშობლოში და, ზუბალაშვილების სითბო-თავაზიანობისა და საუცხოო მასპინძლობის წყალობით, თან გაიყოლა ბევრი კეთილი მოგონება თბილისზე, საქართველოზე.მასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ თავად მწერალს, ცნობილი წიგნის „კავკასიის“ ავტორს (შემოგთავაზებთ რამდენიმე ცალკეულ ამონარიდს ამ წიგნიდან):

### 1. „აი თბილისიც!

- სად წავიყვანო ეს ბატონები? – იკითხა მეეტლემ.
- ბარონ ფინოსთან, საფრანგეთის კონსულთან, – ვუპასუხე მე...

ბარონს მსახურისათვის დაებარებინა, ჩვენთვის გამზადებულ ბინაში წავეყყანეთ. მიგვიყვანეს საუცხოო ბინაში, თეატრის მოედანზე, სადაც მოგვცეს ორი ოთახი და ერთი დარბაზი მდიდარი ქართველის, ბ-ნი ივანე ზუბალაშვილის სახლში” (ამ დროს ივანე ზუბალაშვილი ცოცხალი არ იყო, დიუმას მასპინძლობა გაუწია მისმა შეიღმა იაკობმა – ქ.ფ.).

### 2. „ბარონი ფინო დანიშნულ დროს მოვიდა.

- მზად ხართ? – მეითხა მან... მაშ აიღეთ თქვენი შლაპა და წავიდეთ (სტუმარ-მასპინძლები თეატრში მიდიოდნენ – ქ.ფ.).

– ჩემი შლაპა ვოლგას ვაჩუქე სარატოვსა და ცარიცინს შირის... გამოდის, თეატრში წასვლაზე უარი უნდა ვთქვა... გამოსავალი არ არის.

- მოიცა, კიდევ არის ერთი საშუალება, აგერ ამას შეხედეთ, – მითხრა მან[ფინომ] და ჩემს მასპინძელ ზუბალაშვილ-



ზე მიმითითა, რომელიც ის იყო ოთახში შემოვიდა, – თქვენი მასპინძელი კოხტად ჩაცმის მოყვარე კაცია და ქუდემის მოყვარე ლი კოლექცია აქვს. იქნებ გათხოვოთ ერთი შლაპა?

– სიამოვნებით, – თქვა ზუბალაშვილმა... მართლაც ბ-მა ზუბალაშვილმა შემოიტანა შლაპა, რომელიც თითქოს ჩემს თავზე იყო გამოჭრილი.

– ახლა ეტლში ჩავსხდეთ და თეატრში გავნიოთ” (გვ. 192).

3. „სამუშაოს ჩაუჯექი. მე ვისარგებლე თბილისში ყოფილი, ჩემი სახლის პატრონის, ზუბალაშვილის, შესანიშნავი მასპინძლობით” (გვ. 247).

იაკობის ოჯახი, ზუბალაშვილთა საგვარეულო ტრადიციის მიხედვით, თბილისში გამორჩეული იყო საქველმოქმედო საქმებითაც. ისინი საქართველოს აღორძინებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ განათლება-კულტურის განვითარებას, ქართველთა შორის წიგნიერების ამაღლებას. ამიტომ უხვად აფინანსებდნენ ქართულ სტამბებსა და წიგნის გამომცემლებს. ჩარდა ამისა, ყოველთვის გვერდით ედგნენ ეროვნული სულიერების გადარჩენა-გაძლიერებისათვის მებრძოლ თანამემამულებს, სიტყვიერი თანადგომითა თუ უხვი შენირულობით თანაუგრძნებლენ მათს საქმიანობას. ვფიქრობთ, ამჯერად მაგალითისათვის მხოლოდ პეტრე ხარისჭირაშვილის დასახელებაც იქნება საკმარისი.

ცნობილია, რომ 1840-იან წლებში გარევეული პოლიტიკური ვითარების გამო სამცხე-ჯავახეთში უკიდურესად იყო გამწვავებული ქართული ენისა და ქართველობის შენარჩუნების საკითხი. ახალციხელი კათოლიკე მღვდელი პ. ხარისჭირაშვილი გრძნობდა, რომ საქართველოს ამ ძირძველ მხარეს მძიმე განსაცდელისაგან იხსნდა ქრისტიანობა და ქართული წიგნი. ჭეშმარიტი ერისკაცი ამ მიმართულებით კიდეც შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას სხვა თანამოაზრებთან ერთად, მაგრამ მალე ხელისუფლებამ აიძულა იგი, „როგორც საშიშ პიროვნებას“ დაეტოვებინა სამშობლო. მ. პეტრე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ასეთ სიტუაციაში მისთვის რჩებოდა ერთა-



დერთი გზა – უცხოეთში გაეგრძელებინა საქმიანობა ქართველი ერის საკეთილდღეოდ. მართლაც, „დიდვაჭარ იაკობ ზურაველი ბალაშვილის მატერიალური ხელშეწყობით პეტრე კონსტანტინ ბერძოლში მიემგზავრება, სადაც ქართველი კათოლიკებისათვის ქართული ტიპიკონის არსებობის აუცილებლობას ქადაგებს“ (მანანა ჯავახიშვილი), იმავდროულად იგი იწყებს ზრუნვას ქართული ხელნაწერი ნიგნების გამოცემაზეც. ამ მიზნით მიემგზავრება ვენეციაში და მკვიდრდება წმ. ლაზარეს კუნძულზე, სომხურ-კათოლიკური კონგრეგაციის მონასტერში, სადაც რამდენიმე ხნის შემდეგ, 1850-იან წლებში, ისევ თანამემამულე კათოლიკე ზუბალაშვილების თანადგომითა და ფინანსური მხარდაჭერით გამართა ქართული სტამბა და დაინტერესირებული ნიგნების ბეჭდვა. ამ დიდი მამულიშვილური საქმიანობისათვის უხვი შენირულობა კვლავაც გაიღო იაკობის ოჯახმა, განსაკუთრებით კი გამორჩეულია იაკობის მეუღლის ანას წვლილი.

თანამედროვეთა შეფასებით, ანა – განათლებულ კათოლიკეთა ოჯახის ასული – გახლდათ „შესანიშნავი მანდილოსანი, თავისი დროის კვალად მაღალის კრძალულებით აღზრდილი... ძველთ ქართველთ დედათ თვისების მქონი, სახე პატიოსან და დიდებულ ქართველთ დედათა... ღვთისმოსავი, სალვო წერილის მოყვარე, შვილების შესანიშნავი აღმზრდელი“ (ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ზუბალაშვილების გვარისა, გვ. 147-148).

ანა ზუბალაშვილისა გახდა ვენეციაში ქართული ნიგნების გამოცემისა და შემდგომ საქართველოში მათი გავრცელების თაოსანი; მათ შორის იყო საღვთო წიგნები, „წმინდანთა ცხოვრება“, ქართველი კათოლიკე ბერების მიერ უცხოეთში თარგმნილი ხელნაწერები.

იაკობსა და ანას ჰყოლიათ სამი ვაჟი: ლევანი, ალექსანდრე, კონსტანტინე. ამათგან საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით ცნობილია კონსტანტინე იაკობის ძე – ლირსეული მოქალაქე, ოჯახის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელი. ლევანის შესახებ ნათელებია, რომ იგი ადრე გარდაცვლილა და ამიტომაც რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ დარ-



ჩენილა, ალექსანდრეს ცხოვრება-საქმიანობა კი აღნერილია /  
საქართველო  
განაცხადის მინისტრი

ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან კათოლიკე ზუბალაშვილები მოხსენიებული არიან აზნაურიშვილებად. შესაბამისად, იაკობის ოჯახის ნევრებიც ირიცხებოდნენ თბილისის გუბერნიის ქართველ აზნაურიშვილებად და, აგრეთვე, საპატიო (რჩეულ) მოქალაქეებად.

იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი გარდაიცვალა 1864 ნელს, 72 წლის ასაკში. დაკრძალეს თბილისში, სოლოლაკში, ქართველ კათოლიკეთა სასაფლაოზე, ზუბალაშვილთა საგვარეულო სამარხში, მეუღლის გვერდით.

**შენიშვნა:** ისტორიულად ცნობილია, რომ ქართველი კათოლიკე ნი თბილისში ძევლთაგანვე ცხოვრობდნენ სოლოლაკის ძეყოლებით, ჯვარისმამის ეკლესიის ზემოთ და სოლოლაკში. ცოტა მოგვიანებით დაიწყეს დასახლება ქალაქის შუაგულშიც, შუა ბაზართან (დღევ. თავისუფლების მოედნისა და ლესელიძის ქუჩის მიმდებარე ადგილებში). სოლოლაკში არსებულა მათი სასაფლაოც, სადაც მავანნი და მავანნი (ახლომახლო მცხოვრებნი) ხშირად აზიანებდნენ თურმე საფლავის ქვებს. როგორც თანამედროვენი შენიშვნავენ, თბილისში მცხოვრები ქართველი კათოლიკენი სასაფლაოს მხრივ გატირებულ მდგომარეობაში ყოფილან XVIII საუკუნის ბოლომდე. მაგრამ, როცა 1789 წელს მეფე ერეკლემ ცნობილი ქართველი კათოლიკე მოღვაწს – ლუკა ისარლიშვილის თხოვნით კათოლიკე ებს უბოძა სოლოლაკშივე ახალი სასაფლაოსათვის თავისუფალი ადგილი (მდებარეობდა მთაწმინდის კალთებზე, ახლანდელი ქონქაძის ქუჩის დასაწყისი მონაკვეთის ზემოთ). მას შემდეგ მდგომარეობა მაღლ შეიცვალა სასიკეთოდ: კათოლიკებმა მათს საუკუთრებაში გადმოსული მინის ფართობი ისე მოაწესრიგეს, რომ მომავალი წლიდანვე დაიწყეს მიცვალებულების დასაფლავება (გარშემო მცხოვრებლებსაც უკვე აღარ შეეძლოთ ზიანის მოტანა...).

სწორედ ამ სასაფლაოზე 1835 წელს პატრი ფილიპეს აუგია ჯვართამალლების პატარა საყდარი, სასაფლაოს შესაფერისი. „მღვდელმასახურებას ხანდახან ახლაც ასრულებენ... აქვე დასაფლავებულია თვით მაშენებელი საყდრისა პატრი ფილიპე, რომლის საფლავის ქვასაც ქართული და ლათინური წარწერა აქვს. საყდრის სივრცე შესდგება რამდენიმე საუკი-

საგან. მშევრიერ ალაგბ სტევს, სუფთას და მოხდენილსა” (ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკეთა ეკაკლესია საქართველოში, გვ. 129-130).

აქვე საგულისხმოა ზ. ჭიჭინაძის ერთი შენიშვნაც: „უსაფრთხოების დღემდე არსებობს სასაფლავოდ, მხოლოდ იგი ხაუროდ (ალბათ, იგულისხმება: ყველა კათოლიკესათვის – უ. ფ.) გაუქმდებულია. იქ ახლა საფლავდებიან რამდენიმე კომლინი ანუ ნარჩინებულ გვარის წევრი ქართველ კათოლიკეთა” (იქვე, გვ. 128).

ირკვევა, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ზუბალაშვილებსაც ჰქონიათ სოლოლაკის ქართველ კათოლიკეთა სასაფლაოზე თავიანთი საგვარეულო სამარხი, საერთო ნაწილი-საგან რენის მთავირით (გალავნით) გამოყოფილი. 1903 წლის მდგომარეობით (ზ. ჭიჭინაძის აღნერით), ამ სასაფლაოზე დაკრძალული არიან: იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი, მისი მეულე ანა და შვილები (ლევანი, მარია მავდალინა); ანდრია ივანეს ძე ზუბალაშვილი; კონსტანტინე და ელისაბედ ზუბალაშვილები, მათი მცირებულოვანი შვილი ანდრია; გიორგი ივანეს ძე ზუბალაშვილის მეულე ანნა, ასული თავ. ნიკოლოზ ჩოლოებვილია. 1904 წელს იქვე დაკრძალუს სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილიც.

აღსანიშნავია, რომ ზუბალაშვილთა საგვარეულო ტრადიცია ყოფილი სასაფლაოს კეთილმოწყობაზე ზრუნვა, მიცვალებულთა ხსოვნისადმი განსაკუთრებული პატივისცემა, რაზედაც ნათლად მეტყველებს არა მარტო ძვირფასი მარმარილოსაგან დამზადებული მათი საფლავის ქვები, არამედ სასაფლაოსთან დაკავშირებით გაღებული უხვი შენირულობანი (ხოლოდური თანხები) (იხ. ქვემოთ).

მომდევნო ნებებში ზუბალაშვილთა სასაფლაოს შესახებ კონკრეტულ ინფორმაციებს ვერ მივაკვლიერ. ჩვენს ხელთაა მხოლოდანასტასია დავითის ასული ზუბალაშვილის მოგონება: „ხოლოლაკში, დღვევანდელი ჭიჭინაძის და გერგეთის ქუჩების მიდამოებში ზუბალაშვილებს ჰქონდათ საგვარეულო სასაფლაო და ეკლესია. ეკლესია პატარა იყო, დარბაზული ტიპისა. საფლავის ქვებზე გაკეთებული იყო ძვირფასი მარმარილოს ნიში... ბავშვობიდან მახსოვს, თუ როგორი მოწინდებით აღებდა მამაჩემი ხოლოლაკის ეკლესის კარებს და, სანამ შესაძლებელი იყო, პატრიონობდა თავისი ნინაპრებისაგან დატოვებულ ამ ძვირფას რელიკვიას, სინდინდეებს”.

როგორც ჩანს, 1920-იანი ნებების დასაწყისშიც ხოლოლაკში ვერ კიდევ არსებობდა ზუბალაშვილთა სასაფლაო ეპ-

ლესიოთურთ. საგვარეულო სამარხებისა და საყდრის ერთ-  
დერთი მზრუნველი (მფარველი) იყო ჭნი ანასტასიას მამა, და-  
კით ანტონის ძე ზუბალაშვილი (იმხანად ამ შტოს ერთ-ერთ-  
თი ცნობილი მამაკაცი საქართველოში). მაგრამ მაღე საბჭო-  
თა ხელისუფლებამ მთლიანად გააუქმა სოლოლაკში კათოლი-  
კეთა სასაფლაო, სამაგიეროდ, იმ ადგილზე ეომჯავშირის ხეო-  
ვანი გააკეთეს, ხოლო ძვირფასი საფლავის ქვები თუ სხვა ფა-  
სეულობანი დაიტაცეს, საყდარიც გაძარცვეს...

ალბათ, სწორედ ამ გზითაც უნდოდათ ახალი ხელისუფ-  
ლების მესვეურებს საბოლოოდ ნაემალათ ქართველი ერისკა-  
ცების, სახელოვანი მამულიშვილების სამაგალითო ცხოვრე-  
ბა-საქმიანობა და მათი უხვი ქველმოქმედება.

## ალექსანდრე იაკობის ძე ზუბალაშვილი

ალექსანდრე ზუბალაშვილი დაბადებული უნდა იყოს დაახლ. 1820-1826 წლებს შორის. მის შესახებ ჩვენში შემორჩენილია შედარებით მცირე მასალა, რაღვან იგი ძირითადად საზღვარგარეთ (იტალიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში) ცხოვრობდა და მემკვიდრეც არ ჰყოლია. იაკობისა და ანა ზუბალაშვილების ოჯახში აღზრდილ ალექსანდრეს კარგი განათლება მოიუღია, ამიტომაც ითვლებოდა საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და სიტყვიერების საუკეთესო მცოდნედ. თანამედროვეთა გადმოცემებით, ალექსანდრე ახალგაზრდობიდანვე ყოფილა დაინტერესებული ქართული კულტურული მემკვიდრეობით, გატაცებით აგროვებდა თურმე ძველ ქართულ ხელნაწერებს, წიგნებს, ფულის ერთეულებსა და სხვა ამგვარ ძვირფას – ჩვენი ისტორიისათვის ფასეულ ნივთებს. 1870-იანი წლების ბოლოს უმოგზაურია ქართლში. ნანახისა და, საერთოდ, შთაბეჭდილების შესახებ სტატიაც გამოუქვეყნებია გაზეთ „დროებაში“.

იმდროინდელი პრესის მასალებით ირკვევა, რომ ალ. ზუბალაშვილი ყოველთვის იდგა მონინავე ქართველი ინტელიგენციის გვერდით, უცხოეთში დამკვიდრებამდე აქტიურად მოღვაწეობდა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ამასთან დაკავშირებით მკითხველის ყურადღებას შევაჩირებთ ორიოდე ფაქტზე:

1) გაზეთ „თბილისის მოამბეში“ დაიბეჭდა ალექსანდრეს სტატია, სადაც გამოთქმულია საინტერესო წინადადებანი ქ. თბილისის წყლით მომარაგების თაობაზე. აღნიშნულ სტატიას მალე გამოხმაურა გაზეთი „დროება“: „სამწებაროდ, ამჟამად

სრულად ვერ ვბეჭდავთ უფ. ალ. ზუბალოვის მშვენიერ სტატიას, რომელიც ქალაქში წყლის გაყვანას შეეხება. მოკლედ გავაცნობთ მკითხველს ამის შინაარსს.

ალ. ზუბალოვი თავის სტატიაში საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ ქალაქის საჭიროება მოითხოვს, წყალი გაყვანილი იქნას შიგ ქალაქში და ქალაქის გარშემო ალაგებშიც, რომელიც არის უფყეო, უდაბნო, დამწვარი ალაგები... ზაფხულობით 4 თვის განმავლობაში იქ ცხოვრება გასაჭირია, მცხოვრებლების ჯანმრთელობა მოითხოვს, რომ ეს ადგილები მცენარეებით შეიმოსოს, ამნვანდეს და გაცხოველდეს. ამისათვის კი საჭიროა იქ წყლის გაყვანაო. მისი აზრით, ამოსანევი წყლის მაშინებით წყლის გაყვანა ქალაქისათვის ძვირიც იქნება და მოუხერხებელიცო. ასევე იგი წინააღმდეგია იმისიც, რომ ქალაქმა წყლის გაყვანის საქმე მიანდოს უცხო ვინმე პირს ან კამპანიას. წყალი ისეთ საჭიროებას ნარმოადგენს მცხოვრებთათვის, რომ უთუოდ ქალაქის საკუთრება უნდა იყოს; ქალაქმა წყალი თავისი ხარჯით უნდა გამოიყეანოს.

უფ. ალ. ზუბალოვის აზრით, წყალი უნდა გამოიყეანონ არაგვიდან მიღებით. ამით ქალაქიც სამუდამოდ დაკავშირდება წყლით და გარშემო ადგილების გაცოცხლებასაც მოვესნრებითო...

ძლიერ სასურველია, – დასხენს რედაქციის კორესპონდენტი, – რომ უფ. ალ. ზუბალოვის გონივრულ წინადადებებს ქალაქის ახლანდელმა გამგეობამ ვეროვანი ყურადღება მიაქციოს” (დროება, 1875, V, 21, №57, გვ. 1-2).

2) 1878 წლის ნოემბერში ქართველმა ინტელიგენციამ თბილისში სტუმრად მოინცია ოსმალეთის ქართველების ჯგუფი, რომლებიც ცხოვრობდნენ ახლადშემოერთებულ ქართულ ტერიტორიაზე და აქამდე ოსმალეთის გამგებლობაში შედიოდნენ. სტუმართა დეპუტაციაში 17 კაცი იყო (მათ შორის, შერიფებები ხიმშიაშვილი), მასპინძლებიდან – 90 (ცნობილი მოღვაწენი – თავადზნაურები, სამხედრო პირნი, მწერლები, პოეტები, გაზეთების რედაქტორები და სხვები: გრ. ორბელიანი, აკ. ნერეთელი, გ. ნერეთელი, პ. უმიკაშვილი, დ. ჯორჯაძე, ალ. ზუბალაშვილი, თავ. გ. სუმბათოვი, თავ. ი. ან-



დრონიკოვი, დიმ. ყიფიანი...). სადილის სუფრაზე პირველი სიტყვა ნარმოთქვა გრ. ორბელიანმა, მეორე კი – ალ. ზუბა მართველის ასახულმა (ვძექდავთ მცირე შემოკლებით. სტილი და პუნქტუაცია დაცულია – ჟ. ფ.).

„მოწყალენო ხელმნიფენო! რაც უნდა მძიმე ხვედრი შეხვდეს ხალხსა, საზოგადოებასა, თუ ბოლოს ყოველივე კარგათ გათავდება, დიახ, კაცმა მადლობა უნდა შესწიროს ღმერთსა!

„შემდგომ მრავალნლის ჩეუბისა, სისხლის ღვრისა და სიმძულვარისა ორთა ძმა ხალხთა შორის რუსეთის და ოსმალეთის საქართველოისა, მიუხდომელმა განგებამა ისე მიიყვანა საქმე, რომ დღეს ეს ორი ჩამომტერებული ხალხი ერთად შეყრილნი ვართ სუფრაზე და ვდღესასწაულობთ განხეთქილების მოსპობას ჩვენს შორის, ჩვენს ძმურათ შეყრასა „ძველებურათა, ჩვენებურათა“ იმ კაის გულითა, რომელსაც ჩვენ ჩვენში ვხედავთ, ისე თქვენშიც ვეგულებით.

„ძველათ დიახ მრავალგვარი სიმდიდრე და სიკეთე ჰქონია საქართველოსა, და ეხლა ერთიღა მაინც საუნჯე კიდევ გვაქვს უნაკლულოთ. ე. ი. კაი გული, რომელიც ყოველთვის აღიძვრის თავგანნირულობით ყოველ საზოგადო კეთილ საჭმეზედა ძმურის სიყვარულისათვის.

ამგვარ თვისებისა გამო ჩვენის გულისა უნდა მოგახსენოთ, რომ ეხლა, ნებით თუ უნებურათ ხომ ჩვენი ხართ, და, რა გავიცანით ერთმანეთი და როცა ერთმანეთს კიდევ უკეთ გავიცნობთ, მაშინ, უეჭველია, სულ ჩვენი იქნებით. ერთნი ვიქნებით და ერთად გავსწევთ ულელსა საზოგადო ნარმატები – სათვის!...“ (დროება, 1878, 23 ნოემბერი (XI, 23), № 239, გვ. 1-3).

3) ალ. ზუბალაშვილი დაინტერესებული ყოფილა ფოლკლორული მასალებითაც. მას თურმე სასიამოენო მოვალეობად მიაჩნდა გლეხკაცის მესიერებაში ზეპირი გზით შემონახული ხალხური შემოქმედების ჩანერა და გამოქვეყნება, რათა მთლიანად არ დაკარგულიყო თაობების წინათ შექმნილი ზღაპრები, ლექსები და მისთანები. ჩანს, რომ ალექსანდრე თავადაც კრებდა ასეთ მასალებს და უგზავნიდა უურნალ-გაზეთების რედაქციებს. მაგალითისათვის დავიმოწმებთ ერთ

შემთხვევას: ერთხელ ალექსანდრემ სოფ. მუხურაში (მორიაპ-ნის მაზრა), სადაც მამულები ჰქონდა, თავის მასპინძლებელი ენანყლიან გლეხს ივანეს ვახშმის შემდეგ სთხოვა, მოეყოლა ძველი ამბები, ბავშვობაში ნასწარები თუ გაგონილი. ივანემ ჯერ ბოდიში მოიხადა – აღარ მახსოვეო, მაგრამ სტუმრის დაუინებული თხოვნის გამო უარი ვეღარ თქვა და გაიხსენა ბევრი საინტერესო რამ: ზღაპრები, შაიორები, გამოცანები, ლექსები, ლოცვები... ალექსანდრემ მადლობა გადაუხადა მასპინძელს, ყველა ეს მასალა შეერიბა, „დროების“ რედაქციას გაუგზავნა და თან ასე შეუთვალა: „როგორც უნდა იყოს, მაინც პოეტური გრძნობა გავრცელებულია ჩვენს ხალხში და ამისთანა გლეხკაცები, როგორც ეს ჩემი ივანე, რომელთაც ბევრი ლექსები გაზეპირებული აქვსთ და იქნება თვითონაც გამოუთქამსთ რამე, სოფლებში მრავალნი იპოვებიან“ (დროება, 1880, XI, 12, №238).

ევროპაში დამკიდრების შემდეგაც ალექსანდრე ყოველთვის ყურადღებით ეცნობოდა საქართველოს ამბებს, ინტერესით კითხულობდა მის შესახებ ყველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდებოდა უცხოეთში მყოფს; იქაც აგროვებდა ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან დაკავშირებულ მასალებს. ამ კუთხით მისი საქმიანობის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოში სიძველეთა დაცვის მუზეუმის გახსნა, სადაც სხვა მასალებთან ერთად მოთავსდებოდა წლების მანძილზე ნაგროვები თავისი პირადი კოლექციაც. მისი აზრით, ამგვარი მუზეუმის დაარსების ინიციატორი უნდა გამხდარიყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია“ წერდა: „პატივცემულ ალექსანდრე ზუბალაშვილს განუზრახავს ფინანსური დახმარება ალმორუჩინოს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომ ამ საზოგადოებამ გაიკეთოს საკუთარი შენობა, სადაც მოწყობა მუზეუმი“...

ალექსანდრეს ცოლ-შვილი არ ჰყავდა, მაგრამ ყოველთვის ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან, ძმასთან, ძმისშვილებთან, ხანდახან საქართველოშიც ჩამოდიოდა. ნინაპრებისაგან გადმოცემული სიკეთის მადლი ალექსანდრე-



შიც უხვად იყო შთანერგილი, ამიტომ იგი ყველგან და ყორ  
ველთვის თავისი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობაზე ფიქ  
რობდა, შენირულობის სახით ხშირად ეხმარებოდა უურნალ-  
გაზეთების რედაქციებსა თუ სხვა საზოგადოებრივ ორგანი-  
ზაციებს, აგრეთვე, ქვეყნისათვის მოღვაწე ცალკეულ პიროვ-  
ნებებს, არ ავიწყდებოდა ღარიბი მოსახლეობაც.

ალ. ზუბალაშვილი თანამედროვეთა შორის ცნობილი  
იყო, როგორც ღირსეული ქართველი, მცოდნე მრავალ საქმე-  
თა, „საქართველოს სიძველეთა ნაშთთა მოყვარე და ქომაგი“  
(ზ. ჭიჭინაძე).

## კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი

კონსტანტინე ზუბალაშვილი დაიბადა 1828 (სხვა ცნობით: 1829) ნელს თბილისში, ცნობილი მრეწველისა და ქველმოქმედის იაკობ ზუბალაშვილის ოჯახში. იმ დროისათვის ზუბალაშვილები ითვლებოდნენ თბილისის ნარჩინებულ მოქალაქეებად. რუსეთის მთავრობამ კათოლიკე ზუბალაშვილებს ოფიციალურად მიანიჭა აზნაურის ნოდება, შესაბამისად, იაკობი და შემდგომ მისი შვილები მოხსენიებული არიან აზნაურიშვილებად. თუმცა, როგორც ცნობილი იყო, კონსტანტინეს ნინაპრები თუ მისი მომდევნო თაობა ნოდებრივ მდგომარეობას გულგრილად უყურებდნენ, რადგან ისინი – ჟეშმარიტი ქრისტიანები – ადამიანში აფასებდნენ ლირსებას, კაცურკაცობას.

კონსტანტინე აღიზარდა „ეკთილშობილებით აღსავსე“, შრომისმოყვარე და ღვთისმოსავი მშობლების ხელში. იგი ოჯახში ბავშვობიდანვე ეზიარა საუკეთესო ადამიანურ თვისებებს და შრომის პატივისცემას. თავისი დროისათვის საკმაოდ კარგად განათლებული იაკობი და მისი მეუღლე ანა თავიდანვე ზრუნავდნენ შვილების განათლებაზეც, რამეთუ მშვენივრად ესმოდათ ცოდნისა და გონიერების ფასი ნებისმიერი ადამიანისათვის.

კონსტანტინემ ქართული ნერა-კითხვა, საჭირო ლოცვები დედისაგან შეისწავლა ოჯახში; პირველდანყებითი განათლებისათვის იგი მიაპარეს თბილისის კათოლიკურ სამრევლო სკოლაში, სადაც კათოლიკეთა გვერდით სწავლობდნენ სხვა აღმსარებლობის ბავშვებიც, მათ შორის, ბევრი ნარჩინებული თავადის შვილიც. ამის შემდეგ კონსტანტინე სწავლას აგრძე-



ლებს თბილისის გიმნაზიაში (ყოფილ კეთილშობილთა სასწავლებელში). ამ დროს აქ მასნავლებლად იყო ცნობილი პიროვნეული განათლების მიმღება - კათოლიკე ალექსანდრე ჩიქოვანი - ნიკოლოზ ბართება - კარგი მეცნიერი. იგი იკონის ოჯახს ახლოს იცნობდა და დიდი გავლენა ჰქონდა მის შვილებზეც. თანამედროვეთა აზრით, კონსტანტინე რომ გახდა საუკეთესო ქართველი, საზოგადო საქმეების გულშემატკივარი, ამაში გარკვეული დამსახურება ამ კეთილშობილ მასნავლებელსაც მიუძღვდა.

როცა კონსტანტინე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მაშინ ქართველ თავად-აზნაურთა დიდი ნანილი დროს უქმადატარებდა სმა-ჭამაში, მათგან მხოლოდ „დალიეს“ ხმა ისმოდა, შრომა არაეს უნდოდა... ზუბალაშვილები კი ამ დროს პატიოსნად შრომობდნენ და ქვეყნის კეთილდღეობაზეც ზრუნავდნენ.

კონსტანტინემ კარგად შეისწავლა ქართული მწიგნობრობა და ისტორია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაშინ, როცა საქართველოში რუსეთის პოლიტიკის გამო ქართული ენა შევიწროებული და დამცირებული იყო, ზუბალაშვილების ოჯახში ქართული ენა და მწიგნობრობა უაღრესად პატივსაცემ და მოწინების საგნად მიაჩნდათ.

კონსტანტინე სასწავლებელში ყოფილა საუკეთესო მოსწავლე, თავმდაბალი, გულკეთილი. პატიოსნებით აღსასეუყმანვილი სანაქებო მეცნიერადაც ითვლებოდა თურმე. ჯერ კიდევ მონაფეობის პერიოდში, ალექსანდრე ჩიქოვანის წყალობით, კონსტანტინეზე დიდი გავლენა მოუხდენია ნ. ბართებაშვილის პოზისა - ეროვნული იდეებით გამსჭვალულ ლექსებს. სწორედ ამან განაპირობა კონსტანტინეს სამხედრო კარიერა და ამ საქმით დაინტერესება.

1844 წელს 16 წლის ყმანვილი „ქართულ მილიციაში“ ჩაირიცხა თავისუფალ მსახურად. ამ დროს რუსეთის მხედრობასა და ქართულ მილიციას ბრძოლა უხდებოდათ ჩრდილოეთ კავკასიაში. კონსტანტინეც მონაწილეობდა 1844-1856 წლების დალესტნის ბრძოლებში. მომდევნო წლებში სხვადასხვა ადგილას ბრძოლის ველზე სანაქებო სამსახურისათვის კონსტან-



ტინე დააჯილდოვეს ჯერ პორუჩიკის ჩინით, 1850 წელს კი – შტაბსკაპიტნის ხარისხით, მაგრამ 1856 წელს ავადმყრელი გამო თავი დაანება სამხედრო სამსახურს (სადაც ყოველთვის შესამჩნევი ყოფილა მისი ნიჭიერება, ალღო) და დაუბრუნდა საერო ცხოვრებას: დაინტერესდა კომერციით და, რაც მთავარია, მიეცა შესაძლებლობა უფრო დაახლოებოდა საქართველოს მონინავე ინტელიგენციას და თავადაც მიეღო აქტიური მონაწილეობა ეროვნულ საქმეებში.

1870-იან წლებში კონსტანტინე ხდება ნავთობის ცნობილი დიდმრენველი. მან 1864 წელს კასპიის ზღვის აუზში, კუნძულ ბიბი-ეიბათზე (სხვადასხვა ვერსიით: ბობი-ეიბათი / ბი-ლაიეთი / ბი-ბი-ბადი...), ბაქოს ახლოს, ინგლისელი მრენველის – როტმილდისაგან შეიძინა 10 დესეტინა მიწა, სადაც განთავსებული იყო ნავთობის საბადოები. მართალია, იმ დროისათვის (როტმილდის მფლობელობის დროს) ჭაბურღილებში ნავთობის მიწოდება შემცირებული ყოფილა, შემდეგ კი სულ შემნყდარა, რის გამოც პირველ წლებში კონსტანტინემ ამ საქმით დიდი ზარალიც ნახა, მაგრამ მაინც იმედიანად განაგრძობდა ნავთობის ძიებას... რამდენიმე ხნის შემდეგ მასზე კიდეც გადმოვიდა ლვთის წყალობა – ამოხეთქა ნავთობმა... ეს კი, გადმოცემების მიხედვით, უკავშირდება ერთ სასწაულმოქმედ ძალას, უცნაურ ფაქტს... ბაქოს კლიმატს ცუდად უმოქმედია კონსტანტინესა და მისი მეუღლის ელისაბედის ჯანმრთელობაზე, რევმატიზმით დაავადებულან. ისინი სამკურნალოდ წასულან საფრანგეთის ბასკეთში, პირინეის მთებში, მსოფლიოში სახელგანთქმული ლურდის ბალნეოლოგიურ კურორტზე. ამ დროს საქვეყნოდ იყო ცნობილი ლურდის ლვთისმშობლისა და იქაური წმიდა წყლის სასწაულმოქმედი ძალა.

ლურდის წყლით განკურნებულმა ცოლ-ქმარმაც ერთხელ კიდევ ირნმუნა ამ წყლის სასწაული (შედეგი) და შინ დაბრუნებისას საფრანგეთიდან თბილისში „ბილინებით“ ჩამოიტანეს წყალი, რომლის ერთი ნაწილი მაშინვე დაურიგეს ნათესავებსა და ნაცნობებს, მეორე ნაწილი კი, ქ-ნი ელისაბედის თხოვნით, ნაიღეს ბაქოში კუნძულზე. ეს „წმინდა“, „ნა-



კურთხი” წყალი ჯერ ირგვლივ მოასხეს თურმე საბადოს მთელ ადგილს, შემდეგ კი ცოტა-ცოტა ჩაასხეს უმოქმედული ფაბურლილებშიც. სწორედ იმ ღამეს მოხდა სასწაული, ყველა ფაბურლილიდან ამოხეთქა ნავთობმა, რომელიც მაღლე გახდა კონსტანტინე ზუბალაშვილისა და მისი მემკვიდრეების ზღაპრული სიმდიდრის წყარო, მთელს საქართველოში ზუბალაშვილების უამრავი საქველმოქმედო საქმიანობის საფუძველთა საფუძველი.

ერთი სიტყვით, ფაბურლილის ამოქმედების მიზეზი იყო სასწაული თუ ჩვეულებრივი ახსნადი ქიმიური პროცესი (ჭაბურლილებში დაგროვილი გაზი აფერხებდა ნავთობის ამოველას და ახლა ზემოდან სითხის ჩასხმით წარმოქმნილმა ქიმიურმა რეაქციამ ნავთობს გზა გაუსწა), ამ შემთხვევის შემდეგ ლურდის ღვთისმშობელი გახდა ზუბალაშვილთა თაყვანისცემის სიმბოლო.

ზუბალაშვილების ნავთობის საბადო მეტად მდიდარი გამოდგა, ფაბურლილების მატებასთან ერთად იზრდებოდა ნავთობის მოპოვების ტემპებიც. ბაქოში ზუბალაშვილებმა ააგეს შესანიშნავი შენობა (დღეს იქ საქართველოს საელჩოა განთავსებული – ქ.ფ.), სადაც მოაწყვეს იმ დროისათვის უნიკალური ლაბორატორიები, მუშაობდნენ გამოცდილი სპეციალისტები.

კონსტანტინემ ნავთობის შემოსავალი თანაბრად გაუნანილა შვილებს და სარენების მართვაც მათ გადასცა. მემკვიდრეებმა, თავის მხრივ, შნო და ენერგია გამოიჩინეს და დიდი ქონების პატრონნიც გახდნენ; მათ სხვადასხვა დროს სათავე დაუდეს უამრავ სასარგებლო საქმეს ქვეყანაში (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ).

ბაქოს ნავთობსარენებში ინჟინრებსაც და მუშებსაც პქონდათ საუკეთესო სამუშაო პირობები: უფასო კვება, უფასო აფთიაქი, უფასო სამედიცინო მომსახურება და იმავდროულად სხვებთან შედარებით მაღალი ხელფასი. ხანდაზმულ თანამშრომლებს სიცოცხლის მანძილზე უზრუნველყოფდნენ პენსიით, ხოლო მათი გარდაცვალების შემთხვევაში მეპატრონენი პატივით ასაფლავებდნენ, ოჯახს კი პენსიას უნიშნავ-



დღნენ. გარდა ამისა, ზუბალაშვილები მუშის შვილებს წორნილსაც უხდიდნენ და მზითევსაც ატანდნენ თურმე. მუშავიშოთავა სამსახურებიც აფასებდნენ ასეთ გულისხმიერ დამოკიდებულებას და ერთგულად ემსახურებოდნენ. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ბოლშევიკების მიერ მონცობილ 1905 წლის ბაქოს მუშათა საყოველთაო გაფიცვაში მათ არ მიიღეს მონაწილეობა: უსინდისობა იქნებოდა ჩვენი მხრიდან ასეთი მზრუნველი მეპატრონეების წინააღმდეგ გამოსვლაო.

კონსტანტინე ახლოს იცნობდა XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესევეურებს, 1860-იანი წლებიდან აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წლების მანძილზე თითქმის არ ყოფილა საერთო სახალხო საქმეში რაიმე მნიშვნელოვანი წამონება, კონსტანტინეს რომ არ მიეღო მონაწილეობა. მაგალითად, სიხარულით შეხვდა ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნას, მის ნევრად ჩაენერა და ფინანსურადაც ყოველთვის ეხმარებოდა ამ საზოგადოების გამგეობას.

ლირსსაცნობია, რომ კონსტანტინეს ოჯახი 1900-იანი წლებიდანაც გამოირჩეოდა ნ.კ.გ საზოგადოების მიმართ განეული უხვი ქველმოქმედებით. ძმები ზუბალაშვილები ამ საზოგადოების საპატიო ნევრები იყვნენ.

**შენიშვნა:** ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (ქ.შ.ნ.კ.გ.ს.) ანუ კულტურულ-საგანმანათლებლო ნებაყოფლობითი ორგანიზაცია დააარსეს მონინავე ქართველმა მოღვაწეებმა 1879 წელს თბილისში. ამ საზოგადოების გამგეობის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი (1879-1882 წწ.), შემდეგ – ი. მუხრანსკი (1882-1885 წწ.), ხოლო 1885-1907 წლებში საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე.

1921 წლიდან, როცა ხელისუფლება ჩაუდგა სათავეში ქვეყნის სახეოლო და, საერთოდ, კულტურულ საქმიანობას, ქ.შ.ნ.კ.გ.საზოგადოებამ ამონურა თავისი მისია, 1922 წლიდან მას უნიდეს „ნიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი საზოგადოება“, 1926 წელს კი – „მწიგნობარი“ (ნიგნების გამავ-

რცხულებელი კოოპერაციული ამხანაგობა). 1927 წელს საზოგადო გადღებამ არსებობა შეწყვიტა.

ჭეშმარიტად დიდია საქართველოს ისტორიაში ამ საზოგადოების ღვანილი. მეტად მრავალფეროვანი იყო საზოგადოების სამუშაო გეგმა და მოქმედების არეალი: საზოგადოება, პირველ ყოვლისა, ზრუნავდა სასკოლო განათლების სისტემის გაფართოება-განვითარებაზე; გახსნა სკოლები საქართველოს მრავალ კუთხეში და მის საზღვრებს გარეთაც (სადაც ქართველები კომპაქტურად ცხოვრობდნენ) და თავადვე ხელმძღვანელობდა მათს საქმიანობას; განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული სახელმძღვანელოების შექმნა-გამოცემას... გარდა ამისა, აგროვებდა ძეველ ქართულ ხელნაწერებს, კრებდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნომუშებს (ფოლეკლორულ მასალებს); საზოგადოების ინიციატივით დაარსდა ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონი, დაიდგა გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა რამდენიმე ძეგლი მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად და ა. შ.

მაღლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოებამ ცარიზმის სასტიკი რეენიმის პერიოდშიც იღვანა ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და, საერთოდ, კულტურულ ტრადიციათა არა მხოლოდ დასაცავად, არამედ განსავითარებლადაც (ქართ. საბჭოთა ენციკლოპედია).

ლირისსაცნობია ისიც, რომ საზოგადოება განსაკუთრებით ზრუნავდა უცხოეთში უმაღლესი განათლების მისაღებად ნასულ ქართველ ახალგაზრდებზე, მათთვის დაწესებული ჰქონდა რომელიმე ქართველი ქველმოქმედის სახელობის სტიპენდიები (მათივე შემონირული თანხებიდან).

ქ.შ.ნ.კ.გ.ს. საქმიანობდა ძირითადად ქართველი ვაჭარ-მრენველების, მწერლებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემონირულობით (იხ. ქვემოთ).

კონსტანტინეს ოჯახს დადებით მოვლენად მიაჩნდა, აგრეთვე, თბილისში თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანების დაარსება 1874 წელს. ამიტომ იყო, რომ მას კათოლიკე ზუბალაშვილები ყოველთვის უჭერდნენ მხარს ფინანსურადაც.

კონსტანტინეს ასევე არ მოუკლია თანაგრძნობა თბილისის თავად-აზნაურთა სკოლის „ლარიპ მონაფეთა შემწე თბი-



ლისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების "გამოცემობისათვის. იგი, როგორც გულუხვი მეცენატი, არჩეული იყო საზოგადოების საპატიო ნევრად. დიდად გაახარა უურნალ „ცისკრის“ გამოცემის იდეამ და ყოველნაირად უწყობდა ხელს ივ. კერძესლიძეს ამ დიდი საშეილიშვილო საქმის დაფუძნებანარმართვაში; ითვლებოდა „ივერიის“ ხელმომწერად და აქტიურ ქველმოქმედ მყითხველად; ქართულ ენაზე არსებული თითქმის ყველა უურნალ-გაზეთი ჰქონდა გამონერილი და ყველას ყურადღებით ეცნობოდა. დაინტერესებული იყო საქართველოს ისტორიითა და ქართული მწერლობის საკითხებით („ყველა ჩვენგანი მოვალეა ქართულ მწერლობას თვალყური ადევნოს“); გარდა ამისა, ფინანსურად ეხმარებოდა ლარიბი ოჯახების ნიჭირ, სწავლის მსურველ ყმანვილებს და ა. შ.

კონსტანტინეს რვა შეილი ჰყოლია: ხუთი ვაჟი და სამი ქალი. ერთი ვაჟი – ანდრია 6 წლის ასაკში გარდაცვლილა, დანარჩენები – ლევანი, სტეფანე, პეტრე, იაკობი სახელოვანი მამულიშვილები, უმაგალითო ქველმოქმედნი და ლირსეული ადამიანები იყვნენ.

კონსტანტინეს შეილების სიკეთესა და კაცურკაცურობას თანამედროვენი თვლიდნენ ჭეშმარიტად მაღალი ზნეობის მქონე მშობლების დამსახურებად.

კონსტანტინეს მეუღლე ელისაბედი (დაბ. 1834 წ.) ქუთაისელი კათოლიკე თავადის მიხეილ თუმანიშვილის ასული გახლდათ. „ელისაბედის მშობლებიც ცნობილი არიან ვითარცა ნამდვილ ჭეშმარიტ ქართველთა მეოჯახენი; ქრისტიანობის და ადამიანობის, კაცომოვარეობის სხივებით დაჯილდოებულინი“ (ზ. ჭიჭინაძე). ქუთაისის ნარჩინებული თავადის ოჯახში აღზრდილ ელისაბედს უხვად გამოჰყვა სათნოება და კეთილშობილება, ლარიბთა შენყალება და სიყვარული.

ელისაბედმა თავისი დროისათვის კარგი განათლება მიიღო, მშვენივრად იცოდა ქართული მნიგნობრობა, ბავშვობიდანვე შეისწავლა ხელსაქმე, ოჯახის მოვლა. ელისაბედი გამოდგა იაკობისა და ანას სანაქებო რძალი, საუკეთესო აღმზრდელი შეილებისა. „ამ მანდილოსნისაგან დამყარებულს ბურჯზედ აღმოსცენდა კონსტანტინეს მომავალი ცხოვრება,



მის ძეთა სამომავლო განკაცება... ელისაბედი სწორედ სათ-  
ნოების სარკეა მთელს საგვარეულოს წევრთა შორის; მარცხენა  
ჯვენა მხარეა, ბურჯი კონსტანტინესი, შორსმხედველი მწურ-  
თნავი ყველასი, ჭეშმარიტი მოძღვარ მანდილოსანი მთელის  
თავის შვილებისა... ერთი სიტყვით, ეს ქალი სამთელი იყო  
თავის შვილების და ოჯახისა” (ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ზუბა-  
ლაშვილების გვარისა, გვ. 170).

თანამედროვეთა მოგონებებით ირკვევა: ეს ქალბატონი  
ყველა კეთილ საქმეს ისე ნყნარად, ჩუმად აკეთებდა, რომ  
ამის შესახებ მისი ქმარ-შვილის გარდა სხვამ არავინ იცოდაო.  
დიდად ღვთისმოსავი პატივს სცემდა ეკლესიას, ყოველდღი-  
ურ ცხოვრებაში იცავდა საღმრთო წერილს. ელისაბედის – ამ  
საოცრად კეთილშობილი ქალბატონის ღვთისმოსაობაზე მეტ-  
ყველებდა მისი საფლავიც – ძეირფას მარმარილოს ქვაზე გა-  
მოქანდაკებული ყოფილა „ღვთისმშობლის ხატი მლოცველის  
სახით“. ქვემოთ კი მინერილი იყო: „ჰოი, მარიამ ქალწულო,  
უმანქოდ ჩასახებულო, გვიმეოხე ჩვენ ცოდვილთა შენდამი  
შემოხიზნულთა“ (ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციიდან).

კონსტანტინე და ელისაბედი, როგორც მორწმუნე კათო-  
ლიკენი, უხვად გასცემდნენ შესანირავებს ეკლესიებისათვის,  
ყოველნაირად ეხმარებოდნენ სამღვდელო პირებს ქვეყნისა  
და ხალხის სასიკეთო საქმეში. მაგალითად, სოფელ ხიზაბავ-  
რაში იქაური კათოლიკე მღვდლის, დიდი ქართველი მამუ-  
ლიშვილის – ივანე გვარამაძის უდიდესი ძალისხმევითა და  
კონსტანტინე და ელისაბედ ზუბალაშვილების ოჯახის მეცე-  
ნატობით გახდა შესაძლებელი აეშენებინათ ჯერ სოფლის  
სკოლა და შემდეგ – კათოლიკური საყდარი (შ. ლომსაძე, მეს-  
ხები, გვ. 142). მსგავსი შემთხვევა უამრავი იყო ამ ოჯახის ის-  
ტორიაში.

კონსტანტინე იყო თბილისის კათოლიკე მრევლის მამა-  
სახლისი; სათავეში ედგა ახალი – ნმ. პეტრე და პავლე მოცი-  
ქულთა ტაძრის მშენებლობას თბილისში. ამასთან დაკავშირე-  
ბით უურნალი „ცისკარი“ მეითხველებს მოუთხრობდა: ქარ-  
თველმა კათოლიკებმა დაინყეს კუკაზე ნმ. პეტრე-პავლეს  
ეკლესიის აშენება... ეს წმინდა საღმრთო და დიდებული ტაძა-

რი უნდა დასრულდეს მოკლე დროში. „ბევრმა შემძლე და გა-  
მოჩენილმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა ამ საღმრთო ხაფუნვები  
ზედ, მაგრამ ყველაზე მეტი შრომა მიუძღვის, ყოველთაგან  
პატივცემულის და ყოველთაგან მცნობის და საყვარელის, ია-  
კობ ზუბალოვის შეილს, კონსტანტინეს, რომელიცა მოუღა-  
ლავად ყოველ დღეზედ შენობას ადგია და სთესავს დაუჭერ-  
ბელ ღვანლსა“ („ცისკარი“, 1873, № 7-8, გვ. 69). როცა ეს  
დიდებული შენობა დამთავრდა, კონსტანტინეს უშუალო მო-  
ნაწილეობით შეეთდა აგრეთვე 1886 (სხვა ვერსიით: 1884)  
წელს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, გაფართოვდა იქვე  
არსებული კათოლიკური სამრევლო სკოლის შენობა.

ამ უკანასკნელ ფაქტთან დაკავშირებით, ზუბალაშვილ-  
თა ოჯახის უდიდესი წელილის ნათელსაყოფად, ერთი საგა-  
ზეთო სტატიიდან ნარმოვადგენთ მოკლე ამონარიდს: „1804  
წელს კაპუცინთა მისის ხელმძღვანელობით საძირკველი ჩაე-  
ყარა... ნმ. მარიამ ღვთისმშობლის ამაღლების (მაშინდელი სა-  
ხელდებით: მიძინების-უ-ფ) ტაძარს. 1808 წლისათვის მცირე  
ზომის, კოხტა და ნათელი ტაძარი საზეიმოდ ეკურთხა...“

XIX საუკუნის შუა წლებისათვის ტაძარი ველარ იტევდა  
მრევლს და ზუბალაშვილების მეცენატი ოჯახის მიერ ამაღ-  
ლების ეკლესია განახლეს, გაფართოვდა ნაგებობა. არქიტექ-  
ტურამ გოთური სტილის ელემენტები შეიძინა. ზუბალაშვი-  
ლების შემნერბით საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ იქნა შესა-  
ნიშნავი საეკლესიო ორლანი, იმ დროისათვის ერთადერთი  
მთელს კავკასიაში, და იტალიელ მხატვართა მიერ შესრულე-  
ბული ფერწერული ტილოები, მათ შორის იყო მურილიოს  
სკოლის ოსტატთა ნამუშევრებიც, „ღვთისმშობლის ამაღლე-  
ბის კომპოზუციაც...“ (ნ. ბარდაველიძე, მარიამის ამაღლების  
კათედრალური ეკლესია: „საბა“, 2004, აგვისტო, გვ. 6).

...მეუღლენი ყოველთვის იყვნენ ღარიბთა, შეუძლოთა  
მუდმივი ნაგებისმცემელნი, ხელმოკლე ოჯახების მფარველნი  
და სხვა წინდა საქმეთა მეოხნი და ხელისშემნყობნი, „არც  
ერთი დღი დღესასწაული დღეები არ იქნებოდა, რომ . . .  
თბილის ღარიბებისათვის დახმარება არ დაერიგებინათ გა-  
ნურჩევად სარწმუნოებისა და ეროვნებისა“ (ზ. ჭიჭინაძე).



...ამიტომაც მათ ქებით მოიხსენიებდნენ საქართველოს სხვა-  
დასხვა კუთხეში: თბილისში, ქუთაისში, გორში, ახალციხეში... თა-  
ნამედროვენი იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ზუბალაშვილებს მა-  
შინაც არ შეუწყვეტიათ სხვათა შემწეობა, როცა ერთხანს ფი-  
ნანსურად თვითონაც ძალიან უჭირდათ.

საგულისხმოა ერთი ფაქტიც: განათლებულმა ელისა-  
ბედმა კარგად იცოდა, რომ გარკვეული პოლიტიკური ვითა-  
რების გამო ბევრი ქრისტიანი გაამაჰმადიანეს. მათი რიცხვი  
დიდი იყო სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში. ამ ლეთისმოსავი ქალ-  
ბატონის უდიდეს სურვილს წარმოადგენდა გამაჰმადიანებუ-  
ლი ქართველების გაქრისტიანება. სწორედ ამ მიზნით დედამ  
შვილებს სთხოვა, ბათუმში აეგოთ კათოლიკური ეკლესია ერ-  
თორნმუნე კათოლიკეთა სულიერი და გონიერივი საზრდოს  
მისაწოდებლად (გონიერივ საზრდოში იგულისხმებოდა ეკლე-  
სიასთან სამრევლო სკოლის აშენება – უ. ფ.). შვილებმა მარ-  
თლაც აღასრულეს დედის ანდრეძი, მაგრამ თავად ელისაბე-  
დი ვერ მოესწრო ამ დიდებული ტაძრის კურთხევას. იგი გარ-  
დაიცვალა 1894 წელს, 60 წლის ასაკში.

კონსტანტინეს ნუნარსა და მშვიდ ოვახში მოსამსახუ-  
რებებსაც პატივისცემით ეპყრობოდნენ, მეტიც: ზუბალაშვი-  
ლები ყოველნაირად ეხმარებოდნენ როგორც თავიანთ მსახუ-  
რებს, ისე სხვა ღარიბ მოსახლეობას, რომ შვილებისათვის ეს-  
ნავლებინათ, რადგან, მათი აზრით, საქართველოს გადაარ-  
ჩენდა მხოლოდ განათლებული და საქმიანი ახალგაზრდობა.

კონსტანტინე მთელი სიცოცხლის მანძილზე დიდ ყუ-  
რადლებას აქცევდა და აფასებდა ქართულ ისტორიულ მნიერ-  
ლობას, ამავე დროს პატივს სცემდა და ფინანსურადაც უზ-  
რუნველყოფდა ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს. მისი  
სურვილი იყო საქართველოს ისტორიული ნარსულის საფუძ-  
ვლიანი შესწავლა. სწორედ კონსტანტინეს ოვახის ქველმოქ-  
მედებით შეძლო მიხეილ თამარაშვილმა ხანგრძლივი დროით  
ემუშავა ვატიკანისა და ევროპის სხვა დიდი ქალაქების ბიბ-  
ლიოთეებში, არქივებში და დაწერა საქართველოს ისტორი-  
ისათვის უძვირფასესი, მეტად მნიშვნელოვანი წიგნები. ისიც



ცნობილია, რომ მ. თამარაშვილის წიგნი „ისტორია კათოლიკური ეკლესია ქართველთა შორის“ კონსტანტინეს თხოვნითა და დაფინანსებული ნადგომით დაწერილა.

კონსტანტინე ყოველთვის იმედით შეჰყურებდა საქართველოს მომავალს: „მადლობა ღმერთს, რაյი ქართველობამ განვლო საშუალო საუკუნეები და ის შავი და ბნელი დღეები, რაკი ეს ერი და ქვეყანა არ მოისპო და არ გაქრა, დღეის შემდეგ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ქართველობა წინ წაადგავს ფეხს, ყველა საქმეთა ასპარეზზედ შენოსა და ენერგიას გამოიჩინს“.

კონსტანტინე ზუბალაშვილი გარდაიცვალა 1901 წლის 24 მარტს. ეს იყო ჭეშმარიტად დიდი დანაკლისი ქართველი საზოგადოებისათვის, ღარიბი მოსახლეობისათვის. დაკრძალეს 3 აპრილს, აღდგომის მეორე დღეს. მიცვალებულის მოსახლეობები წირვა ჩატარდა კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში. დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო, აქ თავი მოყეარა არა მარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს მაღალ საზოგადოებას. „მოსული იყვნენ ვაჭარმრენველნი, სხვა რანგის მოხელენი, მეცნიერები, მწერლები; ერთი სიტყვით, ჩინანი და უჩინონი“ (შ. ლომსაძე, მესხები, გვ. 142), რათა პატივი მიეგოთ ამ ღირსეული მამულიშვილისათვის. კონსტანტინე დაკრძალეს სოლოლაქში, საგვარეულო სასაფლაოზე, მეუღლის გვერდით (ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციით, კონსტანტინეს საფლავის ქვაზე დახატულია მაცხოვარი, რომელიც წარმოადგენს ჯვარის მტვირთველს. ძეგლი შესამჩნევი ხელოვნებით არის გამოქანდაკებული).

კ. ზუბალაშვილის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა, გაზეთებში დაიბეჭდა მრავალი წერილი, რომლებშიც აღნერილი იყო ამ დიდებული ადამიანის პიროვნული თვისებები და ერთს საკეთილდღეოდ განეული საქმიანობა. ამჯერად მკითხველს შევთავაზებთ გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი სტატიებიდან მცირე წაწყვეტებს: „მას (კონსტანტინეს - უ. ფ.) თბილისის საზოგადოება იცნობდა როგორც მზიდ, უწყინარ კაცს, მთელ მის ოჯახს, როგორც მშვიდობიანად მცხოვრებ სახლობას და არა ფუქსავატად მოლხინე და



უაზროდ მფლანგველებს... მისი მეუღლე იყო სათნოებით შემჯული მანდილოსანი. მათი მოწყალე გული არავისთვის პრივატული იყო ცხადი, მდუმარე იყო და არა მყვირალი; მარჯვენა ხელის მოწყალება არ იცოდა მარცხენა ხელმა.

კონსტანტინეს ეკლესია და განათლება ხალხისა ორ დიდ საგნად მიაჩნდა და ემსახურებოდა. ეს მაგალითი შვილებსაც გადაეცათ, ამის დამატებიცებელი ახალი შემონირულობაა, რომელიც ამ დღეებში გადასცეს ქალაქის გამგეობას ღირსეულ მშობელთა მოსახსენებლად..."

დაკრძალვაზე სიტყვა ნარმოთქვა ცნობილმა მოღვაწემ, კათოლიკე პავლე თუმანიშვილმა. მოკლედ დაახასიათა განსვენებულის (ცხოვრება და ბოლოს დასძინა: „შეგეძლო გეცხოვრა განცხოომაში, უშროომელადა, მოსვენებული, მაგრამ შრომის სიყვარულმა არ მოგცა შენ მოსვენება (ხაზი ჩვენია – უ. ფ.)... შენი შვილები არ დაგივიწყებენ და თავიანთ კეთილობით ემსახურებიან შენს უკვდავ სულსა, ემსახურებიან ამ სოფლად შენს სახელსა და აგიგებენ კეთილ ხსენების ძეგლსა, რომ იყო ნეტარ სახსენებლად შენს სამშობლოში, ქართველ ხალხის განათლებითა... სასუფეველი დაემკვიდროს სულსა შენსა ზეცაში და ნეტარ ხსენების სახელი მრავალთა საუკუნეთა განმავლობაში დარჩეს შენს სამშობლოში, რომელსაც ეკუთხი შენ შენის დაბადებითა, სიცოცხლითა, საფლავითა" (ივერია, 1901, 5 აპრ., №73, გვ. 2).

„ივერიაში“ დაიბეჭდა აგრეთვე ვრცელი ნერილი ბათუ-მიდან იქაური კათოლიკეების სახელით. ისინი მადლობით მოისხიერდნენ განსვენებულ მეუღლებს მათთვის განეული სიკეთისა და მხარდაჭერისათვის.

და ბოლოს, კ. ზუბალაშვილმა თავისი გარდაცვალების დღეებშიც „გაიღო“ უდიდესი მოწყალება: შვილებმა მშობლების სულის მოსახსენებლად გასცეს უხვი შენირულობანი: 1) 170 ათასი მანეთი სახალხო თეატრის ასაგებად; 2) 6 ათასი მანეთი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მონაფეთა გამგე კომიტეტს – მამის სახელობაზე ერთი სტიპენდიის დასაარსებლად; 3) 2 ათასი – 1901 წლის აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით თბილისის გაზეთების რედაქ-



ციებს ღარიბებისათვის დასარიგებლად; 4) 2, 500 მანეთი შორმის მოყვარეთა საზოგადოებას; 5) 3 ათასი – თბილისის პეტრე-პავლეს კათოლიკურ ეკლესიას; 6) 3 ათასი – გორის კათოლიკურ ეკლესიას; 7) 3 ათასი – ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიას; 8) 2 ათასი – თბილისის კათოლიკეთა სოლოლაკის სასაფლაოს გაღავნის გასაკეთებლად; 9) 2 ათასი – თბილისის კათოლიკეთა ფერისცვალების ეკლესიის მახლობლად „სავარდის“ ძმობის სკოლისათვის; 10) ათას-ათასი მანეთი გორის ანასტასიას სახელობაზედ არსებული სასწავლებლისათვის და გორისავე საქალაქო სკოლისთვის იმ პირობით, რომ შენირული ფულის სარგებლით იზრდებოდნენ ხსენებულ სასწავლებელში ღარიბი მოსწავლენი; 11) ხუთას-ხუთასი მანეთი „შრომის მოყვარეობის“ სახლისათვის, ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებისათვის, მცირენლოვან დამნაშავეთა ახალშენისათვის, ბრძების სკოლისათვის და ციმბირში გაგზავნილთა შვილების თავშესაფრისათვის; 12) 75 ათასი – ახლობელ ნათესავთა და მოსამსახურეთა სასარგებლოდ და უამრავი სხვა, რაც არაა გაცხადებული.

კონსტანტინე სიცოცხლეშივე იყო აღიარებული, როგორც სახელოვანი მრენველ-კომერსანტი, რომლის ცხოვრება-საქმიანობა მისაბად მაგალითად უნდა ქცეულიყო თაობებისათვის. თანამედროვეთა შეფასებით, იგი გახლდათ „კაცი მტკიცე ხასიათისა, გამჭრიახი და შრომისმოყვარე, მოსიყვარულე თავისი ერისა; ჩაება ცხოვრების ახალ ბრძოლაში და გაიტანა კიდეც ლელო“ (საქ. კალენდ., 1903, გვ. 460).

„კონსტანტინე ზუბალაშვილმა თავისი სიცოცხლე დაუცხრომელ შრომიაში გაატარა და მით უნათლესად აღბეჭდა თავისი კვალი ნავალ გზაზე, თუმცა, უნდა ითქვას, რომ კონსტანტინეს კეთილი მიზნების სისრულეში მოყვანა მის შვილებს ეჯუთვნით... ესენი თავიანთი კეთილი საქმეებით აბრნეინებენ მამის ღირსებას და მოგონებას“ (ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ზუბალაშვილების გვარისა, გვ. 183).

## ლევან ქონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი

ლევან ზუბალაშვილი დაიბადა 1851 (სხვა ვერსიით: 1852) წელს თბილისში. იზრდებოდა ქუთაისში პაპის - თავ. მიხეილ თუმანიშვილის ოჯახში. აქეე მიიღო პირველდაწყებითი განათლება, 1866-1870 წლებში სწავლობდა ოდესის აკადემიურ კრერის კლასიკურ გიმნაზიაში. უმაღლესი სასწავლებელი დამთავრა მოსკოვში.

ლევანს ახალგაზრდობიდანვე უყვარდა მოგზაურობა, დადიოდა ევროპის სხვადასხვა ქალაქში, განსაკუთრებით ხშირად იყო მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში. ბოლოს ძირითად საცხოვრებლად აირჩია მოსკოვი.

ცნობილია, რომ 1870-იანი წლებიდან კონსტანტინე ზუბალაშვილის ნავთობის მრეწველობა ბაქოში თანდათან ძლიერდებოდა და ფართომასშტაბიანი ხდებოდა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელს რუსეთშიც. ამ დროისათვის ზუბალაშვილები მოსკოვში უკვე ცნობილი იყვნენ, როგორც მსხვილი ნავთობმრეწველები, რომლებსაც თავიანთი კომერციული საქმიანობით მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ რუსეთის სამრეწველო-სავაჭრო კომპანიებში. ბაქოს სათავო ნარმოებას თავისი კანტორა ჰქონდა მოსკოვშიც. მას ხელმძღვანელობდა ლევან კონსტანტინეს ძე (როგორც ზუბალაშვილთა ქონების ერთ-ერთი მეპატრონე - მემკვიდრე). ლევანი ამავე დროს იყო მოსკოვში სადაზღვევო საზოგადოების - „Якорь“-ის დირექტორი. ამ საქმიანობამ იგი მაღე დააკავშირა მოსკოვის ცნობილ მრეწველ-კომერსანტებს და საბოლოოდ აქცია მოსკოვის ერთ-ერთ ნარჩინებულ მოქალაქედ, უმდიდრეს მრეწველად, სახელგანთქმულ კოლექციონერად და გამორჩე-



ულ ქველმოქმედად. ლევანი გახლდათ მოსკოვის საპატიო მონისტობისა და ქალაქები.

1881 წელს ლევან ზუბალაშვილმა ცოლად შეირთო იულია ლევანის ასული კატუარი (ფრანგული ნარმოშობისა) – მოსკოვის ცნობილი მრეწველის ქალიშვილი (იულიას მამა და ძმები მოსკოვში ფლობდნენ სავაჭრო სახლს „Katyap и синовья“). ლევანსა და იულიას შეეძინათ ორი შვილი: ალექსანდრე და მარია ელიზავეტა (ალექსანდრე მალე გარდაიცვალა, ქალიშვილის ბედი კი საბოლოოდ უცნობი დარჩა ნათესავებისათვის საქართველოში). მოგვიანებით, იულიას გარდაცვალების შემდეგ, ლევანი მეორედ დაქორწინდა ოლგა ივანეს ასულ ტრაპეზნიკოვაზე (რომლის მამა იყო შალის მრეწველობის კომერციის მრჩეველი, მდიდარი და საქმიანი პიროვნება), მაგრამ მათი ქორწინება დიდხანს არ გაგრძელებულა. 6 წლის შემდეგ, 1914 წლის 6 დეკემბერს გარდაიცვალა ლევან ზუბალაშვილი. დაკრძალეს მოსკოვში, სკორბიაშენსკის მონასტერში, ნოვოსლობოდსკიოს ქუჩაზე (სამწუხაროდ, დღეისათვის ლევანის საფლავის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს, რადგან საბჭოთა ხელისუფლებამ იმ ადგილზე პარკი გააკეთა და საფლავებიც განადგურდა).

ლ. კ. ზუბალაშვილის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისი იყო ქართველი ხალხისათვის, ინტელიგენციისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. იმ დღეებში უამრავი სამგლოვიარო განცხადება გამოიქვეყნდა ქართულ პრესსაშიც. ერთხელ კიდევ აღინიშნა მადლიერებით სახელოვანი მამულიშვილის მოღვაწეობისა თუ გულუხვი ქველმოქმედების შესახებ. პანაშვიდები გაიმართა სახალხო სახლში, ქალაქის ბავშვთა საავადმყოფოში, ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში და ა. შ. ამასთან დაკავშირებით ნარმოვადგენთ მაშინდელი პრესის მასალებიდან მოკლე ამონარიდებს:

1. „ქალაქის საბჭომ... გამგეობის ნინადადებით დაადგინა: 1) სამძიმარი გამოცხადოს ოჯახის წევრებს...“ 2) ეთხოვოს მოსკოვის ქალაქის მოურავს ჩელნიკოვს დამარცხის დღეს იკისროს ნარმომადგენლობა ტფილისის ქალაქის თვითმმარ-



თველობისა და განსვენებულის კუბო შეამკოს ვერცხლის გვირგვინით შემდეგი წარწერით: „ტფილისის საპატიო მოქადაგითავა ლაქეს და უხვ ქველმოქმედს ლევან კონსტანტინეს ძე ზუბა-ლაშვილს ქალაქ ტფილისისაგან“... 4) პანაშვიდები გადახდილიქნას სახალხო სახლში, ბავშვთა საავადმყოფოში... 6) 9 დეკემბერს სახალხო სახლი დაკეტილი იქნას ნიშნად გლოვისა; 7) კავკასიის მომავალ საპოლიტეხნიკუმი ინსტიტუტში დაარსდეს 600 მანეთიანი სტიპენდია ლევან კონსტანტინეს ძის სახელზე; 8) განსვენებულის სურათი დაიკიდოს სახალხო სახლში...“ (სახ. ფურც., 1914, 10 დეკ.).

2. ქ.მ.ნ.კ.გ. საზოგადოებამ საგანგებო კრებაზე დაადგინა: ... 3) გვირგვინის ნაცვლად წიგნები შეენიროს სახალხო ბიბლიოთეკებს; 4) დაარსოს ტფილისის გუბერნიაში განსვენებულის სახელზე ერთი ბიბლიოთეკა და ერთი სკოლა; 5) დაპკიდოს განსვენებულის სურათები ნ.კ.გ. საზოგადოების კანცელარიაში და საზოგადოების ეროვნულ მუზეუმში“ (სახ. ფურც., 1914, 11 დეკ.).

3. „გუშინ, 10 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის თაოსნობით ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადახდილი იქნა პანაშვიდი განსვ. ლ. კ. ზუბალაშვილის, ტფილისის საპატიო მოქალაქის სულის მოსახლენებლად... პანაშვიდი შეასრულა ქართველმა მღვდელმა ქართულ ენაზე, ქართულად გალობდა ქართული ხორო ფისგარმონიაზე. მაგიდის შევი წაავი წასაფარებელი ქართული ოქროს ასოებით იყო წანერილი“... (სახ. ფურც., 1914, 11 დეკ.).

4. „... უზომოა ჩევენი მწუხარება, აუნაზღაურებელია დანაჯილისი გამოჩენილ ქართველ ქველმოქმედისა, მეცენატის და კულტურულ საქმეთა დარაჯად მდგარ ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის გარდაცვალების გამო“. ქართველი სტუდენტების დეპეშა ოდესიდან (სახ. ფურც., 1914, 21 დეკ.). (წარმოდგენილი საგაზიეთო ინფორმაციები ვრცლად იხ. ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში).

ლევანისა და ოლგას ჟყავდათ ერთი შეილი – ლევან ლევანის ძე. ოლგა პირველ ხანებში, ანდერძის თანახმად, აგრძელებდა მეუღლის საქველმოქმედო საქმეებს, მაგრამ ოქტომბებდა



ბრის რევოლუციის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ ზუბალძე-  
ვილებს მთელი ქონება ჩამოართვა და „ხალხის საკუთრებულებების  
გამოაცხადა. სამწუხაროდ, ოლგაც მაღლე (1918 ნ.) გარდაიც-  
ვალა და იმხანად შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების  
გამო თბილისელმა ნათესავებმა ველარაფერი გაიგეს ლევან  
კონსტანტინეს ძის მემკვიდრეების შემდგომი ცხოვრების შე-  
სახებ. სავარაუდოა, რომ მათ, როგორც ემიგრანტებმა, 1919  
წელს უცხოეთს შეაფარეს თავი.

ლევან ზუბალაშვილი იყო განათლებული პიროვნება,  
ჭკვიანი მრეწველი, მეტად საქმიანი. ბაქოს ნავთობის სარენე-  
ბიდან მემკვიდრეობითი ნილითა და საკუთარი კომერციით  
იგი გახდა დიდი კაპიტალის მფლობელი, მილიონერი კომერ-  
სანტი. ყოველივე ამის წყალობით ჰქონდა შესაძლებლობა ეც-  
ხოვრა სასახლეებში, დამტებარიყო ხელოვნების ნიმუშებით  
და, რაც მთავარია, გამხდარიყო დიდი ქველმოქმედი არა მარ-  
ტო საქართველოში, არამედ მოსკოვშიც, რესეთშიც.

ლევანს მოსკოვში, კრემლის ახლოს, ჰქონდა დიდებული  
სასახლე შესანიშნავი ბაღით. ორსართულიანი შენობა ააგო  
ცნობილმა არქიტექტორმა ვიშნევსკიმ, ინტერიერზე ზრუნავ-  
და თვით შეხტელი. ლევანმა თავისი უძირფასესი კოლექცია  
მოათავსა ამ სახლის ვრცელ დარბაზებში, ანუ, თანამედრო-  
ვეთა შეფასებით, „ალიბაბას ზღაპრულ გამოქვაბულში“. სახ-  
ლის იატაკი დაფარული იყო ძველი აღმოსავლური ნოხებითა  
და ფარდაგებით, კედლები კი – გობელენებით, რომელთა  
შორის ეკიდა XVIII საუკუნის იშვიათი ნივთები. დარბაზებში  
იდგა გადასადგმელი პატარა ფრანგული სავარძლები (სადაც  
შეიძლებოდა ადამიანი ნახევრად მიწოლილი მჯდარიყო).

გარდა ამისა, ლევანმა მოსკოვის ახლოს, სოფელ უსო-  
ვოში, სააგარაკოდ შეისყიდა საქმიან მოზრდილი ტერიტო-  
რია, რომელსაც შემოავლო დიდი გალავანი უზარმაზარი ალა-  
ყაფის კარებით. იქ ააშენა ორი ერთნაირი სახლი (სასახლე):  
ერთში თვითონ ცხოვრობდა, მეორე კი განკუთვნილი იყო  
სტუმრებისათვის.

XVIII საუკუნის ფრანგული სასახლეების სტილით ნაგები  
სააგარაკო სახლების კედლებიც დაფარული იყო ფრანგული



გობელენებითა და ცნობილი მხატვრების სურათებით. სახლების წინ იდგა მარმარილოს ქანდაკებები (იტალიური ოსტატიკითა ტების ნამუშევრები), რომელთაგან ლევანს განსაკუთრებით მოსწონდა თურმე ერთ-ერთი სახლის აივანზე მდგარი ძალის მოზრდილი სტატუეტი.

აგარაქს იმთავითვე ენოდებოდა „ზუბალოვო“. მას ამ-შევენებდა დიდი პარკი, ლამაზი ბაღი. იქვე იყო ორანჟერეა, სათბურები, სათამაშო მოედნები, ცხენების თავლა (მრავლად ჰყოლია სხვადასხვა ჯიშის ცხენი); ჰქონია ეტლების, კარეტე-ბის, კაბრიოლეტების ეკიპაჟების კოლექციაც, ცალ-ცალკე მოთავსებული სპეციალურ ფარდულებში (ეს იყო თურმე ლე-განის განსაკუთრებული გატაცება).

სამწუხაროდ, ლევანის გარდაცვალების შემდეგ სხვაგ-ვარად ნარიმართა მოსკოვის სასახლისა და „ზუბალოვოს“ ბეჭდი. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა მეპატრონეს მოსკოვის სახლი (მოახდინა „ბურუუის“ კონფისკაცია), ხოლო „ზუბალოვოში“ | მსოფლიო ომის დროს ერთ სახლში განთავ-სებული იყო ჰოსპიტალი 1918 წლამდე. 1919 წლიდან აგარაქს გამოუჩნდნენ ახალი მფლობელები: ერთი სახლი დაიკავა სტა-ლინის ოჯახმა, მეორე კი – მიქოიანისამ (სხვა ცნობით, მიქო-იანი და ვოროშილოვი ერთად ფლობდნენ სასახლესო).

სტალინის ქალიშვილის სვეტლანა ალილუევას მოგონე-ბის მიხედვით, სტალინის ოჯახი ამ აგარაქზე ცხოვრობდა 1952 წლამდე (თუმცა სტალინის მოთხოვნით შენობიდან თა-ვიდანვე გაუტანიათ იქ არსებული მთელი სიმდიდრე), შემდეგ კი ზუბალაშვილების სასახლეები ქცეულა ძველი ბოლშევიკ-ბის საცხოვრებელ ბინად. თვითმხილველთა ინფორმაციით, სწრაფად იცვლებოდა მთელი „ზუბალოვო“: შენობები გადა-ლებეს, გადაჭრეს ხეები, დიდებულმა ეზო-გარემომ დაკარგა თავისი თავდაპირველი იერსახე, დაიტაცეს სასახლეების დგამ-ავევზი, გაიფანტა სამზარეულოს მონიკობილობა, აღარ შემორჩა ძველი ხის საათი, ძვირფასი ჭალი, ხატები, ფაიფუ-რის ნივთები და სხვა ძვირფასეულობა, რომლებიც ნარმოად-გენდნენ ხელოვნების ნიმუშებს.



1941 წლისთვის თავდაპირველი „ზუბალოვი“ უკვე აღმარა არსებობდა; განადგურებულ და იერშეცვლილ ადგილზე მცხოვრილი ველი ველარ ამოიცნობდა მშვენიერ სასახლეებსა და მის შემოგარენს. მოვაინებით ერთხანს ერთ-ერთ სახლში, წარნერის მიხედვით, განთავსებული ყოფილა „ელექტრომექანიკური ინსტიტუტის სამეცნიერო-სამრენველო სანარმოს სამმართველო“ (ვალ. უთურგაური).

ცნობილია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ვაჭრებისა და მრენველებისათვის სოციალური სტატუსის დასამტკიცებლად აუცილებელ პირობად ითვლებოდა კოლექციონერობა და მეცნიატობაც, რაც იმხანად ზოგს ბუნებრივად ახასიათებდა – მისი სულიერი მოთხოვნილება იყო, ზოგიც ამას აკეთებდა აუცილებლობის გამო.

თავისი დროისათვის დიდად განათლებულ ლევანს ახალგაზრდობიდანვე უყვარდა მხატვრობა და ხელოვნების ნიმუშებს აგროვებდა არა სხვათა მიბაძვით, სხვათა საჩვენებლად, არამედ დიდი გატაცებითა და სიმოვნებით.

და აი, 1880-იანი წლებიდან ლევან ზუბალაშვილი რუსეთის ვაჭარ-შემგროვებელთა რიგებში შევიდა წმინდა კომერციული საქმიანობის გარდა თავისი უმდიდრესი კოლექციით, რომელიც, თანამედროვეთა შეფასებით, 1900-იანი წლების დამდეგისათვის მეტოქეობას უნდა მოროზოვების, შეუკინებისა და სხვათა სახელგანთქმულ კოლექციებს. ხელოვნების ამ უნიკალურმა ნიმუშებმა მოუპოვა ლევანს კიდევ უფრო მეტი სახელი და ავტორიტეტი მოსკოვის მაღალ საზოგადოებაში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლევანი ყოფილა არა უბრალო კოლექციონერ-შემგროვებელი, არამედ ხელოვნების მრავალფეროვანი დარგების კარგი მცოდნე და შესაბამისი ნიმუშების საუკეთესო შემფასებელიც. ამიტომაც მის კოლექციაში ინახებოდა, სპეციალისტთა აზრით, პირველხარისხოვანი ღირებულების შედევრები: ფერწერული ტილოები, ხატები, ფაიფურის ნივთები (ჭურჭელი), რომლებიც ამშვენებდნენ მეპატრონის დიდებულ სასახლეებს.

ლევანი თითქმის 30 წლის განმავლობაში სისტემატურად აგროვებდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ცნობილი



მხატვრების ნამუშევრებს, რომელთა შორის იყო ფრანგი უანდლორენ მონეს ერთ-ერთი საოცარი შედევრი, რომელიც დაც გამოსახულია ეკატერინა მერავიოვა და მისი შვილი ნიკიტა.

არანაკლებ მრავალფეროვანი და საინტერესო იყო ლევანის ხატების კოლექციაც. მისი ძირითადი ნაწილი განეკუთვნებოდა XV-XVI-XVII საუკუნეებს. უმრავლესობა ჩამოტანილი ჰქონია კვიპროსიდან. მთელს მოსკოვში იმდენად ცნობილი იყო ლევანის გატაცება ხატების შეგროვებით, რომ ვაჭრები და ხატების შემგროვებლები ოჯახში მიდიოდნენ ზუბალაშვილთან და მიჰქონდათ ახალ-ახალი ნიმუშები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ნივთები.

ლევანს ჰქონდა, აგრეთვე, ფაიფურის ნაწარმის კოლექციაც: უიშვიათესი ფინჯანები (ბერძენი ფილოსოფოსების პორტრეტებით მოხატული), სტატუეტები და ვაზები, გერმანული ფაიფურის ფიგურების უნიკალური კოლექცია, ფანტასტიკური დრაჟონებით მოხატული ჩინური სტილის სერვისები (მეოსონის ცნობილ ფაბრიკაში სპეციალური შეკვეთით შესრულებული).

რუსული წყაროების მიხედვით ჩანს, რომ ლევანმა თავისი განძეულობა უანდერძა მოსკოვის რუმიანცევის მუზეუმს, ოღონდ მთელი ეს ძვირფასეულობა უნდა მოეთავსებინათ ერთ ჭერქვეშ, მუზეუმის გვერდით მდებარე შენობაში. ამ სახლის შესაძენად ლევანს თავად გაულია ნახევარი მილიონი მანეთი, მაგრამ პირველი მსოფლიო ომისა და შემდგომ ოქტომბრის რევლუციის გამო ვერ მოხერხდა ამ შენობის ქცევა მუზეუმის ნანილად. ამიტომ საბოლოოდ, როცა, ანდერძის თანახმად, ლევანის მეუღლემ 1917 წელს ოჯახის მთელი კოლექციები გადასცა მოსკოვის რუმიანცევის მუზეუმს, აქედან ეს განძეულობა ასე გადანანილდა: ხატები მოთავსდა მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, იარაღის პალატაში (აქვეა კარეტების კოლექციაც), მოსკოვის კრემლის მუზეუმშა და ვასილ ნეტარის ტაძარში; ფაიფურის კოლექციამ ბინადაიდო კუსკოვოს მუზეუმში (სხვა ვერსიით, ლ. ზუბალაშვი-

ლის კუთვნილი ფაიფურის ამ უბრნყინვალესი ნიმუშების ბაზაზე შეიქმნა კუსკოვოს მუზეუმი), ხოლო ცნობილ შემატებით თა ნამუშევრებმა შეავსეს პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

ლევან ზუბალაშვილი, თავისი მამისა და ძმების მსგავსად, აღიარებული იყო როგორც უდიდესი ქველმოქმედი არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც, განსაკუთრებით – მოსკოვში. მართალია, ლევანი ფიზიკურად არ ცხოვრობდა სამშობლოში, მაგრამ იგი ყოველთვის მონაწილეობდა ძმები ზუბალაშვილების სახელით გაღებულ შენირულობებში, მეტიც: ძმების საქველმოქმედო საქმეების განცხადებაში ლევანი ყოველთვის პირველი სახელდებოდა, როგორც ოჯახის უფროსი შეიღი. გარდა ამისა, ქართველი მონინავე ინტელიგენციისათვის ლევანი გახლდათ ქართული მწიგნობრობის კარგი მცოდნე, საქართველოს საზოგადო საქმეების დიდი პასუხისმგებელი, საოცრად კეთილშობილი პიროვნება... ამიტომაც იყო, რომ თანამედროვენი მას ყოველთვის პატივისცემითა და მადლიერებით მოიხსენიებდნენ: „ლევან კონსტანტინეს ძე ძლიერ კაი ქართველია. ყოველს ჩვენს სიკეთეს დიდათ აფასებს. მთელი თავისი შეძლება საქართველოს საკუთრებად მიაჩინია. თვითონაც ასე ამბობს“ (ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედა-ძე). სამწუხაროდ, სამშობლოს გარეთ მცხოვრებმა ზუბალაშვილებმა პოლიტიკური ვითარების გამო ვერ მოახერხეს თავიანთი მატერიალური მემკვიდრეობა მთლიანად გადმოეცათ საქართველოსათვის, მიუხედავად მათი უდიდესი სურვილისა.

ლევან კონსტანტინეს ძე სისხლით, ხორცით და სულით ნამდელი ქართველი კათოლიკე ზუბალაშვილი გახლდათ. მათი გრისა და მამა-პაპათა ტრადიციების მიხედვით, სიკეთე, ქველმოქმედება არ განასხვავებს ეროვნებასა და სოციალურ მდგომარეობას. სახარებისეული შექით გაბრნყინებულნი ცხოვრობდნენ ლევან კანონებით: „როცა სიკეთეს აკეთებ, ნუ გახმაურებ. დაუ, მარცხენა ხელმა შენმა არ იცოდეს, რას აკეთებს მარჯვენა, რომ სიკეთე შენი საიდუმლოდ დარჩეს“.

ლევან ზუბალაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის ერთ-ერთ საინტერესო ეპიზოდად უნდა ჩაითვალოს რუსეთში



მცხოვრებ ქართველ ინტელიგენციასა და სტუდენტებთან მი-  
სი ახლო ურთიერთობა და ამ მიმართულებით განეულია გულიაშვილთან  
ლუხვი ქველმოქმედება.

ცნობილია, რომ XX საუკუნის დასაწყისში მოსკოვში თან-  
დათან იზრდებოდა ქართველი ინტელიგენციის რიცხვი (ბევრი  
უმაღლესდამთავრებული სახელოვნად საქმიანობდა მეცნიერე-  
ბის, კულტურისა თუ მედიცინის სფეროში). გარდა ამისა, იქა-  
ურ უმაღლეს სასწავლებლებში საკმაოდ დიდი იყო ქართველ  
სტუდენტთა რაოდენობაც. ეროვნული ინტერესებიდან გამომ-  
დინარე, მოწინავე ინტელიგენციამ მიზანშენონილად ჩათვალა,  
რომ მოსკოვში არსებული ქართველთა ცალკეული ჯგუფები,  
ორგანიზაციები გაერთიანებულიყო ერთ საზოგადოებად. ამ  
იდეის ძირითადი ავტორი გახლდათ ალექსანდრე სუმბათაშ-  
ვილ-იუჟინი. მისივე წინადაღებით, გადაწყვდა „მოსკოვის ქარ-  
თველთა საზოგადოების“ დაარსება. უცხოეთში ასეთი საზოგა-  
დოების შექმნა და შემდგომი საქმიანობა ბუნებრივად იყო და-  
კავშირებული დიდ თანხასთან, რისთვისაც, პირველ რიგში,  
თხოვნით მიმართეს ცნობილ ქართველ მრეწველსა და მეცე-  
ნატს, მოსკოვში მცხოვრებ ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშ-  
ვილს. ლევანი მოწონებითა და გულწრფელი სიხარულით შეხ-  
ვდა ამ მეტად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმის წამონებას;  
საზოგადოებას იმთავითვე შესწირა 40.000 მანეთი და მის მეს-  
ვეურებს თანვე აღუთქვა შემდგომშიც მუდმივი მზრუნველობა  
და ფინანსური მხარდაჭერა.

მართლაც, მალევე – 1907 წელს ჩამოყალიბდა „მოსკოვის  
ქართველთა საზოგადოება“ (თავმჯდომარედ აირჩიეს ალ. სუმ-  
ბათაშვილი-იუჟინი), რომელმაც თავისი არსებობის ათი წლის  
მანძილზე სათავე დაუდო ბევრ სასიკეთო ეროვნულ საქმეს,  
ხელი შეუწყო ქართული კულტურის შემდგომ წინსვლა-განვი-  
თარებას. პირველ ყოვლისა, ლ. ზუბალაშვილის შენირული  
თანხით დაიქირავეს ბინა, მოაწყვეს სტუდენტური კლუბი,  
ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი...

ლ. ზუბალაშვილი გახლდათ „მოსკოვის ქართველთა საზო-  
გადოების“ საპატიო წევრი, აქტიურად მონაწილეობდა საზოგა-  
დოების მიერ გამართულ საღამოებში; სისტემატურად ურიც-

ხავდა საზოგადოებას გარკვეულ თანხას ამა თუ იმ საჭიროებისათვის (მაგალითად, ბიბლიოთეკის გასაფართოებლად) 1914 წლის დამატებით გაიღო 10 ათასი მანეთი...); განსაკუთრებით დიდი შემწეობა აღმოუჩინა 1914 წელს. ომის დაწყებისთანავე მიღმი დაჭრილ ქართველ მეომართა დასახმარებლად ნახევარი მილიონი მანეთი შესწირა საზოგადოებას, რომელმაც თავისი კუთვნილი სახლის მეორე სართულზე სექტემბერშივე გახსნა 15 სანოლიანი სამკურნალო სტაციონარი და უწოდა „ლევან ზუბალაშვილის სახელობის დაჭრილ და ავადმყოფ ქართველ მებრძოლთა ლაზარეთი“. აქვე საგულისხმოა ისიც, რომ ლევანმა ლაზარეთისათვის საზოგადოებას დაუთმო თავისი სახლიც. ასე რომ, მოსკოვში ერთდროულად ორი ლაზარეთი მოქმედებდა ლევან ზუბალაშვილის შენირულობით.

მასალებით ირკვევა, რომ ლევან კონსტანტინეს ძეს მეტად სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნდა მოსკოვში მცხოვრებ ქართველ სტუდენტზე მზრუნველობა. გარდა იმისა, რომ ძმებთან ერთად საქართველოში ნ.კ.გ. საზოგადოებას ყოველ-წლიურად ურიცხავდა დიდ თანხას ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიისათვის, დანესებული ჰქონდა აგრეთვე მოსკოვში მცხოვრებ ქართველ სტუდენტთათვის სამი სტიპენდია – მისი, მეუღლისა და შვილის სახელობისა (თითოეული 50 მანეთის ოდენობით), ნლების მანძილზე იგი ოჯახშიც გულუხვად მასპინძლობდა ქართველ სტუდენტობას: ნებისმიერ მათგანს ასადილებდა, ფულითაც ასაჩუქრებდა და ეხმარებოდა ყოველნაირად; ზოგჯერ, დაგვიანების შემთხვევაში, სასწავლებელშიც კი მიაკითხავდა თურმე. ამასთან დაკავშირებით შემოგთავაზებთ მოსკოველი სტუდენტის ლაზარ შურლაიას საუბრის ნაწყვეტს: „არ ყოფილა შემთხვევა, მიგვემართოს ლევან ზუბალაშვილისათვის დაბმარების გამო და მას უარი ეთქვას. პირიქით, ჩვენ თუ 5 მანეთის სათხოვნელად მივიდოდით, ის 5 თუმანს გვაძლევდა. ჩვენ თუ ერთი პალტოს ფულს დავესესხებოდით, ის 3 პალტოს ფულს გვაძლევდა – თქვენს უახლოეს მეგობრებსაც უყიდეთო. ხშირად თვეობით დავდიოდით მასთან სადილათ. ჩვენ გვერიდებოდა და გვეხატორებოდა, თორემ იმას მით უფრო ვასიამოვნებდით, რამდენადაც“



ხშირად მივაკითხავდით" (დამონმებულია წიგნიდან – ირ. ტა-  
ტიშვილი, თამ. დეკანონის მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი იური-

თველი ახალგაზრდობა, თბ., 1960, გვ. 167-168).

ლევან ზუბალაშვილის თანამედროვე ქართველები (მოს-  
კოვში მცხოვრები) უაღრესად დიდ პატივს სცემდნენ ზუბა-  
ლაშვილთა სახელოვანი გვარის ღირსეულ ნარმობიადგენელს. მა-  
თი შეფასებით, „ეს იყო პიროვნება, რომელსაც დახმარებას კი არ  
სთხოვდნენ, არამედ თვითონ ეძებდა გასაჭირო მყოფ ადამიანებს  
და თავად სთავაზობდა დახმარებას" (რ. სურმანიძე).

ლევან ზუბალაშვილი მოსკოვის ელიტაშიც ჰქონდა ადგი-  
გამორჩეული იყო არაჩეულებრივი გულუხვობით; მის მიერ  
ღარიბებისა თუ ავადმყოფთა დასახმარებლად გაღებული  
თანხა ასობით ათასს ითვლიდა. რუსეთში ლევანის ქველმოქ-  
მედებაზე მყითხველს ზოგადი ნარმოდგენა რომ მაინც შეექ-  
მნას, დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას:

1) 1912 წელს ბალკანეთში მიმდინარე საომარი მოქმე-  
დებების დროს ბელგრადში მყოფი რუსი დიპლომატებისა და  
სამხედროთა ოჯახებისათვის შექმნილ თავშესაფარს გაეგზავ-  
ნა ლევან ზუბალაშვილისაგან დიდი ფულადი თანხა (ნახევარი  
მილიონი მანეთი) და უხვი საჩუქრები;

2) 1914 წლის შემოდგომაზევე (როცა რუსეთი ითიცია-  
ლურად ჩაება პირველ მსოფლიო ომში) ზუბალაშვილის ოჯახ-  
მა საკუთარ სასახლეებში (მოსკოვშიც და აგარაკზეც) მოაწყო  
პოსპიტალი და თავშესაფარი. წლების მანძილზე ზუბალოვის  
სახელობის მოსკოვის პოსპიტალი არსებობდა (მოქმედებდა)  
ზუბალაშვილთა შენირულობების წყალობით;

3) მოსკოვში უფასო კვებით უზრუნველყოფიდნენ „ლა-  
რიბეტა დახმარების საზოგადოებას“. ამას გარდა, ფულადი  
თანხით სისტემატურად ეხმარებოდნენ როგორც ქალაქის, ისე  
სოფლის გაჭირვებულ ოჯახებს;

4) 1914 წლიდან ყოველთვიურად აძლევდნენ ფულს  
მათს კანტორაში მომუშავე ქალებსა და მამაკაცებს, რომლე-  
ბიც ჯარში გაინვიეს და ფრონტზე გაგზავნეს. მათ შორის იყ-  
ვნენ ბაქოს ნავთობსარენების მუშებიც;

5) 1900-1918 წლებში მოსკოვის კანტორის სალაროს /  
ნიგნში აღნუსხულია ზუბალაშვილთა მიერ გაცემული ურგმირთ-  
ვი ცალკეული შენირულობანი (მოსკოვის ტექნიკური სასწავ-  
ლოს სტუდენტთა სასადილოსათვის, ეკლესია-მონასტრე-  
ბისათვის, იტალიის ქალაქ ბარში ნმ. ნიკოლოზის ტაძრისათ-  
ვის, ამანათები სამხედრო ტყვევებისათვის, ობოლი ბავშვების  
სწავლის ქირისათვის, ნითელი ჯვრისათვის, რძე დაჭრილები-  
სათვის, ყუბანში ქარიშხლისაგან დაზარალებული ოჯახები-  
სათვის, ზერიგოროდის გიმნაზიისათვის და ა. შ.).

და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენ უმნეოს მოევლინა  
მხსნელად ძნელებეფობის უამს ლევან ზუბალაშვილის ოჯახი.

ლევანის ქველმოქმედება ჭეშმარიტად იყო უსაზღვრო: თანაბრად შეენეროდა სხვადასხვა ეროვნების სხვადასხვა რე-გიონში მცხოვრებ უძლეურებსა და ღარიბებს, პირველ რიგში, მაღლად ეძღვნებოდა საქართველოსა და ქართველ ხალხს. ამ მხრივ ჩეკენში განსაკუთრებით დავალებული იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გო-რის კათოლიკური ეკლესია და ა. შ. (აქ არ იგულისხმება ძმე-ბი ზუგალაშვილების სახელით გაცემული მოწყალება).

თბილისის კანტორის ერთ-ერთ წერილში (რომელიც და-  
თარიღდებულია 1914 წლის 17 მაისით) ნათევამი იყო: „გორის  
ეკლესია გამოვიდა ისეთ მდიდარ ეკლესიად, რომ თბილისს  
კიდეც შეშერდება გორისა. მაღლობა ეკუთვნის გორის სინო-  
დისა და მღვდლების გარდა ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშ-  
ვილს „უხვი საწევქრისათვის“ (ამასთან დაკავშირებით იხ. აგ-  
რითვი ანიტირიბულ ბიბლიოგრაფიაში).

ლევანის თაოსნობით, 1914 წელს ძმებმა ზუბალაშვილებმა ქალაქის გამგეობას გაუგზავნეს ახალი შენირულობა და თან სთხოვეს: „მიჰყიდოს მათ ტფ. საბაჟოს მახლობლად 700 ოთხეუთხა საუენი მინა სომებ-კათოლიკეთა ეკლესიის ასაშენებლად. ეს გამოწვეულია იმით, რომ სომებ და ქართველ კათოლიკეთა შორის დავაა ატეხილი კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის გამო, რომელიც შეუ ბაზარში მდებარეობს. ძმ. ზუბალაშვილებს განზრახვა აქვთ, მიძინების ეკლესია ქართველ კათოლიკეთათვის დარჩეს, ხოლო სომებ კათოლი-

კუთათვის საკუთარი შენობა ააგონ საბაჟოსთან” (სახ. გაზ., 1914, 9 მაის).

კონსტანტინეს შვილები მართლაც უანგარო ქველმოქმედები იყვნენ. ძმები თითქოს ეჯიბრებოდნენ და აქეზებდნენ ერთმანეთს სიკეთის ქმნაში. მათ ყოველთვის ახსოვდათ ოესოს სიტყვები: „თუ გინდა იყო სრულყოფილი, წადი, გაყიდე შენი მამული და გაეცი“.

ძმები ზუბალაშვილები სამაგალითონი იყვნენ იმითაც, რომ მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, პქონდათ განსაკუთრებული სიახლოვე და პატივისცემა. რომელიმე მათგანი თუ გაიღებდა მონქალებას, ამას მეტწილად აკეთებდა ყველას სახელით.

1913 წლიდან ძმები – ლევან, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილები დამსახურებულად ატარებდნენ „თბილისის საპატიო მოქალაქის“ წოდებას.

„ტფილისის საპატიო მოქალაქენი. თანახმად ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობისა უმაღლესად ნება დართულ იქმნა, უხვ ქველმოქმედ ძმებს ზუბალაშვილებს ტფ. ქალაქის საპატიო მოქალაქეთა წოდება მიენიჭოთ. ამის გამო ქალაქის გამგეობამ მათი გვარები საგანგებოდ საპატიო წიგნში შეიტანა და ძმებს ზუბალაშვილებს მისაღლოცი დეპეშა გაუგზავნა. ტფილისის ქალაქის თვითმართველობის დაარსებიდან დღემდე ტფილისის საპატიო მოქალაქის სახელი მიენიჭა და საპატიო წიგნში იქნა შეტანილი მხოლოდ ერთი კაცი – ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი, მეფის მოადგილის საბჭოს წევრი“ (სახ. გაზ., 1913, 25 ივლ.).

და ბოლოს: „ქველმოქმედება არ იყო ზუბალაშვილების ოჯახის მხოლოდ უბრალოდ ძლიერი ტრადიცია. ქველმოქმედება მათ სისხლში პქონდათ გამჯდარი, როგორც მეცენატობა და ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერობა“ (ვალ. უთურგაური).

## სტეფანე ქონისტანტინეს ბე ზუბალაშვილი

სტეფანე ზუბალაშვილი დაიბადა თბილისში 1860 წელს. 1880 წელს დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია, მიიღო თავისი დროისათვის კარგი განათლება, შეისწავლა უცხო ენები (რომელიც შემდგომ ძალიან გამოადგა ერმერციულ საქმიანობაში).

ცნობილი მრეწველისა და მეცენატის კონსტანტინესა და საოცრად ლვისმოსახვი ქალბატონის ელისაბედის ოჯახში აღზრდილმა სტეფანემ ბავშვობიდანვე შეითვისა ადამიანთა სიყვარული, მაშვრალთა, უპოვართა თანადგომა-პატივისცემა, ისნავლა შრომის ფასი და საქმის ერთგულება.

სტეფანემ, როგორც მამის ქონების ერთ-ერთმა მემკვიდრემ, გიმნაზიის დამთავრებისთანავე დაინწყო მუშაობა ბაქოს ნავთობმომპოვებელ კომპანიაში და მაღლევე გახდა მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბაქოში (სადაც 20 წელზე მეტხანს იცხოვრა და განაგებდა ნავთობის საქმეებს) გამოიჩინია დიდი გამჭრიახობა და წარმოებაც ჩინებულად აუწყვია. სტეფანე თავისი საქმიანობით ბუნებრივად იყო დაკავშირებული „როტშილდის“, „ნობელისა“ და „მაზუთის“ ფირმებთან. იგი ყოველთვის და ყველგან გამოიჩინიოდა კეთილსინდისიერებითა და პატიოსანი პარტნიორობით.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სტეფანე ზუბალაშვილი – ეს დიდი მრეწველ-ეკომერსანტი მთელს საქართველოში ცნობილი და აღიარებული იყო, აგრეთვე, მეცენატობით, კაც-თმოყვარეობით, რომელსაც, თანამედროვეთა შეფასებით, მართლაც არ ჰქონდა საზღვრები.

1904 წლის 15 მაისს სტეფანე გაემგზავრა საფრანგეთში სამკურნალოდ, მაგრამ, სამნუხაროდ, მკურნალობა უშედგენადა გოდ დამთავრდა. იგი პარიზში გარდაიცვალა 1904 წლის 14 სექტემბერს. გადმოასვენეს თბილისში და დაქრძალეს სოლო-ლაქში, საგვარეულო სამარხში, მშობლების გვერდით.

მაშინდელი პრესის მასალებისა თუ ცალკეულ პიროვნებათა მოგონებების მიხედვით ჩანს, რომ სტეფანე ზუბალაშვილის გარდაცვალებამ მთელს საქართველოს დასწყვიტა გული; მისი უდროოდ დაკარგვა ქართველმა ხალხმა საერთო ეროვნულ ტეივილად აღიქვა. განსვენებულის პატივსაცემად საბიძიმარზე მოდიოდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, პოეტები, მწერლები; დარიბი მოსახლეობა, უბრალო მოქალაქენი და სხვანი. მიცვალებულის დაქრძალვამდე და მომდევნო დღეებშიც პრესაში იბეჭდებოდა სტეფანეს ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო განცხადებები, ნეკროლოგები, გამოსათხოვარი სიტყვები, ლექსები და ა. შ. (უამრავ მასალათაგან მოვიხმობთ მცირე ნაწილს, ზოგიერთს შემოკლებით).

### მარად დაუვიწყარ სტეფანე

#### კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს

მოსწყდა ვარსკვლავი წმინდა, ელვარე,  
თან წარიტაცა უმანქო სული,  
კეთილი, წყნარი, ხალხის მოყვარე  
ვით ანგელოზთა დასთა-დასული!

აქ მიგვატოვა ობოლი ობლად;  
ისედაც ჩაგრულთ მოგვიკლა გული;  
და ბედშაობით გაუხარებლებს,  
დაგვირთო მძიმე წყლულზედა წყლული.

დიახ!... უდროოდ მოგვტაცა ბედმა  
ქველმოქმედებით ხალხის მშველელი,  
და დღეის შემდეგ ვინ გვეყოლება  
შენებრ სტეფანე... შენებრ მფარველი?!

შენ ლირსი იყავ დიდხანს გეცოცხლა  
კვალად გემუსრა ხალხისა ჭირი,  
მაგრამ განგებამ ასე ისურვა...  
ამასა ვგლოვობ, ამასა ვსტირი!!

და ჩემთან ერთად შენსა ცხედარსა  
ცრემლებსა აფრქვევს ქართველი ერი,  
მწუხარე გულით გესალმებიან  
სამუდამოთა ყრმა და ხნიერი.

იტირეთ, მარად ბედით ჩაგრულნო,  
რადგანაც დასცხრა ან ქველი ხელი...  
იტირეთ! თქვენთვის არვინ ყოფილა  
მაგაზე უფრო მეტად მზრუნველი.

მაგრამ სოფლისა ამაოებამ  
დაუნდობელად დაგვრია ხელი;  
გულში დაგვრჩება მარად და მარად  
კველო მოქმედო შენი სახელი!!

დავით გაბრუაშვილი  
(ივერია, 1904, 26 სეკდემბერი, №222).



## სტეფანე ზუბალაშვილის ხსოვნას

სტირის ქართველი დღეს და ჰგლოვობს მამულის შვილსა,  
 ქველმოქმედისა კუბოს მორწყავს მდუღარე ცრემლით,  
 თანაუგრძნობდა ვინც სამშობლოს გულის ტკივილსა,  
 უკვე დაჰკარგა... ის განვიდა ამიერ სოფლით.

ჩვენი სამშობლოც, მისგან მეტად დავალებული,  
 ძაძით მოსილი ღირსეულ შვილს დასტირის თავსა...  
 მოულოდნელის დანაკლისით დანაღვლებული  
 მთელის ძალლონით ზიზღით სწყევლის სიკვდილსა შავსა...

ვინ იცის, ეგებ, როს სამშობლოს განშორებული  
 ნუთისოფელსა სამუდამოდ ეთხოვებოდა,  
 საქართველოსკენ მოიწვდა იმისი გული.  
 მამულის ნახვა მომაკვდავსა ენატრებოდა.

ვინ იცის, ეგებ ნატრულობდა კიდევ სიცოცხლეს, —  
 მოძმისთვის ღვაწლი, მისთვის შველა კვალად სწყუროდა, —  
 ნარმოიდგენდა რა სოფლისა თანაც სიმუხთლეს,  
 თავის უდროვოთ სიკვდილისთვის ბედს ემდუროდა.

ვინ იცის, ეგებ სიკვდილის წინ ევედრებოდა  
 ღმერთს თვის მამულის აღყავება-ბედნიერებას, —  
 თვის სამშობლოში მას დამარხვა ენატრებოდა, —  
 და ისურვებდა იქ განრღვევას და დამინებას.

მოჰკვდა ის... მაგრამ ნათლით მოსილს იმისსა სახელს  
 უკვდავებისა სხივით მორთავს ქართველი ერი,  
 ქება-ქებათას არ მოაკლებს კეთილის მყოფელს  
 და საუკუნოდ ეხსომება სტეფანე ქველი.

ი. ჩხ-ელი (ილია ფერაძე)  
 (ივერია, 1904, 26 სეკტემბერი,  
 №222).



„...ცხოვრებაში განსვენებული სამაგალითო კაცი ყფის ყოველადსათხოიანი და ღვთისმოსავი. მისი ტებილი ლაპარაკი მისი უზაკველი სული და გული კაცს აღტაცებაში მოიყვანდა. მისი ყოველი ნაბიჯი და ყოველი სიტყვაც კი ადამიანური ლირსებით იყო სავსე... თუ ეხმარებოდა ვისმე, შემწეობას აძლევდა, სცდილობდა არავის გაეგო... დაკარგვა ასეთის კაცისა ჭეშმარიტად დიდი დანაკლისია ჩვენისთანა პატარა, ღარიბ და უკან ჩამორჩენილ ერისათვის, დიდი საერთო ნაციონალური იბედურებაა, ყველასათვის საგლოვი და სატირელი.

სტეფანე კონსტანტინეს ძემ ჩაინერგა ქართველი ერის პატივისცემა, პატიოსნება და სიყვარული... მისი სახელი და საქმენი ყოველი ქართველის გულში მოიპოვებს ადგილს, იქ დაფუძნდება მისი მკვიდრი უკვდავების ტახტი, სადაც აღმართული იქნება სტეფანეს ქველმოქმედების ნიშნები...

საუკუნოდ იყოს ხესნება იმისთანა გულწრფელი, გულმართალი და გულუხვ ადამიანისა და მამულიშვილისა, როგორიც იყო განსვენებული სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი

**ზ. ჭიჭინაძე, სტ. კ. ზუბალაშვილი (ნეკროლოგი)**  
(ივერია, 1904, 24 სექტ., №220, გვ.2).

27 სექტემბერს ჩატარდა ნირვა თბილისის მარიამის მიძინების კათოლიკურ ტაძარში. პირველ საათზე სამგლოვარო პროცესია გაემართა სოლოლაკის სასაფლაოსევნ. ცხედარი საფლავის კარამდე ხელით მიასვენეს განსვენებულის პატივისმცემლებმა; მათ შორის იყო თორმეტი მღვდელი, „ამათ გვერდზედვე იდგნენ ქართველთ სამღვდელონიც და არქიმანდრიტი გიორგიც, ნიმნად უღრმესის პატივისცემისა და თანაგრძნობისა“... გვირგვინებით სამი ამფიონი იყო სავსე, სულ რიცხვით სამოცამდე, მათ შორის ვერცხლისაც, ყველა წრისა და დარგის წარმომადგენელთაგან... უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი... სასაფლაო ხალხს ვეღარ იტევდა... „დასაფლავების დღეს ნათლად გამოსჩნდა, რომ ქართველობას კარგად... სცოდნია მნიშვნელობა კაცად-კაცურის კაცისა და მიტომაც



ყოველი ქართველი მნარედ პეტოვობდა თავის საყვარელს  
სამაგალითო ადამიანს“.

ამ დღეს სტეფანეს ძმებმა – ლევანმა, პეტრემ და ია-  
კობმა გარდაცვლილის ხსოვნის პატივსაცემად სპეციალურად  
შეუძლოთათვის (ლარიბთათვის) დამატებით გაიღეს შენირუ-  
ლობად ფულადი თანხა 4 ათასი მანეთის ოდენობით და აღა-  
პის მაგიერ დაურიგეს ფული – ოქროს მანეთები. ამასთან და-  
კავშირებით თვითმხილველნი კიდეც აღნიშნავდნენ: ამ ხალხს  
ასეთი ფული ცხოვრებაშიაც კი არ სჭერიათ ხელში, ასეთი  
რამ თბილისში არასოდეს არ მომხდარაო; განსვენებულის შე-  
სახებ კი ყველა ამბობდა: როგორი მაღლიანიც სიცოცხლეში  
იყო, გარდაცვალების შემდეგაც იგივე დარჩაო.

სტეფანე ზუბალაშვილის დაკრძალვაზე ბევრი სიტყვა  
ნარმოითქვა. მათი საერთო აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ  
სტეფანე გახლდათ ჭეშმარიტად სახელოვანი მამულიშვილი,  
ლირსეული ქართველი. ამჯერად ნარმოვადგენთ ამ სიტყვა-  
თაგან „რამდენიმე ამონარიდს:

„მის დღეში არ მინახავს, მაგრამ ხშირად თვალწინ მედ-  
გა. არავითარი დამოკიდებულება არ მქონია, მაგრამ გულით  
მაინც მიყვარდა, როგორც ლირსეული ქართველი, რაიცა  
დღეს ჩვენში სანთლით საძებარია... აქ ბევრი მხურვალე სიტ-  
ყვები ნარმოითქვა მაგის ქველ-მოქმედებასა და დიდს შენი-  
რულობაზე. მე კი სულ სხვასა ვგრძნობ: ვაფასებ გულს და არა  
მარტო ფულს..... სხვა ბედნიერ ქვეყნებში, სადაც ხალხი თა-  
ვისუფალია, ქველმოქმედებაც უთვალავია და უსაზღვრო.....  
ჩვენში კი, ამ საცოდავ საქართველოში, დიდებულთა ჩამომა-  
ვალნი გვარიშვილები, ნინაპართა სისხლითა და ოფლითა  
მორწყულს და, გაურჩევლად წოდებისა, ქართველთა ძვლე-  
ბით გაპოხიერებულ საერისთავო მამულებს გულგრილად  
ჰქრავენ გარეშეებთან ერთად და აქედან მცირე წვლილსაც არ  
სდებენ საეროვნო ტრაპეზზე, აღარ აგონდებათ აღარც ნარ  
სული და აღარც მომავალი..... ეს სენი ჩვენში დღეს საზოგა-  
დოა და ამისთანა დროს გამოსვლა ვისიმე საქველ-მოქმედო  
ასპარეზზე სამაგალითო გმირობაა! ამ გმირთაგანი იყო გან-

სვენებული სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი... და  
სწორედ ამან მომიყვანა მეც შორეული იმერეთიდან, როგორც მასა  
ჩემის, ისე ჩემ თანამოაზრეთა მხრითაც, რომ გულდათუთ-  
ქულმა მეც მის ჭირისუფლებთან ერთად თაყვანი ვსცე მის  
კუბო-სამარეს და ვუსურვო საუკუნო განსვენება. დაუვინყა-  
რი იყოს მაგის სახელი ერთად ჩვენს სამშობლოსთან უკუნი-  
სამდე!..."

აკაკი წერეთელი  
(„ივერია“, 1904, 30 სეკდემბერი).

„სტეფანე იყო ქვეყნის შემბრალებელი კაცი, კურთხეუ-  
ლი გვარიშვილი... ეკლესიების მაშენებელი, კეთილმორნმუნე  
ქრისტიანი, ქალაქის განმანათლებელ-ნარმამატებელი ძვირ-  
ფასის მდიდრულის სამადლო შენობებითა... გლახაკთ გამჟიო-  
ხავი, გაჭირვებულთა შემწე მომხმარე, დავარდნილ-დაცე  
მულთა აღმადგენი; მუშა, მოსაქმური... მშვიდობისა, ერთობი-  
სა, სიყვარულისა და ყოველის სიკეთის მომფენელი უხვათ!

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის სიკვდილი...  
მთელ ჩვენ ქართველ ტომთა მოდგმისათვის... დიდი დანაკლი-  
სი არის“

მღვდ. ივანე გვარამაძე (მესხი)  
(ივერია, 1904, 29 სექტ., "224, გვ. 2-3).

„დარნმუნებული ვარ, რომ დღეს მთელს ჩვენს საზოგა-  
დოებაში არ მოიპოვება არც ერთი ადამიანი, რომელიც არ  
ჰვრძნობდეს მძიმე მწუხარებას მხედველი ამა კუბოისა და მას  
შინა მდებარის მიცვალებულისაგან... ჩვენი ქვეყანა, საზოგა-  
დოება, სამწუხაროდ, ლარიბია იმისთანა პირებით, როგორიც  
იყო განსვენებული. არა თუ ლარიბინი ვართ, თითქმის ერთი ან  
ორი თუ მოიძებნება ჩვენს შორის ისეთი პირი, რომელსაც შე-  
ეძლოს მთელი საზოგადოების ყურადღების და მინდობილო-  
ბის მიზიდვა. ჩგანსვენებული კი იყო აღჭურვილი განუსაზ-  
ღვრელი პატიოსნებით, გულ-კეთილობით, თავ-მდაბლობით,  
ერთი სიტყვით, მასში იყო ყოველივე ის ღირსებანი, რითაც  
ყველა ადამიანს შეუძლიან თამამად სთქვას: „მე ადამიანი ვარ



და მის დანიშნულებას უკლისად ვასრულებ". - დიალ. განსკურებულის ცხოვრება და მისი საქმენი ყოველთვის იყო ყოვლისათვის. მან ძალიან ბევრი სიკეთე მოუტანა თავის სამშობლოს მისი ყოვლად უხვი შენირულობით... ბევრი კარგი მაგალითი უჩვენა იმათ, რომლებსაც გარდა საკუთარი პირადი ინტერესებისა, არავითარი დევიზი არ აქვთ ცხოვრებაში... მისი ლომბიერი და უმანჯო თვისებანი აღბეჭდილი არის ყველა ადამიანთა გულში, ვისაც კი მასთან საქმე ჰქონია. მე თვითონ პირადად არაერთხელ ვყოფილვარ მოწამე იმისა, რომ მას გარს ეხვივნენ მრავალნი დარიბნი და საწყალნი, რომელთაც თავისი ხელით უხვად ურიგებდა მოწყალებას და ყველას ... ანუგეშებდა. იგი იყო ნამდვილი მამა ყოველთა გაჭირვებულთა, იგი იყო მევიდრი ბოძი ყოველთა სიმპატიურ დაწესებულებათა, იგი იყო ნამდვილი ადამიანი, ის ადამიანი, რომელიც მუდამ იმას ჰყიქრობს, რაიმე გააკეთოს კაცობრიობის სასარგებლოთ. და აი, ეს ძვირფასი და თვალსაჩინო შვილი სამშობლოისა ულმობელმა სიკვდილმა გამოგვაცალა ხელიდგან...

განისვენე ძვირფასო ადამიანო, აღჭურვილო ყოველივე ადამიანური სიკეთით და უანდერეძე შენს მემკვიდრეთა, რათა იმათ განაგრძონ შენ მიერ დაწყებული სამშობლოისათვის სასარგებლო საქმენი".

გერონტი ქიქოძე (კათოლიკეთა ეკლესიის  
სამრევლო სკოლის მასწავლებელი)

.... გვნამს, რომ კეთილთ საიქიოს უცდის უდიდესი ჯილდო, რაც უარი არ ეთქმის ამ ჩვენ მიცვალებულსა, მიზეზით მისი განსაკუთრებით პატივისცემისა ღვთისმშობლისა მომართ, მიზეზით მისი განუსაზღვრელი სიყვარულისა მოყვასთა თანა. ჩვენთვის დაფარული არ არის, რომ მან უმშვენიერესი ტრაპეზი დადგა ქალაქ ლურდმი (ფრანცია), უძვირფასესი ეკლესია ააშენა ქ. ბათუმში. ეგრეთვე ჩვენთვის ცნობილია მოსი აუარებელი სიყვარული მოყვასთან და ურიცხვი დახმარებანი გაჭირვებულთა ზედა... ლარიბნი და უძლურნი ჰქარგავენ მასში უხვსა და დაუზარებელ შემნესა და მამასა, მეგობარნი

მისნი ძვირფას ამხანაგსა და თანა მშრომელსა, ხოლო ქვეშვა-  
რდომნი მისნი ტკბილს, მშვიდობიან და თავმდაბყენა იყოს...  
ფროსსა თვისსა...

ჩვენო ძმაო და მეგობარო, სტეფანე კონსტანტინეს ძევ,  
ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ ქალწულმა მარიამმა მიგინოდა შენ ვი-  
თარცა განსაკუთრებითი პატივისმცემელი მისი უმანქო ჩასა-  
ხებისა... ღირსეულად დაგასასაჩუქრა შენ ზეციერსა მამულსა  
შინა... განისვენე საფლავსა შინა, რომელიც გეკუთნა შენ,  
ჩვენდა სამწუხაროდ უდროვოდ".

**სტეფანე დემუროვი ( ბაქოს ეკლესიის წინამძღვარი)**

- ქუთაისის ქართველი საზოგადოება დიდად სწუხს და  
ჰელოვობს თავის ქვეყნის უძვირფასეს ქველმომქმედ მამუ-  
ლის შვილის სტეფანეს დაკარგვას. ღმერთმა ქმნას, რომ ჩვენს  
საზოგადოებას სტეფანესთანა ქველმომქმედ მამულისშვილი  
ხშირად და მრავლად მოვლენოდნენ.

- ბაქოს ქართველთ საზოგადოება დიდად სწუხს და  
ჰელოვობს თავის მეჭირნაბულე სტეფანე კონსტანტინეს ძე  
ზუბალაშვილის დაკარგვას. ღმერთმა განუსვენოს და ხსენება  
და საქმენი მისნი საუკუნოდ იყოს ქართველთ საზოგადოების  
წინაშე.

- ღრმად ვსწუხვართ ჩვენის ქვეყნის სამაგალითო მამუ-  
ლის-შვილის სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის და-  
კარგვაზედ. მოიმედენი ვართ რომ ეს კაცთმოყვარე და ქველ-  
მომქმედი ადამიანი სამაგალითოდ დაშთება სხვა შეძლებულ-  
თა წინაშე (თბილისის ქართველი მუშები).

- ღრმად ვწუხვართ იშვიათ კაცთ მოყვარის და ქველმომ-  
ქმედის სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის დაკარგვა-  
ზედ, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა ბაქოში მცხოვრებ  
ლარიბ მუშა ხელოსნებს, განურჩევლად სჯულისა და ეროვნე-  
ბისა (ბაქოს რუსის მუშები).

- ვგლოვობთ ჩვენს მფარველ სტეფანეს, იშვიათს ქველ-  
მომქმედს და მამულისშვილს (თბილისის ქართველი ქალები).



„პიროვნება ადამიანისა ჩემთვის უმაღლესია ყოველ ის-ტორიაზედ, საზოგადოებაზე და თვით მთელს კაცობრიობაზედ... ზედაც, – სთქვა ბელინსკიმ... და ცხადად და მკაფიოდ გამოს-თქვა თავისი უაღრესი პატივისცემა საზოგადოთ ყოველი ადამიანის პიროვნებისადმი... მაშ რაღა უნდა ვსთქვათ ისეთის იშვიათის პიროვნების შესახებ, როგორსაც ნარმოადგენდა პიროვნება უდროოდ გარდაცვალებულის და ყველასათვის ძეირფასის სტეფანე კონსტანტინეს-ძისა!? რაღა და – ქეშმარიტად რომ თაყვანის-საცემია იგი...“

სტეფანემ ზედმინევით „იცნა თავი თვისი“, იცნა, რომ იგი განხორციელებული ექთილი ანგელოზი უნდა იყოს ყოველთა დავრდომილთა, გაჭირვებულთა და სწორედ ასეც იქ ცეოდა...

ჩვენი საყვარელი სტეფანე იშვიათის ყურადღების პატ-რონი იყო. იგი გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენი ქვეყნის მაჯის-ცემასა, მის ჭირსა და ლხინსა; მწუხარებდა, როცა ჭირისუფლად გვხედავდა და ხარობდა, როცა სიხარულს შეგვამჩნევდა; ხარობდა და ამ თავისს თანაზიარობას ჩვენთან იგი ხშირად უხვის შემოწირულობით აგვირგვინებდა...

განსვებულის სტეფანეს გამოსვლით საზოგადო მოღვა-ნეობის ასპარეზზედ, მოულოდნელად სრულიად ახალი ხანა დაუდგა ჩვენს მნერლობას და მნიგნობრობას! მას სავსებით ჰქონდა შეგნებული – რა არის სახალხო ნიგნაკი, რა არის ჭკვიანურად დაწერილი შაურიანი ნიგნაკი, რომელიც ვრცელდება ხალხში და დაეს-ხვალიობით ანვეტებს მის გულში საუკეთე-სო ცოდნასა და იდეალებსა... დიახ, შეგნებული ჰქონდა ყველა ეს და აյი სრულიად მოულოდნელად აამდინარა კიდეც ჩვენში სახალხო იაფ-ფასიანი ნიგნების გამოცემის საქმე...

ამ ათიოდე წლის ნინათ, ახალი მიმართულების ნიგნების გამოცემა დავიწყეთ, მაგრამ ის რამდენიმე ათი თუმანი... მა-ლე დაგვემრიტა და საქმე შეგვიდგა... საძირკველი ჩაყრილი იყო, მხოლოდ ეედლებს ვეღარ ვაშენებდით... შენი დიადი დამსახურება ხალხის ნინაშე, ჩვენი უდროვოდ დაკარგულო სტეფანე, აი აქ არის: შენ შეგვაძლებინე ამ საძირკველზედ

კედლების აშენების განგრძობა. გამხნევებული შენით, ჩვენ კვლავ დავიწყეთ ათი ნლის განმავლობაში მიძინებული არ მე... არ დამავიწყედება შენი ციური სიტყვები: „როცა კი დაგჭირდეთ, ნუ დამზოგავთო. ახლო ვიყო – პირადად მითხარითო, შორს ვიყო – ნერილით მაცნობეთო, მე მზათა ვარ ვემსახურო მაგ საქმესაო”...

მშვიდობით საყვარელო სტეფანე, საუკუნოდ იყოს ხსნება შენი, ხალხის მადლიან ხსოვნაში!“.

**ივანე როსტომაშვილი**

(უურნ. "მოგზაურის" რედაქტორი)

სტეფანეს დაკრძალვის დღეს წარმოთქმული სხვა სიტყვები და ინფორმაციები იხ. ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში.

რით დაიმსახურა სტეფანე ზუბალაშვილმა ქართველი ხალხის ესოდენ დიდი პატივისცემა და სიყვარული, საყოველთაო აღიარება და მადლიერება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას დავიწყებთ თავად სტეფანეს სიტყვებით: „ჩვენ რომ ღმერთი გვაძლევს, ჩვენც ხელგაშლით უნდა ვიყოთ, რომ ხალხს სარგებლობა მოვუტანოთ, თორემ, ზედ რომ კრუხებივით დავასხდეთ, ბევრ ვერაფერს გამოვჩეუავთ: ჩვენთვისაც დაკარგული იქნება და ხალხისთვისაც... ყოველი კაცი მოვალეა თავის ძმათ, მეგობართ და გაჭირვებულთ დაეხმაროს... სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს. კაცმა კაცს სიკეთე იმიტომ კი არ უნდა უყოს, რომ მერე ქონ და ადიდონ. ვინც ლირსია შველისა, მოვალენი ვართ ვუშველოთ“.

სტეფანეს ცოლ-შვილი არ ჰყავდა. მისი ცხოვრება-საქმიანობის მთავარი მიზანი იყო ერის კეთილდღეობაზე ზრუნვა: „სიცოცხლე მენატრება მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემს ქვეყანას და ხალხს ვემსახურო, სიკეთე ვთესო. ამის მეტი, ღმერთმანი, მე არაფერი წამყვება. სიკეთე დაუკარგელია“ (სტ. ზუბალაშვილი). დიახ, სტეფანემ თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მთლიანად მოუძღვნა თავის ქვეყანას, თავის ხალხს, რაზედაც წათლად მეტყველებს მისი საქმენი – მეტად მრა-



ვალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. სტეფანე ჭეშმარიანი ტად გახლდათ სამაგალითო ადამიანი.

სტეფანეს პიროვნებასთან დაკავშირებულ უამრავ ინფორმაციაში ყველა დეტალი იმდენად საინტერესოა, რომ ძნელია რომელიმეს საგანგებოდ გამოყოფა – გამორჩევა. ეს იმიტომ, რომ თავად სტეფანე ერთნაირი პასუხისმგებლობით ეყიდებოდა ყველა საქმეს, ერთნაირ გულისხმიერებას იჩენდა ყველა ადამიანის მიმართ.

ჯერ ეიდევ ახალგაზრდა ჭაბუკი გახდა ბაქოს ნავთობის კომპანიაში უნარიანი ხელმძღვანელი და მეტად გულმოწყალე მეპატრონე. ამ დროს ბაქოს ნავთობსარენებში 400-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე იყო თურმე. სტეფანე ყველას თავაზიანად ექცევოდა; ხელფასის გარდა, ზოგიერთს ხშირად ასაჩუქრებდა კიდეც კარგი მუშაობისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ სარენების მუშა-მოსამსახურენი ცხოვრობდნენ კეთილმოწყობილ ბინებში, იქვე მოქმედებდა უფასო სასადილო და სამედიცინო კლინიკა. ეს ყველაფერი კონსტანტინეს შემდეგ სტეფანეს უშუალო დამსახურება გახლდათ. მეტიც: სტეფანეს გარდაც-ვალების შემდეგაც არ შეუცვლიათ სარენების მეპატრონე ზუბალაშვილებს კომპანიაში დამკვიდრებული მისაბაძი ტრადიციები.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ილია ზურაბიშვილის საგაზეთო სტატიიდან ერთი ინფორმაცია: „ბაქოელ ქართველთაგან უპირველესად უნდა დავასახელოთ ჩვენი ცნობილი ქველმოქმედი სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი, რომელიც დედაბოძია ქართველთ კოლონიისა ბაქოში და რომლის გარშემო შეკრძების ქართველნი. აუცილებელია, რომ მისი ზედ-გავლენა დანარჩენ ქართველებზედ ნაყოფიერი და გამამხნევებელი უნდა იყოს, რადგანაც ეს ზედ-გავლენა და-ფუძნებულია, ჯერ ერთი, სტეფანე კონსტანტინეს ძის კაც-თმოყვარე ხასიათზე, როგორც მაღალზნეობრივ ადამიანისა და, მეორეც, გამოცდილებისა, ცხოვრების კარგად ცოდნასა და, იმ საპატიო მდგომარეობაზედ, რომელიც მოუხვეჭია ბაქოს მთელ საზოგადოების თვალში, ვით იქაურ მრნველობის




საუკეთესო ნარმომადგენელს და დიად საქმის მწარმოებელს /  
(ივერია, 1903, №278).

განათლება-კულტურის სფეროში სტეფანე ზუბალაშვილის მიერ განვითარებული შრომა-საქმიანობისა თუ უსაზღვრო ქველმოქმედების განმსაზღვრელი ფაქტორი გახლდათ კი-თილმობილური მისია – „ქართველი ერიც იქცეს განათლებულ, თვალზე უძლიერი ერად. იგი გამოვიდეს ბნელის მდგრმარეობიდან და განათლების გზას დაადგეს. ევროპის განათლებულ ერთა შორის ადგილი დაიკავოს, ისახელოს თავი როგორც ცოდნით, ისე ოსტატური შრომითა და საქმით“ (სტეფანე ზუბალაშვილი). კონსტანტინე შეიძლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში საგანმანათლებლო და კულტურული კერძების დაარსებას.

ძმებმა ზუბალაშვილებმა სტეფანეს თაოსნობით თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის (დღევანდელი ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი) ასაგებად (გიმნაზიის მშენებლობა დაიწყეს 1900 წელს) ორჯერ გაიღეს უხვი შენირულობა (80 ათასი მანეთი ოქროთი); პირველად (1903 წლის თებერვალში) 30 ათასი, მეორედ (1904 წლის ოქტომბერში) – 50 ათასი. გარდა ამისა, სტეფანე ხშირად (თითქმის ყოველ შაბათს) მიღიოდა თურმე მშენებლებთან, ფულით ასაჩუქრებდა და თან სთხოვდა, შენობა მყარ ფუნდამენტზე დაეფუძნებინათ: იგი ცოდნის ლამპარი იქნება და მომავალი თაობები აღიზრდებიანო.

სტეფანეს ამ ქველმოქმედებასთან დაკავშირდებით 1904 წელს გაზეთი „ივერია“, რომელიც გამოხატავდა როგორც ქალაქის ხელმძღვანელობის, ისე მონინავე ინტელიგენციის აზრს, მადლიერებით წერდა: „მისი (სტეფანესი — უ.ფ.) შენირულობა სათავადაზნაურო სკოლისათვის სწორედ მეფური შენირულობა იყო. და ამისთანა უხვი გაღება ქონებისა ჩვენში ჯერ არ მომზდარა“. შესაბამისად, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების კომიტეტმა მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) ძმები ზუბალაშვილების მიერ შემონირული თანხა მოახმაროს დარიბი ქართველი მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებას; 2)



დაარსდეს ერთი სტიპენდია ზუბალაშვილების სახელობაზედ; 3) სათავადაზნაურო სკოლის განზრახულ სამკითხველო-ბიბლიოთეკას ეწოდოს სტ. ზუბალაშვილის სახელი და მისი სურათი გამოკიდებულ იქნას სამკითხველოში. გარდა ამისა, კომიტეტმა დაადგინა, რომ ძმები ლევანი, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილები არჩეულ იქნან ამ საზოგადოების საპატიო ნევრებად (1904, 30 ოქტ., №248; ასევე: ცნ. ფურც., 1904, 29 ოქტ., №2654).

მასალებით ირკვევა, რომ სტეფანეს, როგორც ქველმოქმედის, თვალსაწიერს არ გამორჩენია ქართული დრამატული საზოგადოების მეცენატობაც, რაზედაც ნათლად მეტყველებს ამ საზოგადოების გამგეობის უამრავი სამადლობელი წერილი (დაბეჭდილი იმდროინდელ პრესაში) მისი საპატიო ნევრის სტ. ზუბალაშვილი მიმართ წლების მანძილზე განეული უხვი შენირულობის გამო (იხ. ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში).

განსაკუთრებით აღსანიშნავია სტეფანესა და მისი ძმების დვანლი სახალხო სახლის (თეატრის) აგება-დაფუძნებისში. ცნობილია, რომ ძმებმა ზუბალაშვილებმა მამის ხსოვნის პატივსაცემად განიზრახეს უხვი მოწყალების გაღება, რათა „ქალაქის შუაგულში კონსტანტინეს სახელობაზე აეშენებინათ სახალხო სახლი და ჩარიცხულიყო იგი ქალაქის საკუთრებად“. ქალაქის გამგეობისათვის სტეფანეს განუცხადებია: „ავაშენებთ ისეთ სახლს, რომელიც იქნება საკუთრება მუშებისა, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. იგი იქნება ყველას საკუთრება... თეატრი იგივეა, რაც ეკლესია და სკოლა. საჭიროა, რომ საწყალი ხალხისთვისაც კარგი თეატრი იყოს. იქ მარტო თეატრი არ იქნება. იქ ბიბლიოთეკაც იქნება და მუქთი საჩაიეც“.

**შენიშვნა:** წყაროების მიხედვით, ქართული თეატრის ისტორია 1782 წლით იწყება. 1787 წელს თბილისში პირველად გამართეს ქართული ნარმოდგენა. ნლების მანძილზე თეატრი განთავსებული იყო (ყოფ. ერევნის მოედანზე) დიდ ქარვასლაში, მარცხენა მხარეს (ერთ-ერთი ცნობით, ქართული თეატრის ცალკე შენიბა აუგიათ 1885 წელს). აქვე დავსძენთ: თეატრი და მსგავსი ეულტურული დაწესებულება მაშინდელ საქართვე

ლოში უბრალო ადამიანებისათვის, ცხადია, მიუწვდომელი იქ  
ნებოდა...

მართლაც, ძმებმა თბილისის გამგეობას ამ დიდი საშვი-  
ლიშვილო საქმისათვის პირველ ეტაპზე გადასცეს 170 ათასი  
მანეთი ოქროთი.

ძმები ზუბალაშვილები იმთავითვე განსაკუთრებულ  
მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახალხო სახლის არა მხოლოდ  
ფუნქცია-დანიშნულებას, არამედ შენობის გარეგნულ იქრ-სა-  
ხესაც. ხალხის საკეთილდღეოდ გამიზნული ეს ახალი ნაგებო-  
ბა გამორჩეული უნდა ყოფილიყო არქიტექტურული თვალ-  
საზრისითაც, უნდა მისადაგებოდა ევროპულ დონეს, ამიტომ,  
როგორც კი გადაწყდა სახალხო თეატრის აშენების საკითხი  
და ქალაქის თვითმმართველობამ მიიღო შესაბამისი დადგენი-  
ლება, მაშინვე გამოცხადდა კონკურსი „კ. ზუბალაშვილის სა-  
ხელობაზე ტუილისში განზრახული სახალხო სახლის პროექ-  
ტის შესადგენად“ (ივერია, 1901, 12 ოქტ.). კონკურსში მონა-  
ნილეობა მიუღია რუსეთის იმპერიის 32 არქიტექტორს.

როცა საბოლოოდ დამტკიცდა სახალხო სახლის პროექ-  
ტი, ქალაქის გამგეობა მაღლევე შეუდგა მშენებლობას, კერ-  
ძოდ, 1902 წლის 26 სექტემბერს ამ შენობის საძირკველში ჩა-  
ტანებულ იქნა ლითონის ფირფიტა შემდეგი ნარწერით: „კ.ი.  
ზუბალოვის სახალხო სახლის საფუძველი ჩაყრილია 1902  
წლის 26 (სხვა ვერსიით: 24) სექტემბერს ზუბალოვის შთამო-  
მავლების ლევანის, სტეფანეს, პეტრესა და იაკობის მიერ. ეს  
სახლი შენდება ამ შთამომავლების სახსრებით. სახლის მშე-  
ნებლობას ხელმძღვანელობს არქიტექტორი როგორსკი არქი-  
ტექტორ საქალაქო ინჟინერ კრიჩინსკის პროექტის მიხედ-  
ვით.“

რამდენიმე თვის შემდეგ უურნალი „კვალი“ (1903, 20 IV,  
№17) იუნიებოდა, რომ „შეუდგენ სახალხო სახლის აგებას კი-  
რიჩინისა და დიდი მთავრის ქუჩებზე... გეგმით შუაში თეატრი  
უნდა გამორთოს, მარჯვნივ დარბაზი ლექციების საკითხა-  
ვად, მარცხნივ – ნიგნთსაცავი და სამკითხველო. ძირს გაი-  
მართება სასადილო და საჩაიე...“ ხოლო საყმანვილო უურნა-

ლი „ნაკადული“ სახალხო სახლის დანიშნულებას ასე აცნობდნენ და თავის პატარა მეითხველებს: „სახალხო სახლი ისეთი ჭუბალოვის ნერგებულებაა, სადაც იმართება ღარიბებისათვის ნარმოდევნები ლექციები. არის ბიბლიოთეკა და საჩაო. აქ დაისვენებს მუშაობისაგან დაქანცული ხალხი“ (1904, № 1).

ძმები ზუბალაშვილები ყოველთვის ინტერესითა და გულდასმით ადევნებდნენ თვალ-ყურს სახალხო სახლის მშენებლობას, ცდილობდნენ დროულად და მაღალხარისხოვნად აგებულიყო ქართველი ხალხისათვის მეტად მნიშვნელოვანი დაწესებულება – კულტურის ცენტრი. ამასთან დაკავშირებით დავიმონმებთ იმდროინდელ საგაზეთო ინფორმაციას: „ბ-ნთ ზუბალაშვილებს განუზრახავთ სახლი დახურონ „ჰენებაზის“ სახურავით. ასეთ სახურავს ცეცხლი ვერაფერს აკლებს. ჰენებაზი, შეგნითაც იხმარონ ამ სისტემის მასალა. ზუბალაშვილი 10 ათას მანეთად მოურიგდნენ საფრანგეთის ერთ-ერთ ფირმას, რომელმაც მუშაობა ამ ზაფხულსვე უნდა გაათაოს. ამ დღეებში ხელოსანნი უნდა მოვიდნენ პარიზიდან... დიდ ყურადღებას აქცევენ როგორც თეატრის, ისე აუდიტორიის მოწყობას“ (ცნ. ფურც., 1903, 22 მაის).

1904 წელს თბილისის გამგეობამ გამოიტანა დადგენილება, რომ სახალხო სახლის შენობაში სამარადევამოდ გამოკიდებული ყოფილიყო კონსტანტინე ზუბალაშვილის სურათი.

სახალხო სახლის მშენებლობა დასრულდა 1907 წელს. იგი საზეიმოდ აკურთხეს 1909 წლის 7 აპრილს. შენობის მთავარ ფასადზე თვალსაჩინოდ იკითხებოდა: «Народный дом им. К. И. Зубалова» (ლირსსაცნობია, რომ ზუბალაშვილებმა ამ საშვილშვილო საქმისათვის მთლიანად გაიღეს 350 ათასი მანეთი ოქროთი).

თბილისის სახალხო სახლი მშვენიერი შენობა იყო. თავისი გარეგნული იერსახითა თუ თეატრალური დადგმებით, თავად არგუტინსკები-დოლგორუქვის შეფასებით, იგი არა თუ ჩამოუვარდებოდა, არამედ აღემატებოდა კიდეც მოსკოვსა და ოდესაში გახსნილ სახალხო სახლებსო.



სახალხო სახლი – იგივე სახელმწიფო სახალხო ფედერაციული (დღევანდველი კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობა) მაღლე იქცა ქართული კულტურის ცენტრად. აქ ბევრჯერ გამოსულან სიტყვით აკაკი წერეთელი, ივანე გომართელი, გრიგოლ რობაქიძე და სხვა ცნობილი მოღვაწენი.

საგულისხმოა ისიც, რომ თეატრს ჰქონდა უფასო მდიდარი ბიბლიოთეკა (სადაც ინახებოდა ძველი ხელნაწერები, წიგნები), სამკითხველო დარბაზი და უფასო კაფე მკითხველთათვის. სპექტაკლზე დასასწრები ბილეთებიც შედარებით იაფი ღირდა. ყოველივე ამის გამო სახალხო სახლს თანამედროვენი უწოდებდნენ „იაფასიან თეატრს“.

თეატრის სცენაზე იმ დროს 9 თეატრალური დასი მართავდა სპექტაკლებს რამდენიმე ენაზე.

ცნობისათვის აქვე დავსძინთ: ძმ. ზუბალაშვილები მომდევნო წლებშიც არ აკლებდნენ ყურადღებას სახალხო სახლის საქმიანობას, ზრუნავდნენ შენობის გაფართოებასა და კეთილმონაცემაზეც. მაგალითად, ცნობილია, რომ ამ მიზნით ძმებმა ქალაქს შესწირეს 1913 წელს 120 ათასი მანეთი, 1914 წელს კი – 60 ათასი (ვრცლად იხ. ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში).

**შენიშვნა:** 1930 წლიდან სახალხო სახლში ბინა დაიდო კ. მარჯანიშვილის მიერ დაარსებულმა დრამატულმა თეატრმა, 1933 წლიდან ეწოდა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

2003-2006 წლებში თეატრის შენობას ჩაუტარდა სარესტავრაციო-სარეკონსტირუქციო სამუშაოები საერთაშორისო საქვემდებრების ფონდის „ქართუს“ ძალისხმეული ქვემოქმედი ბიზნესმენის ბიძინა ივანიშვილის ფინანსური მხარდაჭერით... თუმცა, სპეციალისტების აზრით, ამჯერადაც ვერ განხორციელდა ძეგლის სწორი რესტავრაცია. ზუბალაშვილების მიერ აგებული „მოდერნის სტილის შესანიშავი ნაგებობა, რომლითაც მსოფლიოს ყველა ქვეყანა თავისუფლად იამაყებდა, დღეს კვლავ სარესტავრაციოა“ (ნ. თათარაშვილი).

წევნ, როგორც არასპეციალისტი, რიგითი მოქალაქე, ცხადია, ვერ შევაფასებთ თეატრის ამჟამინდელი შენობის სარესტავრაციო სამუშაოებს, მაგრამ მის გარეგნულ იერსახეს-

თან დაკავშირებით გულისტიკივილით უნდა შევნიშნოთ: რო-  
გორც ჩანს, დღესაც გრძელდება საბჭოური (ნეგატიური) და მო-  
მოქიდებულება ჩვენი სახელმოვანი ნინაპრების, ღირსეული შესას-  
მულიშვილების მიმართ; აღარ ახსოვთ მათ მიერ განეული  
უდიდესი ქველმოქმედება... თორებ თეატრის მთავარი შესას-  
ვლელის ფასადს კვლავაც უნდა ამშვენებდეს (კომუნისტების  
მიერ ნაშლილი) თავდაპირველი ნარწერა „სახალხო სახლი კ. ი.  
ზუბალაშვილის სახელობისა“.

სტეფანე ყოველი ერის ცხოვრებაში განსაკუთრებულ  
მნიშვნელობას ანიჭებდა უურნალ-გაზეთების როლს. ამიტო-  
მაც იყო, რომ ყოველთვის ინტერესით ადევნებდა თვალს  
თბილისის პრესის საქმიანობას, სიტყვიერად ამხნევებდა და  
ფინანსურადაც ეხმარებოდა უურნალ-გაზეთების გამომცემ-  
ლებს. მაგალითად, 1903 წელს, როცა „ივერიის“ რედაქციაში  
ფულადი დახმარება სთხოვა, სტეფანემ მაშინვე გაუგზავნა  
თანხა და თან შეუთვალა: „გაზეთი და მისი გამოცემა ყოველი  
ერისათვის დიდ საჭირობას შეადგენს. გაზეთის კითხვის სა-  
შუალებით ნათლდება კაცის გონება და ნამეტურ უბრალო,  
უსწავლელი კაცისა.

სახლს რომ ფანჯრები არა ჰქონდეს, იქ მზის სინათლე  
როგორ შევა, როგორ გაანათებს, ბნელი იქნება. იქ ბნელ  
ოთახში ხომ ვერავინ ვერას დაინახავს. კაცის გონება და  
სწავლაც ასეა... მნერლობაც იგივე ფანჯარაა, იგივე მზეა, სი-  
ნათლისა და სითბოს მომცემიც. მე სავალდებულოდ მიმაჩნია,  
რომ ქართული უურნალ-გაზეთები მრავლად იბეჭდოს, რად-  
გან უურნალ-გაზეთების კითხვით ნინაურდება კაცის გონება.  
კაცის კარგად ქცევა მხოლოდ ასეთის საქმეებით შეიძლება  
ნინ ნავიდეს...

გაზეთის გამოცემა მზის სინათლეს ჰგავს და ამიტომ  
„ივერიას“ მე ყოველთვის გავუნდევ ქომაგობას, არ დავივინ-  
ყებ“ (ზ. ჭიქინაძე, სამაგალითო ადამიანი, გვ. 68). მართლაც,  
არასოდეს დავინყებია სტეფანეს „ივერია“, რომელიც, თანა-  
მედროვეთა აზრით, დახურვას გადაურჩა თურმე სტეფანეს  
შენირულობის წყალობით. (ცნობისათვის აქვე დავსძინთ: უფ-  
რო ადრე, 1885-1888 წლებში ზუბალაშვილების ერთ-ერთ



საცხოვრებელ სახლში განთავსებული იყო „ივერიის“ რედაქტორი; იქვე ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე (იხ. ფოტოდან უკავშირზე ტური მასალა).

სტეფანე და მისი ოჯახი სისტემატურად ეხმარებოდნენ სხვა ურნალ-გაზეთებსაც („კვალი“, „მოგზაური“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“ და ა. შ.).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სტეფანე – ეს საოცრად სპეციალისტი და კეთილშობილი პიროვნება – მისი შენირულობის მიმღებ ადრესატს არასოდეს არ ჩააყენებდა თურმე უხერხულობაში თხოვნის გამო. პირიქით, ასეთებს იგი გულუხვად აფინანსებდა და მადლობასაც უხდიდა საქმიანობისათვის. არაერთი შემთხვევიდან დავიმოწმებთ თრიოდე მაგალითს:

ერთხელ ურნალ „მოგზაურის“ რედაქციაშ სტეფანეს დახმარება სთხოვა. სტეფანემ ეს თხოვნა პატივად ჩათვალა (სიამოვნებით მიიღო); რედაქტორს – იგანე როსტომიაშვილს ფული გაუგზავნა. როცა რედაქტორმა ამ თანხისათვის (ამ თანადგომისათვის) მადლობა გადაუხადა, სტეფანემ ასე უპასუხა: „მე მადლობელი ვარ, რომ ჩვენს მამა-პაპათა ცნობებს აგროვებთ და ბეჭდავთ. მოგეხსენებათ კარგად, რომ მეტად გრილი დრო დადგა; ჩვენი, ქართველების, ყოველივე ძველი ამბები და ფაქტები იკარგება, მისი პატრონი და შემკრები ცოტანი არიან. აი, ქართველ კათოლიკებზედ სულ დაიკარგებოდა ამბები, რომ არ შეკრებილიყო (იგულისხმება მიხ. თამარაშვილის ნაშრომები – უ. ფ.). მე მზათა ვარ, რომ საქართველოს ისტორიული წიგნების დასაბეჭდათ, ძველი ამბებისა და წიგნების აღსადგენათ ყოველთვის დაგეხმაროთ... გთხოვთ ასეთი საქმების დასახმარებლად ყოველთვის მომმართოთ. ღმერთსა ვთხოვ, რომ თქვენმა ურნალმა დიდხანს იცოცხლოს და „მოგზაურმა“ იმოგზაუროს მთელს საქართველოში, გავრცელდეს ყოველ კუთხეში და ქართველებში გაავრცელოს ძველი და ახალი ამბები“ (ზ. ჭიჭინაძე, სამაგალითო ადამიანი, გვ. 67).

„... სტეფანე [ზუბალაშვილი] გულ-კეთილი და მოწყვალე მამა იყო საწყალი ხალხისა... ეფიქრებოდა ბედი, აგრეთვე ქართული წიგნების და ურნალ-გაზეთების გამოცემისა, რო-



მელთა შორის ჩვენს „ჯეჯილსაც“ მიაქცია ყურადღება და ყოველ წლივ აწოდებდა ფულს, რომ ღარიბ სკოლებს ჭურალაშვილების თვით ოჯახშისაც მისელოდათ მუქთად უურნალი” („ჯეჯილი“, 1904, ოქტ.).

ზემოთქმულის უშუალო დასტური გახლავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სკოლებიდან თუ სხვა ორგანიზაციებიდან სტ. ზუბალაშვილისადმი გამოგზავნილი ის უამრავი სამადლობელი ნერილი, რომლებიც იძეჭდებოდა 1900-იანი წლების დამდეგისათვის ქართულ პრესაში. მეტიც: სტ. ზუბალაშვილის ქველმოქმედების მადლი სწვდებოდა უცხოეთში მცხოვრებ თუ განაპირა რეგიონების ქართველობასაც: 1) „მადლობა სტ. ზუბალაშვილს ტომსკის ქართველ სტუდენტებისათვის უურნალ „მოგზაურის“ გამოწერის გამო“... 2) „მადლობა სტ. ზუბალაშვილს პანკისის სკოლისათვის „ჯეჯილის“ გამოწერის გამო“... 3) „მადლობა პართენ გოთუას და სტ. ზუბალაშვილს ალაგირის ქართული სკოლისათვის წიგნების შემონირვის გამო“ და ა. შ. (ვრცლად იხ. ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში).

სტეფანეს ქარგად ესმოდა პრესის მნიშვნელობა პიროვნების ჩამოყალიბებაში: „მე დიდათ პატივს ვცემ ქართველის თუ სხვა ტომის მუშათა და ხელოსანთა განათლებას, ოღონდ ასწავლოს ვინმემ ამ მუშებსა და ხელოსნებს და მე ყოველთვის მადლობელი ვიქნები და ყოველთვის დავეხმარები ქართულს გამოცემებს“.

სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავდა მის განსაკუთრებულ გულმოწყალებას ამ სფეროშიც.

სტეფანე ზუბალაშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაარსების 25 წლის-თავზე – 1904 წელს გადაურიცხა 10 ათასი მანეთი, თან ბარათიც მისწერა: „გიგზავნით 10 ათას მანეთს და გთხოვთ მიღლოთ ეს წელილი ჩემგან როგორც ერთის გულშემატკიცარი ქართველისგან. ღრმად პატივისცემით დავშთები, სტეფანე ზუბალაშვილი, ბაქო“.

სტეფანემ და მისმა ძმებმა თბილისის მუსიკალური სკოლის (დღევანდველი კონსერვატორიის შენობის) ასაგებრძოლებელი ლეს 10 ათასი მანეთი ოქროთი (სკოლა გაიხსნა 1886 წელს).

გარდა ამისა, სტეფანე ხშირად ეხმარებოდა ფინანსურად თბილისში, ქუთაისში, გორში, ახალციხეში, ხიზაბავრაში ეკლესიებთან არსებულ ქართულ სკოლებს.

სტეფანე ყოფილა სრულიად გამორჩეული თავისი უსაზღვრო გულუხვობით, კეთილშობილებით. იგი შეენეოდა იმ ადამიანებსაც, რომლებიც მისგან ხმამაღლა არ მოითხოვდნენ დახმარებას, ანდა ნაკლებ ხმაურობდნენ გაჭირვების გამო („როცა სხვა გთხოვს და მერე დაეხმარები, ამას მადლი აღარ აქვს“, – ამბობდა თურმე). მაგალითად, ერთხელ სტეფანეს გაზეთში ამოუკითხავს, რომ სოფელ უდეში შენდებოდა კათოლიკური ეკლესია. მას მაშინვე სასწრაფოდ გაუგზავნია ბარათიან ერთად შესანირავი თანხა 10 ათასი მანეთი.

სტეფანე ზუბალაშვილისა და, საერთოდ, მისი ოჯახის მეცენატობის ვრცელი ნუსხიდან საგანგებოდ უნდა დავასახელოთ მათ მიერ შენირული თანხა უმაღლესი განათლების მისაღებად უცხოეთში ნასული ახალგაზრდებისათვის. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაწესებული ჰქონდა ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია. მისი მფლობელები იყვნენ შემდგომში ცნობილი მეცნიერები, მწერლები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები: ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე ფალავა, სარგის კაკაბაძე, იასონ ჩხერიმელი, დავით ელიოზიშვილი, გიორგი ებრალიძე, სილოვან ყიფიანი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, პავლე ინგორიშვა, გიორგი ჩიტაა, ლეო ქიაჩელი, ანა ხახუტაშვილი, შალვა ამირჯვიბი, ნინო ლასხიშვილი, ალექსანდრე სოლომაშვილი, თამარ ძნელაძე, მალაქია გობეგვიშვილი, შალვა ტატიშვილი, დავით ჩხეიძე, სიმონ ფირცხალავა, გერონტი ქიქოძე, დავით მჭედლიშვილი, იოსებ გოგოლაშვილი, დავით მელაძე და სხვ. (თითოეულ მათგანს სტიპენდია ეძლეოდა სრული კურსის დამთავრებამდე).

სტეფანესა და მისი ძმების ხელშეწყობით სწავლობდა მიხეილ ჯავახიშვილი ბელგიასა და პარიზში. იგი სორბონის უნივერსიტეტში 1907 წელს ეუფლებოდა ლიტერატურას, ხე-



ლოვნების ისტორიასა და პოლიტიკურონომიას. აქვე შევნიშნავთ: ერთ-ერთ წყაროში (მიხ. ჯავახიშვილის მემუარებში) საქართველოს უძარია ვინმე ცნობილი ქართველი ქველმოქმედის შესახებ, რომელსაც პარიზში ქართველი სტუდენტებისათვის შეუქმნია უნიკალური ბიბლიოთეკა. ფიქრობენ, რომ „ეს ფაქტიც უნდა უკავშირდებოდეს ზუბალაშვილების სახელს“ (გაზეთი „რეიტინგი“, 2005, № 35). ანალიგიური ვითარება იყო სტამბოლის ქართულ სავანესთან დაკავშირებითაც. მხოლოდ ვინრო წრებ თუ იცოდა, რომ ზუბალაშვილების (იაკობის, კონსტანტინეს) ფულადი დახმარებით ააგო პეტრე ხარისხი-რაშვილმა 1860 წელს სტამბოლში, ფერიქოები, კათოლიკური ტაძარი, შენობა სკოლისათვის და სხვა დამხმარე სათავსოები... დაარსა ქართველ კათოლიკეთა საძმო-სავანე. მომდევნო წლებშიც ზუბალაშვილები სისტემატურად აფინანსებდნენ როგორც სტამბოლის, ისე საფრანგეთში მონთობანის (დაარსებულია 1874 წელს) ქართველთა სავანებს, ორივეგან არსებულ ქართულ სტამბებს (სტამბოლში გაიხსნა 1870 წელს, მონთობანში – 1876 წელს) და უცხოეთში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სხვა კერებს.

სარატოვის სასულიერო სემინარიაში ქართველი სტუდენტებისათვის დაწესებული იყო სტეფანე ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდია, რომელიც ეძღვოდა ყველაზე ნარჩინებულ მოსწავლეს. ამ სტიპენდიის პირველი მფლობელი გახდა ზაქარია დიდიმამიშვილი.

... ვინ მოთვლის, რამდენი ქართველი ახალგაზრდისათვის გაუნდიათ დახმარების ხელი ზუბალაშვილებს. მათს ამვის გაუნდიათ დახმარების ხელი ზუბალაშვილებს. მათს ამგვარ ქველმოქმედებას ნამდვილად არ ჰქონდა ტერიტორიული საზღვრები. იგი აღნევდა საქართველოს ყველა კუთხეში, მის ფარგლებს გარეთაც. შესაძლოა, ზუბალაშვილთა მიერ უხმაუროდ გაღებული მოწყალებანი შემდგომშიც გახდეს ყველასათვის ცნობილი, ისევე როგორც ქვემოთ დამონმებული ერთი შემთხვევა: „ზუბალაშვილების ქველმოქმედება ჩემი დიდი ბაბუის – გულო კაიკაციშვილის ოჯახსაც გადასწვდა აჭარაში. მამაჩემის ბიძაც და უფროსი ძმაც (ბათუმის უნივერსიტეტის პირველი რექტორი) ზუბალაშვილის სახელობის სტი-



პენდიანტები იყვნენ" (ლიანა ნაკაძე, გაზეთი „მშვიდობა ყოველთა“, 1999, 30 ივნისი).

სტეფანე ზუბალაშვილი იყო ქეშმარიტი ქომაგი მშრომელი ხალხისა, სოფლის გლეხობისა. ცნობილია, რომ კათოლიკე ზუბალაშვილთა რამდენიმე თაობა სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის გამო დაკავშირებული იყო სოფელთანაც. ისინი მაღლე დარწმუნდნენ, რომ გლეხმა უკეთ უნდა ისნავლოს სოფლის მეურნეობის გონივრული გაძლოლა, მინის განაყოფირება კარგი მოსავლის მისაღებად; მცენარეების, ფრინველებისა და ცხოველების მოვლა; სოფლის პროდუქტების გეგმაზომიერი განანილება-გამოყენება, მისი სასაქონლო დანიშნულება და, რაც მთავარია, საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, მათი აზრით, სოფლის მოსახლეობის ძირითადი სკოლა შეიძლებოდა ყოფილიყო წიგნი, დაწერილი სპეციალურად გლეხობისათვის ქართულ ენაზე. ზუბალაშვილები ამ საქმეზიც მფარველ-ქომაგებად მოვლინენ ლარიბ მოსახლეობას. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ზაქარია ზუბალაშვილი (სტეფანეს ნათესავი) – ერთ-ერთი პირველი ქართველი ექიმი, წლების მანძილზე წერდა პატარ-პატარა წიგნებს, სადაც საუბარი იყო გლეხობისათვის აუცილებელ და მტკიცნეულ საკითხებზე. სწორედ ამგვარი წიგნები პერიოდულად იძეჭდებოდა და ვრცელდებოდა სოფლის მოსახლეობაში თითქმის უფასოდ, რადგან სასოფლო წიგნების გამოცემებს აფინანსებდნენ ისევ ზუბალაშვილები. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია სტეფანეს წვლილი. ცნობილია, რომ მარტო 1902-1903 წლებში მისი შენირულობებით დაიბეჭდა 20-ზე მეტი დასახელების საერო მნიშვნელობის წიგნი თუ ბრომურა, მათ შორის იყო: „წერილი სოფლელ მუშას“, „დიფ-ტერიტიი“, „პურის ბოსტანი“, „შინაური ფრინველების მოვლა-მოშენება“, „ხეხილის გამრავლება, მყნობა და მოვლა“, „ცხვრის ყვავილი“, „საუნჯე მეურნისა ანუ მოვლა-მოყვანა და გამოყენება ყოველგვარი ხეხილისა და უბრალო ხეებისა“, „მეცნიერების დედა-აზრი“, „ძველი რწმენა-ნარმოდგენები და მეცნიერება“, „დანაშაულობა და დამნაშავენი“, „მეურნეობა და ახალი სკოლა“, „პავშვების გონიერი მოვლა“, „რა არის



დოსტაქრობა ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით", „თვით მასნავლებელი რუსული ენისა ქართული ენის შემნებობით არ რომ არ შეძლოთ „სახალხო სახლი და მისი საზოგადოებრივა-აღმზრდელობითი მნიშვნელობა", „საუნჯე ავათმყოფობისა ანუ აღნერა ყოველ-გვარ ავათმყოფობისა" და სხვ.

სტეფანე და მისი ძმები, მათი მამის მსგავსად, ყოველ-თვის ინტერესით ადევნებდნენ თვალ-ყურს მიხ. თამარაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობას და ეხმარებოდნენ ფინანსურა-დაც. მაგალითად, გარდა იმისა, რომ მას უცხოეთში ცხოვრებისა და მუშაობისათვის ყოველ ნლიურად უხდიდნენ გარევეულ თანხას - „სუბსიდიის" სახით, უყურადღებოდ არ ტოვებდნენ სხვა აუცილებელი საჭიროების შემთხვევებშიც. ამ მხრივ მაინც განსაკუთრებულია სტეფანეს ამაგი. ნათქვამის ნათელ-საყოფად ამჯერად დავიმოწმებთ ორიოდე ინფორმაციას: „1900 წლისათვის მიხ. თამარაშვილს თავისი შრომის („ისტორია ქართველი კათოლიკებისა") ხელნაწერი დასაბეჭდად უკვე მომზადებული ჰქონდა. ზ. ჭიჭინაძისა და პ. მირანაშვილის მეცადინეობით აღებულ იქნა ცენზურის ნებართვა. ქველმოქმედმა სტეფანე ზუბალაშვილმა ამ საქმისათვის გაიღო 1 000 (ათასი) მანეთი და წიგნის გამოცემა გადაწყდა ნ. კ. გ. საზოგადოების ქართველთა ამხანაგობის სტამბაში... 1904 წელს ქველმოქმედ სტ. ზუბალაშვილის „ნარსაგებელით" და პ. მირიანაშვილისა და ზ. ჭიჭინაძის აქტიური მონაწილეობით დაიბეჭდა მიხ. თამარაშვილის შრომა „პასუხი სომხის მწერლებს" ... (შ. ლომისაძე), მიხ. თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, გვ. 45-46, 74).

სტეფანე ზუბალაშვილის საქველმოქმედო საქმეთაგან მაინც გამორჩეულია ბათუმის კათოლიკური ტაძარი. აჭარაში კათოლიკური ეკლესის აგება სტეფანეს დედის - ელისაბედის ოცნება და სურვილი იყო. საოცრად მორწმუნე ქალბატონმა იცოდა, რომ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ საქართველოსთვის დაბრუნებულ აჭარაში ბევრი იყო გამაპმადიანებული ქართველი. იგი „მთელს ძალას შეაღევდა... ოღონდ მოსწრებოდა ქართველთ მაპმადიანებში ქრისტიანობის გავრცელებას" (ზ. ჭიჭინაძე). ამიტომაც გარ-

დაცვალების წინ დედას სტეფანესთვის სიტყვიერად უთხოვია/ მისი სულის მოსახსენიებლად ბათუმში აეგო „ნმინდა ტაძარი“. დიახ, ელისაბედის რწმენით ღვთისმშობელმა რომ მადლი მოიღო მათს ოჯახზე ნავთობის სარენების ამოქმედებით, შვილებიც ვალდებული იყვნენ უფლისათვის მიექლვნათ სა- მაგიერო ძვირფასი საჩუქარი – აეგოთ ეკლესია.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ბა- თუმში თანდათან იზრდებოდა ქართველ კათოლიკეთა რიც- ხვი. მათ 1896 წელს ხელისუფლებისაგან აიღეს ნებართვა – პქონოდათ საკუთარი ეკლესია და 1897 წლის დამდეგიდანვე (იანვრიდანვე) დაინწყეს ეკლესის ასაშენებელი თანხის შეგ- როვება. იმავდროულად ადგილობრივ ხელისუფლებას სთხო- ვეს ადგილი ეკლესისათვის. ქალაქის გამგეობაშ ბათუმის ცენტრში გამოყო 400 საუკი მიწა. ამას გარდა, თვითონ კა- თოლიკებმა დამატებით კიდევ შეისყიდეს 200 საუკი და შე- უდგნენ ტაძრის მშენებლობას. დადგა ელისაბედ თუმანიშვი- ლის ანდერძის აღსრულების დროც. კონსტანტინე ზუბალაშ- ვილის ოჯახმა დიდი სიხარულითა და პატივით მიიღო ბათუ- მელი კათოლიკების თხოვნა ამ წმინდა საქმეში ფინანსური დახმარებისათვის (ჟრთი ინფორმაციით, პირველად კონსტან- ტინემ გაიღო 100 ათასი მანეთი მისივე სიცოცხლეში, ხოლო შემდეგ დანარჩენი 60 ათასი – სტეფანემ მშენებლობის პრო- ცესში). „ჩემი დაუკინებარი დედის მოსახსენებლად მე აგიშე- ნებთ ეკლესიას, ეს ჩემი სურვილიც იყო“, – განაცხადა სტე- ფანემ. იგი წლების მანძილზე უშუალოდ ხელმძღვანელობდა მშენებლობასაც.

1897 წლის 12 აპრილს საძირკველი ჩაეყარა ბათუმის დიდებულ ეკლესიას. მშენებლობისათვის სტეფანემ იტალიი- დან სპეციალურად მოიწვია არქიტექტორი, მხატვარი, მუშე- ბი. 1903 წლის დასაწყისში მთლიანად დასრულდა ტაძარი. შე- ნობის წინა მხარეს გამოქანდაკებულია მთელი ტანით წმ. ან- დრია მოციქული და წმ. წინო. ეკლესის კარის შესასვლელ- თან მარმარილოს ქვაზე ქართულ და ფრანგულ ენებზე ამოტ- ვითრულია ნარწერა: „ტაძარი ესე ყოვლად წმიდა ღვთისმშო- ლისა მარიამისა, თვისის ზღუდითურთ, ალვაგე მე სტეფანე კონ-



სტანტინეს ძე ზუბალაშვილმა, საცხოვნებლად სულისა ჩემისა,  
მშობელთა ძმათა და დათა ჩემთასა“ 18  $\frac{IV}{12}$  98 – 19  $\frac{VI}{30}$  02.

ტაძარი აკურთხეს 1903 წლის 5 მაისს. სტეფანემ ამ დღისათვის, ტაძრის საკურთხებლად, სარატოვიდან სპეციალურად მოიწვია კათოლიკეთა ეპისკოპოსი ედუარდ დე როპჰი. უკრავდა ორლანი, გალობდა დედათა გუნდი. უამრავი ხალხი დაესწრო საზეიმო ცერემონიალს. ამ ეკლესიის სახით ზუბალაშვილებმა კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი შესწირეს ქართველ ხალხს, ქართველ კათოლიკებს (ამჟამად ტაძარი დაკავებული აქვთ მართლმადიდებლებს).

სტეფანე ზუბალაშვილი გახლდათ აგრეთვე თბილისში უპოვართა სახლის დაფუძნების ძირითადი თაოსანი.

სტეფანეს გული მართლაც სავსე იყო უბრალო ადამიანთა სიყვარულითა და სიბრალულით, განსაჯუთრებით ეცოდებოდა სნეულები და მოხუცები. ამიტომ იყო, რომ, როცა სტეფანეს უთხრეს: ხომ არ აჯობებდა, ნიკოლოზ ზუბალაშვილის ნაანდერძევი თანხით უპოვართა სახლის ნაცვლად საქართველოში გახსნილიყო სკოლები, მან უყოყმანოდ განაცხადა თურმე: „არა, ეგეც საჭიროა. ქალქმი ბევრია საწყალი, მოხუცებული ქალი თუ კაცი, შეუძლონი, ღარიბები, სნეულნი, უპატრონობი. ესენიც ცოდონი არიან, რომ არავინ შეიძრალოს“ (ზ. ჭიქინაძე, სამაგალითო ადამიანი, გვ. 71).

ნიკოლოზ ზუბალაშვილის ანდერძი პირნათლად აღასრულეს სტეფანემ და მისმა ძმებმა (სხვა ნათესავი ზუბალაშვილებიც აქტიურად მონანილეობდნენ თურმე ამ სამადლო საქმეში). სახლის აშენება-მოწყობისათვის მათ კიდევ დაჭირდათ საქმაოდ დიდი თანხის დამატება, რათა იქაურ მობინადრეებს ჰქონდათ ცხოვრებისათვის ნორმალური პირობები და, რაც მთავარია, სითბო და სიყვარული.

ზუბალაშვილებს სტეფანეს გარდაცვალების შემდეგაც არ მოუკელიათ ყურადღება სამათხოვრო სახლისათვის. ფაქტობრივად წლების მანძილზე ისინი იყვნენ ამ თავშესაფრის მფარველები და პატრონნი.



სტეფანე ახლოს იცნობდა თბილისის ინტელიგენციის  
ნარმომადგენლებს: მეცნიერებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, კულტურულადაც ვაწევებს. დიდად აფასებდა მათს საქმიანობას, პიროვნულადაც პატივს სცემდა თითოეულ მათგანს და, სახელოვანი ნინაპრების მსგავსად, ყოველთვის იყო მეტად გულისხმიერი და გულ-თბილი მასპინძელი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ილია ზურაბიშვილის სტუმრობა ბაქოს ნავთობსარენებში, ასევე საქართველოში მონვეული ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი (რომელიც აცხოვრა თბილისში, საკუთარ სახლში, შემდეგ კი უმასპინძლა ბორჯომისა და ბაქოში), ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი (სტუმრად მიღდა ბაქოში) და ა. შ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სტეფანე ზუბალაშვილმა მთელი სიცოცხლე სამშობლოსა და ქართველი ხალხის კეთილდღეობას მიუძღვნა. მის მიერ გაღებულ უხვ, უსაზღვრო შემოწირულობას – ხილულსა თუ უხილავს – მიუმატა საკუთარი საცხოვრებელი სახლიც (პაპის – იაკობ ზუბალაშვილის მიერ აგებული მშვენიერი სასახლე), რომელიც სტეფანეს გარდაცვალების შემდეგ საჩუქრად გადაეცა თბილისის გამგეობას.

სტეფანე ზუბალაშვილი სიკედილის შემდეგაც იყო ხალხის მსახური, გაჭირვებულთა მფარველი და მეოხი. მისი ძმები ლირსულად აგრძელებდნენ საგვარეულო ტრადიციებს ბი ლირსულად აგრძელებდნენ საგვარეულო ტრადიციებს ქველმოქმედებაში, არ ივინყებდნენ სტეფანეს დაწყებულ საქმესა თუ სამომავლო გეგმებს და რეალობად აქცევდნენ ხოლმე განსვენებული ძმის სასიკეთო ჩანაფიქრს. ასე მაგალითად, სტეფანეს გარდაცვალების შემდეგ (ორიოდე თვეში) ძმებმა ზუბალაშვილებმა ქ.შ.ნ.ქ. გამავრცელებელ საზოგადოებას (რომლის საპატიო წევრი იყო სტეფანე) შესწირეს სოლიდური თანხა – 10 ათასი მანეთი. ამასთან დაკავშირებით საზოგადოების გამგეობამ სხდომაზე მიიღო ასეთი დაგენილება: 1) უგულითადესი მაღლობა გამოეცხადოს საზოგადოების სახელში შემოწირველთ; 2) მოხსენდეს მომავალ საზოგადო კრებას ეს შემოწირულობა და ეთხოვოს, რომ შემოწირველი არჩეულ იქნენ საზოგადოების საპატიო წევრებად; 3) განსვე-

ნებული სტეფანე კონსტანტინეს ძის სურათი, ძვირფას ჩარ-<sup>კოვაციული</sup>  
ჩოში ჩასმული, გამოკიდებულ იქნას საზოგადოების დარბაზში<sup>კოოპორაცია</sup>  
ში... თანხა მოახმაროს ქართველი ბავშვების აღზრდა-განათ-  
ლებას, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა" (ივერია,  
1904, 6 ნოემბ., № 254, გვ.1).

ამ ასპექტით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ფასეულია  
სტეფანეს ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისში ბავშვთა პირ-  
ველი საავადმყოფოს დაფუძნება.

რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს ძმები ზუბალაშვილე-  
ბის მიერ ბავშვთა საავადმყოფოს აგებით განეული ქველმოქ-  
მედების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ხალხის ისტორიაში,  
მოკლედ ნარმოვადგენთ იმ რეალურ ვითარებას, რაც სუფე-  
და საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჯან-  
მრთელობის დაცვის თვალსაზრისით.

ისტორიული წყაროების მიხედვით, თბილისის ერთა-  
დერთი პატარა „საავადმყოფო“ (რომელიც მდებარეობდა ქა-  
ლაქის ცენტრში, ველიამინოვის ქუჩაზე) 1858 წელს გადაიტა-  
ნეს ვერაზე (უფრო განაპირო უბანში) და განათავსეს კერძო  
პირისაგან შეძენილ სახლში, სადაც საწოლების რიცხვმა 70-ს  
მიაღწია თურმე.

ცხადია, ეს სამკურნალო „დაწესებულება“ მინიმალურა-  
დაც ვერ დააკმაყოფილებდა ავადმყოფი პაციენტების მოთ-  
ხოვნებს, ვერ შეძლებდა ყველა მათგანის მიღებასა და მკურ-  
ნალობას. ხშირი იყო ინფექციურ დაავადებათა შემთხვევები,  
ტუბერკულოზი იქცა მეტისმეტად საშიშ დაავადებად და დღი-  
თი დღე მატულობდა ამ სენით დაავადებულთა სიკვდილიანო-  
ბის რიცხვი. ამ ვითარებიდან გამომდინარე, 1864 წლიდან  
თბილისის მოსახლეობისა და ექიმთა საზოგადოების დაუინე-  
ბული მოთხოვნით ქალაქის გამგეობა იძულებული გახდა, ეზ-  
რუნა ახალი – ნამდვილი საავადმყოფოს გახსნაზე.

მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ, 1868 წლის ნოემ-  
ბერში, თბილისში, მიხაილოვის ქუჩაზე (დღევანდელი დავით  
ალმაშენებლის გამზირი), გაიხსნა პირველი საავადმყოფო  
(შემდგომ ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური  
კლინიკური საავადმყოფო“), რომელიც თავისი დროის შესაბა-

მისად კარგად ყოფილა მოწყობილი, აღჭურვილი საჭირო იხ-  
ვენტურითაც; 200 სანოლით ემსახურებოდა თერაპიულ-დანქონდა  
რურგიულ განყოფილებებს, მაგრამ არც ის შენობა აღმოჩნდა  
საკმარისი; მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში განსაკუთრებით  
ბევრი იყო ინფექციური ავადმყოფი. ამიტომ ქალაქის თვით-  
მმართველობა ხსნიდა დროებით ინფექციურ „საავადმყოფო-  
ებს“, თუმცა ისინი ხშირად თვითონვე გადაიქცეოდნენ ხოლმე  
ინფექციის გავრცელების წყაროდ.

1898 წელს თბილისში, ავლაბარში, სპეციალურად ინ-  
ფექციურ ავადმყოფთათვის გაიხსნა პირველი სტაციონალუ-  
რი ბარაკი (20 სანოლით) და ენოდა „ქალაქის მწვავე გადამ-  
დებსენიანთა საავადმყოფო“ (სწორედ ეს თარიღი მიაჩინიათ  
ქალაქის პირველი საავადმყოფოს ისტორიის დასაწყისად).  
მომდევნო წლებში კიდევ დაემატა რამდენიმე ასეთი ბარაკი;  
კერძოდ: 1900 წელს – ერთი (20 სანოლით), 1902 წელს – ორი  
(20-20 სანოლით), 1908 წელს – ორი სახლი (10 სანოლით).

ცნობილია, რომ 1900-იანი წლების დასაწყისში განსა-  
კუთრებით ხშირი იყო ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვევები  
თბილისსა და სხვა რეგიონებში. მაშინ საქმეს ისიც ართუ-  
ლებდა, რომ ინფექციურ სწეულებათა სამკურნალო ბარაკებ-  
ში ხვდებოდნენ როგორც მოზრდილები, ისე ბავშვები, რო-  
მელთა შორის ყველა როდი იყო ინფექციით დაავადებული. ამ  
მძიმე სიტუაციას ძმები ზუბალაშვილებიც კარგად იცნობ-  
დნენ: მათი უფროსი ძმა – 6 წლის ანდრია სწორედ ავადმყო-  
ფობით გარდაცვლილა, რასაც ზუბალაშვილები მეტად მტკიც-  
ნეულად განიცდიდნენ თურმე. ამიტომ სტეფანესა და მისი  
ძმების დიდი სურვილი ყოფილა აეგოთ სპეციალურად ბავ-  
შვთათვის ახალი საავადმყოფო, რათა უფასოდ ეზრუნათ ყვე-  
ლა პატარას ჯანმრთელობაზე.

ზუბალაშვილთა მიერ ბავშვთა საავადმყოფოს გახსნის  
იდეასთან დაკავშირებით არსებობს ასეთი გადმოცემაც: კონ-  
სტანტინეს განუზრახავს გარდაცვლილი შეილისათვის გაეკე-  
თებინა ძვირფასი საფლავი, ეს გადაწყვეტილება გაუცვნია  
ახლო მეგობრებისათვის, ამათ კი ასე ურჩევიათ: „შეილის  
ხსოვნისათვის ააშენეთ ბავშვთა საავადმყოფო, ეს იქნება

გარდაცვლილის სულის ყველაზე ძვირფასი შესანირავი, გამორჩეული ძეგლიო (ნოე ლევავა).

სტეფანეს მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ლევანმა, პეტრემ და იაკობ ზუბალაშვილებმა ძმის პატივსაცემად გადაწყვიტეს, დროულად გაეღოთ დიდი შენირულობა სტეფანეს კეთილი სურვილისა და ერისათვის მეტისმეტად საჭირო ჩანთიქრის აღსასრულებლად.

ამასთან დაკავშირდით, პირველ ყოვლისა, წარმოვადგენთ გაზეთ „ივერიის“ 1904 წლის 237-ე ნომერში გამოქვეყნებულ ინფორმაციას: „გუშინნინ თფ. ქალაქის მოადგილეს თავ. გ. ჩერქეზიშვილს აცნობეს ამას წინათ გარდაცვალებულის სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის ძმებმა, რომ ჩვენის დაუკინყარის ძმის სახსოვრად ქალაქს შევსწირეთ ერთი მილიონი მანეთი ბავშვთათვის საავადმყოფოს ასაგებადაო“.

მასალებით ირკვევა, რომ ძმებმა ზუბალაშვილებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, გამოეყოთ შესაფერისი ადგილი საავადმყოფოსათვის: „ჩვენ მაშინვე შევუკვეთავთ გეგმას პეტერბურგის ხუროთმოძღვრებს, აგიშენებთ სახლს, მოგინყობთ და ჩაგაბარებთ“.

გადაწყდა 80 სანოლიანი საავადმყოფოს აგება, ოლონდორი პირობით: 1) საავადმყოფო აშენდეს ცალკე (განსაკუთრებულ) ნაკვეთზე და იყოს შემორაგული, 2) საავადმყოფოში არ მოთავსებულიყო ინფექციური სენით დაავადებული ბავშვები.

თბილისის თვითმმართველობამ, ზუბალაშვილების თხოვნის შესაბამისად, საავადმყოფოსათვის გამოყო სპეციალური ადგილი ისევ ავლაბარში (დღევანდელი I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე), სადაც უკვე აშენებული იყო ბარაკები სამედიცინო მომსახურებისათვის.

ქალაქის გამგეობის 1907 წლის 9 ნოემბრის სხდომაზე განიხილეს ბავშვთა საავადმყოფოს პროექტი, რომელიც ზუბალაშვილებმა შეადგენინეს ევროპელ სპეციალისტებს. მშენებლობის ხელმძღვანელობა დაევალა ქალაქის არქიტექტორს ზურაბიანცს. აქვე აღინიშნა, რომ საავადმყოფო დამთავრდებოდა დაახლოებით 1908 წელს. მაგრამ მისი მთლიანი კორპუ-

სის მშენებლობის დასრულება და სათანადოდ აღჭურვა ვეო  
მოესწრო ნავარაუდევ პერიოდში, რადგან ამ ახალ პავილიონთა შემთხვევაში კი უკელა სამუშაო სრულდებოდა მაღალხარისხოვნად. სამართულიან ნითელი აგურის ლამაზ შენობას (რომელიც თავისი სტილით, გარეგნული იერსახით ერთგვარად ჩამოპერავდა უპოვართა თავშესაფარს) ჰქონდა ორი განყოფილება: თერაპიული (67 სანოლით) და ქირურგიული (34 სანოლით). თერაპიული განყოფილება მოთავსებული იყო მეორე სართულზე, ქირურგიული – მესამეზე. პირველი სართული დაეთმო „სარეალი სამზარეულოს“.

ძმებმა ზუბალაშვილებმა სამედიცინო აპარატურა უცხოეთიდან ჩამოიტანეს; ორივე განყოფილება მოაწყვეს ეპროპულ დონეზე: აქ იყო მაგარი და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფილი, ფართო, ნათელი პალატები, შესაბიძნავი ბოქსები, ლაბორატორია... ბუნებრივია, ეს ცენტრალური დაკავშირებული იქნებოდა დიდ თანხასთან. როგორც ერთი საგაზიერო ინფორმაცია იტყობინება, „ბავშვთა საავადმყოფოს საბოლოო დასრულებისათვის ძმებს თურმე თანხა დააკლდათ. ამიტომ სხვა კომერსანტებს მიმართეს თხოვნით – ცული გაერთო სესხად. ვაჭართა შორის, ვინც სესხი გაიღო, იყო დავით სარაჯიშვილიც და ცნობილი არამიანციც (სამწუხაროდ, სხვათა გვარები უცნობია). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არც ერთმა კომერსანტმა სესხად გაღებული თანხა არ დაიბრუნა, გარდა არამიანცისა (მაინც ისე მოხდა, რომ არამიანცის სახელი საავადმყოფოს დღემდე მოჰყვება)“ (იხ. მ. ვავახაძე, არამიანცის, ზუბალაშვილის თუ სარაჯიშვილის საავადმყოფო: „ახალი ქართული გაზიერი“, 1998, 13 ოქტომბერი).

1913 წლის 17 ნოემბერს თბილისის ერთ-ერთ ძეგლ უბანში, ავლაბარში, გაიხსნა საქართველოში და, საერთოდ, ამიერკავკასიაში ბავშვთა პირველი მუდმივი საავადმყოფო. ეს გახლდათ უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართული მედიცინის ისტორიაში.

საზეიმო ლონისძიებას ესწრებოდნენ კავკასიის მეფის ნაცვალი ვორონცოვ-დაშვილი მეუღლითურთ, საქართველოს ეგზარქოსი ალექსი, კავკასიის უმაღლესი მოხელეები, დაწესე-



ბულებებისა და საზოგადოების ნარმომადგენლები... აღევლია ნა კათოლიკური და მართლმადიდებლური წირვა, ნაიკითხება მრავალი მილოცვა თუ ადრესი (იხ. ფოტომასალაში), ნარმო-ითქვა სიტყვები...

საზოგადოება მადლიერებას გამოთქვამდა ძმები ზუბა-ლაშვილების მიმართ ამ დიდი ეროვნული, საშვილიშვილო საქმის აღსრულებისათვის; ერთხელ კიდევ ქებით მოიხსენიებ-დნენ სტეფანეს უდიდეს ლვანლსა და დამსახურებას მშობელი ქვეყნის წინაშე. ახალაგებულ საავადმყოფოს ენოდა სტეფანე ზუბალაშვილის სახელი. ერთი ვერსიით, მაღალი გალავნით შემოღობილ ეზოში დაიდგა სტეფანეს ბიუსტი, შენობის შე-სასვლელში კი გამოიკიდა მისი სურათი.

ქალაქის ხელმძღვანელობისა და საავადმყოფოს დამ-ფუძნებელთა მთავარი საზრუნავი იმთავითვე გახდა მედპერ-სონალის სწორად შერჩევა-მონვევა. ამ შვერნიერ შენობაში განთავსებული, ყოველმხრივად გამართული საავადმყოფო უნდა დაკომპლექტებულიყო გამოცდილი, საუკეთესო სპეცია-ლისტებით, რომლებიც ერთგულად დაიცავდნენ პიპოკრატეს ფიცს და, რაც მთავარია, ამ უფასო საავადმყოფოს შეუნარ-ჩუნებდნენ ღირსებას, პატივს მიაგებდნენ ძმები ზუბალაშვი-ლების კეთილშობილურ მიზანდასახულებას.

აქვე დავსძენთ: იმდროინდელი მასალებით ირკვევა, რომ ახალი საავადმყოფო პირველი დღეებიდანვე ერთგულად შე-უდგა თავისი მისიის შესრულებას და მალევე დაიმსახურა ხალხის მადლიერება და პატივისცემა. სწორედ ამაზე მეტყვე-ლებს ქვემოთ ნარმოდგენილი ერთი საგაზეთო ინფორმაციაც:

„ამას წინად ტფილისის ხელოსანთა საზოგადოებამ სა-განგებო აღრესი მიართვა უხევ ქველმოქმედთ ძმებს ზუბალაშ-ვილებს, რომელთა ხარჯითაც ავლაპარში აგებულ იქნა საბავ-შეო საავადმყოფო. აღრესში საზოგადოება მადლობას უცხა-დებდა იმის გამო, რომ ამათ ქალაქის უღარიბეს მცხოვრებთ შეძლება მისცეს ხელმისაწვდომ ფასში რიგიანად წამლობისა“.

1913-1917 წლებში ბავშვთა საავადმყოფოს განაგებდა მედიცინის დოქტორი, დამსახურებული ექიმი ნ. უმიკაშვილი (უმიკოვი), თანამშრომლები იყვნენ: ე. თ. კვეზერელი-კოპაძე,




პროფ. მ. უგრელიძე, ნ. გ. სუნდუკიანცი, ნ. დ. კილოსაშიძე  
და სხვები.

საავადმყოფოს მედპერსონალი წლითიწლობით ისევძო-  
და მაღალკვალიფიციური კადრებით. 1921 წელს თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტში სამუშაოდ მოიწვიეს ნოვოროსი-  
სისკის უნივერსიტეტის პროფესორი, საქვეყნოდ ცნობილი ექი-  
მი სიმონ კონსტანტინეს ძე გოგიტიძე. იგი მაშინვე ჩაუდგა  
სათავეში ქალაქის პირველი საავადმყოფოს ბავშვთა პავილი-  
ონს, იმავდროულად თბილისის უნივერსიტეტში დააარსა პე-  
დიატრიის კათედრა. სახელოვანი მეცნიერისა და პრაქტიკოსი  
ექიმის უშუალო ხელმძღვანელობით ჩენში აღიზარდა მრავა-  
ლი პედიატრი (თერაპევტი თუ ქირურგი), რომლებიც წლების  
მანძილზე გულმოდგინედ ემსახურებოდნენ ბავშვთა ჯან-  
მრთელობას და, რომელთა წყალობით, მაშინ მკურნალობა  
მართლაც უფასო იყო.

და ბოლოს: საბჭოთა ეპოქაში პერიოდულად მიმდინარე  
რეფორმების შედეგად მეტ-ნაკლებად იცვლებოდა ქალაქის  
პირველი საავადმყოფოს მთლიანი სტრუქტურა (მისი რამდე-  
ნიმე განყოფილება განთავსებული იყო სხვადასხვა კორპუსში). 1990-იან წლებამდე შემცირდებოდა მიერ აგე-  
ბულ შენობაში კვლავ ფუნქციონირებდა ბავშვთა თერაპიული  
და ქირურგიული კლინიკები, მაგრამ დაახლოებით 1995 წლი-  
დან იმის მიზეზით, რომ შენობა მოითხოვდა კაპიტალურ შე-  
კეთებას (ზუბალაშვილთა მსგავსი ქველმოქმედი ქართველები  
კი არ ჩანდნენ!), ამ ძველი კორპუსის სამედიცინო პერსონალი  
გადაიყვანეს იქვე ახლოს აგებულ შენობაში, VI სართულზე.

მიუხედავად ბავშვთა საავადმყოფოს თანამშრომელთა  
დიდი სურვილისა და მონდომებისა, არ მოხერხდა მათი თავ-  
დაპირველი – დამოუკიდებელი კორპუსის შენარჩუნება. ერ-  
თადერთი, რაც მათ შეძლეს ამ ეტაპზე, ის გახლავთ, რომ  
დღეს მათი განყოფილება ოფიციალურად არის შ.პ.ს „ძმები ზუ-  
ბალაშვილების სახელობის პედიატრიული კლინიკა“.

... ასი წლის ნინათ აგებული შენობა, რომელმაც ათასო-  
ბით ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინა არა მხოლოდ მედპერსო-  
ნალის თავდადებული საქმიანობით, თავისი დროისათვის საუ-



კეთესო აღჭურვილობით, არამედ მშვენიერი ეზო-გარემოზ თიც, დღეს, დევნილთა თავშესაფრად ქცეული, საცოდავაჟუ გამოიყურება... ალაგ-ალაგ დაბზარული კედლები, მოუვლელი, დანაგვიანებული ეზო და მისი შემოგარენი, უპატრონოდ მიტოვებული მწვანე ნარგავები... აშკარად მეტყველებს თანამედროვე საზოგადოების გულფივობაზე, ადამიანთა (თუნდაც იქ ჩასახლებულთა) მხრიდან საერთო საქმისადმი ზერელე, გულგრილ დამოკიდებულებაზე და იმაზეც, რომ, სამწუხაროდ, სრულიად დავკარგეთ წარსულისადმი პატივისცემა, დავივინყეთ ცნებების – სიკეთის, ქველმოქმედების ჭეშმარიტი არსი...

სიძველის მიუხედავად, შენობის გარეთა ნაწილზე აქა-იქ ჯერ კიდევაა შემორჩენილი ლამაზი ჩუქურთმები, როგორც მთლიანი შენობის მშვენიერი წარსულის სიმბოლო.

აქვე გვინდა მეითხველს შევახსენოთ ერთი ცნობილი ფაქტის შესახებაც: XX საუკუნის დასასწისში თბილისში, ინ-ფეციურ დავადებათა განსაკუთრებით გავრცელების გამო, ქალაქის ხელმძღვანელობამ 1903 წელს მიიღო დადგენილება – ქალაქის თვითმმართველობისა და ნანილობრივ კერძო პირთა შენირული თანხებით ისევ ავლაბარში (დღევ. ნინანდლის ქუჩის მხარეზე), გადამდებსენიანთა ბარაკების ადგილზე აეშენებინა ახალი საავადმყოფო (ახალი პავილიონი) 100 საწოლით. 1904 წელს დამტკიცებული პროექტით ქალაქის საავადმყოფოს ექნებოდა თერაპიული და ქირურგიული განყოფილებები. უმთავრესად ფინანსური მიზეზით საავადმყოფოს მშენებლობა ძალიან გაჭირებულა, იგი საექსპლოატაციოდ გადაეცა 1909 წლის დასასრულს, ოფიციალურად კი გაიხსნა 1910 წლის 2 თებერვალს და ენოდა „ქალაქის პირველი საავადმყოფოს ინფექციური განყოფილება“ (ამჟამად ეს შენობა იძულებით გადაადგილებულთა საერთო საცხოვრებელია).

თანამედროვეთა გადმოცემებისა თუ მასალების მიხედვით, ამ კორპუსის მშენებლობაში ფინანსურად მონანილეობდნენ არამიანციც, ზუბალაშვილებიც და სხვა ქართველი კომერსანტებიც (სამწუხაროდ, საზოგადოებისათვის არამიანცის გარდა ყველა სხვა გვარი უცნობია!). ისიც ცნობილია, რომ

არამიანცმა მოგვიანებით თავისი ნილი მიჰყიდა ქალაქის გან-  
გეობას, მაგრამ მაინც, ისევ ქართველთა დაუდევრობილ შე-  
ნიანის მიმართ გულგრილი დამოკიდებულებითა და მავანთა  
გაყალბებული ინფორმაციების წყალობით, ავლაბარში გან-  
თავსებულ ქალაქის პირველი საავადმყოფოს მთლიან კომ-  
პლექსს, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო იმავე  
ტერიტორიაზე არსებული ზუბალაშვილთა სახელობის ბავ-  
შვთა დამოუკიდებელი საავადმყოფო და ფუნქციონირებდა  
ათეული ნლების მანძილზე, დღემდე დაუმსახურებლად შე-  
მორჩა მხოლოდ არამიანცის სახელი და ძალიან ცოტამ თუ  
იცის ქართველი ქველმოქმედი მამულიშვილების არა თუ  
ღვანწლი, არამედ გვარიც კი!

... ამ მნარე სინამდვილის გამო უნებურად მაგონდება  
ხალხური სიბრძნე: „ვისაც არა აქვს ნარსულის რიდი, ცუდ ის-  
ტორიას ამკვიდრებს იგი“...

**შენიშვნა:** საავადმყოფოების შესახებ ზემოთ ნარმოდგენილი მა-  
სალა ძირითადად მოძიებულია ნიგნიდან „თბილისის ქალაქის /  
კლინიკური საავადმყოფო“, თბ., 1961; ასევე გათვალისწინებუ-  
ლია იქაური მედპერსონალის ზეპირი ინფორმაციებიც.



სტეფანეს სახელს უკავშირდება „ძმები ზუბალაშვილე-  
ბის ქუჩის“ სახელდების ისტორიაც. ცნობილია, რომ მთანმინ-  
დის იმ უბანში, სადაც ახლა ძმები ზუბალაშვილების ქუჩაა,  
ძველად მოცავსებული ყოფილა ტყვია-წამლის საწყობი, ე.ნ.  
„არსენალი“, ამის მიხედვით რქმევია „არსენალის ქუჩა“. შემ-  
დეგ აქ დაუდგამთ მცირე მოცულობის სასამართლოს შენობა  
და ქუჩისთვის უწოდებიათ „პატარა სასმართლოს ქუჩა“ (ი.  
ახუაშვილი).

1908 წელს, როცა ამ ქუჩაზე ზუბალაშვილთა მიერ უკვე  
აშენებული იყო უპოვართა სახლი, იქვე ახლოს – უფასო სასა-  
დილო „სამადლო“, თბილისის გამგეობაში ხმოსნებმა შეიტა-  
ნეს ნინადადება ამ ქუჩის ახალი სახელწოდების თაობაზე.  
ცოტა მოგვიანებით, 1911 წლის 21 იანვარს, თბილისის გამგე-

ობამ სტეფანესა და მისი გვარის დამსახურებისათვის მიიღო დადგენილება – „პატარა სასამართლოს ქუჩა“ იწოდებოდა „სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩად“. ასე იყო 1934 წლამდე. ამის შემდეგ მიეკუთვნა ვიღაც ათარბეგოვის სახელი. საბედნიეროდ, 1990-იანი წლებიდან, საქართველოს პრეზიდენტის ზეიად გამსახურდიას დროს საგანგებო ყურადღება მიექცა დედაქალაქში (და მთელს საქართველოში) ქუჩების სახელწოდებათა საკითხს... ბევრს კიდეც შეეცვალა სახელი, მათ შორის აღმოჩნდა ათარბეგოვის ქუჩაც, რომელიც ქართველი ინტელიგენციის მოთხოვნით, პროფესორი ი. ახუაშვილის დიდი ძალისხმევით, ბავშვთა საავადმყოფოს კოლექტივის მხარდაჭერით კვლავ ატარებს ძმები ზუბალაშვილების სახელს.

...რაც უფრო ვრცლად ეცნობი სტეფანეს ნაღვანს, მით უფრო მეტად გეუფლება უსაზღვრო მადლიერების გრძნობა. ღმერთმა ქნას, ყოველმა ქართველმა სრულად გაითავისოს თავისი პიროვნული მოვალეობა და პასუხისმგებლობა სამშობლოს ნინაშე და ყოველთვის ახსოვდეს ჩეენი სახელოვანი მამულიშვილის სტეფანე ზუბალაშვილის სიტყვები: „...მე მოვალეობად მიმაჩნია, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა თითო აგური მიიტანოს და დადოს. მე ჩემი აგურები მივიტანე და ასევე ჩემმა ძმებმაც. კიდევაც მივიტან“.

„ძეველ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ სტეფანეს გული ფულმა ვერ გაუმქისა.... იგი არის ისეთი კაცადყაცი, რომელმაც სიტყვა და მისი მნიშვნელობა ერთობ კარგად იცის.... იგი არის სიტყვის კაცი და საქმის მკეთებელი“ (ზ. ჭიჭინაძე).

„ზუბალაშვილთა გვარში განსაკუთრებული ადგილი სტეფანეს უჭირავს. მართლაც რომ სამშობლო იყო სტეფანეს საკურთხეველი“ (ვ. გურგენიძე). სწორედ ამ საკურთხეველთან მიიტანა მან „თავისი აგური“, „დიდი წელილი დადო საეროვნო ტრაპეზზე“; პირნათლად მოიხადა ამქვეყნიური ვალი.

სტეფანე ზუბალაშვილის პიროვნება თაობებისათვის მუდამ უნდა იყოს სამაგალითო და მისაბაძი!

სტეფანეს ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ჩეენეულ თხრობას დავამთავრებთ პეტრე მირიანაშვილის

სტატიით, რომელიც დაიბეჭდა ურნალ „კეჯილში“ (1904,  
ოქტომბერი) კლდიას-ს ფსევდონიმით.




## სტეფანე ზუბალაშვილი

პატარა მკითხველები! თუ არ იცით, სახელი რას ჰქვია,  
გთხოვთ, ცოტა ხანს ყური მათხოვოთ.

ყოველი ადამიანი უსახელო იბადება, მაგრამ კი კვდება  
ისე, რომ ორი სახელი რჩება: ერთი სახელი, რომელიც ნათლო-  
ბის დროს დაურქმევიათ მისთვის და გამხდარა სახსოვრად  
მის ნათესავთა შორის, ხოლო მეორე სახელი თვითონ მას შეუ-  
ძენია და სახსოვრად, ნათესავებს გარდა, სხვებისთვისაც გამ-  
ხდარა, ხან რომლისამე საზოგადოებისთვის, ხან ქვეყნისთვის,  
მაგრამ ეს სახელი ისეთი როდია, დასაძახებლად გამოდგეს,  
როგორც მაგ. ივანე, მათე და სხვ. არა, ეს სახელი ადამიანს გა-  
მოაჩენს თვითონ ან კეთილად, ან ბოროტად, ასე რომ ადამი-  
ანს ზოგს კეთილი კაცის სახელი აქვს, ზოგს კიდევ ბოროტისა,  
ზოგი ხომ სულ უსახელოა.

კეთილი ადამიანი იქნება, ვინც თავისს გონებას, თავისს  
ქონებას კეთილად ხმარობს, ესე იგი, ვინც ამ ორთავ ნიჭს,  
როგორც სულიერს, ისე ნივთიერს სიმართლის სამსახურს  
ჰსნირავს, სიმართლის სიყვარულით გამსჭვალული. სიმარ-  
თლის სიყვარული-კი ისეთი რამ არის, რომ მისი პატრონი,  
გონებიანი იქნება, თუ ქონებიანი, შეუძლებელია, დაჩაგრულ,  
გაჭირვებულ მოძმეს არ დაეხმაროს, ხელი არ გაუმართოს. კე-  
თილი ადამიანი გონებიანიც და ქონებიანიც ორნივ მოღვაწედ  
ითვლებიან ერთი მნირლობით, თუ ხელოვნებით, ხოლო მეო-  
რე კეთილ მყოფელობით, ანუ ქველმოქმედებით.

სტეფანე ზუბალაშვილიც, რომელიც ქართველობამ გა-  
სული ენკენისთვის ოცდა-შვიდს მიაბარა შავ მინას და საუკუ-  
ნოდ გამოეთხოვა, ქველმოქმედებით იყო განთქმული, ესე იგი  
მოყვარული იყო კეთილის საქმისა და ასეთი საქმე სწავლისა  
და კეთილზენობის გავრცელება იქმნებოდა, თუ ღარიბის, გა-  
ჭირვებულის დახმარება, თავის ქონებას უხვად ჸსნირავდა,  
მაგრამ იმიტომ-კი არა, ექოთ და მადლობა გადაეხადათ, არა-



მედ იმიტომ, რომ მისი ბუნება მოითხოვდა, კარგად მცოდნე  
მისი, რომ ღვთის ბოძებული ქონება მოძმის სარგებელიც უზიანებით იყო  
და ყოფილიყო.

სტეფანე ზუბალაშვილი ქართლელი აზნაურიშვილი იყო,  
კარგი ოჯახიშვილი. მათი გვარი ძველადგანვე სოვდაგრობით  
იყო განთქმული და მამა მისმა კონსტანტინემ ხომ სოვდაგ-  
რობა რომ აღარ იყმარა, ნავთის მრეწველობას მოჰკიდა ხელი.  
ნავთის მრეწველობა იგივე ნავთის შოვნაა და ჩვენს ქვეყანაში  
ნავთი მხოლოდ ბაქოში იძოვება, დედამიწის გულშია და თუ  
მარჯვე ადგილს ლრმად ჩაგდებულმა ბურლმა უნია, მაშინვე  
ამოხეთქს შადრევნად, რომელიც დღეში ამოისვრის რამდენ-  
სამე ათას ფუთსა, რასაც ათასობით მუშები დიდრონ აუზებში  
აგროვებენ. ასეთი ნავთის შადრევნები განსვენებულ სტეფა-  
ნეს ბევრი პქონდა და კიდევ უფრო ბევრი ჟყავდა მუშა.

მისი გულკეთილობა პირველად ამ მუშებმა იგრძნეს. არა  
თუ გადაჭრილი სამუშაო ფასის მიმცემი იყო ქველი სტეფანე,  
არამედ ნამდვილი მფარველი და შემწე თავის მუშებისა, რაკი  
იცოდა, რომ მისი აუარებელი ქონების შემძინებელი მუშებიც  
იყვნენ აგრეთვე. ამიტომ გულში ჩაუვარდა საერთოდ მუშე-  
ბის გონებრივ და ზნეობრივ განვითარების აზრი, რომლის  
განხორციელება საუმჯობესოდ დაინახა ჩვენს დედა-ქალაქში  
ტფილისში და ეიდეც ააგო სახალხო ხახლი, სადაც საკითხავი  
ნარმოდგენები და სიმღერები სახალხოდ იქნება გამართული.  
სტეფანე გულ-კეთილი და მოწყალე მამა იყო საწყალი ხალხი-  
სა, რომელიც მხოლოდ მისი ნამოწყალებით ირჩენდა თავსა,  
ხელს უმართავდა გაჭირვებულ ახალგაზრდობას, რომ სწავლა  
მიეღოთ რუსეთში, თუ საზღვარ გარეთ. განსაკუთრებით  
ეფიქრებოდა ბედი იმ დიდი სასწავლო შენობისა, რომელიც  
ტფილისში ვერაზე კეთდება თავად-აზნაურთა შვილებისთვის  
და რომელსაც შესნირა დიდ ძალი ფული, ეფიქრებოდა ბედი  
აგრეთვე ქართული წიგნების და უურნალ გაზეთების გამოცე-  
მისა, რომელთა შორის ჩვენ „ჯეჯილსაც“ მიაქცია ყურადღება  
და ყოველ წლივ ანოდებდა ფულს, რომ ღარიბ სკოლებს და  
თეით ოჯახებსაც მისვლოდათ მუქთად უურნალი. ქართული  
ნარმოდგენების გამართვისა, ქართველთა შორის ნერა-კით-



ხვის გავრცელების საქმეც არ დააგდო უნუგეშოდ, რისთვის /  
საც გაიღო საქმაო ფული, რაკე იცოდა, რომ თეატრი უდიშვილი  
ნის სიკეთეს და ზნების სინმინდეს, ხოლო წერა კითხვის  
გავრცელება და უურნალ-გაზეთების და ნიგნების გამოცემა  
გონიების განვითარებას ემსახურება.

მაგრამ საუკუნო ძეგლი, რომელიც განსვენებული სტე-  
ფანეს სახსენებელს უკვდავსა ჰყოფს, ის ტაძარია, რომელიც  
მან აღაშენა. ქართველ კათოლიკეთა თევის დასავლეთ საქარ-  
თველოს ქალაქ ბათომსა. ააშენა არა თავის სადიდებლად,  
არამედ ჭეშმარიტის სარწმუნოებით აღძრულმა, რა-კი უწყო-  
და, რომ მორწმუნე ადამიანის სულისთვის უშიშარი საყუდე-  
ლი ამ შფოთიანსა და მღელვარე ცხოვრებაში ნმინდა ტაძა-  
რია. ამ ძეგლის ამართვით თითქო სურდა ეთქვა, თუ ბათომი  
ნავთ საყუდელია, მისი ტაძარი, ჩემი აშენებული მორწმუნე  
სულთ საყუდელი შეიქმნესო. რა იყო უმთავრესი მიზეზი მის,  
რომ განსვენებული სტეფანე ასე უზომოდ გულ-კეთილი და  
ქველ-მომქმედი იყო? ქველობა მას უანდერძა განსვენებულმა  
დედა მისმა თავად თუმანაანთ ქალმა ელისაბედმა, რომელიც  
თურმე ღარიბს ხელ ცარიელს არ გაუშვებდა და თანაც ეტყო-  
და, წადი არავინ გინახოსო. მაცხოვრის მცნება გიყვარდეს  
მოყვასი, როგორც თავი შენიო, დიახ გასაგები და აღვილ შე-  
სასრულებელი შეიქმნება, თუ ადამიანს სათხოებიანი და ქვე-  
ლი დედა ეყოლა და ქველი ელისაბედის გაზრდილი სტეფანეც  
ხომ მოყვასთა სიყვარულისთვის არაფერს იშურებდა და აკი  
იმდენიც გაიმეტა, თუმცა ჯერ კიდევ შეუ ხნის კაციც არ იყო.

სამწუხარია, რომ ასეთი ადამიანი მაშინ მოკვდა, როცა  
ქველმოქმედების ერძნობა სრულად არ პქონდა ჯერ გაფურ-  
ჩქნული და აყვავებული. სწორედ მისთვის ითქმის, დედამ რომ  
შეილი გაზარდოს, ე მაგრე შენისთანაო.

განსვენებული სტეფანე უშვილო იყო და არც ეძებდა მა-  
მაობის გვირვეინსა, რადგანაც ყოველი გაჭირვებული და  
ობოლი ახალგაზრდა მას შეილად მიაჩნდა და მისმა პატიო-  
სანმა ძმებმა ლევანმა, იაკობმა და პეტრემ განსვენებული  
სტეფანეს სახსოვრად ამ პატარა სანკლების საავადმყოფოს  
ასაშენებლად დიდაძლი ფული შესწირეს ქალაქსა.



სამაგიეროდ, თითქოს სახელის გასამართლებლადო უკრაინული  
რაფიანაც სტეფანე ბერძნულად გვირგვინს ჰნიშნავს, ქველმისადაციონია  
სტეფანემ თავს დაიდგა გვირგვინი, მაგრამ ქორნინებისა-კი  
არა, არამედ უკვდავებისა, ისიც თავისი ადამიანობით, მამუ-  
ლიშვილობით, მორნმუნეობით და მით ყველას დაგვიგდო ან-  
დერძად უკვდავი მოთა რუსთველის ბრძნული თქმულება:

ჰსკობს სახელისა მოხვეჭა  
ყოველსა მოსახვეჭელსა.

კლდია

## პეტრე ქონსტანტინეს ძე ჩუბალაშვილი

პეტრე ზუბალაშვილი დაიბადა 1862 წელს თბილისში. ოჯახის ტრადიციის მიხედვით, პირველდაწყებითი განათლება მიიღო შინ დედის ხელმძღვანლობით. სწავლობდა ჯერ თბილისის გიმნაზიაში, შემდეგ – რუსეთში ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში. აქვე მიანიჭეს ინჟინრის ხარისხი.

პეტრე ძირითადად თბილისში ცხოვრობდა. იგი გახდათ ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრების ქეშმარიტი გულშემატკიცარი, ძმებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საქველმოქმედო ღონისძიებებში, დამოუკიდებლადაც ხშირად გასცემდა უხვ მოწყალებას. ამიტომაც პეტრეს თბილისში კარგად იცნობდნენ, პატივს სცემდნენ და აფასებდნენ, როგორც განათლებულსა და ღირსეულ მამულიშვილს.

თანამედროვეთა გადმოცემით, ბუნებით კეთილშობილ პეტრეზე დიდი კეთილისმყოფელი გავლენა მოუხდენია მის მეუღლეს – მარიამს, სამაგალითო ადამიანს, ღირსეულ მეუღლეს ღირსეულის კაცისა, გულმონყალე ქომაგს შეუძლოთა (ზ. ჭიქინაძე).

მარიამის მამა პოლონელი ყოფილა, დედა – ქართველი კათოლიკე, თავად მიხეილ თუმანიშვილის შთამომავალი. მარიამი დაიბადა 1870 წელს ახალციხეში, განათლება მიიღო თბილისის ქალთა ინსტიტუტში.

ზუბალაშვილთა ოჯახში მარიამი თავიდანვე გამოირჩიოდა საუკეთესო თვისებებით, ოჯახის ერთგულებით და, განსაკუთრებით, ღარიბთა თანადგომით. იგი ქმრისაგან მიღებულ თავის წილ თანხასაც მთლიანად ახმარდა გაჭირვებულ ოჯახებს. თავისი ხანმოკლე სიცოცხლე (გარდაიცვალა 33 წლის



ასაკში) ლარიბებზე ზრუნვაში გაატარა თურმე („ყველა სალ-  
ხინო საქმეს განშორებული იყო“): თბილისში დააფუძნა ქარ-<sup>ი როვერი და განვითარება</sup>  
თველ ქალთა სამკერვალო ამხანაგობა, მფარველობდა ხელ-  
მოკლე ოჯახებს; დაახლოებით 70 ოჯახს უყიდა ძროხა, ზოგს  
ჩუქინიდა საკერავ მანქანას თუ სხვა ამგვარ ნივთს და ა. შ.

პეტრესა და მარიამს ჰყოლიათ რამდენიმე შვილი: დი-  
მიტრი, კონსტანტინე, ელისაბედი, ანა, მარია. ვაჟები ევროპა-  
ში სწავლობდნენ, ამიტომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ  
პეტრეც გაემგზავრა შეილებთნ ევროპაში. ერთხანს ცხოვ-  
რობდა უწევებიც, მაგრამ, როცა შვილები საბოლოოდ დამ-  
კვიდრდნენ უცხოეთში და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწ-  
ყეს, პეტრე დაპრუნდა საქართველოში, სიცოცხლის ბოლო  
შემდინარები მშობლიურ ქალაქში გაატარა. შეძლებისდაგვარად მა-  
შინაც გამოირჩეოდა კეთილი საქმეებით....

როგორც აღინიშნა, პეტრე კონსტანტინეს ძე (ძმებთან  
ერთად) მუდამ ქომაგობდა და ხელს უწყობდა მატერიალურა-  
დაც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფე-  
როში თავჩინილ სიახლეებს, პროგრესულ ნაბიჯებს; დიდად  
ახარებდა ქართველი ახალგაზრდების სწრაფვა სწავლა-გა-  
ნათლებისაკენ.

ამ ასევეტით ძმები ზუბალაშვილების ქველმოქმედებაში  
მაინც განსაკუთრებით ფასული იყო სტუდენტთათვის ყო-  
ველნლიურად გაღებული სასტიპენდიოთ თანხა. ამასთან დაკავ-  
შირებით მკითხველს გავაცნობთ რამდენიმე ინფორმაციას:

1) ნ.კ.გ. საზოგადოებამ ძმ. ზუბალაშვილების სახელობის  
სტიპენდიები დაარსა 1908 წლის იანვრიდან. ამ დანიშნულები-  
სათვის ძმები საზოგადოების გამგეობას 1912 წლის იანვრამდე  
4 წელიწადში აძლევდნენ 6 ათას მანეთს, 1912 წლიდან კიდევ 4  
წლის განმავლობაში – 5 ათას მანეთს (სულ 1915 წლის ჩათ-  
ვლით სასტიპენდიოდ გაიღეს 44 ათასი მანეთი).

2) 1908 წელს „ნ.კ.გ. საზოგადოების გამგეობამ ზუბა-  
ლაშვილების სახელობის სტიპენდიები ხმის უმეტესობით და-  
უნიშნა შემდეგ მოსწავლეებს: ავალიშვილს, ამირეჯიბ შალვას,  
გოზალიშვილს ალექსანდრეს, დგებუაძეს ალექსანდრეს, შეუ-  
კაშვილს თამარს, დადვაძეს პავლეს, ელიავას შალვას, ჯავა-  
კაშვილს თამარს, დადვაძეს პავლეს, ელიავას შალვას, ჯავა-



ნაშვილს არჩილს, ცინცაძეს იაკობს, ორჯონიკიძეს ვლადიმერს, ფალავას აკაკის, იმნაძეს ვარაგიშვილავაძეს ვლასის, მდივანს ს., მირზაშვილს გიორგის, რცხილაძეს ვასილს, ქიქოძეს გერონტის, შურლაიას „ლაზარეს“ (გაზ. „ისარი“, 1908, № 6, გვ. 2).

3) „ნ.კ.გ. საზოგადოების გამგეობას 1916 წლის დასაწყისში პეტრე ზუბალაშვილმა ოფიციალურად აცნობა: „ძმები ზუბალაშვილები უკანასენელად გაიღებენ თანხას წლიურს 3 ათას მანეთს იმ აზრით, რომ სტიპენდიები არ მოესპოთ იმ სტუდენტებს, რომელნიც სწავლას ათავებენ არა უგვიანეს 1918 წლისა“.

ლირსსაცნობია ისიც, რომ ძმები ზუბალაშვილების სახელობის სასტიპენდიო თანხის გარდა, პეტრე ფინანსურად ეხმარებოდა აგრეთვე უმაღლესი განათლების მიღების მსურველ სხვა ახალგაზრდებსაც. დავიმოწმებთ მრავალთაგან ერთ შემთხვევას: 1906 წელს კატო მიქელაძე (შემდგომში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე) სოფიო ამირეჯიბისა და ალექსანდრე ხახანაშვილის ხელშენყობით გაემგზავრა შვეიცარიაში სასწავლებლად. მაგრამ 10 თვის შემდეგ, როცა გარდაიცვალა სოფიო ამირეჯიბი, უსახსრობის გამო კატო მიქელაძე იძულებული იყო დაენებებინა სწავლისათვის თავი და დაბრუნებულიყო საქართველოში. სწორედ ამ დროს მხსნელად მოევლინა პეტრე ერმატანტინეს ძე, რომლის შემწეობით (ათას ხუთასი ფრანკი) კატომ შეძლო საფრანგეთში საუნივერსიტეტო კურსის დასრულება (ამგვარი სახის მეცნიატობა პეტრეს სხვებისთვისაც ბევრჯერ გაუწევია თურმე).

პეტრე ზუბალაშვილის პიროვნების დასახასიათებლად უნდა მოვიხმოთ ერთი დეტალიც: როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, პეტრემ თბილისის გამგეობას გადასცა მათი ოჯახის კუთვნილი სასტუმრო „ლონდონი“ სამხედრო ლაზარეთისთვის და მის მოსაწყობად გაიღო 20 ათასი მანეთიც (ოქროს კურსით) (იხ. ანოტირებული ბიბლიოგრაფია).

**შენიშვნა:** წყაროებით ცნობილია, რომ თბილისის ერთ-ერთ უბანში ძევლად არსებობდა სამაღლო სახლი, რომელიც XVIII საუკუნის დასასრულისათვის გაუქმდებული ყოფილა. შემდეგ

ეს სახლი გამხდარა ორბელიანების კუთვნილება. ამათგან  
1810-იან წლებში უყიდიათ კათოლიკე ზუბალაშვილებს და მუქამართება  
უნცვიათ სასტუმრო „ლონდონის“ სახელწოდებით.

სხვა კერძით: სასტუმრო „ლონდონი“ გაიხსნა 1875 წელს.  
ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროდ რევოლუციაშ-  
დელ თბილისში. არსებობდა XX საუკუნის პირველი ათწლეუ-  
ლის შუაბანებამდე. მდებარეობდა მადათოვის ქუჩაზე, ამჟამად  
საცხოვრებელი სახლი - ათონელის ქ. 31 (თ. გერსამია).

საგულისხმოა, რომ კონსტანტინეს შვილები სახელოვ-  
ნად აგრძელებდნენ მამის ცხოვრების გზას - კომერციულ  
საქმიანობას თუ ქველმოქმედებას; ერთნაირად ზრუნავდნენ  
ეროვნულ-საზოგადოებრივ ნამონებებზე, საქველმოქმედო  
შემონირულობებსაც თანაბრად გასცემდნენ უშურველად,  
სწორედ ამის გამო იყო, რომ კონსტანტინეს შვილებს თანა-  
მედროვენი ზოგადად მოიხსენიებდნენ „ძმები ზუბალაშვილე-  
ბის“ სახელით, მიუხედავად იმისა, რომ ძმებს ცხოვრება უხ-  
დებოდათ სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა პირობებში,  
სხვადასხვა დროს.

**შენიშვნა:** 1910-იანი წლებიდან საქართველოში ცხოვრობდა მხო-  
ლოდ პეტრე (ლევანი მოსკოვში იყო, იაკობი - საფრანგეთში,  
მაგრამ იგი ქველმოქმედებას ენეოდა ისევ ძმები ზუბალაშვი-  
ლების სახელით.

კონსტანტინესა და სტეფანეს გარდაცვალების შემდეგ,  
ლევანმა, პეტრემ და იაკობმა მათი სხვონის უკვდავსაყოფად  
კიდევ უფრო გააფართოვეს ზუბალაშვილთა ქველმოქმედების  
მასშტაბები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია ბავშვთა  
საავადმყოფოს, უძლურთა თავშესაფრის (იხ. ზემოთ), სამად-  
ლო სასადილოს დაფუძნება და ა. შ.

XX საუკუნის დამდეგს ძმებმა ზუბალაშვილებმა სოლო-  
ლაშვი, ამაღლების ქუჩის ბოლოს, კოჯირის გზის დასაწყისში,  
სამათხოვრო სახლის ზემოთ, ააგეს ახალი სახლი, შენობა,  
რომელსაც ჰქონდა დიდი სასადილო, სახელწოდებით „სამად-  
ლო“. იქ თურმე დილიდან საღამომდე მზადდებოდა კერძები  
(„თუხთუხებდა ქვაბები“), უმასპინძლდებოდნენ ყველას უფა-  
სოდ. მომსვლელს არავინ ეკითხებოდა - ვინ იყო, საიდან მო-



ვიდა... მას შეეძლო ადგილზე დანაყრების შემდეგ თავისუბუ-  
ცილებელი იყო, გემრიელი კერძი სახლშიც წაეღოვიდა იმათვა

სასადილო „სამადლო“ მოქმედებდა ჩვენში საბჭოთა ხე-  
ლისუფლების დამყარებამდე (კოჯირის მხრიდან შემოსული ნი-  
თელი არმიის ჯარისკაცები პირველად შეცვინულან „სამად-  
ლოში“, სადაც იმ დღეს ლობიანი პურები ჰქონიათ გამომ-  
ცხვარი დარიბებისათვის. ჯარისკაცებმა ყველაფერს მუსრი  
გაავლეს თურმე და თან გაიძახოდნენ: ჩვენ ვმიმშილობთ,  
ქართველები კი შოკოლადიან ბისკვიტს მიირთმევენო). ზუბა-  
ლაშვილთა ნყალობით იგი მართლაც მადლად მიეძღვნებოდა  
უძლურებსა და გაჭირვებულებს. ვინ მოთვლის, რამდენი მში-  
ერი დააპურა ამ სასადილომ ნლების მანძილზე, რამდენის-  
თვის იყო სიცოცხლის შენარჩუნების იმედი, საშუალება და,  
რაც მთავარია, კეთილი მასპინძელი... 1921 წლიდან კი ზუბა-  
ლაშვილთა სახელოვანი გვარის უკანასკნელ ნარმომადგენელს  
დავით ანტონის ძეს მთელ თავის ქონებასთან ერთად ჩამოარ-  
თვეს „სამადლოს“ პატრონობა-მართვის უფლებაც. როგორც  
ამბობენ, უფასო სასადილომ შეწყვიტა არსებობა, მაგრამ შე-  
ნობა მაღე გადააკეთეს ჩვეულებრივ რესტორნად, რომელსაც  
სახელწოდება „სამადლო“ ტრადიციის მიხედვით მაინც შერჩა,  
თუმცა მისი წინაპრის მისია-დანიშნულებასთან საერთო აღ-  
რაფერი ჰქონდა.

**შენიშვნა:** დღეს ზუბალაშვილთა სასადილოს ადგილზე დგას და-  
უმთავრებელი, (განსხვავებული ფორმის) სამსართულიანი შე-  
ნობა, ამ ქარის მცხოვრებთა თქმით, ნლების მანძილზე უპატ-  
რონიდ მიტოვებული. სამაგიეროდ, აქაური უფროსი თაობის  
მეხსიერებაში ჯერ კიდევ არის შემოჩენილი მოგონებანი  
თავდაპირველ „სამადლოს“ და მის კეთილ მეპატრონეებზე.

პეტრე ზუბალაშვილი გახლდათ თბილისის საპატიო მოქა-  
ლაქე, ნ.კგ საზოგადოებისა და აგრეთვე ქართული დრამატული  
საზოგადოების საპატიო წევრი. იგი ჭეშმარიტად ვალმიერილი  
წავიდა ამქვეყნიდან. დაკრძალული იყო სოლოლაკში, საგვარე-  
ულო სასაფლაოზე, მშობლებისა და ძმის (სტეფანეს) გვერდით.

## იაკობ ქონისტანტინეს ძე ზუბალაშვილი

იაკობ ზუბალაშვილი დაიბადა 1876 წელს თბილისში. მრავალშვილიანი ოჯახის უმცროსი ვაჟი საოცრად გულთბილი, კეთილი და სათხო ბავშვი ყოფილა. სწორედ ეს თვისებები ამშვენებდა თურმე მის პიროვნებას მთელი სიცოცხლის მანძილზე.

პირველდანყებითი განათლება იაკობმა შინ მიიღო, შემდეგ სწავლობდა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, საფუძვლიანად დაეუფლა ევროპულ ენებს, ზედმინევნით შეისწავლა ქართული უნა და ქართული მწიგნობრობა (რომლის სიყვარული იჯახში შეითვისა ჯერ კიდევ ბავშვობაში). ამიტომაც ქართული მწერლობა და კულტურა ახალგაზრდობიდანვე გაიხადა უმთავრეს საზრუნავ საგნად. თანამედროვეთა თქმით, იაკობი სკოლის პერიოდშივე იყო შეჩვეული სამეცნიერო წიგნების კითხვას, მეცნიერულ მსჯელობას.

იაკობი გახლდათ ჭეშმარიტი მამულიშვილი, ერის უსაზღვრო მოყვარე, სანიმუშო ქომაგი, რომელიც მართლაც დღენიდაგ ფიქრობდა და ზრუნავდა ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობაზე. ერთი ფრანგული წყაროს მიხედვით ირკვევა, რომ იგი ხელოვნების შესასწავლად საფრანგეთში გამგზავრებულად დაახლ. XX საუკუნის 10-იანი წლების დამდეგს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, ქვეყნის პოლიტიკური ვითარების გამო, იძულებული გახდა სამუდამოდ დაეტოვებინა საქართველო და უცხოეთში დაესრულებინა სიცოცხლე. აქედან გამომდინარე, იაკობის ცხოვრება-მოღვაწეობაში პირობითად გამოყოფილ ინდივიდებს: პირველი – საქართველოში 1910-იან წლებამდე, მეორე – საფრანგეთში 1941 წლამდე.



იაკობს კარგად ესმოდა, რომ საქართველოს სიძლიერებული საფუძველი იქნებოდა განათლებული ქართველობა, უფრო და ერის განათლებისათვის კი მთავარია წიგნიერება, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობასა და საჭიროებასაც. გარდა ამისა, მისი აზრით, აუცილებელი იყო სოფლებსა და დაბებშიც განათლების შეტანა, სამეცნიეროების დაარსება, ხალხში წიგნის კითხვის ჩვევების გამომუშავება.

იაკობი ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა უურნალ-გაზეთების რედაქტორთან, სისტემატურად ეხმარებოდა ფინანსურადაც. მისი მხარდაჭერითაც იყვნენ დიდად დავალებული „ივერიის“, „მოგზაურის“ გამომცემლები, განსაკუთრებით კი გაზეთი „კავკაზისკი კრია“. გარდა ამისა, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ძმები ზუბალაშვილების ფასდაუდებელი მეცნატობა უურნალ „ნაკადულის“ მიმართ. როგორც არაერთგზის აღნიშნავდნენ თანამედროვენი, იაკობი და მისი ძმები უურნალს უხვად აფინანსებდნენ დაარსებიდანვე, შემდეგ კი (1906 წლიდან), მთლიანად აიყვანეს მათი მფარველობის ქვეშ „ნაკადულის“ გამოცემის საქმე – უბინაოდ და უსახსროდ დარჩენილი რედაქცია საკუთარ ჭერქვემ შეიფარეს, ბინის გარკვეული ფართი უშურველად დაუთმეს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქართველ მოლვანეთა წერილი იაკობ ზუბალაშვილისადმი (ვიმოწმებთ შემოკლებით).

ღრმად პატივცემულო იაკობ კონსტანტინეს ძევ!

გვაპატიეთ, მაგრამ გარემოების გამო იძულებული ვართ შეგანუხოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი თხოვნით. ვიცით, თუ როგორ თანაუგრძნობთ ყოველ ქართულ სასიკეთო წამოწყებას, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ უურადღებოდ არ დატოვებთ ჩვენს თხოვნასაც. თქვენ არ გჭირდებათ იმის ახსნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის მოზარდი თაობის განათლებასა და აღზრდას... მიგვაჩინია, რომ ამ საქმეში შეუფასებელი სამსახური შეიძლება გასწიოს კარგად შედგენილმა საბავშვო უურნალმა... ბოლო წლებში გა-



მოჩნდა ჩვენში ასეთი უურნალი „ნაკადული“. იგი სავსებით  
ამართლებს თავის მისიას...

ვიმეორებთ, ქართული საზოგადოება დიდ იმედს ამყარებს ამ უურნალზე. ეს გარემოება გვაიძულებს მოგმართოთ თხოვნით, ღრმად პატივცემულო იაკობ კონსტანტინეს ძე, აიყვანოთ თქვენი მფარველობის ქვეშ ეს სასარგებლო, სამადლო და კეთილი საქმე... თქვენი მფარველობა იხსნის უურნალს ფინანსური კრიზისისაგან და გადაარჩენს მას. ამით შეუფასებელ სამსახურს გაუწევთ თქვენს საყვარელ სამშობლოს.

ნერილს ხელს აწერენ: იაკობ გოგებაშვილი, ილია ნინაძე დღვრიშვილი, თამარ გრუზინსკი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი და სხვები. (ტექსტი უფრო ვრცლად იხ. ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში).

იაკობის (და, საერთოდ, ზუბალაშვილების) დიდი სურვი-  
ლი იყო ქართულ და რუსულ ენებზე (მომავალში სხვა ევრო-  
პულ ენებზეც) გამოცემულიყო საქართველოს ენციკლოპედია,  
რადგან ევროპაში (მარი ბროსეს გარდა) ჩვენი ქვეყნის შესა-  
ხებ არაფერი იციანო; მეტიც: ხშირად ევროპელები ქართვე-  
ლებს თვლიან სომხებად, საქართველოს კი – სომხეთად... და  
ამგვარ არასწორ ინფორმაციებს კიდეც ნერენ ნიგნებში,  
ათავსებენ რუკებზე... ერთი სიტყვით, იკობი და სხვა პროგ-  
რესულად მოაზროვნე ქართველები საშურ საქმიდ მიიჩნევ-  
დნენ საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლას. ამ  
მიზნით შეუქმნიათ სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც  
დაუწყია მუშაობა ამ დიდი ეროვნული საქმის აღსასრულებ-  
ლად. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თურქე სა-  
ქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს. „საქარ-  
თველოს მეცნიერული ენციკლოპედია“ უნდა გამოცემულიყო  
თველოს მეცნიერული ენციკლოპედია“ 15 ტომად, მაგრამ  
ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე 15 ტომად, მაგრამ  
მალე დაინტერესული მსოფლიო ომი, ქვეყანაში შეიცვალა  
პოლიტიკური ვითარება და ველარ მოხერხდა ენციკლოპედი-  
აზე მუშაობის გაგრძელება.

იაკობის აზრით, საქართველოში არსებული პოლიტიკური რეალობის გამო აუცილებელი იყო თბილისში რუსულ ენა-რი რეალობის გამო აუცილებელი იყო თბილისში რუსულ ენა-



ზეც გამოეცათ გაზეთი, რათა მისი საშუალებით ქართველებ-  
საც შესძლებოდათ გაეცათ პასუხი იმ მცდარ თუ ნაყადების უკან  
ფორმაციებზე, რომლებიც ხშირად იძეჭდებოდა რუსულ პრე-  
საში, მაგრამ, სამწერაოდ, უცნობი რჩებოდა ქართველი  
მკითხველისათვის. ახალი გაზეთის მთავარი მიზანი იქნებოდა  
კავკასიის ხალხებს შორის ძმური სოლიდარობის ქადაგება,  
განათლება-კულტურის ამაღლება, რაც მათთვის ყველაზე  
დიდ საჭიროებას ნარმოადგენდა. ირკვევა, რომ იაკობ ზუბა-  
ლაშვილს ხელისუფლებისაგან აუღია ნებართვა თბილისში  
ახალი გაზეთის „ოზმრაუდენიეს“ გამოცემისა. მართალია, გა-  
ზეთის რედაქტორ-გამომცემელი სხვა იყო, მაგრამ ამ გაზეთ-  
თან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი საქმის მეთაური  
და ყოველგვარი ხარჯის გამდები იაკობი ყოფილა.

თანამედროვეთა შეფასებით, იაკობი ლრმად მოაზროვნე  
პიროვნებაც გახლდათ. მისი გონება მუდამ ახლის ძიებაში  
იყო; მისი თვალსაწიერი სწვდებოდა განათლება-კულტურისა  
და ხელოვნების ყველა სფეროს; ფაქტებსა თუ მოვლენებს  
კრიტიკულად, მაგრამ სწორად აფასებდა. იაკობის თვალსაზ-  
რისით, მწერლობა, პირველ ყოვლისა, უნდა იყოს ობიექტური  
და იმავდროულად საზოგადოების ინტერესებიდან გამომდი-  
ნარე, მისთვის გამიზნული; ბიოგრაფიული წერილებიც კი უნ-  
და ინერებოდეს არა მხოლოდ ერთი ან ორი პიროვნებისათ-  
ვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის.

იაკობი, როგორც ბაქოს ნავთობსარენების ერთ-ერთი  
მეპატრონე, ძმებთან ერთად კომერციულ საქმიანობაშიც მო-  
ნაწილეობდა მათი გვარისათვის დამახასიათებელი შრომის-  
მოყვარეობითა და პასუხისმგებლობით. გარდა ამისა, დაინტე-  
რესებული იყო ახალ-ახალი მშენებლობებით, განსაკუთრე-  
ბით, ხიდების აგებით.

ირკვევა, რომ იაკობს, დიდად განათლებულსა და მრა-  
ვალმხრივი ნიჭიერების მქონე პიროვნებას, ერთნაირად იზი-  
დავდა როგორც პრაქტიკულ-კომერციული საქმიანობა, ისე  
მნიშვნობრობა, ხელოვნება და კულტურის სხვა სფეროებიც,  
მაგრამ მასში, სხვათაგან განსხვავებით, თავიდანვე გამოკვე-  
თილი იყო აგრეთვე რაღაც განუმეორებელი სიყვარული ხე-



ლოვნების ნიმუშებისა. ამიტომაც მთელი ცხოვრების მანძილზე გატაცებით აგროვებდა მხატვრულ, ფერწერულ ტილოებს მან საქართველოშივე მოიპოვა გამორჩეული ფილანთროპის სახელი.

იაკობი იყო ისეთივე მაღალი ზნეობის, როგორებიც იყვნენ მისი მშობლები და ძმები. „იაკობი უშუალო გამგრძელებელია უდროოდ გარდაცვლილი ძმის სტეფანეს საქველმოქმედო საქმეებისა“ (ზ. ჭიჭინაძე). მაგალითად, მან სოფელ ვარიანის 40 კომლი სრულად და სამუდამოდ გაათავისუფლა ბატონიშვილისაგან გამოსასყიდი თანხის გარეშე; ასევე: როცა 1903 წლის დეკემბერში სტეფანემ გაიგო გაზეთ „ივერიის“ გამოცემის ნივთიერი ხელმოკლეობა, ბაქოდან მაშინვე გამოუგზავნა 2000 მანეთი, თან შეპპირდა დახმარებას 1904 წელსაც, მაგრამ სტეფანეს გარდაცვალების გამო ამ დაპირების აღსრულება იაკობს მოუხდა – „ივერიის“ რედაქციის შესწირა 3000 მანეთი, რითაც გაზეთი განახლდა და განაგრძო საქმიანობა (ამგვარი შემთხვევა უამრავი იყო იაკობის ცხოვრებაში).

ჭეშმარიტი ქრისტიანი ერთნაირად სცემდა პატივს ყველა ფენის ადამიანს, განსაკუთრებით, სოფლის გლეხობას, მუშებს, ლარიბებს, ავადმყოფებს. იგი ყოველთვის იყო ერთერთი აქტიური მონაწილე ზუბალაშვილთა სახელით გაღებული მოწყალებისა; გარდა ამისა, თავადაც ცალკე ბევრჯერ გაუცია უხვი შენირულობა. მაგალითად, ბაქოს ტექნიკური სკოლის ლაბორატორიის გასაფართოებლად შესწირა 15 ათასი მანეთი, სტეფანეს სიკვდილის შემდეგ ძმებთან ერთად თბილისის გამგეობას გადასცა 100 ათასი მანეთი ოქროთი ბავშვეთა უფასო საავადმყოფოს შესანახად, ხშირად ეხმარებოდა ფინანსურადაც ქ.შ.ნ.ქ.გ. საზოგადოებას (მის სამმართველოს შესწირა 10 ათასი მანეთი). მისი დიდი სურვილი იყო ამ საზოგადოებას ჰქონოდა საკუთარი ბინა, რათა შესძლებოდათ აქ შეკრებილი ქართული კულტურის საუნდის შენახვა-დაცვა. 1902 წელს თბილისის გამგეობას თავის ნილად გაუგზავნა 2 ათასი მანეთი და შეუთვალა: „ეს ფული სააღდგომოდ იმ ღატაკ პირებს დაურიგეთ, რომელთაც ამ დღისათვის სანოვაგე



არ ექნებათ“ (ამგვარ მოწყვალებას იგი ხშირ-ხშირად არიგებდა კერძო პირებსა თუ საზოგადოებებს. ბუნებრივია, ამჯერად ყველას ვერ დავასახელებთ, მხოლოდ ერთ შემთხვევას კიდევ შევახსენებთ მკითხველს: იაკობმა ძმებთან ერთად 150 ათასი მანეთი შესწირა რუსეთის მთავრობის მიერ წარმოებულ აღმოსავლეთის ომში დაჭრილთა სამკურნალოდ.

გადაუტარდებლად შეიძლება ითქვას, რომ იაკობ ზუბალაშვილმა (რომელსაც საკუთარი ოჯახი არ ჰყოლია) თავისი ცხოვრების პირველი პერიოდი ქართველი ხალხისა და მშობლიური ქვეყნის სამსახურში გაატარა. იგი გახლდათ მამა-პაპათა საგვარეულო მრნამსის პირუთვნელი დამცველი – უყვარდა კეთილი საქმეების ეკონომიკური მოწყვეტილების უხდევად გაცემა უხმაუროდ და არა თავის გამოჩენის მიზნით; ამიტომაც იყო, რომ თითქმის არავის აძლევდა უფლებას მის შესახებ ესაუბრათ ხმამალლა, სახალხოდ, თუნდაც პრესის ფურცლებზე.

ქართველი ინტელიგენცია და მშობლელი მოსახლეობა დიდად აფასებდნენ იაკობს საქმიანობისა თუ პიროვნული თვისებების გამო. ძმებთან ერთად იყო თბილისის საპატიო მოქალაქე.

იაკობ ზუბალაშვილის ცხოვრების მეორე პერიოდი უნდა იწყებოდეს XX საუკუნის დამდევიდან. მართალია, მისი გამგზავრების თარიღსა და მიზნებზე ზუსტი ცნობა ვერ მოვიძიოეთ ქართულ მასალებში, მაგრამ მათში მოთავსებული სხვა ინფორმაციებია და ჩვენს ხელთ არსებული ერთადერთი ფრანგული წყაროს შეჯერებით ირკვევა, რომ იაკობი საფრანგეთში ჩავიდა დაახლ. 1908-1909 წლებში ხელოვნების შესასწავლად. იმავდროულად ქმნიდა მუსიკალურ წანარმოებს, ეწეოდა მხატვრობას... ცნობილია, რომ უკვე 1912 წლიდან 1932 წლამდე მონანილეობას ღებულობდა სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ხელოვნების ნიმუშების შესყიდვებში. 1922 წელს მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა; იქვე აღესრულა 1941 წელს. დაკრძალულია პარიზთან ახლოს, ქალაქ ნეიი



სოურ სენში (ფრანგული მასალა იხ. ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში).

სამწევაროდ, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საქართველოდან შეუძლებელი იყო უცხოეთში მყოფ ნათესავებთან დაკავშირება. ამიტომ იაკობის ცხოვრების მეორე პერიოდის შესახებ ძალიან მცირე ინფორმაციები შემორჩია. ქვემოთ ნარმოდებული ჩვენი მასალა ემყარება იაკობის თბილი სელი ნათესავების – ანასტასია ზუბალაშვილისა და მისი ქალშვილის ელენეს მოგონებებს, აგრეთვე, რუსული უურნალების რამდენიმე სტატიას.

ირკვევა, რომ იაკობ ზუბალაშვილი (საფრანგეთში – ჟაკ მიშელ ზუბალოვი), დიდად განსხვავლული პიროვნება, ევროპული ენების მცოდნე, მალე გახდა პარიზის საზოგადოებაში ცნობილი თავისი უძვირფასესი კოლექციითაც და, რაც მთავარია, კულტურული მემკვიდრეობის ლრმა ცოდნით, ხელოვნების უნიკალურ ნიმუშთა შეფასების უტყუარი აღლოთი. იგი იყო ლუვრის მეგობართა საზოგადოების საბჭოს წევრი, დეკორატიული ხელოვნების ცენტრალური კავშირის საბჭოს წევრი, ასევე მუსიკის ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოების წევრი (იმავდროულად ურთიერთობა ჰქონდა უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთანაც).

როგორც აღინიშნა, იაკობი საქართველოშივე დიდი გატაცებით აგროვებდა ხელოვნების ნიმუშებს, რომელთა რიცხვი უცხოეთში გამგზავრების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. მის უნიკალურ კოლექციაში იყო პიკასოს, დეგას, სეზანის, მატისის, მონეს, ბოტიჩელის, როდენისა და სხვათა შედევრები (სულ 581 ერთეული)...

იაკობს გადაწყვეტილი ჰქონია მისი ეს უკანასკნელი უძვირფასესი განძიც (უნიკალური ნახატები, მარმარილოს, ბრინჯაოს, კერამიკის, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანი) ეჩუქებინა სამშობლოსათვის (ანდერძიც შეუდგენია), მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს გადაწყვეტილება შეუცვლია საფრანგეთის სასარგებლოდ და თავის სიცოცხლეშივე ნახატების კოლექცია სრულიად უსასყიდლოდ გადაუცია ლუვრი-



სა და პარიზის სხვა მუზეუმებისათვის (იხ. ანოტირებული/ბიბლიოგრაფია).

იაკობის უნიკალური კოლექციის ძირითადი ნაწილი განთავსებულია ლუვრში, სპეციალურად გამოყოფილ ერთ-ერთ დარბაზში – „ზუბალოვის დარბაზში“. იაკობის გვარი მოხსენიებულია აგრეთვე ლუვრის კედელზე, მარმარილოს დაფაზე, იმ პირთა შორის, რომლებმაც ამ მუზეუმისათვის დიდი შენირულობა გაიღეს ხელოვნების ნიმუშების სახით.

**შენიშვნა:** სწორედ ეს კოლექცია მოინახულა პარიზში ზუბაზვილთა შთამომავალმა – ანასტასია დავითის ასული ზუბალაშვილის ქალიშვილმა ელენემ და თან ჩამოიტანა სახელოვანი ნინაპრის კოლექციის კატალოგი (იხ. ანოტირებული ბიბლიოგრაფია).

პარიზის საზოგადოებას კარგად ესმოდა იაკობ ზუბალაშვილის კოლექციის უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიო ხელოვნების ისტორიისათვის. ამიტომაც იყო, რომ მოგვიანებით ლუვრის მუზეუმის თანამშრომლებმა გამოფენის დასათვალი-ერებლად მისულ იაკობის ქართველ ნათესავს – ელენეს უთხრეს: „თქვენმა ნინაპარმა მოიპოვა დიდებული სახელი. საფრანგეთი შეინახავს მის ხსოვნას. თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ მისით“...მაგრამ, ზოგიერთი ნუაროს მიხედვით, პარიზის საზოგადოებამ, მუზეუმების ხელმძღვანელობამ თავის დროზე სათანადოდ ვერ შეაფასა თავად იაკობის პიროვნული ღირსება – უსასყიდლოდ გადაცემა ემიგრანტისაგან ამ უძვირფასესი განძისა. ამ შესანიშნავმა ადამიანმა, შეუდარებელმა ქველმოქმედმა თავისი სიცოცხლის ბოლო წლები სიღატაკეში გაატარა თურმე. როცა იაკობს ეკონომიურად უკიდურესად გაუჭირდა, მან სთხოვა პარიზის მუზეუმის დირექციის, აეყვანათ უბრალო სამსახურში, როგორც ნახატების ინვენტარიზატორი. მაგრამ ეს თხოვნა 1936 წელს ვერ დააკმაყოფილეს. მხოლოდ 1938 წელს გაიღეს ერთჯერადი ფულადი დახმარება და ამით ამონურეს თავიანთი პასუხისმგებლობა და ადამიანური ვალი ამ დიდებული პიროვნების ნინაშე. კაცი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე უშურველად გასცემდა სითბოს,

სიყვარულსა და უხვ შენირულობას, სიღატაკეში გარდაცვლური მიზანების  
და სრულიად მიტოვებული.

იაკობის გარდაცვალების შემდეგ ფრანგული პრესა წერ-  
და: „ლუვრი, მცირე დარბაზი, დეკორატიული ხელოვნების  
მუზეუმი და სხვა მუზეუმები, გალერეები პარიზისა ფლობენ  
შედევრებს, რომლებითაც გაამდიდრა ისინი ბატონმა ზუბა-  
ლოვმა. ამიტომ დროა შედგეს კატალოგი ზუბალოვის ნაჩუქ-  
რებისა, 581 ერთეულისა. ეს მთელი მუზეუმია, სადაც შეიძ-  
ლება ერთად შეგროვდეს მთელს პარიზში მიმოფანტული სა-  
ჩუქარი ბ-ნ ზუბალოვისა. მაგრამ მან არ ინდომა გაესწა სა-  
კუთარი სახელობის დარბაზები, რომელიც შეიძლებოდა ჰქო-  
ნოდა როგორც ლუვრში, ასევე პარიზის სხვა ეროვნულ მუზე-  
უმებში. და, სხვა მეცნატთაგან განსხვავებით, მან ეს გააკე-  
თა მიზანმიმართულად, მეცნიერული ინტერსებიდან გამომდი-  
ნარე, იმ რწმენით, იმ სულისკვეთებით, რომ მუზეუმი, მის-  
თვის არის არა ნახატების კოლექციების უბრალო შესაკრებე-  
ლი, მუზეუმი სასწავლო დაწესებულებაცაა“ («Истина и  
Жизнь», стр. 4).

## დავით ივანეს ძე ზუბალაშვილი

დავით ზუბალაშვილი იყო ივანე ზუბალაშვილის უმცროსი ვაჟი (მისი დაბადების ზუსტ თარიღს ვერ მივაკვლიეთ). ცხოვრობდა გორში, მამისეულ ოჯახში.

მართალია, დავითის შესახებ ვრცელი მასალები არ მოიპოვება, მაგრამ, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ იგი აღიზარდა ივანესა და ანას ოჯახში, ბუნებრივად უნდა ვიფიქროთ, რომ დავითიც იქნებოდა მშრომელი, საქმიანი და პატივსაცემი პიროვნება.

თანამედროვეთა დახასიათებით, ივანეს უმცროსი ვაჟიც გორში ირიცხებოდა უპირველეს პირად. ფაქტობრივად იგი, როგორც გონიერი და კეთილშობილი ადამიანი, მეთაურობდა გორსა და მის მცხოვრებთ. ამიტომ იყო, რომ, როცა გორში მთავარმართებელი ან სხვა ვინმე „დიდი კაცი“ ჩამოვიდოდა, მათ ნინაშე ყოველთვის დავითი წარსდგებოდა, ქართულად მიესალმებოდა, შემდეგ ესაუბრებოდა ქალაქისა და მისი მოსახლეობის სატკივარზე, აუცილებელ საჭიროებებზე. ამასთან დაკავშირებით დავითმონმებთ ერთ მოგონებას:

„დავით ზუბალაშვილი იყო განთქმული ჭკვიანი კაცი და მიღებული მთელ გორის მაზრაში... 1852 წელს გორში მობანდა განსვენებული [იმპერატორი] ალექსანდრე II, ჯერ კიდევ მემკვიდრე. თან ახლდა ბებუთოვი და პირდაპირ გორის ციხეზე აბდანდა სანახავად. იქ დახვდა დ. ზუბალაშვილი, გორელების მხრით მიესალმა და აუხსნა გორის ციხის მნიშვნელობა. დავითმა ისტორიულად კარგად იცოდა გარემოება. იმ დროებში მემკვიდრე ბძანდებოდა თავ. ალექსანდრე ერისთავ-

„დავით ივანეს ძე ზუბალაშვილი იყო გამოჩენილი ვაჭარი. გორში – აბრეშუმეულით, მაუდეულითა და ბამბეულით მოვაჭრე. ის იმ დროს დადიოდა სავაჭროდ ლეიიფისს, მოსკოვს, ნიუნინოვგორობდში, როცა არც რეინის გზა იყო და არც ხრეშდაყრილი გზები. სამოცდა ხუთის ნლისა იქნებოდა, როცა კიდევ თვითონ მიდიოდა სავაჭროდ“ (აღ. თუთაევი).

დავითი გამოიჩინდა მთელს ქალაქში იმითაც, რომ იყო მოწყალე და უძლურთა შემნე, ქომაგი, „აღმატებულის თვისებისა“, ისევე როგორც ივანეს დიდი ოჯახის სხვა წევრები. ზუბალაშვილებს გორის მცხოვრებთათვის დიდი სარგებლობა მოჰქონდათ სიტყვიერი თანადგომითა და ფინანსური დახმარებით. კათოლიკე ზუბალაშვილები აქაც თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქველმოქმედებაში.

დავით ზუბალაშვილს მთელს გორში იცნობდნენ აგრეთვე როგორც პრინციპულს, სამართლიანსა და პირდაპირ კაცს. მართალია, „მთავრობაშიც“ დაფასებული იყო, მაგრამ ვინმეს საამებლად არასოდეს არ ლალატობდა საკუთარ ლირსებასა და პრინციპულობას, რაზედაც კარგად მეტყველებს ქვემოთ მოხმობილი ერთი მოგონება: „იმ ხანებში (როცა გორს სტუმრობდა ალექსანდრე II – უ. ფ.) განსვენებული მთავარმართებელი ვარანცოვიც მოვიდა გორში. მახსოვს, შავი ნაბადით, გრძელი ჩასაცმელით ხალხი შეიკრიბა გორის სამოქალაქო სკოლის შენობაში... ვარანცოვთან საჩივარი გაგზავნეს გორელებმა პოლეკის ჯარის-კაცებზე. ვენახებში ყურძენს იპარავ-დნენ, ვაოხერეს გორის ბალები... ვარანცოვმა საყვედლური უთხრა გორელებს, პოლეკი დაგიყენეთ და ვერ შეიმშვენიეთო. თქვენი საჩივარის გამო პოლეკი უნდა გადავიყვანოვო. მერე

დავით ზუბალაშვილს უთხრა: ასე როგორ შეგანუხათ „საო-  
დათების“ ქურდობამა. ის დრო ხომ იცით (კვერნაკულარანაშვილი  
ვა), აქ ლექები მოგიხდებოდნენ და ცოლ-შვილით გიკლებ-  
დნენ, განუხებდნენ ხოლმეო. დავით ზუბალაშვილი ისეთი მო-  
ურიდებელი, მტკიცე ხასიათისა იყო, რომ პირდაპირ უთხრა  
ვარანცოვს: ჩვენი შემწუხებელი თუნდ ლეკი იყოს, თუნდ რუ-  
სიო, სულ ერთია ჩვენთვის, ვინც შეგვანუხებსო. ასე გათავდა  
ეს საქმე. დიდი მითქმა-მოთქმა იყო გორში: ვარანცოვს რო-  
გორ აკადრა დავით ზუბალაშვილმა სიტყვაო“ (აღ. თუთაევი).

დ. ზუბალაშვილი ყოფილა დიდად სიტყვამოსწრებული  
და ამის გამოც გორის მაზრის თავადაზნაურობის საყარელი  
ადამიანი: „ერთხელ სოფ. ავლევს მცხოვრები დავით ამირე-  
ჯიბი ჩამოვიდა გორში. სხვათა შორის, ლაპარაკში დავით ამი-  
რეჯიბმა უთხრა დავით ზუბალაშვილს: ვაჭრები მშიშრები  
ხართო. ერთი უხეირო კაცი ათ ვაჭარს მოგერევათ და გაგ-  
ცარცვამთო. დავით ზუბალაშვილმა მაშინვე პირში მიახალა:  
„ვაჟუაცები ჩვენ ვართ, რომ დანა ჯიბეში არ გვიძევს, ხუთას  
ათას თუმანს ზურგზედ დავიკერებთ და ათი ათას ვერსზედ  
უგზო-უკვლოდ სავაჭროდ მივდივართო, ცხენებშებმული ჩა-  
საჯდომით, ზარების რეკით. ჩვენ „რაზბოინიკებისა“ არ გვე-  
შინიან. შენ კი ავლევიდამ რომ გორს ჩამოხვიდე, უნდა იარა-  
ლი აისხა, ხმალ-ხანჯალი – საპირისინამლე, სასწრაფო, თოფი  
თუ დამბაჩაო. ჯიბეში კი 2 მანეთი არ გიძევთ...“

დავით ზუბალაშვილი იქამდის პატივცემული იყო ხალ-  
ხში, როცა იგი მოხუცდა და ხანდახან დუქანში ჩამოვიდოდა,  
ბაზარში რომ შემოვიდოდა და დაინახამდნენ, ვაჭრებს უნდა  
ყველას ხელები კაბის სახელოებში გაეყოთ“ (აღ. თუთაევი).

დავითის ოჯახი განსაკუთრებული პატივისცემითა და  
სიყვარულით მოიხსენიებოდა არა მარტო გორში, არამედ  
თბილისა და სხვა ქალაქებშიც. დავითის კეთილი საქმეების  
შესახებ თანამედროვეთა შორის დარჩენილი ყოფილა ბევრი  
კარგი მოგონება (ზ. ჭიჭინაძე).

დავით ზუბალაშვილის მემკვიდრეები იყვნენ: ანტონი,  
ნიკოლოზი და ალექსანდრე.

დავითის გარდაცვალების თარიღდად ზოგ ნყაროში და-  
სახელებულია 1866 წელი, ზოგან – 1862. დაკრძალულია „კვერნაქის“) სასაფლა-  
ვოზე, სადაც ახლა ქალაქის დასახლებაა.

**შენიშვნა:** აღალო თუთავევი, ზაქარია ჭიჭინაძის ინფორმაციით,  
„ქართველებში ცნობილი პირია. სწერს პიესებს, ლექსებს და  
ნერილებს. ამას გარდა, ცნობილია როგორც გულკეთილი,  
მართალი ადამიანი და ქართველთა საქმეების კარგად მცნო-  
ბი“ (იხ. „ ისტორია ზუბალაშვილების გვარისა „). აღალო თუ-  
თავეს 1898 წელს კონსტანტინე ზუბალაშვილისათვის მიუძ-  
ღვნია ლექსი; მასში საუბარია აგრეთვე კონსტანტინეს ნათუ-  
რავებზე, მათ შორის, დავით ივანეს ძეზეც. ამჯერად ვიმოწ-  
მებთ ამ ლექსის ორიოდე სტროფს:

„მე ვარ, თუ გახსოვს, დუქნის შეგირდი  
განსვენებულის ბიძა თქვენისა, (იგულისხმება დავით  
ივანეს ძე – ზ. ჭ.)

მეთაურობდა გორის მცხოვრებლებს

- ისე, როგორც რომ კარგ კაცს შვენისა.  
იქ გაგიცანით, იქიდამ მახსოვეს  
მთელი ოჯახი მამის თქვენისა,  
ქართლ-კახეთშია და იმერეთში  
სახელი ჰქონდათ ნამდვილ ბრძენისა...“

აღალო ბავშვობიდანვე იცნობდა თურმე გორელი კათო-  
ლიკე ზუბალაშვილების დიდ ოჯახს, მათთან მუშაობდა „დუქ-  
ნის შეგირდად“, მოსამსახურედ. ივანე ზუბალაშვილის მემ-  
კვიდრეებს ყოველთვის მადლიერებით იგონებდა ზეპირი  
გზით თუ ნერილობით. ერთ-ერთი მათგანია დავით ზუბალაშ-  
ვილის შესახებ საგანგებოდ დაწერილი საინტერესო მოგონე-  
ვილის „ივერიაში“ (1 ივნ., № 126,  
ბა, რომელიც დაიბეჭდა 1904 წელს „ივერიაში“ (1 ივნ., № 126,  
გვ. 3) რუბრიკით „ნერილი რედქციას“.

სწორედ ამ სტატიიდან გვაქვს დამოწმებული ციტატები  
ძირითად ტექსტში.

## ანტონ ზუბალაშვილი დავითის ძე ზუბალაშვილი

ანტონ ზუბალაშვილი დაიბადა 1830 წელს გორში. ცხოვრობდა მამა-პაპათა საგვარეულო სახლში. გორის მიმდებარე სოფლებში: ხიდისთავში, კარალეთში, ხელთუბანში... პქონდათ დიდი მამულები, სახნავ-სათესი მიწები, შეიდოვალიანი წისქვილი მდინარე აძურაფშანზე, საგანგებოდ გაშენებული შამპანურის ჯიშის ვენახი ხიდისთავში...

ანტონის სახლი, მშენიერი ორსართულიანი შენობა, მდებარეობდა მაშინდელი სემინარიის (დღევანდელი სტალინის) ქუჩაზე, ჯულაშვილების სახლის პირდაპირ (დღეს ამ ადგილზე განთავსებულია კინოთეატრის შენობა და სკეკვერი).

ანტონ დავითის ძე იყო ერთ-ერთი პირველი საქართველოში, ვინც დაიწყო სოფლის მეურნეობის გადაყვანა კაპიტალისტურ რელსებზე. გონიერი და აღლოიანი მეურნე კარგად აბინავებდა საკუთარი მამულებიდან მონეულ ხილის მოსავალს, გარდა ამისა, ნანილს ყიდულობდა ადგილობრივი გლეხებისგანაც, ახარისხებდა და აქცევდა სასაქონლო პროდუქციად, გაპქონდა გასასყიდად, მეტნილად რუსეთში.

ანტონი, თავისი საქმიანობით (სოფლის პროდუქტების გეგმაზომიერი გამოყენება-განაწილებით) ნამდვილად იყო მისაბაძი მაგალითი ქართლელი გლეხებისათვის, რომლებიც თავიანთი კერძო მეურნეობის განვითარება-გაძლიერების თვალსაზრისით მისგან ბევრ საინტერესო და სასარგებლო ცოდნა-ჩვევებს იძენდნენ.

ანტონმა ცოლად შეირთო საქართველოში კარგად ცნობილი თავადის ალექსანდრე ჩიქოვანის ასული ეკატერინე, ღირსეული პიროვნების – გიორგი ჩიქოვანის ღვიძლი და. წარჩინებულ ოჯახში აღზრდილი ეკატერინე გახლდათ განათლებული,



სათონობით აღსავსე ქალბატონი, შვილების საუკეთესო აღმზრდელი დედა.

ანტონისა და ეკატერინეს შეეძინათ სამი ვაჟი: **ალექსანდრე** დრე, დავითი, პავლე. მართალია, ანტონი გორში ცხოვრობდა და კომერციას ეწეოდა ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, მაგრამ მან მაღე მოიპოვა მთელ ქართლში გონიერი კაცისა და გამჭრიახო ვაჭრის სახელი.

რამდენადაც სიკეთის ქმნა ზუბალაშვილთა საგვარეულო ტრადიცია და დამახასიათებელი თვისება იყო, ამდენად არც ანტონ დავითის ძე გახლდათ გამონაკლისი ქველმოქმედებაში. ზუბალაშვილთა „ხასიათის“ გამოსავლენად დავიმოწმებთ ერთ დეტალს ანტონის შვილიშვილის – ანასტასიას მოგონებიდან: ერთხელ ანტონის ოჯახში, როცა სტუმრებიც იმყოფებოდნენ, მოიტანეს ვიღაც უცნობი მხატვრის მიერ დახატული სურათი გასასყიდად. აღმოჩნდა, რომ ეს ნამუშევარი არ იყო მაღალი დონისა და დამსწრეთა უმრავლესობამ არ უჩინა მისი შეძენა ოჯახის უფროსს, მაშინ ანტონმა განაცხადა: „ცხადია, სურათი შორსაა სრულყოფილებისგან, მაგრამ მხატვარი რომ ნიჭიერი ჩანს, ეს არაა საეჭვო. თანაც ხომ გვითხრეს: მხატვარი ეკონომიკურად გაჭირებულ მდგომარეობაშიაო. ამიტომ სურათი უნდა შევიძინოთ და იმაზე მეტიც მივცეთ, რასაც თხოულობს. დავეხმაროთ იმ კაცს, რომ მისი ნიჭი გამოავლინოს“. მართლაც, საკმაო თანხა გადაუხადა ანტონის ოჯახმა ამ მხატვარს და შემდეგაც არ მოუკლია ყურადღება, პირადად გაიცნეს იგი და დახმარებაც ბევრჯერ აღმოუჩინეს თურმე.

ანტონი და ეკატერინე დიდ ყურადღებას აქცევდნენ შვილების სწვლა-აღზრდას; მათს ოჯახში მუდამ იყო სითბო, მშვიდი გარემო, ურთიერთსიყვარული და განსაკუთრებული პატივისცემა ნინაპართა ტრადიციებისადმი. ოჯახში ყველამ კარგად იცოდა პატიოსანი შრომის ფასი, საქმისადმი პასუხისმგებლობა და, განსაკუთრებით, განათლების აუცილებლობა. ამიტომაც იყო, რომ მეუღლენი არა მარტო საკუთარი შვილების განათლებაზე ზრუნავდნენ, არამედ მოსამსახურებსაც ეხმარებოდნენ დამატებითი ფინანსებით, რომ თავიანთი შვილები კარგად აღეზარდათ. ამ საქმეში კი, ქალბატონ

ეკატერინეს აზრით, განსაკუთრებული მისია ეკისრებოდა  
მასწავლებელს: „მასწავლებელს ჩვენ ვანდობთ ჩვენი შეტყოფა  
ბისა და შვილიშვილების ბედს. თუ როგორ და რას ასწავლის  
იგი, სწორედ ამაზეა დამოკიდებული მთავარი მიზანი – ბავ-  
შვისა და მოზარდის სული ვის მიეკუთვნება – ღმერთს თუ  
ეშმაკს. ეს ყველაფერი მასწავლებლის ხელშია. მე ქედს ვიხრი  
მასწავლებლის ნინაშე“ (ანასტასია ზუბალაშვილის მოგონები-  
დან).

ანტონი და ეკატერინე დაკრძალეს გორში, ზუბალაშ-  
ვილთა საგვარუულო სასაფლაოზე.

## ნიკოლოზ დავითის ძე ზუბალაშვილი

ნიკოლოზ ზუბალაშვილი გახლდათ დარბაისელი ქართველი, ქეშმარიტი მამულიშვილი, თბილისში ცნობილი თავისი საქმიანობითა და პიროვნული ღირსებით.

ნიკოლოზი დაიბადა გორში 1832 წელს, დაამთავრა თბილისის გიმნაზია, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტი; მიიღო იურიდიული განათლება. საქართველოში რომ დაბრუნდა, სწორედ მაშინ მკვიდრდებოდა ჩვენში სასამართლო სისტემის ახალი ნესები, კერძოდ: შემოღებულ იქნა მომრიგებელმოსამართლებობა.

ნიკოლოზ ზუბალაშვილი პირველად დაინიშნა გორის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლედ, მაგრამ აქედან მალე (1868 წ.) გადაიყვანეს თბილისში, სადაც ერთხანს ასრულებდა ამიერკავკასიის გამმიჯვნელ კომისიათა თავმჯდომარის მოვალეობას, შემდეგ კი აირჩიეს თბილისის მომრიგებელ-მოსამართლის მეოთხე განყოფილების მოსამართლედ. ამ საქმეს იგი პატიოსნად ემსახურებოდა მთელი ცხოვრების მანძილზე. თანამედროვეთა შეფასებით, ნიკოლოზი ღირსეულად აგრძელებდა ზუბალაშვილთა საგვარეულო საუკეთესო ტრადიციებს ქვეყნისა და ხალხის მსახურების თვალსაზრისითაც. მისი შრომა-საქმიანობის მთავარი პრინციპი იყო სამართლიანი მორიგება, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნიკოლოზმა შესანიშნავად შეუფარდა რუსული კანონმდებლობა ქართველი ხალხის ზენ-ჩვეულებებსა და ხასიათს. იგი სახელმწიფო მოხელე იყო, მაგრამ არასოდეს არ ავინყდებოდა მშრომელი ხალხი, ყოველთვის იყო მათი ქომაგი და დამცველი. ამიტომაც ამ კეთილშობილ პიროვნებას ყველგან დიდ პატივს სცემდნენ: მშრომელი მოსახლეობა უსაზღვრო მაღლიერებით მოიხსენი-



ებდა მას, მეორე მხრივ, ქალაქის ხელმძღვანელობისთვისაც ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო მოხელედ, ყოველაზე უნდა დანიშნულებული უნდა დანიშნულებული ანგარიშს მის აზრსა და საქმიან წინადაღების მიზანით გალითისათვის მხოლოდ ერთ შემთხვევას დავიმოწმებთ: გაზეთ „ივერიის“ (1891, №42) ცნობით, ქალაქის საპტოში ხმოსანმა ნიკ. დ. ზუბალაშვილმა ნარადგინა ქალაქის სამმართველოში მოსამსახურეთა პენსიის ნესდების ახალი პროექტი, რომელიც მონონებულ იქნა საბჭოს ნევრების მიერ: „პროექტი კარგია, საჭიროა მისი დროული განხილვა და შემდგომ შესრულება საქმით“.

გარდა ამისა, იყო ქალაქის გამგეობის ხმოსანი. აქაც გამოირჩეოდა საქმის ცოდნით, ადამიანური კეთილშობილებით. გონივრული რჩევა-დარიგებით აღსავსე მისი სიტყვები კოლეგებს ბევრჯერ მოუსმენიათ და კიდეც გაუთვალისწინებიათ.

როგორც მასალებით ირკვევა, ნიკოლოზი გახლდათ პრინციპული პიროვნება, პირდაპირი. ზოგჯერ გამგობის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების კრიტიკასაც არ ერიდებოდა, როცა საქმე ეხებოდა ქალაქის, ხალხის ინტერესებს (დროება, 1882, I, 28, № 20, გვ. 1, „შემთხვევა ქალაქის რჩევაში“).

ნიკოლოზ ზუბალაშვილის შრომა-საქმიანობასა და პიროვნულ თვისებებს თანამედროვენი ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ, ამიტომაც საზოგადოებამ პატივისცემით აღნიშნა მოსამართლის თანამდებობაზე მისი მუშაობის 30 წლისთვის.

ნიკოლოზ ზუბალაშვილი აქტიურად მონაწილეობდა თბილისის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ძმები ზუბალაშვილების გვერდით თვითონაც შეძლებისდაგვარად გასცემდა ხოლმე მონაცემების როგორც ლარიბთა დასახმარებლად, ისე საერთო-სახალხო საქმისათვის.

ნიკოლოზის მეუღლე იყო იულია, კვიტკოვსკის ასული. პყოლიათ ორი შვილი: მიხეილი და მარია (ზ. ჭიჭინაძე).

## დაკანონის ქადაგის შესახვა

დაკანონი ზუბალაშვილი დაიბადა 1873 წელს გორში, ცნობილი მეურნისა და ვაჭრის ანტონ დავითის ძის ოჯახში. დაამთავრა გორის სემინარია, შემდეგ – უმაღლესი კომერციული სასწავლებელი.

დავითი კათოლიკე ზუბალაშვილთა გვარის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმომადგენელი იყო. დიდად განათლებული, ნიჭიერი ფინანსისტი მაღლ იქცა ალღოან, გონიერ კომერსანტად, ცნობილ პიროვნებად სამრენველო კომპანიებში. გარდა ამისა, გამოირჩეოდა კეთილშობილებითა და ქველმოქმედებით, საქვეყნო ინტერესებზე ზრუნვითა და ერთგული თანადგომით.

დავითმა ადრეულ ასაქში დაინყო საპასუხისმგებლო კომერციული საქმიანობა. იგი უახლოესში ნათესავმა სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმა მიინვია სამუშაოდ ბაქოს ნავთობსარენების კანტორაში და მას შემდეგ ძმები ზუბალაშვილების გვერდით უშუალოდ მონანილეობდა ბაქოს ნავთობის ბიზნესში, ხელმძღვანელობდა ზუბალაშვილების ნავთობკომპანიის ქიმიურ ლაბორატორიას, ფაქტობრივად იყო ნავთობის საბაზოების საქმეთა მმართველი, ნარმატებული ადმინისტრატორი.

**შენიშვნა:** ზუბალაშვილებმა ბაქოში მხოლოდ ერთი შენობა ააგეს ნიკოლაევსკის (ახლანდელი აღიერების) ქუჩაზე. პირველ სართულზე განთავსებული იყო კომპანიის კანტორა (ბუღალტერია, კანცელარია), ქიმიური ლაბორატორია (სადაც მუშაობდნენ გეოლოგები და ქიმიკები), სამედიცინო კაბინეტი და მუშათა ხოციალური მომსახურების განყოფილება. მეორე სართულზე თვითონ ზუბალაშვილები ცხოვრობდნენ.. „ზუბალაშვილების ქონებიდან ბაქოში აძრნებული სახლი ერთადერთია, რომელიც მათ საქართველოსათვის არ აუშენებიათ. ზუ-

ბალაშვილები ჟემშემარიტი პატრიოტები იყვნენ. ნაეთობის ხე-  
ბადოებიდან შემოსული თანხებით ისინი საქართველოს მთავრობა-  
ვნელოვნად ეხმარებოდნენ. უცნაურია, მაგრამ ისტორიულ ქა-  
ნონზომიერებით, ეს შენობაც საქართველოს საკუთრებად იქ-  
ცა” (ნ. ფრიდონაშვილი, გაზ. „აბალი თაობა”, 2004, 20 დეკ.).

როცა ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ზუბა-  
ლაშვილებს, როგორც „ხალხის მტრებს”, ყვლაფერი ჩამოარ-  
თვეს, მათ შორის, კომპანიის შენობაც, რომელიც მოგვიანე-  
ბით ჰეიდარ ალიევმა დაუბრუნა ქართველ ხალხს საჩუქრის  
სახით. დღეს ამ შენობაში საქართველოს საელჩოა (ფაქტო-  
რივად, ახლაც გრძელდება ზუბალაშვილთა ქველმოქმედება!).

მართალია, დავით ზუბალაშვილი ძირითადად ბაქოში  
ცხოვრობდა (ოჯახი კი – თბილისში), მაგრამ ყოველთვის იყო  
დაკავშირებული ქართულ სინამდვილესთან, ახლოს იცნობდა  
ქართველ ინტელიგენციას, საზოგადო მოღვაწეებს, ეროვნულ-  
განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებს. იგი გახლდათ  
ილია ჭავჭავაძის ერთგული მეგობარი და თანამოაზრე, ილიას  
მიერ დაარსებული სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის წევრი.

თანამედროვეთა შეფასებით, „დავით ანტონის ძე ზუბა-  
ლაშვილი საუკეთესო ქართველი მამულიშვილია. იგი ისეთი  
ყმანვილკაცთაგანია, რომლის მსგავსნიც ჩვენში იშვიათია”  
(ზ. ჭიჭინაძე).

დავითი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ განეულ  
საქველმოქმედო ღონისძიებებში ყოველთვის იდგა ძმები ზუბა-  
ლაშვილების გვერდით. თითქმის არ ყოფილა ფართო მასშტა-  
ბისა თუ კერძოობითი ხასიათის რაიმე ნამონება, რომ დავითს  
ფინანსურადაც არ მიეღოს მონანილეობა (თბილისის საადგილ-  
მამულო ბანკის, უპოვართა სახლის, სასადილო „სამადლოს“  
დაარსება და შემდგომ მათზე მუდმივი შემნეობა-დახმარება,  
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და უურნალ-  
გაზეთების რედაქციებზე მზრუნველობა და ა. შ.).

დავითი თავისი ახლო ნათესავების მსგავსად გახლდათ  
ღრმად მორჩმუნე ადამიანი: კეთილი, ღარიბითა გამიითხავი.  
იგი სახელოვნად აგრძელებდა მამა-პაპათა საქმიანობას ეკ-  
ლესიების მზრუნველობის ასპექტითაც. ამაზე მეტყველებს ის  
ფაქტიც, რომ სოლოლაკის კათოლიკეთა სასაფლაოზე მდგა-

რი ჯვართამაღლების პატარა ეკლესიის ფაქტობრივი პატრონი და მფარველი 1900-იანი წლებიდან მის დახურვამდე ციხით ანტონის ძე ყოფილა. გარდა ამისა, იგი ითვლებოდა მიძინების ტაძრის სინოდის წევრად და აქტიურად მონაწილეობდა მის მუშაობაში.

1903 წელს დავითმა ბაქოს ნავთობსარენების დასათვალიერებლად მიინვია ილია ზურაბიშვილი. სტუმარი ყურადღებითა და ინტერესით გაეცნო ზუბალაშვილთა კომპანიის საქმიანობას და თავისი დიდი კმაყოფილება, საოცარი შთაბეჭდილება ქართველობასაც გაუზიარა „ივერიის“ რამდენიმე წომერში დაბეჭდილი სტატიიებით: „სხვისა რა მოგახსენოთ და მე კი რაღაც ეროვნულ სიამაყესა და უზომო კმაყოფილებას ვერდნობდი, როცა ბ-ნ კონსტანტინე ზუბალაშვილის ნავთის სარენების ადგილს ვათვალიერებდი მისი ნათესავის ბ-ნის დავით ანტონის ძის დახმარებით, რომელსაც დიდ მადლობას ვწირავ. ასე მგონია, თითქოს მთელი ჩვენი ეროვნული ძალა, ჯერჯერობით უტყვი სავაჭრო-სამრეწველო სამფლობელოები აქ მოგროვილაო. დიდი ხნის განმავლობაში მდორი, დაგუბებული, აქ, ამ უცხო ადგილას, ამოხეთქილა იგი, ვით მედგარი, შეუპოვარი შადრევანი ნავთისა და ჩვენს სასახელოდ აჩვენებს ყველას, რომ ქართველებსაც შეუძლიათ დიდი საქმეების შექმნა-ნარმოება“....

მკითხველი ამ მოქლე ამონარიდიდანაც გრძნობს, რომ ავტორის ამ სიტყვების მიღმა უდიდეს მადლიერებასა და სიამაყესთან ერთად ერთგვარი გულისტკივილიც ჩანს, რადგან იმ დროს, როცა ზუბალაშვილები უცხო მხარეშიც წარმატებებს აღნევდნენ, „მაშინ ჩვენში ქეიფსა და დროსტარებას გადაყოლილი და ამის გამო ვალებში ჩავარდნილი ქართველი თავადაზნაურობა გროშების ფასად ყიდდა მამულებს და ქონება სომებს ვაჭრებსა და სხვა უცხოელ მევახშეებს უვარდებოდათ ხელში“ (ჟურნალი „რეიტინგი“, 2005, №35, გვ. 54).

ბაქოს ნავთობის საბაზოებში ზუბალაშვილების საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოვადგენთ კიდევ ერთ ინფორმაციას: 1901 წელს, კონსტანტინე იაკობის ძის გარდაცვალების შემდეგ, ბაქოში საქართველოდან მიავლინეს უურნალ „მოგზაურის“ კორესპონდენტი. იგი ნახულისა და განცდილის

შესახებ დაწვრილებით ესაუბრებოდა მკითხველს... ბოლოს კი დაბეჭითებით დასძნდა: „სიმდიდრის შესაძენად როდი კმარა მარტო სიმდიდრის წყაროს ქონა. ბევრს ჩვენს თანამემაჟუათვა ლესაც ჰქონდათ და დღესაც აქვთ ბევრი ამისთანა და იქნებ უკეთესიც სიმდიდრის წყაროები... მაგრამ... მარტო იმათი ქონა არ კმარა-მეთქი. აქ საჭიროა კაცი აღვსილი ცოდნითა, ხასიათით, ენერგიით, შრომისმოყვარეობით, ფრიადის გულის-ყურით და სხვა მისთანა სათნოებით. თუ კაცში არ არის ყო-ველი ეს... ყოვლად უნუგეშო და უსარგებლო იქნება თვით ოქროს მაღნებიც“.

დავით ზუბალაშვილი ბაქოში მუშაობდა 1920 წლამდე (საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე). შემდეგ თბილისში დაბრუნდა, მაგრამ მალე, 1921 წლის 25 თებერვალს, ბოლშე-ვიკებმა თბილისიც დაიკავეს და დაინყეს მდიდრების (ვაჭარ-მრეწველების, კომერსანტების...) მთლიანი ქონების „ნაციონა-ლიზაცია“. მათ რიცხვში მოხვდა დავითის ოჯახიც: ყოფილ მილიონერს ჩამოართვეს მთელი ქონება და მთავრობისათვის საშიშ პიროვნებადაც ჩათვალეს.

დავით ზუბალაშვილი რომ იმთავითვე არ ემსხვერპლა საბჭოთა ხელისუფლებას და გადაურჩა დაპატიმრებასაც, ამ საბჭოთა ზუბალაშვილი იმით ხსნიდა, რომ, ჯერ ფაქტს ქ-ნი ანასტასია ზუბალაშვილი აღიარებული იყო, როგორც საუკეთესო ფინანსისტი, თავისი საქმის ჩინებული მცოდნე, რომელიც ახალ ხელისუფლებასაც უთუოდ დასჭირდებოდა და, მეორეც, შესაძლებელია, დავითი დაინდო თვითონ სტა-ლინმაც (გორში მეზობლები იყვნენ, ერთად იზრდებოდნენ).

მართლაც, დავითს ქალაქის ხელმძღვანელობამ მალე შეს-თავაზა სამსახური – ჩააბარეს თბილისის კომუნალური ბანკის განყოფილება (იპოთეკურ ქონებას განაგებდა). ამ თანამდებო-ბაზე იგი მუშაობდა ნლების მანძილზე, პენსიაზე გასვლამდე.

დავითის მეუღლე იყო ანა თუმანიშვილი, პროფესიით ექიმი, ცნობილი ქართველი კათოლიკე თავადის შთამომავა-ლი. ჰყავდათ ორი შვილი: ანტონი და ანასტასია.

დავით ანტონის ძე ზუბალაშვილი გარდაიცვალა 1950 წელს. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

## ალექსანდრე ანტონის ძე ზუბალაშვილი

ალექსანდრე ზუბალაშვილი დაიბადა 1876 წელს გორში. ოჯახური ტრადიციის მიხედვით, მიიღო კარგი განათლება, მაგრამ მას განსაკუთრებით აინტერესებდა (იზიდავდა) სამხედრო სამსახური, ამიტომ დაამთავრა ოუნკერთა სასწავლებელი. გაანანილეს რუსეთში. წლების მნიშვნელზე მსახურობდა. მეფის არმიაში. მონანილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. აქ და მეფის არმიაში. მონანილეობდა რუსეთ-იაპონიის წოდება. გამოჩენილი მამაცობისათვის მიანიჭეს პოლკოვნიკის წოდება.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ალექსანდრემ თავი დაანება სამხედრო სამსახურს, ჩამოვიდა საქართველოში და დამკვიდრდა გორში. ხელი მიჰყო სოფლის მეურნეობას, აგრძელებდა მამის საქმიანობას. იგი პირადად განაგებდა მათი ოჯახის კუთვნილ წყლის ნისქვილს, გატაცებული იყო ცხენების მოვლა-მოშენებითაც.

1924 წლის ცნობილი აჯანყების დროს ალექსანდრე, როგორც მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, დააპატიმრეს. მართალია, იმხანად გადაურჩა დახვრეტას, მაგრამ 1937 წლის რეპრესიებს ვეღარ ასცდა: გადაასახლეს ყაზახეთში, ყარაგანდის მახლობლად მდგრად ბანაკში მოხვდა, ტიფით დაავადდა დის მახლობლად მდგრად ბანაკში მოხვდა, ტიფით დაავადდა და მალე (დაახლ. 1937 ან 1938 ნ.) გარდაიცვალა (ოჯახს ეს ინფორმაცია შეატყობინა იქაურმა მღვდელმა, რომლის ხელშიც სული დალია თურმე ავადმყოფმა).

ალექსანდრემ რუსეთში ყოფნის დროს ცოლად შეირთო ანა ვოლკოვა. იგი წლების მანძილზე ქმართან ერთად ცხოვრობდა საქართველოში, გორში. მეუღლეებს შვილი არ ჰყობათ.

## ბავლე ანტონის ჩე ზუბალაშვილი

პავლე ზუბალაშვილი დაიბადა 1879 წელს გორში. დაამთავრა გორის სემინარია. სასწავლებელში იგი გამორჩეული ყოფილა ბეჭითობითა და განსაკუთრებული ნიჭიერებით, მათემატიკური აზროვნებით. მასწავლებლები და ახლობლები ყმანგილს დიდ სამეცნიერო მომავალს უნინასწარმეტყველებ-დნენ თურმე.

მშობლებმა უმაღლესი განათლების მისაღებად პავლე პეტერბურგში გაგზავნეს. იგი გახდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ აიტანა იქაური კლიმატი, ტუბერკულოზით დაავადდა და ცოტა ხნის შემდეგ იქვე გარდაიცვალა.

მამამ შვილი გადმოასვენა პეტერბურგიდან, დაკრძალეს გორში ზუბალაშვილთა საგვარეულო სასაფლაოზე.

კათოლიკე ზუბალაშვილთა სახელოვანი გვარის ბოლო თაობის კიდევ ერთი ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან უმემ-კვიდრეოდ. განგებამ აღარც პავლეს დააცალა თავისი ცოდ-ნა-განათლებით კეთილი სამსახური გაეწია ქვეყნისა და მშო-ბელი ხალხისათვის, თავისი „კაცადკაცობით“ ღირსეულად გა-ეგრძელებინა მამა-პაპათა სახელოვანი გზა.

## ანტონ ზუბალაშვილი დაიბადა 1901 წელს თბილისში. ოჯახშივე მიიღო კარგი განათლება. ბავშვობაში შეისწავლა ევროპული ენები უცხოელი მასწავლებლების მეშვეობით. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა იუნკერთა სკოლაში. ჭკვიანი, განათლებული ყმანვილი მენშევიკების ჯარების სარდალმა, გენერალმა ოდიშელიძემ, თავის ადიუტანტად დანიშნა (ოდიშელიძეს სჭირდებოდა თურმე ევროპული ენების მცოდნე ადიუტანტი). იუნკერთა სასწავლებლის დირექტორის რეკომენდაციით, ასეთად შეირჩა ანტონ დავითის ძე ზუბალაშვილი, რომელიც ზედმინევნით კარგად ფლობდა რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს).

1921 წელს ანტონი ემიგრაციაში გაჰყენა მენშევიკების მთავრობას. ისინი ჯერ სტამბულში შეჩერებულან, ურთხანს თავი შეუფარებით ქართველ კათოლიკეთა მონასტრისათვის.

**შენიშვნა:** ცნობილია, რომ პ.ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებული ქართველთა საფანე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებამდე ჭეშმარიტად იყო არა მარტო საზღვარგარეთ არსებული ქრისტიანული რელიგიის ცენტრი, არამედ ეროვნული სულიერი ეულტურის უმნიშვნელოვანების კერაც, მშობლიური ქვეყნის უანგარო მსახური და იმავდროულად კეთილი მასპინძელი თანამემამულებისა.

ახლობელთა გადმოცემით, 20 წლის ჭაბუკი ანტონი, საქართველოში დამყარებული ახალი პოლიტიკური რეჟიმის გამო, იძულებული გახდა სამუდამოდ დაეტოვებინა სამშობლო და საქართველოს დემოკრატიკული ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად უცხოეთში გამგზავრებულიყო. როგორც ირკვევა, ანტონი სტამბულში დარჩენილა რამდენიმე



ნელს, სწავლობდა თურმე კათოლიკეთა მონასტერთან, გრიგორი ბულ სასწავლებელშიც, თუმცა, სამწუხაროდ, იმ ნლებშია ანიმა ტონის სხვა საქმიანობის შესახებ ოჯახს აღარ მიუღია რაიმე ინფორმაცია გარდა იმისა, რომ 1928 წლიდან იგი საცხოვრებელად დამკვიდრებულა საფრანგეთში (პარიზში).

1938 წლიდან ანტონ ზუბალაშვილი იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ ფრანგების მხარეზე და იქვე დაიღუპა მალე (სხვა ცნობით, 1944 წელს). ანტონს საფრანგეთის მთავრობამ გარდაცვალების შემდეგ მიაკუთვნა საპატიო ლეგიონერის ორ-დენი. დაკრძალულია პარიზში პერლაშეზის სასაფლაოზე.

ანტონ დაივითის ძე ზუბალაშვილს მემკვიდრე არ დარჩენია.

რაოდენ დასანანია, რომ საბჭოთა ეპოქის სასტიკმა რე-უიმმა ანტონის სახით შეინირა ზუბალაშვილთა სახელოვანი გვარის კიდევ ერთი ნარმომადგენელი, ჩვენ მიერ დახასიათებული შტოს უკანასკნელი მემკვიდრე მამაკაცი საქართველოში, ნიჭიერი, უალრესად განათლებული, დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა.

## ანასტასია დავითის ასული ზუბალაშვილი<sup>3</sup>

ანასტასია (ტასო) ზუბალაშვილი დაიბადა 1915 წლის 15 აგვისტოს. მდიდარი კომერსანტის ქალიშვილი ფულუნებაში იზრდებოდა; მშობლებისა და გორში მცხოვრები ბებია-ბაბუას ოჯახების თბილ გარემოში ყალბიდებოდა მისი ხასიათი (სათნოება და კეთილშობილება), ადამიანთა სიყვარული და პატივისცემა....

მშობლების წყალობით, ტასო ბავშვობიდანვე ტრიალებდა მაღალ საზოგადოებაში, იცნობდა მაშინდელი თბილისის ნარჩინებულ ოჯახებს, ისმენდა მათი ნინაპრების მოღვაწეობა-და-დამსახურების შესახებ და თავადაც ოცნებობდა მიებაძა მათთვის ქველმოქმედებაში.

ქ-ნი ტასოს ნათლიები იყვნენ საქართველოს ტახტის მემკვიდრე გიორგი ბაგრატიონი და მისი მეუღლე ელენე ზლატინსკაია.

მშობლებმა ქალიშვილის აღსაზრდელად მოინვიეს გერმანელი აღმზრდელი ფროილაინ ოტილია, რომელიც ბავშვს ასწავლიდა უცხო ენებს, ასევე ხელსაქმეს (ქსოვას, ქარგვას; ნამცხვრების ცხობას...).

მართალია, 1921 წლის თებერვლის ბოლოს მიღიონერის ქალიშვილის „ზლაპრული, ულამაზესი ბავშვობა“ სრულიად

<sup>3</sup> მართალია, ნიგნში ქვეთავების მიხედვით ცალ-ცალკეა დახასიათუ-ბული კათოლიკე ზუბალაშვილთა ერთი შტოს მხოლოდ მამაკაცების ცხოვრება-საქმიანობა, მაგრამ ამჯერად მართებულად (და საქირო-დაც) მივიჩნიეთ ჩვენი თხრობა დაგვემთავრებინა ამ სახელოვანი შტოს უკანასკნელი შთამომავლის – ქ-ნი ანასტასიას საინტერესო ბიოგრაფიით.



მოულოდნელად შეცვალა მნარე სინამდვილემ (შიშმა, სილა-რიბემ, საზოგადოების მხრიდან „კრიტიკულმა“ დამოუკეთებელებამ), მაგრამ მან მაინც შეძლო კარგი განათლების მიღება: თბილისში დაამთავრა რუსული სკოლა, შემდეგ – სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი (მამის სურვილის მიხედვით) და სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი (დედას გაუნია ანგარიში).

ქ-ნ ტასოს ერთხანს სამსახურიც დაუწყია, აპირებდა სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებას, მაგრამ მალე გათხოვდა და შემდეგ აღარსად უმუშავია. მისი მეუღლე – ვიქტორ კოკოჩაშვილი გახლდათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკური ქიმიის კათედრის გამგე, უნიკალური განათლების მქონე პიროვნება და გამორჩეული მამულიშვილი.

ანასტასია ზუბალაშვილი გარდაიცვალა 2007 წლის 31 ოქტომბერს, 92 წლის ასაკში. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე მეუღლებისა და მშობლების გვერდით.

ქ-ნი ტასო ზუბალაშვილი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ფხიზელ დარაჯად ედგა წინაპართა ხსოვნას; საინტერესო მოგონებებით ნარმოაჩენდა ერისა და ქვეყნის წინაშე მამა-პაპათა უდიდეს ღვანლს (რაც, სამწუხაროდ, მაშინ ქვეყნის პოლიტიკური რეუმიდან გამომდინარე თითქმის მივინყბული იყო); სიამაყით ჰყევებოდა ზუბალაშვილთა გვარის სახელოვანი ცხოვრების ეპიზოდებს, მათი ქველმოემედების ცალკეულ ფაქტებს.

აქვე მადლიერებით დავსძენთ: კითხულობ ქ-ნი ტასოს უამრავ მოგონებას (რომელიც დრო და დრო იქნებოდა პრესის ფურცლებზე ძირითადად 1980-იანი წლების შემდეგ), პირველ ყოვლისა, თვალწინ ნარმოვიდგებათ ზუბალაშვილთა გვარის ღირსეული ადამიანები და იმავდროულად გრძნობ, რომ ამ უმშვენიერეს ქალბატონშიც ძალუმადაა დალექილი წინაპრების საუკეთესო თვისებები. ამიტომ იყო, რომ თავადაც ხშირად იმეორებდა: „სიმდიდრეს მაშინ აქვს ფასი, თუ კეთილი საქმეებისთვის იყენებ და სარგებლობას მოუტან ადამიანებს“.



ნამდვილად სამაგალითოა ქ-ნი ტასოს შემართება ზუბალაშვილთა სახელისა და ლირსების დაცვა-შენარჩუნებაში მიუღია მინაც კი, როცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ზუბალაშვილები და მათი მსგავსი მოლვანეები „პურუშებად“ და ხალხის მტრებად იყვნენ გამოცხადებული. მავანი და მავანი სარგებლობდა არსებული პოლიტიკური რეჟიმით და სხვადასხვა ფორმით შეურაცხყოფდნენ ერისათვის მოამაგე მამულიშვილების ხსოვნას.

სამწერაროდ, ასეთი დამოკიდებულება კარგახანს გრძელდებოდა ჩვენში: ახალ ხელისუფლებას სურდა „ძვირ-ფესვიანად ამოეძირკვა ნარსულის გადმონაშთები“, უმოწყალოდ ანადგურებდნენ სამშობლოს ერთგულ ქველმოქმედთა მიერ შექმნილ ეროვნულ სიმდიდრეს, ძვირფას შენობა-ნაგებობებს, ეკლესია-სასაფლაოებს, და სხვა ამგვარ ფასეულობებს...

დღეს იკისროს ნარმომადგენლობა ტფილისის ქალაქის თვით-  
მმართველობისა და განსვენებულის კუბი შეამკოს ვერცხლის  
გვირგვინით შემდეგი ნარჩერით: „ტფილისის საპატიო მოქალა-  
ქეს და უხვ ქველმოქმედს ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშ-  
ვილს ქალაქ ტფილისისაგან“; 3) გადახდილ იქნას ქალაქის საბ-  
ჭოს დარბაზში კრების დაწყებამდე პანაშვიდი; 4) პანაშვიდები  
გადახდილ იქნეს აგრეთვე სახალხო სახლსა და საბავშვო საა-  
ვადმყოფოში; 5) სახალხო სახლში 9 დეკემბრისათვის დანიშნუ-  
ლი ნარმოდგენა სხვა დროისათვის გადაიდოს; 6) ამ დღეს სა-  
ხალხო სახლი დაკეტილ იქნას ნიშნად გლოვისა; 7) კავკასიის  
მომავალ საპოლიტეხნიკუმო ინსტიტუტში დაარსდეს 600 მანე-  
თიანი სტიპენდია ლევან კონსტანტინეს ძის სახელზე; 8) გან-  
სვენებულის სურათი დაიკიდოს სახალხო სახლში”...

სახ. ფურც., 1914, 10 დეკ., №159, გვ. 2.

7. ა) – ტფილისი. ლ. კ. ზუბალაშვილის გარდაცვალების  
გამო ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოების გამგეობას საგანგებო კრება  
ჰქონდა 9 დეკემბერს. კრებამ დაადგინა: 1) ულრიხი თანაგ-  
რძნობა გამოუცხადოს განსვენებულის მეუღლეს ოლღა ივანეს  
ასულს, დას – იულია კონსტანტინეს ასულ თუმანიშვლისას და  
ძმებს – ნ.კ.გ. საზოგადოების საპატიო ნევრებს – პეტრე და  
იაკობ ზუბალაშვილებს. 2) გადაიხადოს კვირას, 14 დეკემბერს,  
პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. 3) გვირგვი-  
ნის ნაცვლად ნიგნები შესწორის სახალხო პიბლიოთეკებს. 4)  
დაარსოს ტფილისის გუბერნიაში განსვენებულის სახელზე ერ-  
თი პიბლიოთეკა და ერთი სკოლა. 5) დაპერიდოს განსვენებულ ლ.  
კ. ზუბალაშვილის სურათები ნ.კ.გ. საზოგადოების კანცელარი-  
აში და საზოგადოების ეროვნულ მუზეუმში.

ბ) გუშინ, 10 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის თვითმმარ-  
თველობის თაოსნობით ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეპ-

ლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი განსვენებულ ლ. კ. ზუბა-  
ლაშვილის – თბილისის საპატიო მოქალაქის სულის მოსკოვის  
ნებლად. პანაშვიდის დაესწრენ ქალაქის მოურავი ა. ი. ხატი-  
სოვი, გამგეობის წევრი, ხმოსნები, განსვენებულის ნათესა-  
ვები, ნარმომადგენლები თავად-აზნაურების და სხვა საზოგა-  
დოებრივი დაწესებულებისა, პრესისა... მრავალი პატივისმცე-  
მელი განსვენებულისა. პანაშვიდი შეასრულა ქართველმა  
ფრანგ მღვდელმა ქართულ ენაზე, ქართულად გალობდა ქარ-  
თული ხორო ფისგარმონიაზე. მაგიდის შევი ნასაფარებელი  
ქართული ოქროს ასოებით იყო წანერილი.

გ) ლ. კ. ზუბალაშვილის გარდაცვალების გამო გუშინ  
ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა პეტრე ზუბალაშვილის  
რნმუნებულს ე.კ. როძევიჩის წერილი გაუგზავნა, რომლითაც  
სთხოვს ქალაქის საბჭოს სახელით თანაგრძნობა გამოუცხა-  
დოს ტფილისის საპატიო მოქალაქეს პ.კ. ზუბალაშვილს მისი  
ძმის გარდაცვალების გამო.

• სახ. ფურც., 1914, 11 დეკ., №160, გვ. 2.

8. განცხადება ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოებისა ლევან ზუბა-  
ლაშვილის გარდაცვალების გამო.

სახ. ფურც., 1914, 12 დეკ., №161, გვ. 1.

9. განცხადება ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოების გამგეობისა ლ.  
კ. ზუბალაშვილის პანაშვიდის შესახებ 13 დეკემბერს მიძინე-  
ბის ტაძარში. „უხვ ქველმოქმედის ლ.კ. ზუბალაშვილის სუ-  
ლის მოსახსნებლად დღეს, 13 დეკემბერს, გადახდილ იქნება  
პანაშვიდი“.

• სახ. ფურც., 1914, 13 დეკ., №162, გვ. 1.

10. ლ. კ. ზუბალაშვილის გარდაცვალების გამო ქ.შ.ნ.კ.გ.  
საზოგადოებამ გადაუხადა პანაშვიდი და სამძიმრის დეპეშა  
გაუგზავნა მოსკოვში მის ქვრივს. პასუხად ოლღა ზუბალაშვი-  
ლისამ მადლობა შემოუთვალა.

სახ. ფურც., 1914, 16 დეკ., №164, გვ. 2.

11. ტფილისი. რედაქციამ ოდესიდან შემდეგი სამიმო-  
რის დეპეშა მიიღო: „უზომოა ჩვენი მწუხარება, აუნაზღუდული მო-  
ბელია დანაკლისი გამოჩენილი ქართველი ქველმოქმედისა,  
მეცენატის და კულტურულ საქმეთა დარაჯად მდგარ ლ.კ.  
ზუბალაშვილის გარდაცვალების გამო.

ქართველი სტუდენტებისა და კურსებზე მოსიარულე  
ქალთა მონძობილობით ვლად. მდივანი“.

სახ. ფურც., 1914, 23 დეკ., №170, გვ. 2.

## 12. ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი (1852-1914)

„ჩვენმა მცირე რიცხოვანმა საზოგადო მოღვაწეთა გუნ-  
დმა წასული ნლის 6 ქრისტესშობის თვეს ერთი შესანიშნავი  
ადამიანი დაკარგა - ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

მეითხველი ქართველი და არა მარტო ქართველი, კარ-  
გათ უნდა იცნობდეს ზუბალაშვილების არა ჩვეულებრივ  
გულეკეთილობასა და სიუხვეს. ბევრი, ბევრი რამ გვიძლვნეს  
ზუბალაშვილებმა. დავინყოთ, თუ გსურთ ნერა-ეკითხვის სა-  
ზოგადოებიდან. გარდა უხვი შენირულებისა, ზუბალაშვილებ-  
მა ყოველწლიურად 600 თუმანი დაუნიშნეს ამ საზოგადოების  
ღარიბ მონაფების სასტიპენდიოთ. ზუბალაშვილებმა საკუ-  
თარის ხარჯით ააგეს თფილისში სახალხო სახლი. (იქვეა შვე-  
ნივრათ მონყობილი ბიბლიოთეკა). ამავე დარბაზში იმართება  
სხვა და სხვა ენაზე და სხვა და სხვა დარგიდან ლექციები;  
ნარმოდგენები და კონცერტები, სადაც ღარიბ ხალხს, განურ-  
ჩევლათ ეროვნებისა, საშვალება ეძლევა ისმინონ თავთავის  
ენაზე გონიერი სიტყვა და დატებენ შევნიერი ანგებით.

სამადლო სახლი, ბავშვთა საავათმყოფო ზუბალაშვი-  
ლებმა შექმნეს და ასაზრდოებენ...

თფილისმა უკვე დააფასა მათი ღვანლი და თავის საპა-  
ტიო მოქალაქეებათ აირჩია ისინი. ახლათ გადაცვალებული  
ლევანი დაიბადა თფილისში 1852 წელს. იზდებოდა ქუთაისში  
თავის პაპა მიხეილ თუმანიშვილთან; ქუთაისშივე მიიღო პირ-  
ველ დაწყებითი სწავლა. შემდეგ გადავიდა მოსკოვს და ცოლი  
შეირთო. ოჯახში ლევანი ბედნიერი არ ყოფილა. მან დაკარგა



ცოლიც და ერთათერთი შვილიც. მაგრამ ცოლ-შვილის გარ დაცვალებამ ის ვერ დასცა სულით. ნინააღმდეგ, ამ უბედურ შენირვალობის ბის შემდეგ, ლევანი უფრო მეტი სიყვარულითა და ენერგიით შეუდგა მოძმის მრავალნაირ ნაკლულევანებისა და ტანჯვერ ბის მოსპობას. მოიგონერ მისი ნახევარი მილიონის ომისგან შექმნილ უბედურებათა შესასუბუქებლათ შენირვა, მოიგონეთ მისი მახლობელი მონანილეობით საბავშო საავათმყოფოს აშენება თფილისში, მოსკოვში მისი დიდებულ სახლების დაჭრილ მეომრებისათვის ლაზარეთათ დათმობა; თფილისის სასარგებლოთ მისი შენირულობები, 30, 000 მანათი კათოლიკეთა საკუთარი ეკლესიის ასაგებათ მისგან გადაცემული და ყოველივე ამის შემდეგ შეგიძლიათ ნარმოიდგინოთ, თუ რა მრავალფეროვანი იყო ან განსვენებული ლევან კონსტანტინეს ძის ღვანლი და გულკეთილობა.

დიახ, პატივსაცემია ამ გვარი ადამიანი, რადგან ის არა მარტო ქველმოქმედია – მაღალი მისაბაძი მაგალითიც არის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზუბალაშვილები საყურადღებო არიან ჩვენი ცხოვრებისათვის, არა როგორც ქველმოქმედი და დიადი გულკეთილობის მატარებელი გვამები, არა, ისინი საგულისხმო არიან, როგორც გაევროპიელებული ქართველებიც, რომელთაც დაგვარწმუნებს, რომ ქართველს შეუძლია გამდიდრდეს, მოიცემოს ძალა-ლონებ, შექმნას თავისი ბურჟუაზიანი და განძი, რომ მით თვისი კაპიტალისტური დიდი მომავლისკენ წინ სვლა განამტკიცოს და უზრუნველყოს”.

შურნ. „განთიადი“ (რედაქტორი მღვდ. სიმონ მჭედლიძე), 1915, №1 (გვ. 44-46).

### სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი

1. სტეფანე ზუბალაშვილის მიერ შენირულობა უურნალ „ჰელიოს“.

კვალი, 1900, № 44, გვ. 696.



2. ზ.იაქ. გორი, 5 დეკემბერი (პატირ ჩგაბრიელ ასლანიშვილის და სტეფანე ზუბალაშვილის დახმარებით ქართველი კათოლიკეების გადმოსახლება სოფ. უდედან).  
ივერია, 1901, 11 დეკ., №268, გვ. 9.

3. მაღლობა ქართული დრამატული საზოგადოების გამ-  
გეობისაგან სტეფანე ზუბალაშვილს საზოგადოებისათვის 100  
თუმნის შემონირვის გამო.

ივერია, 1902, 4 იანვ., № 3, გვ. 2.

4. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობა. ბ-  
ნო რედაქტორო! (მადლობა სტ. ზუბალაშვილს ფულის შემო-  
ნირვის გამო). [ასეთი ინფორმაცია პრესაში ხშირადაა. სტეფა-  
ნე იყო ამ საზოგადოების საპატიო წევრი - ქ. ფ.].

ცნ. ფურც., 1902, 5 იანვ., №1689, გვ. 4.

5. გორელთა სასარგებლოდ ზუბალაშვილთა შენირულე-  
ბა (მესხეთიდან გორში გადმოსახლეს გლეხები. მათ დასახმა-  
რებლად სტ. ზუბალაშვილმა შესნირა 1,000 მან.)

ცნ. ფურც., 1902, 25 მარტ., №1763, გვ. 2.

6. სტ. ზუბალაშვილის და იაკ. გოგებაშვილის მიერ ფუ-  
ლის შენირვა ლარიბი სკოლებისათვის „ჯევილის“ გამოსაწე-  
რად.

ივერია, 1902, 28 მარტ., № 64, გვ. 1.

7. ლომთათიძე პავლე. ბ-ნო რედაქტორო! (მადლობა  
პართენ გოთუას და სტეფანე ზუბალაშვილს ალაგირის ქარ-  
თულ სკოლისათვის წიგნების შემონირვის გამო).

ივერია, 1902, 30 აპრ., № 90, გვ. 4.

8. (ხატიაშვილი დ) დ.ხ. საბუე (თელავის მაზრა). სტ. ქ.  
ზუბალაშვილის დახმარება სკოლას- მოწაფეების მიერ „ექიმ-  
ბაშის“ და „დატრიალდა ჯარას“ დადგმისათვის.

ივერია, 1902, 18 აგვ., № 175, გვ. 3.



9. ხაუკომისა გერასიმე. წერილი რედაქციის მიმართ (მადლობა სტ.-კ. ზუბალაშვილს სოფ. ყუმისთავის სამრევლო სკოლისათვის „ჯეჯილის“ გამოწერის გამო).  
ივერია, 1903, 16 იანვ., № 12, გვ. 4.

10. ხატიაშვილი დიმიტრი. წერილები რედაქციის მიმართ (მადლობა სტ.-კ. ზუბალაშვილს სოფ. საბუეს სკოლისათვის „ჯეჯილის“ უფასოთ გაგზავნის გამო).  
ივერია, 1903, 19 იანვ., № 15, გვ. 4.

11. პალიაშვილი დავითი. ბ-ნო რედაქტორო! (მადლობა სტ. ზუბალაშვილს ბარისახოს სკოლისათვის „ჯეჯილის“ გამოწერის გამო).  
ცნ. ფურც., 1903, 15 თებ., № 2070, გვ. 2.

12. ბაქო. სტ. ზუბალაშვილის მიერ თბილისის სათავა-დაზნაურო სკოლისათვის ფულის შემონირვა (დეპეშა).  
ივერია, 1903, 23 თებ., № 43, გვ. 4.

13. „სასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ მკითხველთ“  
(სტ. ზუბალაშვილის შემონირულება სათავადაზნაურო სკოლის შენობის დასამთავრებლად).  
ცნ. ფურც., 1903, 24 თებ., № 2078, გვ. 1.

14. ტფილისი. 25 თებერვალი (სტ. ზუბალაშვილის მიერ 50.000 მან. შენირვა სათავადაზნაურო სკოლის ასაშენებლად). „როგორც „ივერიის“ კორესპონდენტი გვატყობინებს, ბაქოდგან 22 ამ თვეს სტ. ზუბალაშვილმა შესწირა სათავადაზნაურო სკოლის სასარგებლოდ ამ ხანად ხუთი ათასი თუ-მანი (50.000 მან.)... სკოლის შენობის დამთავრება გაჭიანურდა... ქართველები არ ზრუნავენ... დიალ, ბ-ნ ზუბალაშვილის ქველმოქმედება ბევრს დიდად ასიამოვნებს, ამავე დროს ბევრს წამოაწილებს და ბევრს მძინარეს გამოაფხიზლებს“. ბევრს წამოაწილებს და ბევრს მძინარეს გამოაფხიზლებს".  
ივერია, 1903, 25 თებ., № 44, გვ. 1.

15. ტფილისი. (სტ. ზუბალაშვილის მიერ შენირული ფული სკოლის შენობის დასამთავრებლად. აგრეთვე მიშენებული სკოლებისათვის „ჯეჯილის“ გამოწერა. „იმ 50.000 მანეთიდან, რომელიც ბ-ნმა სტეფანე ზუბალაშვილმა შესწირა სათავადაზნაურო სკოლას შენობის ასაგებათ, გუშინ, 25 თებერვალს, გამგე კომიტეტმა უკვე მიიღო 30.000 მანეთი.

„ჯეჯილის“ რედაქცია გულითადს მადლობას უძღვნის ბ-ნ სტ. ზუბალაშვილს, რომელმაც გამოუგზავნა, როგორც კვლავ, რედაქციას 200 მანეთი სკოლებისათვის უ. „ჯეჯილის“ მისაწოდებლად.

ივერია, 1903, 26 თებ., №45, გვ. 2.

16. ტფილისი. სტ. და იაკ. ზუბალაშვილებისაგან 30.000 მანეთის მიღება სათავადაზნაურო სკოლის დასამთავრებლად.

ტფილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარე თავადაზნაურთა საზოგადოების კანცელარია გვთხოვს დავპეჭდოთ, რომ საზოგადოების გამგე კომიტეტმა მიიღო ბ-ნ სტ. და იაკ. ზუბალაშვილებისაგან სათავადაზნაურო სკოლის შენობის სასარგებლოდ შემოწირული ოცდაათი ათასი მანეთით. ამის გამო გამგე კომიტეტს დაუდგენია: მადლობის ნერილი გაეგზავნოთ შემოწირველთ და თავის დროზე მოხსენდეს ეს ამბავი საზოგადოებას.

ივერია, 1903, 1 მარტ., №48, გვ. 1-2.

17. მარტყოფის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგე მადლობას უხდის სტ. ზუბალაშვილს შურნალ „ჯეჯილის“ გამოწერისათვის.

ცნ. ფურც., 1903, 10 მარტ., №2092, გვ. 1.

18. გარსიაშვილი პავლე. ბატონო რედაქტორი! (მადლობა სტ. ზუბალაშვილს ტომსკის ქართველ სტუდენტებისათვის შურნალ „მოგზაურის“ გამოწერის გამო).  
ივერია, 1903, 25 მარტ., №68, გვ. 4.



19. ალბუთაშვილი მ. ნერილი რედაქტოის მიმართ (მადლობა სტ. ზუბალაშვილს პანკისის სკოლისათვის „ჯევილის გამოწერის გამო).

ივერია, 1903, 25 მარტ., №68, გვ. 4.

20. ტფილისი. (სტეფანე და პეტრე ზუბალაშვილები და მათი დისნული პავლე თუმანიშვილი თბილისის სათავადაზნაურო სკოლის მშენებლობაზე).

ივერია, 1903, 11 აპრ., №78, გვ. 2.

21. მეტრეველი პეტრე. ბატონო რედაქტორო! (მადლობა სტ. ზუბალაშვილს სოფ. ალაგირის ქართულ სკოლისათვის ურნ. „მოგზაურის“ გამოწერის გამო).

ივერია, 1903, 6 მაის., №98, გვ. 3.

22. ბათუმი (ზუბალაშვილების მიერ აგებული კათოლიკეთა ეკლესიის კურთხევა ეპისკოპოს როპშის მიერ).

ცნ. ფურც., 1903, 7 მაის., №2144, გვ.2;

ივერია, 1903, 8 მაის., № 99, გვ. 1.

23. ზ.ჭ. (ზ. ჭიჭინაძე) კათოლიკეთა ეკლესიის კურთხევა ბათუმში (სტეფანე ზუბალაშვილის, იოსებ ოცხელის, ივანე გვარამაძის (ვინმე მესხი) თანდასწრებით).

ივერია, 1903, 13 მაის., №102, გვ. 3.

24. გვარამაძე კ. მესხი (ხიზაბავრა, ჯავახეთი) (დაწყებითი სკოლა. სტ. ზუბალაშვილის შესაწირავი მომავალ ქალთა სკოლას...).

ცნ. ფურც., 1903, 30 მაის., №2165, გვ. 3.

25. მესხი კ. გვარამაძე. ხიზაბავრა. ხიზაბავრის სკოლას სტ. ზუბალაშვილმა შესწირა 1.000 (ათასი) მანეთი ახალი შენობის ასაგებად.

ცნ. ფურც., 1903, 30 მაის., №2165, გვ. 3.



26. სტ. ზუბალაშვილი, რომელმაც თავადაზნაურობის სკოლის შენობისათვის შესწირა 50.000 მანეთი (პორტრეტი გვ. 1-  
ცნ. ფურც., ს. დ. 1903, 13 ივლ., №135, გვ. 1).

27. სეხნიაშვილი კოტე. ნერილი რედაქციის მიმართ  
(მადლობა სტ. ზუბალაშვილს ძველ-გავაზის სკოლისათვის  
„ჯეჯილის“ გამოწერის გამო).  
ივერია, 1903, 12 სექტ., №194, გვ. 3.

28. გვარამაძე კ. მესხი. ხიზაბავრა (ჯავახეთი) (სკოლების  
შენობების დამთავრება ერთი ზუბალაშვილის ხარჯით...).  
ცნ. ფურც., 1903, 10 ოქტ., №2288, გვ. 3.

29. ჭიჭინაძე ზ., მარუშიძე ია – ქართული სახალხო სამეც-  
ნიერო წიგნები, გამოცემული სტ. ზუბალაშვილის საფასით.  
მოგზაური, 1903, № 7-8, გვ. 209-243.

30. (ზურაბიშვილი ილია) ზ. ი. რამდენიმე დღე ბაქოში  
(გაკვრით). (მგზავრის შთაბეჭდილებანი. ნავთის მრეწველობა.  
ქართველი ინტელიგენცია. სტ. კ. ზუბალაშვილის ნავთის  
ნარმოება და მუშათა მდგომარეობა ამ ნარმოებაში).  
ივერია, 1903, 19 დეკ., №271, გვ. 2-3; 20 დეკ., №

№272, გვ. 2-3; 22 დეკ., №274, გვ. 1-2; 24 დეკ., №  
275, გვ. 3; 28 დეკ., №278, გვ. 1-2; 31 დეკ., №280,  
გვ. 2-3.

31. სტ. ზუბალაშვილის შენირულება სათავადაზნაურო  
სკოლას. „ბ-ნმა სტ. კ. ზუბალაშვილმა შესწირა სათავადაზნა-  
ურო სკოლის შენობის ასაგებათ 50.000 მანეთი, რომლიდანაც  
გამგე კომიტეტს უკვე მიულია 30.000 მან“.  
კვალი, 1903, 2 მარტ., №10, გვ. 160-161.

32. ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოებას არსებობის 25 წლისთავი  
მიულოცა ბაქოდან სტ. ზუბალაშვილმა და შესწირა 10 ათასი  
მანეთი.

ცნ. ფურც., 1904, 8 აპრ., №2460, გვ. 2.

33. ტფილისი (სტ. კ. ზუბალაშვილის მიერ „ნ. კ. გ. საზო-  
გადოებისათვის“ 25 წლის იუბილეს მილოცვა). საზო-  
გადოებისათვის 25 წლის იუბილეს მილოცვა).  
ივერია, 1904, 8 აპრ., № 84, გვ. 1.
34. გვარამაძე კ. მესხი. ხიზაბავრა (ჯავახეთი). (სტ. ზუ-  
ბალაშვილისა და დომინიქე მულაშვილის შენირულებანი).  
ივერია, 1904, 4 აგვ., № 179, გვ. 2.
35. განცხადება. 14 სექტემბერს ქ. პარიზში ხანგრძლივი  
ავადყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სტეფანე კონსტანტინეს  
ძე ზუბალაშვილი.  
ცნ. ფურც., 1904, 15 სექტ., № 2610, გვ. 1.
36. მეტად სამნუხარო ამბავი (სტ. კ. ზუბალაშვილის  
გარდაცვალება პარიზში).  
ივერია, 1904, 17 სექტ., № 214, გვ. 2.
37. სტ. ზუბალაშვილის გარდაცვალება. ცნობები მისი  
საქველმოქმედო მოღვაწეობიდან.  
ცნ. ფურც., 1904, 17 სექტ., № 2613, გვ. 2.
38. ტფილისი (სტ. ზუბალაშვილის გვამის გადმოსვენება  
პარიზიდან).  
ივერია, 1904, 23 სექტ., № 219, გვ. 2.
39. ბათუმიდან დეპეშა (სტეფანე ზუბალაშვილის პანაშ-  
ვიდის შესახებ).  
ცნ. ფურც., 1904, 24 სექტ., № 2620, გვ. 2.
40. ტფილისი (სტ. ზუბალაშვილის გვამის ჩამოსვენება).  
ივერია, 1904, 24 სექტ., № 220, გვ. 2.

41. (ზ. ჭიჭინაძე) ზ. ჭ. – სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუ-  
ბალაშვილი (ნეკროლოგი).  
ივერია, 1904, 24 სექტ., №220, გვ. 2; ცნ. ფურც.,  
1904, 26 სექტ., №2622, გვ. 4.

42. მუხუზლა რაჭველი იასე. ბათუმი (სტ. ზუბალაშვი-  
ლის გარდაცვალება. განსვენებულის სურვილი მის მიერ აშე-  
ნებულ ეკლესიის აკლდამაში დასაფლავებისა).

„ბათუმისათვის სტეფანეს გარდაცვალება განსაკუთრე-  
ბით მძიმეა. მშვენიერ ეკლესიაში გაუკეთებინებია აკლდამი  
შესაფერის მოწყობილობით და სთქვა თურმე: „ეს არის ჩემი  
სავანეო“. ამ ეკლესიის წინამდღვარი აპირებს, თხოვნა გააგ-  
ზავნოს, სადაც ჯერ არს, შეინწყნარონ გარდაცვლილის სურ-  
ვილიის“.

ივერია, 1904, 25 სექტ., № 221, გვ. 2.

43. გაბრუაშვილი დავით. მარად დაუვიწყარს ს. კ. ზუბა-  
ლაშვილს (ლექსი).

ივერია, 1904, 26 სექტ., №222, გვ. 2.

44. გვარამაძე კ. მესხი. ახალციხე. სტ. ზუბალაშვილის  
პანაშვიდი.

ცნ. ფურც., 1904, 26 სექტ., №2622, გვ. 5.

45. სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი (1860-  
1904 წ.). (სურათი).

ივერია, 1904, 26 სექტ., №222, გვ. 2.

46. (ლერაძე ილია) ჩხ-ელი ილ. სტეფანე ზუბალაშვილის  
ხსოვნას (ლექსი).

ივერია, 1904, 26 სექტ., №222, გვ. 2.

47. (ჭიჭინაძე ზ.). ჭ.ზ. – აზრი სტ. კ. ზუბალაშვილისა  
ჩვენს საზოგადოებასა და მწერლობაზედ.

ივერია, 1904, 26 სექტ., №222, გვ. 2-3.



48. სტ. კ. ზუბალაშვილის გვამი პარიზიდან თბილისში გადმოასვენეს (ცნობები პანაშვიდისა და სამძმრის შესახებ). პანაშვიდი სოფ. უდეში).

(ცნ. ფურც., 1904, 27 სექტ., №2623,  
გვ. 1; №2626, 2627.

49. ტფილისი. ორშაბათს, 27 სეკტემბერს... (სტ. ზუბალაშვილის დასაფლავება).

„27 სეკტემბერს მოხდა სტ. ზუბალაშვილის ანდერძის აგება. მესასა დაინყო თერთმეტის ნახევარზე და დასრულდა 1 საათზე. ეკლესიაში სიტყვები წარმოთქვეს ბათუმის კათოლიკეთა ეკლესის მოძღვარმა ანსელმი მღებროვმა, ასევე ფრანგულად თქვა სიტყვა ახალგაზრდა მღვდელმა დომინიკე მღლამაშვილმა, ბოლოს — ტფილისის კათოლიკეთა სკოლის მასწავლებელმა გ. ქიქოძემ.

პირველ საათზე სამგლოვიარო პროცესია გაემართა სოლოლაკის სასაფლაოსკენ. ხელით მიასვენეს სასაფლაომდე განსვენებულის პატივისმცემლებმა. გვირგვინებით სამი ამფიონი იყო სავსე (გვირგვინები იყო ქ.შ.ნ.კ.გ საზოგადოებისა, ქართული დრამატული საზოგადოებისა, სიფხიზლისა და სახალხო საზოგადოებისა, რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების ბაქოს განყოფილებისა, ბათუმის ქართველ კათოლიკეთა ეპლესის მრევლისა, ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის შენობის ამგებ ქომიტეტისა, ქართულ სახალხო წარმოდგენების სექციისა, ტფილისის სამუსიკო სასწავლებლისა, ბიბი-ეიბათის სამრეწველო დაწესებულებათა ხელოსნებისა, ტფილისის სათავადაზნაურო სასწავლებლისა, ტფილისის ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესის მრევლისა, თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსახლეთა დამშმარე საზოგადოებისა, ბაქოს სამრეწველო მოსამსახურებისა, ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლთა და დეპუტატთა კრებისა, კათოლიკეთა პეტრე-პავლეს ეკლესიასთან არსებულ საქველმოქმედო საზოგადოებისა, განსვენებულის ნათესავთა, მეგობართა და პატივისმცემელთა...). უამრავმა ხალხმა მოყარა თავი... სასაფლაოს ალაყაფის კარი პოლიციელებმა დაპკეტეს და ხალხს ალარ

უშვებდნენ. სიტყვები წარმოთქვეს ქართულად აკ. წერეთელ  
მა, ივ. როსტომიშვილმა და ქალაქის თავის მოადგილემ ჩერება  
ქეზიშვილმა რუსულად.

კვირას კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადახდილ  
იქნა პანაშვიდი სტ. ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად.  
აქ სიტყვა წარმოთქვა ღრმად მოხუცმა მღვდელმა მამა იოანე  
გვარამაძემ. აღნიშნა მისი ქველმოქმედება, ღვთისმოყვარეო-  
ბა, ეკლესიათა შენება და საზოგადოდ მისი და მისი სახლო-  
ბის სამაგალითო ღვანლი ქართველობის სასარგებლოდ.

ივერია, 1904, 28 სექტ., №223, გვ. 2.

50. ქართლი (მნუხარება სტ. ზუბალაშვილის გარდაცვა-  
ლების გამო).

ივერია, 1904, 28 სექტ., №223, გვ. 2.

51. 27 სექტემბერს დაკრძალეს განსვენებული სტ. ზუბა-  
ლაშვილი კათოლიკეთა სასაფლაოზე, სოლოლაკის თავზე, სა-  
დაც... ზუბალაშვილების საგვარეულო სამარხია. სასაფლაოზე  
მცირე პანაშვიდის შემდეგ წარმოითქვა სიტყვები. პირველი  
სიტყვა თქვა ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ჩერებაზიშ-  
ვილმა. ...თავ. აკაკი წერეთელმა აღნიშნა, რომ განსვენებული  
სტეფანე იმ მდიდართა გუნდს არ ეკუთვნოდა, რომელიც  
მარტო ხალხის ძალა-ქონებას ისაკუთრებენ პირად ბედნიე-  
რებისთვის. (ვ.ჩერებაზიშვილის სიტყვა იხ. ზ.ჭიჭინაძის წიგ-  
ნში „მოგონება სტ.კ.ზუბალაშვილისა“).

ცნ. ფურც., 1904, 28 სექტ., №2624, გვ. 3.

52. ივერიის რედაქცია აუწყებს ქართულ საზოგადოე-  
ბას... (რომ კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება მესსა  
და პანაშვიდი სტ. ზუბალაშვილის მოსახსენებლად).

ივერია, 1904, 28 სექტ., №223, გვ. 1.

53. სტ. ზუბალაშვილის გარდაცვალების გამო სამგლო-  
ვიარო განცხადებები.

ივერია, 1904, 29 სექტ., №224, გვ. 1; 30 სექტ.,  
№225, გვ. 1.



54. „ნერა-კიოხვის საზოგადოების“ გამგეობა ოუნცება (სტ. ზუბალაშვილის პანაშვიდს კათოლიკეთა ეკლესიაში). ციფრული ფორმის ცნ. ფურც., 1904, 29 სექტ., №2625, გვ. 1.

55. გვარამაძე ივ. (მესხი). სამძიმრის სიტყვა განსვენებულს კეთილ-სახსენებელს სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილზედ, თქმული 26 სექტემბერს კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში.

ივერია, 1904, 29 სექტ., №224, გვ. 2-3.

56. დემუროვი სტეფანე (ბაქოს ეკლესიის წინამძღვარი). სამძიმრის სიტყვა წარმოთქმული სტეფანე ზუბალაშვილის დაკრძალვის დღეს (იხ. ზ.ჭიჭინაძე, „მოგონება...“ გვ. 39-41).

57. (ნერეთელი) აკაკი. სიტყვა თქმული აკაკის მიერ სტ. კ. ზუბალაშვილის დასაფლავების დღეს.

ივერია, 1904, 30 სექტ., №225, გვ. 3.

58. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობა (ოუნცება სტ. ზუბალაშვილის პანაშვიდს კათოლიკეთა ეკლესიაში).

ცნ. ფურც., 1904, 30 სექტ., №2626, გვ. 1.

59. ძმანი და ძანი განსვენებულის სტ. კ. ზუბალაშვილი-სა... მადლობას უცხადებენ საზოგადოებას სამძიმრის გამო. ივერია, 1904, 1 ოქტ., №226, გვ. 1.

60. ტფილისი. სტ. ზუბალაშვილის პანაშვიდის გადახდა კათოლიკეთა ეკლესიაში.

ივერია, 1904, 1 ოქტ., №226, გვ. 2.

61. გელოვანი ქაიხოსრო. ნერილი რედაქციის მიმართ (სტ. კ. ზუბალაშვილის გარდაცვალების გამო).

„ანათემა ათას ცხრას მეოთხესა ნელსა... შეჩვენებულმა სიკვდილმა წაგვართვა კიდევ ერთი საიმედო ქველმომქმედი



მამულის შვილი. სტეფანე კონსტანტინეს ძეს ზუბალაშვილის/ გარდაცვალება ადვილად მოსაქარველებელი დანაკლოსტერის/ დია ჩვენი საეროვნო ოჯახის შეგნებულ შვილთათვის... ღმერ- თო ჩემო, ნუთუ ზეციურ გამგებლის ძალთა ძალიც ჩვენდა გა- სანადგურებლად აღიჭურვა! გულის დამაღონებელ მწუხარე- ბით გარემოცულ, მანძილით შორს მყოფი ხოლო სულით და გულით მათ შორის მყოფი ვუცხადებ ჩემ გულითად მწუხარე- ბას და წრფელს თანაგრძნობას გარდაცვალებულის ჭეშმარი- ტად მაღლით მოსილის ქველმოქმედის . . . ნათესავთ, და ვუ- ერთებ ჩემს გლოვა-მწუხარებას ჩვენის ერის მონინავე, მო- ნაღმართე კრებულის გლოვა-მჭმუნვარებას.

დარჩეს სამარადისოდ ჩვენს შორის კეთილ-მოსახსენებ- ლად და მისაბაძავად სახელი და საქმენი ჩვენთვის კეთილის მყოფელის სტეფანე ზუბალაშვილისა!

(დაიბჯეჭდა მცირეოდენი შემოქლებით)

ივერია, 1904, 7 ოქტ., №229, გვ. 3.

62. აპრაჭიჭა. ხიზაბავრა (ჭავახეთი) (სტ. ზუბალაშვი- ლის შენირულება დედათა ერთეულასიანი სკოლის დასახმა- რებლად).

ცნ. ფურც., 1904, 18 დეკ. №2702, გვ. 4.

63. „დიდი სამწუხარო ამბავი“ (ნეკროლოგი სტ. ზუბა- ლაშვილის გარდაცვალებაზე, პორტრეტით).

„დიდი სამწუხარო ამბავი მოგიტანა ტელეგრამაშ: „პა- რიზში 14 ენერისთვეს გარდაიცვალა სტეფანე კ.- ძე ზუბა- ლაშვილი“.

სტ. ზუბალაშვილი იყო უდიდესი ქველმოქმედი ჩვენს საუკუნეში. თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ განსვენებულს ბადალი არ ჰყავდა ჩვენში ამ მხრით და თვით მისი ქველმოქ- მედებაც სულ განსხვავებული იყო: არ არჩევდა კერძო და სა- ზოგადო საქმესა, კერძო პირსა თუ საზოგადო დაწესებულე- ბასა, იგი ერთგვარად ეხმარებოდა ორივეს... ერთი სიტყვით,



სტეფანეს ქველ-მოქმედება იყო ნამდვილი ქრისტიანული ქველ-მოქმედება...

ხასიათით განსვენებული დიდად კაცო-მოყვარე და სათ-ნოიანი იყო... დიდს მაღლსა სთესავდა, მაგრამ სულ ჩუმად. იგი, მაგალითად, დიდს დახმარებას აძლევდა ჩვენს უურნალსა და ქართულ სახალხო-საყმანვილო ნიგნების გამოცემის საქ-მეს, მაგრამ მარად იმას იხვენებოდა, ნუ გამამულავნებთო: სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაპკარგავსო...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, სასიქადულო მამულიძვო-ლო და სამაგალითო კაცო!“

(დაიბეჭდა შემოკლებით)

მოგზაური, 1904, №7-8. ჩ.ფ.

64. სტეფანე ზუბალაშვილი ივ. როსტომაშვილის მიერ 1904 წლის 27 ენერისთვის სტ. კ. ზუბალაშვილის დასაფლავების დღეს.

მოგზაური, 1904, №7-8. ჩ.ფ.

65. სტეფანე ზუბალაშვილი (ნეკროლოგი პორტრეტით).

„ძლივს ერთი ოჯახი აღმოჩნდა, რომელმაც დიდ სიმ-დიდრეშიაც-კი არ დაივიწყა თავისი პატარა სამშობლო და ამ ოჯახსაც აკი დიდი უბედურება დაატყდა! სიკვდილმა გამოჰ-გლიჯა ხელიდან ჯერედ ახალგაზრდა კაცი სტეფანე ზუბა-ლაშვილი. იქნებ სხვაგან, სხვა ერში, არაფერი საკვირველი და სამაგალითო იყოს, რომ მილიონების პატრონი კაცი თავის სა-ერო საჭირ-ბოროტო საქმეებს ჭირისუფლად გაუხდეს. ქარ-თველებში კი იშვიათი მოვლენაა, რომ ქართველ კაცს ასე გო-ნიერად მოეხმაროს თავისი სიმდიდრე, როგორც სტეფანე ზუ-ბალაშვილი ხმარობდა. „მე თუ ვიცოცხლე დიდხანს, დამერ-ბმუნეთ, რომ ეს სიცოცხლე მენატრება მხოლოდ იმისთვის, ჩემს ქვეყანას და ხალხს ვემსახურო, სიკეთე დავთესო“... ამ-ბობდა ხოლმე ნეტარ ხსენებული სტეფანე. ეს მარტო სიტყვი-თაც კი არა, საქმითაც სჩანს.

ზუბალაშვილების სათხოსა და ლმობიერ გულს არც თქვენი ამხანაგები დავიწყებია, ჩვენო პატარა მკითხველო...

სტეფანეს სახსოვრად ძმებმა ზუბალაშვილებმა უნდა გახსნან  
ბავშვთა საავადმყოფო, სადაც ღარიბს და საწყალს ავარიუმი  
ბავშვებს უფასოდ მიიღებენ და უნამღებენ...”

(დაიბეჭდა შემოკლებით)

ნაკადული. მ. ზ., 1904, №1, გვ. 41-43.

66. (პეტრე მირიანაშვილი) კლდია. სტეფანე ზუბა-  
ლაშვილი (ბიოგრაფია).

ჯეჯილი, 1904, ოქტ., გვ. 37-40.

67. სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

საქ. კალენდ., 1904, გვ. 581.

68. კათოლიკეთა მიძინების ეკალესიაში ხვალ გადახდი-  
ლი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ცნობილი ქართველი  
ქველმოქმედის სტ. კ. ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად,  
რის შემდეგაც მის საფლავზე (სოლოლაკის კათოლიკეთა სა-  
საფლაოზე) აკურთხებენ განსვენებულის ძეგლს.

საზოგადოება კარგად იცნობს განსვენებულის საქველ-  
მოქმედო მოღვაწეობას და ამიტომ, უეჭველია, ხვალ ღირსეუ-  
ლად სცემს პატივს მის სახელსა და სსოვნას.

ივერია, 1905, 14 სექტ., № 164, გვ. 2.

69. გუშინ, 15 სექტემბერს, რომის კათოლიკეთა მიძინე-  
ბის ეკალესიაში გადახდილ იქმნა წლის წირვა და პანაშვიდი  
სტ. კ. ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს და-  
ესწრენ წარმომადგენელი სხვადასხვა ქართველ საქველმოქ-  
მედო დაწესებულებათა, მოწაფენი მიძინების სამრევლოს და  
ყაზბეგის სკოლებისა და განსვენებულის მრავალი პატივის-  
მცემელი. ეკალესიაში სიტყვა წარმოთქვა პატრიმა პავლე კალა-  
იჯიშვილმა. წირვის შემდეგ აკურთხეს სოლოლაკის კათოლი-  
კეთა სასაფლაოზე დადგმული ძეგლი. სასაფლაოზე სიტყვა  
წარმოთქვა ი. როსტომაშვილმა.

ივერია, 1905, 16 სექტ., № 165, გვ. 3.

70. „როგორც ვნერდით, ქალაქის თვითმმართველობას  
პავლე თუმანიშვილმა შესწირა კონსტანტინე და სტეფანე ზუ-



ბალაშვილების სურათები. გუშინ ქალაქის გამგეობამ დაადგინდა: კონსტანტინე ზუბალაშვილის სურათი დაიკიდოს სახალხო სახლში, სტეფანესი – ბავშვთა საავადმყოფოში... პავლე თუმანიშვილს მადლობა გადაუხადა შენირულობისათვის.

სახ. გაზ., 1913, 2 აგვ., №959, გვ. 2.

### პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი

1. შ. ჭ. – ქველმოქმედი – პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი (ბიოგრაფია)

საქ. კალენდ., 1905, გვ. 566.

2. ახალი ლაზარეთი პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის მიერ შენირული. „ამ დღეებში დასრულდება მოწყობა ახალი საქალაქო ლაზარეთისა, რომელიც მოთავსებული იქნება პ. კ. ზუბალაშვილის სახლში, სადაც წინად „ლონდონის“ სასტუმრო იყო. შენობა პ-ნმა ზუბალაშვილმა უფასოდ დაუთმო და ლაზარეთის მოსანყობად 20.000 მანეთიც შესწირა“.

სახ. ფურც., 1915, 8 იანვ., № 180, გვ. 2.

3. ახალი ლაზარეთები. 7 იანვარს ტფილისში გაიხსნა 4 სამოქალაქო ლაზარეთი (ერთ-ერთია ან დახურულ „ლონდონის“ სასტუმროს შენობაში).

სახ. ფურც., 1915, 9 იანვ., № 181, გვ. 2.

### იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი

1. მადლობა სტ. და იაკობ ზუბალაშვილებს სათავადაზნაურო სკოლის შენობის ასაგებად 30 ათასი მანეთის შენირვის გამო.

ცნ. ფურც., 1903, 28 თებ., №2082, გვ. 2.

2. ტფილისი. ი. კ. ზუბალაშვილის შენირულება ღარიბთა სასარგებლოდ. „როგორც ვიცით, ი. კ. ზუბალაშვილმა ტფილი-

სის ქალაქის მოურავს 2 ათასი მანეთი გადასცა ტფილისის  
ლარიბ მცხოვრებთათვის დასარიგებლად. ამ ფულიშვილის 200  
მანეთი გადაეცა იმ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს  
ქალაქის ლამის თავშესაფართა ყურის გდება, 300 მანეთი კი  
იაფეასიან და უფასო სასადილოების გამმართველ კომიტეტს.  
დანარჩენი ფული ჯერვერობით ხელუხლებელია".

ივერია, 1904, 3 აპრ., №80, გვ. 2.

3. ტფილისი. ი. ზუბალაშვილის მიერ ლარიბთათვის შე-  
მოწირული ფულის შესახებ.

"როგორც ამას ნინად ვაუნყებდით მკითხველთ, ბ-ნ ი.  
ზუბალაშვილის მიერ ლარიბთათვის დასარიგებლად შენირუ-  
ლი თანხა 2 ათასი მანეთიდან ქალაქის გამგეობამ საუმჯობე-  
სოდ ცნო, ეს ფული საპოლიციო უბნის იმ სამზრუნველოს  
განკარგულებაში გადასცეს, რომელსაც აზრად ექმნება, ღა-  
რიბ მცხოვრებთ დახმარება აღმოუჩინოს".

(ამის შესახებ აცნობეს ბ-ნ ი. ზუბალაშვილს. ის გამგე-  
ობის გადაწყვეტილებას დაეთანხმა).

ივერია, 1904, 6 აპრ., №82, გვ. 2.

4. სათავადაზნაურო სკოლის შენობის დათვალიერება  
იაკობ ზუბალაშვილისა და პავლე თუმანიშვილის მიერ.

ივერია, 1904, 23 ოქტ., №242, გვ. 1.

5. ზ. ჭ. ქველმოქმედნი – იაკობ ზუბალაშვილი (ბიოგ-  
რაფია).

საქ. კალენდ., 1905, გვ. 566.

6. ბ-ნმა ი. კ. ზუბალაშვილმა კავკასიის ნამესტნიკის  
ნინაშე შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს გამოსცეს ტფი-  
ლისში რუსულ ენაზე ყოველ დღიური საზოგადოებრივი სა-  
ლიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი უნინასწარ-ცერზუ-  
როდ და ყოველკირულის სურათებიანი დამატებით. გაზეთს  
სახელად ერქმევა „ზაკავეაზიე".

ცნ. ფურც., 1905, 18 მაის., №2822, გვ. 3.



7. კავკასიის ნამესტნიკიმა გრაფ ვორონცოვ-დაშვილმა და აქმაყოფილა ი. კ. ზუბალაშვილის შუამდგომლობა და დამოუკიდებელობა თო ნება გამოსცეს რუსული გაზეთი „ზაკავკაზიე“.

ცნ. ფურც., 1905, 19 მაის., №2823, გვ. 3.

8. ქართველ მოღვაწეთა ნერილი იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილისადმი (ხელნაწერი დედანი დაცულია გ.ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში – უ.ფ).

ლრმად პატივცემულო იაკობ კონსტანტინეს ძევ!

გვაპატივით, მაგრამ გარემოების გამო იძულებული ვართ შეგანუხოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი თხოვნით. ვიცით, თუ როგორ თანაუგრძნობთ ყოველ ქართულ სასიკეთო ნამოწყებას, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ უყურადღებოდ არ დატოვებთ ჩვენს თხოვნასაც.

თქვენ არ გჭირდებათ იმის ახსნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის მოზარდი თაობის განათლებასა და აღზრდას. დღეს ბევრ ოჯახს არა აქვს შესაძლებლობა ეროვნულ ნიადაგზე მისცეს განათლება ბავშვებს. სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს დავეხმაროთ ასეთ ქართულ ოჯახებს და შევუმსუბუქოთ ამ მხრივ სირთულეები.

მიგვაჩინია, რომ ამ საქმეში შეუფასებელი სამსახური შეიძლება გასწიოს კარგად შედგენილმა საბავშვო უურნალმა. კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო ნლებში გამოჩნდა ჩვენში ასეთი უურნალი „ნაკადული“. იგი სავსებით ამართლებს თავის მისიას (დანიშნულებას), უფრო სრულყოფილი ხდება ყოველდღიურად. სულ სამი წელია უურნალის გამოცემიდან, მაგრამ მან საკმაოდ გაამდიდრა ქართული საბავშვო ლიტერატურა ევროპული კლასიკური ნაწარმოებების თარგმანებითაც.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ჩვენი „ნაკადული“ არ ჩამოუვარდება ევროპის საუკეთესო საბავშვო უურნალებს, თუ ჩვენ დავეხმარებით და გამომცემლობას ფინანსურადაც დავუჭროთ მხარს.

ვიმეორებთ, ქართული საზოგადოება დიდი იმედს **ამჟარებს** ამ ქურნალზე. ეს გარემოება გვაიძულებს მოგმართოს თხოვნით, ღრმად პატივცემულო იაკობ კონსტანტინეს ძევ, აიყვანოთ თქვენი მფარველობის ქვეშ ეს სასარგებლო და სამადლო საქმე. ამ თხოვნასთან ერთად გიგ ზავნით უურნალის გამოცემის ხარჯთაღრიცხვასაც. თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ამ კარგი საქმისათვის არაა საჭირო ძალიან დიდი თანხა.

ღრმად პატივცემულო იაკობ კონსტანტინეს ძევ, თქვენი მფარველობა იხსნის უურნალს ფინანსური ერთისო-საგან, გადაარჩენს მას. ამით შეუფასებელ სამსახურს გაუნევთ თქვენს საყვარელ სამშობლოს.

### ნერილს ხელს აწერენ:

კნ. თამარ დავითის ასული გრუზინსკი

კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი

კნ. ელისაბედ ირაკლის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი

კნ. ბარბარე მიხეილის ასული ამირეჯიბი

იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი

ილია ივანეს ძე ნინამდლერიშვილი

(ბოლო ხელმოწერა გაურკვეველია – უ. ფ.).

რუსულად დაწერილი ნერილის დედანი უთარილია, მაგრამ ტექსტში ნახსენები „ნაკადულის“ გამოცემის თარიღის მიხედვით, იგი დაწერილი უნდა იყოს დაახლ. 1906 ნელს.

9. უკ მიშელ ზუბალოვი – იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი (1876, თბილისი – 1941. ნეიი სიურ სენი) მენარმე, საზოგადო მოღვაწე, სწავლული (ლიტერატორი). მან თავის მშობლიურ ქალაქში (თბილისი) თავი გამოიჩინა როგორც ფილანთროპი, ააშენა რა უამრავი საზოგადო დანიშნულების შენობა, რამაც ის თბილისის საპატიო მოქალაქე გახდა. ის იყო აგრეთვე მრავალრიცხვანი ქურნალ-გაზეთის დამფუძნებელი თუ ხელშემწყობი. საფრანგეთში ჩამოვიდა ჩვენი საუკუნის (XX) დამდეგს და თავი მიუძღვნა ხელოვნების შესწავლას: ქმნიდა მუსიკალურ ნაწარმოებებს, ენეოდა მხატ-



ერობას. 1922 წელს მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა. იყო ლუვრის მეგობართა საზოგადოების საბჭოს წევრი, მუსიკის კურსების მიმღებისა და კომპოზიტორების საზოგადოების წევრი, დე-კორატიული ხელოვნების ცენტრალური კავშირის საბჭოს წევრი. მტკიცნეულად შეეხო ოცდაათიანი წლების კრიზისი და სიცოცხლის ბოლო დღეებს სიღარიბეში დაასრულებდა, მუ-ზეუმის ადმინისტრაცია რომ არ დახმარებოდა 1938 წლიდან. უაკ ზუბალოვი იყო ერთ-ერთი უდიდესი დონორი საფრანგე-თის ეროვნული მუზეუმებისა. მისი გულებური ისარგებ-ლეს ლუვრმა, ლუქსემბურგმა, დეკორატიული ხელოვნების მუზეუმმა, პეტი-პალემ (მცირე დარბაზმა), გალიერას მუზე-უმმა, იარაღის და ღირსების ლეგიონის მუზეუმებმა, გრასის, ნანტის და ასევე ქალაქ რემსის მუზეუმებმა. ის მონანილეო-ბას დებულობდა ასევე სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ხელოვნების ნიმუშების შესყიდვებში. 1912-1932 წლებს შორის ლუვრმა სამხატვრო განყოფილებაში ერთიანად მიიღო უამ-რავი ნახატი (581 ერთეული).

## ძმები ზუბალაშვილები

1. ტფილისის სახალხო სახლი (შენების საქმე. ძმები ზუ-ბალაშვილების უხვი შენირულება).

(ცნ. ფურც., 1901, 8 აპრ., №1430, გვ. 1-2.

2. ზუბალაშვილების მემკვიდრეების მიერ თანხის გადა-დება კავკასიის სამეურნეო გამოფენისათვის. „ამას წინად გარდაცვალებულის მილიონერის კ. ზუბალაშვილის მემკვიდ-რენი აპირობენ თურმე საჭირო თანხის გადადებას კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გასამართავად“.

ივერია, 1901, 20 აპრ., №86, გვ. 2.



3. განსვენებულ კ. ზუბალაშვილის მემკვიდრეებს სახელი დერძის თანახმად გაუნანილებიათ დატოვებული თანხა. „განსვენებულ კ. ზუბალაშვილის მემკვიდრებს ანდერძის თანახმად კიდევ შეუწირავთ კათოლიკების ფერისცვალების ეკლესიასთან არსებულ „როზალიას“ („სავარდის“ – უ. ფ.) ძმობის სკოლისათვის 2 ათასი მანეთი; გორის ანასტასიას სახელობაზედ არსებულ სასწავლებლისათვის და გორისავე საქალაქო სკოლისათვის ათას-ათასი მანეთი იმ პირობით, რომ შეწირული ფულის სარგებლით იზრდებოდნენ ხსენებულ სასწავლებელში ღარიბი მოსწავლენი. ამას გარდა 5.000 მანეთი კათოლიკების სასაფლაოს (სოლოლაკში) კედლის გასაკეთებლად. სამ-სამი ათასი მანეთი კათოლიკების ეკლესიებისათვის ტფილისსა (პეტრე-პავლესი), გორისა და ქუთაისში და ხუთასხუთასი მანეთი „შრომის მოყვარეობის“ სახლისათვის, ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებისათვის, მცირე ნლოვან დამნაშავეთა ახალშენისათვის, ბრმების სკოლისათვის და ციმბირში გაგზავნილთა შვილების თავშესაფრისათვის“.

ცნ. ფურც., 1901, 2 მაის., №1453, გვ 3; ივერია, 1901, 3 მაის., №96, გვ. 2.

4. განსვენებულ კ. ი. ზუბალაშვილის მემკვიდრეთ შეუძენიათ კირიჩინის ქუჩაზედ 570, ოთხკუთხი საუენი მინა სახალხო სახლის ასაგებად.

ივერია, 1901, 8 მაის., №100, გვ. 2.

5. „როგორც უკვე მოხსენიებული გვქონდა, განსვენებულ ზუბალაშვილის მემკვიდრეთ...“ (შეუძენიათ სახალხო სახლის ასაგებად მინა დიდი მთავრის ქუჩაზე. გადადებულია თანხა ამ საქმისათვის).

ივერია, 1901, 29 მაის., №113, გვ. 2.

6. განსვ. კ. ზუბალაშვილის მემკვიდრეთ... (შეუწირავთ 6 ათასი მანეთი თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში სტიპენდიის დასაარსებლად კ. ზუბალაშვილის სახელზედ).

ივერია, 1901, 7 ივნ., №121, გვ. 1.



7. კონკურსი ტფილისში: კონსტ. ზუბალაშვილის სახე-  
ლობაზე სახალხო სახლის პროექტის შესადგენად (გ. ა 6 ც ხ ე ბ ა)

(ცნ. ფურც., 1901, 11 ოქტ., №1607, გვ. 1; კვალი,  
1901, №43, გვ. 912.

8. კონკურსი კ. ი. ზუბალაშვილის სახელობაზე ტფი-  
ლისში განზრახული სახალხო სახლის პროექტის შესადგენად  
(კონკურსის პირობები).

ივერია, 1901, 12 ოქტ., №221, გვ. 4.

9. თფილისის სახალხო სახლის გეგმა და დებულება უკ-  
ვე ნარედგინა მთავრობას დასამტკიცებლად.  
კვალი, 1901, №24, გვ. 597.

10. ზუბალაშვილების შემოწირულობა ბაქოში ტექნიკუ-  
რი საზოგადოების შენობისათვის („ჩვენს ცნობილ ქველმოქ-  
მედთ ძმათ ზუბალაშვილებს 15.000 მანეთი შეუწირავთ ბაქო-  
ში რუსეთის ტექნიკური საზოგადოების შენობის ერთ-ერთ  
დარბაზზაგანის მოსანყობად. ეს შენობა დიდი ხანია შენდება,  
მაგრამ ფულის უქონლობის გამო აქამდე ვერ დაესრულები-  
ნათ“).

ივერია 1902, 12 მარტ., № 54, გვ. 1.

11. 24 სექტემბერს ჩაპყარეს უკვე საძირკველი სახალხო  
სახლისა კ. ი. ზუბალაშვილის სახელზე (საძირკველის ჩაყრას  
დაესწრნენ განსვ. კ. ზუბალაშვილის მემკვიდრენი და წევრნი  
სახალხო სიფხიზლის საზოგადოებისანი).

ივერია 1902, 28 სექტ., № 206, გვ. 2.

12. ტფილისი. ძმები ზუბალაშვილების შემოწირულობა  
(10 ათასი მან.) სამუსიკო სასწავლებლისთვის.

ივერია 1902, 19 ოქტ., № 223, გვ. 2.

13. მადლობა სტეფანე და იაკობ ზუბალაშვილებს სათა-  
ვადაზნაურო სკოლის შენობის ასაგებად 30 ათასი გრანატის  
შენირვის გამო. „ტფილის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავ-  
ლეთა დამხმარე თავადაზნაურთა საზოგადოების კანცელარია  
გვაცნობებს, რომ საზოგადოების გამგე კომიტეტს მოსვლიათ  
ბ-ნთ სტ. და იაკ. ზუბალაშვილთაგან სათავადაზნაურო სკო-  
ლის შენობის სასარგებლოდ შემონირული ოცდაათი ათასი  
მანეთი. ამის გამო გამგე კომიტეტს დაუდგენია, მადლობის  
ნერილი გაეგზავნოს შემომნირველთ და თავის დროზე მოხ-  
სენდეს ეს შენირულება საზოგადო კრებას“.

ცნ. ფურც., 1903, 28 თებ., № 2082, გვ. 2.

14. ტფილისი (სტ. და იაკ. ზუბალაშვილებისაგან 30  
ათასი მანეთის მიღება თბილისის სათავადაზნაურო სკოლის  
შენობის სასარგებლოდ).

ივერია, 1903, 1 მარტ., №48, გვ. 1-2.


15. სახალხო სახლისა და თავშესაფრის მშენებლობის  
დაწყების შესახებ. „ამ თვის ნახევარში შეუდგებიან მუშაობას  
სახალხო სახლის ასაგებად დიდი მთავრის ქუჩაზე. როგორც  
ვაუწყეთ, ეს სახლი შენდება კ. ზუბალაშვილის მემკვიდრეთა  
შენირული ფულით. საძირკველი უკვე ჩაყრილია და აქამდე  
მუშაობა შეაჩერეს ცუდი ამინდების გამო“.

ცნ. ფურც., 1903, 5 მარტ., №2087, გვ. 2-3.

16. ტფილისი (ცხინვალის მცხოვრებთა სახელით ივანე  
სულხანიშვილის მიერ ზუბალაშვილებისათვის მადლობის გა-  
დახდა შემონირულობის გამო).

ივერია, 1903, 15 მარტ., №60, გვ. 2.

17. „შემოდგომაზედ სრულად დაამთავრებენ სახალხო  
სახლს (ძმ. ზუბალაშვილების მოლაპარაკება საფრანგეთის  
ერთ-ერთ ფირმასთან ახალი სისტემით სახლის გადახურვი-  
სათვის და პარიზიდან მუშების გამონევევა). ბ-ნ ზუბალაშვი-  
ლებს განუზრახავთ სახლი დახურონ „ჰენებახის“ სახურავით.



ასეთ სახურავს ცეცხლი ვერაფერს აკლებს. ჰელიქრობენ, შიგ ნითაც იხმარონ ამ სისტემის მასალა. ზუბალაშვილი 10 ათას მანეთად მოურიგდნენ საფრანგეთის ერთ-ერთ ფირმას, რომელმაც მუშაობა ამ ზაფხულსავე უნდა გაათავს. ამ დღეებში ხელოსანი უნდა მოვიდნენ პარიზიდან. როგორც ვსთქვით, შენობა შემოდგომისათვის მზად იქნება, მაგრამ წარმოდგენებისა და კითხვების მართვას გაზაფხულამდე ვერ შეუდგებიან. დიდ ყურადღებას აქცევენ როგორც თეატრის, ისე აუდიტორიის მოწყობას. თეატრის დარბაზი 600 კაცისათვის არის ნავარაუდევი, ხოლო აუდიტორია - 200 კაცისთვის".  
ცნ. ფურც., 1903, 22 მაის., №2158, გვ. 2.

18. ტფილისი (ზუბალაშვილების სახალხო სახლის მშენებლობა).

ივერია, 1903, 13 ივნ., №126, გვ. 1; 19 ივნ., №131, გვ. 1.

19. ტფილისი (ძმ. ზუბალაშვილების დახმარება ბათუმის ქართველ საზოგადოებას).

ივერია, 1903, 24 ივნ., №135, გვ. 1.

20. ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კომიტეტს ძმებმა ზუბალაშვილებმა დაჭრილ მეომართათვის შესწირეს 10.000 მანეთი.

ცნ. ფურც., 1904, 27 თებ., №2422, გვ. 3; ივერია, 1904, 27 თებ., №51, გვ. 2.

21. მისაპაპი მაგალითი (სტ. ზუბალაშვილის ძმების დახმარება კათოლიკეთა სამრევლოს სკოლის მონაფეებს). „სტეფანეს ძმებმა თავიანთი ხარჯით ერთი ხელი ტანისამოსი შეუკერეს კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის სამრევლო სკოლის ყველა მოსწავლეს. ძმების მინდობილობით თავ. პ. ი. თუმანიშვილმა ყველა მოსწავლეთ დაურიგა თითო მანეთი და აგრეთვე უხვად დააჯილდოვა ამ სკოლის მასწავლებელნიც".

ივერია, 1904, 13 ოქტ., №234, გვ. 2;

ცნ. ფურც., 1904, 12 ოქტ., №2637, გვ. 2.

22. მმ. ზუბალაშვილების მიერ სტ. ზუბალაშვილის /  
ხსოვნის აღსანიშნავად 100.000 ოქტომბერის მანეთის შენირულებაზე  
შვთა საავადმყოფოს გასამართავად.

ცნ. ფურც., 1904, 16 ოქტ., №2641, გვ. 2.

23. სამაგალითო უხვი შენირულება (ლევან, პეტრე და ია-  
კობ ზუბალაშვილების მიერ გაცემული დიდი შესანირავები მა-  
თი ძმის – სტეფანეს ხსოვნის აღსანიშნავად). „მმ. ზუბალაშვი-  
ლები სტეფანეს ხსოვნისათვის სწირავენ თურმე ღარიბ მოს-  
ნავლეთა შემწეობისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნა-  
ურთა სკოლის საზოგადოებას 50 ათას მანეთს, რომელიც უნ-  
და მოხმარდეს სკოლის ახალ შენობას... და საქ. ნ. კ. გ. საზო-  
გადოებას 10 ათას მანეთს. ეჭვი არ არის ეს სასიამოვნო ამბა-  
ვი მადლობის გრძნობით აღიბეჭდება ქართველთა გულში...“

„ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილეს ჩერქეზიშ-  
ვილს აცნობეს ამას ნინად გარდაცვალებულის სტ. კ. ზუბა-  
ლაშვილის ძმებმა, რომ ჩვენის დაუკინებელი ძმის სახსოვრად  
ქალაქს შევსწირეთ 100.000 მანეთი ბავშვთათვის საავადმყო-  
ფოს ასაგებადაონ“.

ივერია, 1904, 16 ოქტ., №237, გვ. 1-2.

24. ქალაქის საბჭოს მადლობა ძმებს ზუბალაშვილებს  
უხვი შენირულებისათვის ბავშვთა საავადმყოფოს ასაგებად.

ცნ. ფურც., 1904, 19 ოქტ., №2644, გვ. 2.

25. ქალაქის საბჭო (ზუბალაშვილების შემოწირულობის  
საკითხი).

ივერია, 1904, 21 ოქტ., №241, გვ. 2.

26. ბ-ნთ ზუბალაშვილების შემოწირულობის გამო („ნ. კ.  
გ. საზოგადოების“ საყურადღებოდ).

ცნ. ფურც., 1904, 29 ოქტ., №2654, გვ. 1.

27. მმ. ზუბალაშვილთა უხვი შენირულობის გამო (მოსწავ-  
ლეთა დამხმარე საზოგადოების კომიტეტის დადგენილება).  
„ტფილისის გუბერნიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ

საზოგადოების კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე და-  
დგინა: 1) მიიღოს ბ-ნთ ლევან, პეტრე, იაკობ ზუბალაშვილებისა  
ბის მიერ შენირული ფული იმ პირობით, რომ, თუ ვინიცობაა,  
საზოგადოებამ გააუქმა თავისი მოქმედება, როგორც ეხლა შე-  
ნირული 50 ათასი მანეთი, ისე ნინად შენირული 30 ათასი მა-  
ნეთი გადაეცეს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობას, რო-  
მელმაც ეს ფული ხელუხლებელ თანხად უნდა შეინახოს და  
სარგებელი მოახმაროს ლარიბ ქართველ მოზარდ თაობის აღ-  
ზრდა-განათლების საქმეს, განურჩევლად სარწმუნოებისა. თუ  
საზოგადოება მოისურვებს სათავადაზნაურო სკოლის შენობის  
გაყიდვას ან გადაცემას თავადაზნაურობაზე, ზემოდ აღნიშნუ-  
ლი პირობა 80.000 მანეთის დახარჯვის შესახებ სავალდებულო  
უნდა იყოს. 2) გამოუცხადოს ულრიმესი მადლიერება ბ-ნთ ზუ-  
ბალაშვილებს. 3) აღძრული იქმნას შუამდგომლობა მოსწავლე-  
თა დამხმარებელ საზოგადოების ნინაშე, რომ დაარსდეს ერთი  
სტიკენდია სტეფანე ზუბალაშვილის სახელობაზედ. სათავა-  
დაზნაურო სკოლის განზრახულ სამკითხველო ბიბლიოთეკას  
ეწოდოს სტ. ზუბალაშვილის სახელი და სამკითხველოში გამო-  
კიდებულ იქმნას სურათი განსვენებულისა. ამას გარდა, კომი-  
ტეტმა დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას კრებისვე ნინაშე,  
რომ ძმანი ლევანი, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილები საპატიო  
ნევრებად იქმნან არჩეულნი".

ივერია 1904, 30 ოქტ., №248, გვ. 1.;  
ცნ. ფურც., 1904, 29 ოქტ., №2654, გვ. 2.

28. ქ.შ.ნ.კ.გ. საზოგადოების გამგეობის დადგენილება ქმ.  
ზუბალაშვილების შემონირულობის გამო.

ცნ. ფურც., 1904, 5 ნოემბ., №2661, გვ. 2.

29. ექიმი ა. ი. ხატისოვი (მოხსენების ნარდგენა არამიან-  
ცის და ზუბალაშვილების შენირული ფულით ნავთლულში სა-  
ავადმყოფოს დაარსების შესახებ). ექიმი ხატისოვი „ახლო მო-  
მავალში ნარუდგენს მოხსენებას კავკასიის საიმპერატორო  
სამურნალო საზოგადოებას. ეს მოხსენება შეეხება ნავ-  
თლულში საავადმყოფოს დაარსების პროექტს და არამიანცი-



სა და ძმათა ზუბალაშვილთაგან შენირულ ფულით საჭალაქო ვრცელ საავადმყოფოში უნდა იყოს ტერაპევტიული ჟაჟხშირი შვრ ავადმყოფობათა განყოფილებანი".

ივერია, 1904, 6 ნოემბ., №254, გვ. 2.

30. „ქ.ქ.ქ. გამავრცელებელი საზოგადოების“ (გამგეობის დადგენილება ზუბალაშვილების შემონირულობის გამო). „ქ.ქ.ქ. გ საზოგადოებამ ბ-ნთ ზუბალაშვილების შემონირულების გამო დაადგინა: 1) უგულითადესი მადლობა გამოეცხადოს საზოგადოების სახელით შემონირველთ; 2) მოხსენდეს მომავალ საზოგადო კრებას ეს შემონირულება და ეთხოვოს, რომ შემომნირველი არჩეულ იქმნენ საზოგადოების საპატიო წევრებად და 3) განსვ. სტ.ქ.ზუბალაშვილის სურათი, ძვირფას ჩარჩოში ჩასმული გამოკიდებულ იქმნას საზოგადოების დარბაზში. გამგეობამ ამასთანავე დაადგინა, თანახმად შემომნირველთა სურვილისა, შემონირული ფული შენახულ იქმნას ხელ-უხლებელ თანხად და მხოლოდ სარგებელი მოხმარდეს „საზოგადოების“ საჭიროებას. თუ ვინიცობაა, საზოგადოებამ გააუქმა მოქმედება, ხსენებული 10 ათასი მანეთი გადაეცემა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, იმ პირობით, რომ სარგებელი მოხმაროს ქართველ ბავშვების აღზრდა-განათლებას, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნობისა".

ივერია, 1904, 6 ნოემბ., №254, გვ. 1.

31. ბავშვთა საავადმყოფო ზუბალაშვილების სახელობისა. „ტფილის ქალაქის გამგეობამ უკვე ნარუდგინა ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად სტ.ქ. ზუბალაშვილის სახსოვრად განსვენებულის ძმების მიერ შენირულ ფულით ბავშვთა საავადმყოფოს აგების თაობაზედ ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილება".

ივერია, 1904, 11 ნოემბ., №258, გვ. 2.

32. ძმ. ზუბალაშვილთა უხვი შენირულება ქართული დრამატული დასის, ყაზბეგის სკოლის, ქართველ ქალთა სამ-



კერვალოს და უურნალ „ჯეფილის“ სასარგებლოდ. ქართული დრამატული საზოგადოების საგანგებო კრება ზუბალაშვილების ბის შესანირავის გამო.

„განუსაზღვრელად გულ-ხელ გაშლილ ქველმოქმედთ ძმათა ზუბალაშვილებს გუშინ შეუწირავთ ქართულის დრამატიკულის საზოგადოებისათვის ხუთი ათასი მანეთი. ეჭვი არ არის, ეხლა ცოტათი მაინც გაიმართება წელში დრამატიკული საზოგადოების გამგეობა.

ამავე პატივცემულ ზუბალაშვილებს შეუწირავთ ხუთას-ხუთასი მანეთი ყაზბეგის სკოლისთვის, ქართველ ქალთა სამ-კერვალოსთვის და საყმანვილო უურნალ „ჯეფილისთვის“.

ივერია, 1904, 12 ნოემბ., №259, გვ. 1-2.

33. სკეიპოთი (სადღეისოდ ძმ. ზუბალაშვილების შემოწირულობა და ქართული დრამატული საზოგადოების მდგომარეობა).  
ივერია, 1904, 12 ნოემბ., №259, გვ. 2.

34. ივ. გვარამაძე. წერილი რედაქციის მიმართ. პატ. ბ-ნო რედაქტორო! მადლობა ზუბალაშვილებს ფულის შენირვი-სათვის: ძმებმა ზუბალაშვილებმა ბმ. ნათლისმცემლის ეკლე-სიის ქართველ კათოლიკეთა საერთ სასწავლებელსაც უწყა-ლობეს 300 მანეთი სტეფანეს სულის მოსახსენებლად.

ივერია, 1904, 14 ნოემბ., №261, გვ. 3.


35. ქართული დრამატიკული საზოგადოების განხრახვა ძმ. ზუბალაშვილების საზოგადოების საპატიო წევრებად არჩევის შესახებ იმ უხვი შემოწირულობების გამო, რომელიც მათ გაი-ღეს დრამატიკული საზოგადოებისათვის.

ივერია, 1904, 14 ნოემბ., № 261, გვ. 2.

36. ზუბალაშვილების სახელობის საავადმყოფო (კრება ბავშვთა საავადმყოფოს გახსნის თაობაზე).

ივერია, 1904, 16 ნოემბ., №262, გვ. 2.

37. dმ. ზუბალაშვილების სახელობის საბავშვო სააკადემიური  
მუზეუმი.  
ივერია, 1904, 16 დეკ., №287, გვ. 2.



38. ცნობილმა ქველმოქმედმა ძმებმა იაკობ, ლევან და  
პეტრე ზუბალაშვილებმა შესწირეს 3 ათასი მანეთი ბაქოში  
მომხდარ სისხლის ღვრის მსხვერპლთა დასახმარებლად  
ეროვნებისა და სარმმუნოების განურჩევლად.

ივერია, 1905, 20 თებ., №4, გვ. 2.

39. ტფილისის ქალაქის მოურავმა გუბერნატორის მო-  
ადგილეს ნარუდგინა საბჭოს გადაწყვეტილების პირი კ. ი.  
ზუბალაშვილის სახელობაზე აგებული სახალხო სახლის მი-  
ლებაზე და სთხოვა თავის მხრივ, შეგვატყობინეთ, რომ არა-  
ვითარი დაბრკოლება არ არის თქვენის მხრით.

ივერია, 1905, 26 მაის., №85, გვ. 3.

40. ჸ. ჭ. ქართველი ქველმოქმედნი – სტეფანე, ლევანი,  
პეტრე და იაკობ ზუბალაშვილები.

საქ. კალენდ., 1905, გვ. 566.

41. dმ. ზუბალაშვილების სტიპენდიები (ორი თავისუფა-  
ლი სტიპენდიდან ერთი დაენიშნა ანნა ხახუტაშვილს და მე-  
ორე თამარ ძნელაძეს. ერთდროული დახმარება მიეცათ (სტი-  
პენდიის გადარჩენილი თანხიდან) დ. მ. ტატიშვილს (100 მან.),  
ბეს. ოქროპირიძეს (50 მან) და ა. შ.

სახ. გაზ., 1910, 24 აგვ., №90, გვ. 2.

42. „ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ  
უკვე გაანანილა ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდიები.  
მოგვყავს სია იმ პირთა, რომელთაც სტიპენდიები დაენიშნათ:  
1) ნინო ლასიშვილი, 2) გერონტი ქიქოძე, 3) სილოვან ყიფია-  
ნი, 4) გიორგი ჩიტაია, 5) დავით ჩხეიძე, 6) სვიმონ ფირცხა-  
ლავა, 7) დავით მჭედლიშვილი, 8) იოსებ გოგოლაშვილი, 9)  
შალვა ტატიშვილი, 10) დავით ელიოზიშვილი“.

სახ. გაზ., 1911, 1 სექტ., №330, გვ. 2.



43. ზუბალაშვილის სახელობის საბავშვო საავადმყოფოს  
შენობა გუშინ ქალაქის თვითმმართველობისა და ძმ. ზუბალაშვილების  
ლაშვილების ნარმომადგენლებმა დაათვალიერეს იმის გამო-  
სარკვევად, თუ რამდენი ხარჯი ესაჭიროება საავადმყოფოს  
სრულ მოწყობას.

სახ. გაზ., 1911, 17 ნოემბ., № 453, გვ. 2.

44. ზუბალაშვილების საბავშვო საავადმყოფოსათვის სა-  
ჭირო დამატებითი ხარჯები უდრის 130.000 მანეთს. ეს ხარ-  
ჯთაღრიცხვა ამ დღეებში გაეგზავნება ძმ. ზუბალაშვილებს.

სახ. გაზ., 1911, 25 ნოემბ., № 459, გვ. 2.

45. ბავშვთა საავადმყოფო, რომელსაც ქალაქის თვით-  
მმართველობა ზუბალაშვილების ხარჯით აშენებს, მომავალი  
ნლის მეორე ნახევარში დამთავრდება. საავადმყოფოს გახსნა  
ნავარაუდევია 1912 წლის 1 ნოემბრისათვის.

სახ. გაზ., 1911, 20 დეკ., № 480, გვ. 2.

46. ძმ. ზუბალაშვილების სახელობის საბავშვო საავად-  
მყოფო (ქალაქის მოურავი ძმ. ზუბალაშვილების ნარმომადგე-  
ნელს სთხოვს, დააჩქარეთ პასუხის მოცემა: ძმ. ზუბალაშვი-  
ლები კიდევ რამდენს ფულს სწირავენ მათი სახელობის სა-  
ბავშვო საავადმყოფოს დასამთავრებლადო).

სახ. გაზ., 1912, 27 ივნ., № 635, გვ. 1.

47. თავისუფალი სტიპენდია ზუბალაშვილების სახელო-  
ბისა ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოებას ამჟამად აღარ აქვს, რადგან  
ყველა სტიპენდია განაწილებულია სტუდენტთა შორის.

სახ. გაზ., 1912, 18 აგვ., № 677, გვ. 2.

48. თავისუფალი სტიპენდიები (ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადო-  
ებამ გამოარკვია, რომ 1913 წლის პირველი იანვრიდან გათა-  
ვისუფლედება ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია).

სახ. გაზ., 1912, 10 ნოემბ., № 746, გვ. 2.

49. უხვი ქველმოქმედი ძმანი ლევან, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილები ქალაქის საბჭომ ტფილისის საპატიო მისამართის ლაქეებად აირჩია. ქალაქის გამგეობამ ეს ამბავი დეპეშით პც-ნობა ძმ. ზუბალაშვილებს, რომელთაც დეპეშითვე მადლობა გადაუხადეს.

სახ. გაზ., 1912, 21 ნოემბ., №755, გვ. 2.

50. 3 იანვარს ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ გაანანილა ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიები.

სახ. გაზ., 1913, 5 იანვ., № 780, გვ. 2.

51. ექიმების დანიშვნა ზუბალაშვილების სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში (უფროს ორდინატორად დაინიშნა ექიმი უმიკაშვილი (უმიკოვი), უმცროს ორდინატორად ექიმი კილოსანიძე და ექიმი სუნდუკიანცი).

სახ. გაზ., 1913, 17 იანვ., № 799, გვ. 2.

52. ზუბალაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს მოწყობის თაობაზე (საავადმყოფოს გახსნა 1 ივნისისთვისაა დანიშნული).

სახ. გაზ., 1913, 29 იანვ., №809, გვ. 2; 1913,  
15 თებ., №823, გვ. 2.

53. უხვი შენირულება. კ. ზუბალაშვილის მემკვიდრეებმა ქ. ტფილისს 120.000 მან. შესწირეს. ამ ფულით უნდა გაშენდეს საზაფხულო ბაღი თეატრით და გადაკეთებულ იქნას საზამთრო თეატრი სახალხო სახლში, რომელიც აგრეთვე მათი ფულით არის აგებული.

სახ. გაზ., 1913, 14 ივნ., №918, გვ. 2.

54. ძმ. ზუბალაშვილები – ტფილისის საპატიო მოქალაქენი. „თანახმად ქალაქის თვითმმართველობის შეუძლებლობისა, უმაღლესად ნება დართულ იქმნა, უხვ ქველმოქმედებს ძმებს ზუბალაშვილებს ტფილისის საპატიო მოქალაქეთა ნოდება მიერიქოთ. ამის გამო ქალაქის გამგეობამ მათი გვარები



საგანგებო საპატიო წიგნში შეიტანა და ძმ. ზუბალაშვილებს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა. ტფილის ქალაქის თვითმმარტინი თვეელობის დაარსებიდან დღემდე ტფილისის საპატიო მოქალაქის სახელი მიენიჭა და საპატიო წიგნში იქნა შეტანილი მხოლოდ ერთი კაცი – ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი, მეფის მოადგილის საბჭოს წევრი".

სახ. გაზ., 1913, 25 ივლ., №952, გვ. 1.

55. ძმ. ზუბალაშვილების სტიპენდიები ნ. კ. გ. საზოგადოებაში. საზოგადოებას შემუშავებული აქვს წესი და პირობები, რომლის მიხედვითაც უნდა ხდებოდეს ძმ. ზუბალაშვილთა სტიპენდიების დანიშნვა. ამ წესების მოკლე შინაარსი ასეთია: ხელშეკრულების მიხედვით, კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია საზოგადოებისაგან სესხად მიღებული ეს თანხა (სტიპენდია) კურსის დამთავრების შემდეგ, მუშაობის დაწყების შემთხვევაში, ნლების მანძილზე ნანილ-ნანილ დაუბრუნოს საზოგადოებას. თუ ვინმე ძალიან ღარიბია ან არ მუშაობს, შეიძლება ის კიდეც განთავისუფლდეს ამ ვალისაგან.

სახ. გაზ., 1913, 7 სექტ., №987, გვ. 1.

56. ზუბალაშვილის სახელობის საავადმყოფოს კურთხევაზე, რომელიც დანიშნულია 17 ნოემბერს, ნაშუადღევს 2 საათზე, ქალაქის გამგეობა ინვევს მომავალ კრების მონანილეთა გარდა მრავალ ხალხს.

სახ. გაზ., 1913, 16 ნოემბ., №1045, გვ. 1-2.

57. ზუბალაშვილის სახელობის საბავშვო საავადმყოფოში (ავადმყოფებს უკვე იღებენ. დღემდე უკვე მიიღეს 25 ავადმყოფი ბავშვი).

სახ. გაზ., 1913, 28 ნოემბ., №1054, გვ. 2.

58. სტიპენდიების განანილება (ზუბალაშვილის სახელობის ერთი თავისუფალი სტიპენდია დაენიშნა პეტერბურგის უნივერსიტეტის საფილოლოგო ფაკულტეტის სტუდენტს მა-

ლაქია გრიგოლის ძე გობეჯიშვილს, მიეცემა 1914 წლის 1  
თებერვლიდან).

სახ. გაზ., 1914, 28 იანვ., № 1101, გვ. 2.

59. მადლობა (ამას ნინად ტფილისის ხელოსანთა საზო-  
გადოებამ საგანგებო ადრესი მიართვა უხვ ქველმოქმედ  
ძმებს ზუბალაშვილებს, რომელთა ხარჯითაც ავლაპარში აგე-  
ბულ იქნა საბავშვო საავადმყოფო). ადრესში საზოგადოება  
მადლობას უცხადებდა იმის გამო, რომ მათ ქალაქის უღარი-  
ბეს მცხოვრებთ შეძლება მისცეს ხელმისაწვდომ ფასში რიგი-  
ანად წამლობისა. ამ ფამად ხელოსანთა მამასახლისმა ი. ნ.  
ბარსეგოვმა ლევან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილისაგან წე-  
რილი მიიღო, რომელიც ადრესის მირთმევისათვის ძმებისა და  
თავის მხრით მადლობას უცხადებს სახელოსნო საზოგადოე-  
ბის ყველა წევრს.

სახ. გაზ., 1914, 21 თებ., № 11 21, გვ. 2.

60. კ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის გა-  
ფართოება საბოლოოდ გადაწყვეტილია. ამ აზრით ქალაქის  
გამგეობას სურს შეიძინოს სახალხო სახლის გვერდზე მდებარე  
ჰერცოვისეული სახლი... ამ სახლისა და ადგილის საყიდლად  
ცნობილმა ქველმოქმედმა ძმებმა ზუბალაშვილებმა თავის  
მხრით ქალაქის გამგეობას გამოუგზავნეს 60.000 მანეთი.

სახ. გაზ., 1914, 6 აპრ., № 1157, გვ. 5.

61. ცნობილმა ქველმოქმედმა ძმებმა ზუბალაშვილებმა  
ქალაქის გამგეობას თავისი რწმუნებულის პირით სოხოვეს,  
მიჰყიდოს მათ ტფილისის საბაჟოს მახლობლად 700 ოთხეუთ-  
ხა საუენი მინა სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიის ასამენებლად...

სახ. გაზ., 1914, 9 მაის., № 1183, გვ. 3.

62. ძმ. ზუბალაშვილებს ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა  
მშვენიერ ყდაში ჩასმული ალბომი, სადაც მოთავსებულია სა-  
ხალხო სახლისა და საბავშვო საავადმყოფოს სურათები.

სახ. ფურც., 1914, 7 ივნ., № 6, გვ. 2.



63. ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდია (იყო 4 სტიპენდია) პენდია. ამათში 2 მიეცეს ქართველ მაჟმადიანებს, რომელიც ქართულ სათავადაზნაურო სკოლებში ისწავლიან, შემდეგ უმაღლეს სასანავლებელში შევლენ. დარჩენილი 2 სტიპენდიიდან ერთი დაენიშნა პავლე ინგოროვას და ერთი გაყოფილი იქნა ორად: ნახევარი მიეცა ალ. დიმიტ. სოლოლაშვილს, რომელიც სამედიცინი სასანავლებელში მიდის, ნახევარი – დავით გიორგის ძე მელაძეს, რომელიც სატეხნიკო სასანავლებელში აპირებს სწავლას).

სახ. ფურც., 1914, 4 სექტ., №79, გვ. 3.

#### 64. ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის შეკეთება ქ. გორში

„სავალალო სანახაობას ნარმოადგენდა ქართველ კათოლიკეთა ეკლესია. გაძარცული იყო შიგნიდან, გარედან, ლარიბულად მოწყობილი, ხოლო მღვდლის საცხოვრებელი ბინა, ეგრედნოდებული მონასტერი ისე დანგრეულ-გაღატაკებული, რომ ჩვენს სოფელშიაც ვერსად პნახავდით მღვდლის ბინას ამაზე უარესს. მაგრამ რამდენიმე პირის და თვით მრევლის მეცადინეობით ცნობილმა ძმებმა ზუბალაშვილებმა თავს იღვეს ამ ეკლესიის გამშვენიერება საკუთარ ხარჯით და საქმესაც შეუდგნენ 1913 წლის გაზაფხულზე. როგორც თვით ზუბალაშვილების სურვილი იყო, ხარჯი არ უნდა დაენანათ, ოღონდ ეკლესია გაემშვენიერებინათ, როგორც კი შეიძლებოდა”... სახ. ფურც., 1914, 13 დეკ., №162, გვ.3.

65. თავისუფალი სტიპენდიები. ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ გაარკვია, რომ მომავალი ნლიდან გამოთავისუფლებულ 7 სტიპენდიას ზუბალაშვილის სახელობისას აითვისებენ შემდეგი პირნი: თამარ ძელაძე, შალვა ტატიშვილი, ანна ხახუტაშვილი, გიორგი ჩიტაია, სილოვან ყიფიანი, დავით ჩხეიძე, სიმონ ფირცხალავა.

სახ. ფურც., 1915, 21 მაის., №286, გვ. 2.

66. ქველმოქმედ ზუბალაშვილთა სახელობის სტიპენდიები. როგორც მკითხველებმა იციან, უხვი ქველმოქმედზე შეუძლია ბალაშვილები 1908 წლიდან ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოებას უკურნებულივ განსაზღვრულ თანხას აძლევენ სტიპენდიებისათვის. საზოგადოების გამგეობაშ ზუბალაშვილებს გაუგზავნა ანგარიში ამ თანხისა. ჩანს, რომ ძმებს ზუბალაშვილებს 1908 წლიდან დღემდე საზოგადოებისათვის მიუციათ 44.000 მანეთი. საზოგადოებამ ჰკითხა ზუბალაშვილებს: მოისურევებენ თუ არა, რომ 1916 წლიდან კვლავ აძლიონ საზოგადოებას სასტიპენდიონ თანხა.

სახ. ფურც., 1915, 8 სექტ., № 376, გვ. 3.

67. სტიპენდიები. ქ. შ. ნ. კ. გ. საზოგადოებას სამი ქველმოქმედის სახელობის სტიპენდია აქვს: ძმ. ზუბალაშვილების, ნ. ღოლობერიძისა და დ. სარაჯიშვილის (ზუბალაშვილების სახელობის სტიპენდიები დაარსდა 1908 წლის 1 იანვრიდან, ნ. ღოლობერიძისა – 1912-დან და დ. სარაჯიშვილისა – 1914-დან). ზუბალაშვილები 1908-1912 წლის 1 იანვრამდე აძლევდნენ 6 ათას მანეთს ნელინადში (სულ შეიტანეს 24 ათასი). 1912 წლიდან კიდევ 4 წლის განმავლობაში იძლეოდნენ სტიპენდიას ნელინადში 5 ათასი მანეთი. ამ სტიპენდიის ვადა თავდება 1916 წლის 1 იანვარს.

სახ. ფურც., 1915, 11 სექტ., № 378, გვ. 2.

68. უხვი ქველმოქმედება (ძმ. ზუბალაშვილებმა ნ. კ. გ. საზოგადოებას აცნობეს, რომ ისინი მზად არიან სასტიპენდიონ თანხა გადაიხადონ მომავალს სამის წლისთვის ნელინადში 3.000 მანეთი).

სახ. ფურც., 1916, 8 იანვ., № 473, გვ. 2.

69. ძმ. ზუბალაშვილების სტიპენდიები (ძმ. ზუბალაშვილები უკანასკნელად გაიღებენ თანხას წლიურს 3 ათასს იმ აზრით, რომ სტიპენდიები არ მოესპონ იმ სტუდენტებს, რომელნიც სწავლას ათავებენ არა უგვიანეს 1918 წლისა).

სახ. ფურც., 1916, 21 იანვ., № 483, გვ. 2.



70. მოსკოვის ქართველების საზოგადოების სტიპენდიები (ამათგან სამი იყო ძმ. ზუბალაშვილებისა. ენიშნება იმანებულების ვინც განსაკუთრებულ ნიჭისა და უნარს გამოიჩინს მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში. სტიპენდიის ზომაა თვეში 5 თუმანი).

სახ. ფურც., 1916, 18 ივნ., №602, გვ. 2.

71. დამატებითი ინფორმაციები ძმები ზუბალაშვილების მიერ მიხ. თამარაშვილისადმი განეული ფინანსური დახმარების შესახებ.

1) 1901 წელს ქველმოქმედმა სტეფანე ზუბალაშვილმა მიხ. თამარაშვილის წიგნის („ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“) გამოსაცემად გაიღო 1000 (ათასი) მანეთი (გვ. 46).

2) 1904 წელს ქველმოქმედ სტ. ზუბალაშვილის „ნარსა-გებელით“ დაიბეჭდა მიხ. თამარაშვილის შრომა „პასუხი სომხის მნერლებს“ (გვ. 74).

3) მიხ. თამარაშვილს სტ. ზუბალაშვილისაგან დანიშნული ჰქონდა გარკვეული თანხა სუბსიდიის სახით (გვ. 80, 81 და ა. შ.).

4) 1909 წლიდან ძმებმა – პეტრე და იაკობ ზუბალაშვილებმა მიხ. თამარაშვილს განუახლეს თავიანთი უფროსი ძმის სტეფანეს მიერ დანიშნული (მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო დროებით შეჩერებული – უ. ფ.) სუბსიდია და გამოტოვებული თანხა ერთდროულად გაუგზავნეს, რამაც ორი ათას მანეთამდე შეადგინა (გვ. 93).

**შენიშვნა:** ცნობილია, რომ კონსტატინე და მისი ოჯახი სისტემატურად უხდიდა მიხ. თამარაშვილს უცხოეთში ცხოვრება-საჭმიანობისათვის საჭირო თანხას. მაგრამ, როგორც ჩანს, 1905-იანი წლებიდან რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების (რევოლუციის) გამო არეულობა დაიწყო ამიერკავკასიაშიც. ეს ბუნებრივად გაურთულებდა მდგომარეობას ქართველ მსხვილ მრეწველ-კომერსანტებს, მათ შორის, ზუბალაშვილებსაც, რომლებიც უფრო ხშირად უცხოეთში იმყოფებოდ-



ნენ. ჩანს, სწორედ ამას უნდა გამოეწვია ზუბალაშვილთა  
მხრიდან მიხ. თამარაშვილისათვის სუბსიდიის დრუჟგუბრიშვილის  
შეწყვეტა, რომლის შესახებაც თავად მიხეილი ატყობინებდა  
აკ. ნერეთელს 1907 წელს.

5) ალექსანდრე იაკობის ძე ზუბალაშვილმა 1909 წელს  
იკისრა მისი (თამარაშვილის) დარჩენილი ვალის გადახდა და  
თან 500 ფრანკიც გაუგზავნა (გვ. 93).

6) პეტრე ზუბალაშვილი 1909 წლის 8 მაისით დათარი-  
ლებულ ნერილში მიხ. თამარაშვილს მისი თხოვნის პასუხად  
ნერდა: „ჩემი ძმა იაკობი მოგზაურობს... მოხოვა თქვენ გაც-  
ნობოთ, რომ მოელის თქვენგან ცნობებს და ანგარიშს „ეკლე-  
სის ისტორიისათვის“ (იგულისხმება ნიგნი „ქართული ეკლე-  
სია დასაბამიდან დღემდე“ – უ. ფ.), რომლის მიღების შემდეგ  
გაცნობებს საბოლოო პასუხს, მანამ კი, ამ კვირას გამოგიგ-  
ზავნის 2 ათას ფრანკს დაპირებული სუბსიდიის ანგარიშში“  
(გვ. 84).

7) ზუბალაშვილებისაგან მიღებულმა ამ მცირე სახსარმა  
გააპედვინა მიხ. თამრაშვილს დაენცყო რომში ნიგნის ბეჭდვა.  
დამატებითი თანხის შეგროვების იმედით აიღო დიდი სეს-  
ხი/ვალი). ნიგნი დაპეჭდილი იყო 1910 წელსვე, მაგრამ მთლი-  
ანი თანხის გადაუხდელობის გამო მისი სტამბიდან გამოტანა  
არ შეიძლებოდა...

ბოლოს და ბოლოს ზუბალაშვილებმა კვლავ იკისრეს მცი-  
რე თანხის გამოლება. ამასთანავე ბევრმა პატრიოტმა ქარ-  
თველმა ინტელიგენტმაც გაიღო თავისი მცირე წელილი. და  
ყველა ერთად გაეგზავნა რომში თამარაშვილს. მოუხედავად  
იმისა, რომ თამარაშვილმა ამ თანხით ყველა ვალი ვერ გაის-  
ტუმრა, მაგრამ ის მაინც შეძლო, რომ ნიგნისათვის ყადალა  
მოეხსნა და გაურცელების ნება მიეღო (გვ. 195).

(ნარმოდეგენილი მასალა დამოწმებულია შ. ლომსაძის  
ნიგნიდან „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი“,  
თბ., 1984).



**შენიშვნა:** ამას წინათ თბილისის პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გამოფენილ ახალ გამოცემის ცერემონიაში გადავათვალიერებ ბ. არველაძის მიერ შედგენილი წიგნი – მიხეილ თამარაშვილი „როდის გადმოსახლდნენ სომხები საქართველოში”, თბ., 2010.

სასიამოვნოა, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფურცლები კვლავ ცოცხლდება და ცონბილი ხდება ფართო საზოგადოებისათვის, მაგრამ იმავდროულად გული მეტეინა წიგნის ბოლო – 49-ე გვერდის ორიოდე ფრაზის გამო, რომელიც ეხება ზუბალაშვილებს. შემდგენელი ამ გვერდის დასაწყისში მოკლედ (ანოტაციის სახით) საუბრობს მიხ. თამარაშვილის წიგნის („ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“) მნიშვნელობაზე, მის განსაკუთრებულ ღირებულებაზე; შემდევ იქვე დასძენს: „წიგნის გამოცემა ძალიან გაუჭირდა მიხ. თამარაშვილის, რადგან მისი ხელშემწყობი შეცენატი სტეფანე ზუბალაშვილი 1904 წელს გარდაიცვალა. დანარჩენმა ზუბალაშვილებმა კი დახმარებაზე თავი შეიკავეს (ხაზი ჩვენია – უ. ფ.). ვინაიდან მიხ. თამარაშვილმა ქველმოქმედი ვერ იპოვა, იძულებული გახდა სესხი აეღო და წიგნი 1910 წელს გამოსცა“ (შდრ. წინა ინფორმაციები).

### წიგნის დავითის ძე ზუბალაშვილი

1. შემთხვევა ქალაქის რჩევაში (კამათი... ხმოსნებს შორის).  
დროება, 1882, I, 28; გვ. 1.

2. ხმოსან წიგნის დავითის ძე ზუბალაშვილის პროექტი თბილისის ქალაქის სამმართველოს მოსამსახურეთა პენსიის შესახებ.

ივერია, 1891, 22 თებ., № 42, გვ 1.

3. ტფილისი. 18 იანვარი (ნიკ. დ. ზუბალაშვილის სიტყვა ქალაქის საბჭოში). აქ არის მიმოხილვა 6. დ. ზუბალაშვილის სიტყვისა იმის შესახებ, თუ რატომ არ სრულდება ქალაქისა და ცხენის რეინის უსახელო საზოგადოების ხელშეკრულობის 21-ე მუხლით. „ამის გამო 6. დ. ზუბალაშვილმა წარმოსთქვა

გულდადებული, წინ-დახედული, დიდად დასაბუთებული, ყოველისთვის სრული სიტყვა", სადაც გამოაშეარავებულია ზერით კულტურული ფაქტი: ცხენის რეინის უსახელო საზოგადოებას უნდა გადაე-გავა რეინის გზა და ნაგავი გაეტანა, მაგრამ 1881 წლიდან 1888 წლამდე ამ საზოგადოებას აინუნშიაც არ მოსვლია ხელ-შეკრულების შესრულება. ნაგავი გაპქონდა ქალაქის გამგეო-ბას, რომელიც მორიგებული იყო ამ საზოგადოებასთან. ეს ყველაფერი საბუთებით ამხილა ნ. დ. ზუბალაშვილმა საბჭოს წინაშე „ნუთუ ბ-ნ ზუბალაშვილის მშვენიერ და დასაბუთებულ სიტყვის შემდეგ ნება არა გვაქვს მწუხარებითა ვსთქვათ: ღმერთო, ეს ვის ხელში ჩაგვიგდია ქალაქის საქმეო".

ივერია, 1892, 19 იანვ., №13, გვ. 1-2.

4. ნიკოლოზ დავითის ძე ზუბალაშვილი მომრიგებელ-მოსამართლედ დაინიშნა.

ივერია, 1892, 7 ოქტ., № 211, გვ.1.

5. 6. დ. ზუბალაშვილის სასამართლოში სამსახურის 30 წლისთვის. (1898 წლის 19 თებერვალს სრულდება 30 წელი ნ. დ. ზუბალაშვილის ტფილისის მეოთხე ნანილის მომრიგებელ-მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობისა).

ივერია, 1898, 5 თებ., № 26, გვ. 2.

6. ტფილისის საბჭოს ხმოსნად ნამყოფმა ნ. დ. ზუბა-ლაშვილმა საყურადღებო განცხადება ნარუდგინა ქალაქის გამგეობას, რომლის მიხედვით, თავისი ნებით ნასულ ხმოს-ნებს არ უნდა პქონდეთ უფლება უკანვე დაბრუნებისა. მათი დანიშვნა უნდა მოხდეს ახალი არჩევნებითო.

ცნ. ფურც., 1905, 1 ნოემბ., № 2938, გვ. 3.

დაწართო

ე. ფეიქოშვილი

საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო  
ტრადიციის საცოდითა მუზეუმი (ქუთაშვილ ზუბალაშვილის)

ნაკითხულია მოხსენებად 2009 წლის 15  
ოქტომბერს ქუთაისში ი. ჭავჭავაძის სახელო-  
ბის სამეცნიერო ბიბლიოთეკის პირველ საერ-  
თაშორისო კონფერენციაზე.

საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადი-  
ცია შორეული ნარსულიდან იღებს სათავეს, თუმცა ქართული  
ნიგნის გამოცემის ისტორია ჩვენში დაიწყო მოგვიანებით,  
XVIII საუკუნიდან, როცა სამეფო კარის თაოსნობით თბილისში  
დაარსდა პირველი ქართული სტამბა, მას შემდეგ ეს დიდი  
ეროვნული საქმე მეტ-ნაკლები ინტენსივობით ხორციელდე-  
ბოდა, რადგან ზოგჯერ, განსაკუთრებით კერძო სტამბების  
შემთხვევაში, სათანადო ფინანსების უქონლობის გამო ვერ  
ხერხდებოდა სასტამბო საქმიანობის გაგრძელბა. მიუხედავად  
ამისა, ჩვენში თუ საზღვარგარეთ, ძირითადად ქართველი თა-  
ნამემამულების თანადგომითა და ფინანსური მხარდაჭერით,  
ქართული სტამბების რიცხვი თანდათან იზრდებოდა, ქართუ-  
ლი ნიგნის გამოცემები უფრო იხვენებოდა და მრავალფერო-  
ვანი ხდებოდა. ასეთ მეცნატთა შორის გამორჩეულია ქარ-  
თველი კათოლიკე ზუბალაშვილების რამდენიმე თაობა, ყო-  
ფილი წვრილი ვაჭარ-ხელოსნები, რომლებიც გააზრებული და

პატიოსანი შრომა-საქმიანობით იქცნენ მსხვილ მრეწველ კა-  
მერსანთებად, ღირსეულ მამულიშვილებად.

მიღიონ ნერი ზუგდაშვილი და უცხოეთის ბევრ  
ქვეყანაშიც... და მაინც ზუბალაშვილთა გვარის ყველაზე დიდ  
სიმდიდრეს ნარმოადგენდა არა ფული, არამედ ცოდნა-განათ-  
ლება, გამჭრიახი გონება, უსაზღვრო კეთილშობილება, სამ-  
შობლოს და ხალხის ჭეშმარიტი სიყვარული და უდიდესი  
სურვილი საქართველოს აღორძინება-განვითარებისა. მათ  
კარგად მოეხსენებოდათ, რომ ჩვენს ქვეყანას სჭირდებოდა  
განათლებული, საერთო ინტერესებით გაერთიანებული საზო-  
გადოება, ისეთი ქართველობა, რომელიც დღენიადაგ იფიქ-  
რებდა და ეკიდეც იზრუნებდა ერის სატყივარზე. სწორედ ამ-  
გვარ საერთო საქმეს ხმარდებოდა ზუბალაშვილთა მილიონე-  
ბი კეთილი ნებით, უხმაუროდ და არა სხვათა საჩვენებლად –  
თავის მოსანონებლად. ზ. ჭიჭინაძის სიტყვებით რომ ვთქვათ,  
ზუბალაშვილები მოწყალებას არიგებდნენ ისე ჩუმად, მარ-  
ჯვენა ხელის ნამოქმედარს მარცხენა ვერ იგებდათ.

თითქმის სამი საუკუნის მანძილზე ზუბალაშვილები თა-  
ვიანთი პრაქტიკული საქმიანობითა თუ გამორჩეული მეცენა-  
ტობით საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური  
მონანილენი იყვნენ. მათი ქველმოქმედების ვრცელი ნუსხი-  
დან ამჟერად მხოლოდ ზოგადად ჩამოვთვლით რამდენიმეს,  
კონკრეტულად კი შევჩერდებით მათ მიერ განათლება-კულ-  
ტურის ასპექტით განეული ქველმოქმედების ორიოდე მომენ-  
ტზე.

ცნობილია, რომ ზუბალაშვილების თაოსნობითა და მა-  
თივე სახსრებით აშენდა თბილისში პირველი უფასო ბავშვთა  
საავადმყოფო, სახელგანთქმული ქარვასლა და დიდებული  
სასახლე საატერიო „პალასი“ (ახლ. სახელმწიფო მუზეუმის  
შენობა), ააშენეს და ეკროპულ დონეზე მოაწყვეს „უმწეოთა  
თავშესაფარი“ – საცხოვრებელი ღარიბების, ავადმყოფებისა  
და უპატრონოთათვის; აგრეთვე „სამადლო“ ანუ უფასო სასა-  
დილო. მათი შენირულობით აშენდა ან შეკეთდა მრავალი ეკ-

ლესია; სისტემატურად გასცემდნენ უხვ მოწყვალებას ღარიბ-  
თა დასახმარებლად, უფასოდ მკურნალობდნენ ავადმყოფებრები  
და ა. შ.

ზუბალაშვილები განსაკუთრებით ზრუნავდნენ ჩვენში  
განათლება-კულტურის აღორძინებისათვის. ისინი ახლოს იც-  
ნობდნენ ქართველი ინტელიგენციის ნარმომადგენლებს და  
ფინანსურადაც ხელს უწყობდნენ მათს ყოველგვარ სასიკეთო  
ნარმონყებებს, ქვეყნისათვის სასარგებლო ღონისძიებებს. მაგა-  
ლითად, ი. ჭავჭავაძემ ზუბალაშვილთა აქტიური მხარდაჭერი-  
თა და უხვი შემონირულობით დააპიროს თბილისში სათავადაზ-  
ნაურო ბანები, ასევე, ქართველთა შორის წერა-კითხების გამავ-  
რცელებელი საზოგადოება. ამ საზოგადოებას დაწესებული  
ჰქონდა ზუბალაშვილთა სახელობის სტიპენდია რუსეთისა და  
დასაცავეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში წასული ქარ-  
თველი ახალგაზრდებისათვის. მათ შორის იყვნენ: მიხეილ ჯა-  
ვახიშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, სარგის კაკაბაძე, აკაკი  
ფალავა, გერონტი ქიქოძე, სილოვან ყიფიანი, იასონ ჩხერიე-  
ლი, დავით ელიოზიშვილი, გიორგი ებრალიძე, ქრისტეფორე  
რაჭველიშვილი, ზაქარია დიდიმამიშვილი, ლეო ქაჩილი, პავ-  
ლე ინგოროვა, გიორგი ჩიტაია, ანა ხახუტაშვილი, კატო მი-  
ქელაძე და სხვები.

მიხეილ თამარაშვილმა მეცენატი ძმების ხელშეწყობით  
შეძლო ვატიკანისა და ევროპის სხვა დიდი ქალაქების არქი-  
ეპები ხანგრძლივი დროით მუშაობა და საქართველოს ისტო-  
რიისათვის უძვირფასესი წიგნების დაწერა-გამოცემა.

ზუბალაშვილები საქართველოს სხვადასვა კუთხეში აარ-  
სებდნენ ახალ სკოლებს, იმავდროულად მატერიალურად ეხ-  
მარებოდნენ არსებულ სასწავლებლებს. გარდა ამისა, წყარო-  
ებით ცნობილია, რომ თბილისის მუსიკალური სკოლის (დღ.  
კონსერვატორიის შენობა) ასაშენებლად გაიღეს 10 ათასი მა-  
ნეთი ოქროთი, ხოლო თავადაზნაურთა გიმნაზიისათვის (დღ.  
სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი) 80 ათასი მანეთი;  
მაშინდელი შურნალ-გაზეთები ივერია, ჯეჯილი, მოგზაური,  
ცისკარი, ნაკადული და ა. შ.) საქმიანობას აგრძელებდნენ ძი-  
რითადად ზუბალაშვილთა შემონირულობით.



ლირსსაცნობია ისიც, რომ ძმებმა ზუბალაშვილებმა შეასრულა მის ხსოვნის პატივსაცემად 1902-07 წლებში ააშენეს საზარდო სახლი – იგივე სახალხო თეატრი (დღ. მარჯვანიშვილის თეატრის შენობა), რომელიც იმთავითვე იქცა ქართული კულტურის ცენტრად. თეატრს პქონდა უფასო ბიბიოთეკა, სამკითხველო დარბაზი და კაფე მეითხველთათვის.

ნიგნიერი ზუბალაშვილები მფარველობდნენ ქართულ სტამბებსაც. ცნობილია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ძალიან გაძნელდა ქართული ნიგნის გამოცემა, ამიტომ ამ საქმემ XIX საუკუნის II ნახევრიდან ძირითადად გადაინაცვლა ევროპაში, სადაც ქრთული ნიგნების გამოცემის ორგანიზაციას ფაქტობრივად თაოსნობდნენ ქართველი კათოლიკე ბერები (შ. ლომისაძე). მათ შორის გამორჩეულია სახელოვანი მამულიშვილის, ახალციხელი კათოლიკე მღვდლის პეტრე ხარისჭირაშვილის ლვანლი.

ევროპაში განათლებამიღებული მ. პეტრე საქართველოში დაბრუნდა 1840-იანი წლების დასაწყისში. ამ დროს ჩვენში მწვავედ იდგა ეროვნული სულიერების გადარჩენის საკითხი. ქართული ენისა და, საერთოდ, ქართველობის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელი გახდა სამცხე-ჯავახეთში. მ. პეტრე დარწმუნდა, რომ ასეთ ეითარებაში მშობლიურ მხარეს იხსნიდა მხოლოდ ქრისტიანობა და ქართული ნიგნი. ამ რწმენითა და თანამემამულე საერო თუ სასულიერო პირების თანადგომით შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას. მაგრამ მალე რუსეთის ხელისუფლებამ იგი „საშიშ“ პიროვნებად ჩათვალა და აიძულა სამუდამოდ დაეტოვებინა სამშობლო.

პ. ხარისჭირაშვილი 1850 წელს ჩავიდა ვენეციაში, წმ. ლაზარეს მონასტერში, მხითარისტების კონგრეგაციაში, სადაც დაცული იყო ქართველი კათოლიკე ბერების მიერ თარგმნილი ხელნაწერები. მან იქაურ სომხურ სტამბაში ჩამოასხმევინა ქართული ასოების ყალიბები, მოაწესრიგა ქართული სასტამბო მეურნეობა და საქართველოდან ზუბალაშვილების უხევი შემოწირულობით შეუდგა ქართული ნიგნების ბეჭდვას, რათა ამ გზით მაინც დახმარებოდა მშობლიურ კუთხეს.



ბუნებრივია, ამ საქმეს დასჭირდებოდა დიდი შრომა და საკმაო თანხაც, რასაც ერთი კაცი დამოუკიდებლად ვერ შეძლოდა ლებდა. საბედნიეროდ, წიგნების ანუობა-გამოცემაში პ. ხარისჭირაშვილს ფიზიკური დახმარება აღმოუჩინეს სხვა ქართველმა კათოლიკე მღვდლებმა, ხოლო საჭირო ფინანსები საქართველოდან უხვად შესწირეს ზუბალაშვილებმა. წყაროებით ცნობილია, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული იყო იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილის ოჯახის წელილი.

იაკობის მეუღლე ანა ყოფილა საოცრად სათხო და გულმოწყალე, საღმრთო წიგნების მოყვარული, თავისი დროის კვალად დიდად განათლებული. ანა თაოსნობდა ვენეციაში დაბეჭდილი წიგნების საქართველოში გავრცელებას. მათ შორის იყო: „ისტორია გინა მოთხრობა ძველისა და ახალი აღთქმისა“, „წმინდანების ცხოვრება“, „ეზოპეს იგავნი“ (2 ტომად) და სხვა.

ზუბალაშვილები მომდევნო წლებშიც სისტემატურად ეხმარებოდნენ უცხოეთში მოღვაწე ქართველ კათოლიკე ბერებს, მათ სულიერ მოძღვარს პეტრე ხარისჭირაშვილს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. მაგალითისათვის დავასახელებთ მხოლოდ ერთ ინფორმაციას: მ. პეტრე ვენეციიაში მოღვაწეობის დროს მაღლე დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო ქართველობას უცხოეთში ჰქონდა დამოუკიდებელი საბმო – კონგრეგაცია, სადაც შეძლებდნენ უფრო ფართო მასშტაბის ეროვნული საქმიანობის წარმართვას, უცხოეთში გაბნეული უამრავი თანამემამულის, მათ შორის, გამაპმადინებული ქართველობის თავმოყრას, მათში ეროვნული ცნობიერების გაღიძება-გაღრმავებას, დედასაქართველოსთან დაკავშირებას. ამ იდეით შთაგონებული და მეცენატი ზუბალაშვილების ფინანსური მხარდაჭერით დაიმედებული მ. პეტრე შეუდგა ამ დიდი მისის აღსრულებას. პირველყოვლისა, მან რომის პაპისაგან აიღო ნებართვა კონსტანტინოპოლიში კათოლიკური ეკლესიის ასაშენებლად, რომელიც იმავდროულად იქნებოდა ქართველთა მძღავრი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. ასე ჩაეყარა საფუძველი 1860 წელს კონსტანტინოპოლის ერთ-ერთ უბანში, ფერიქოუში, ქართველ კათოლი-

კეთა სახელგანთქმულ მონასტერს. იგი ათეული წლების გან-  
მავლობაში იყო არა მარტო ქართველთა სულიერების შექვეწევის  
პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენციის კეთი-  
ლი მასპინძელი, არამედ თავისი სკოლა – სასწავლებლებით  
ბევრი სახელოვანი ქართველის აღმზრდელი, მათი სამომავ-  
ლო ცხოვრების მეგზური, მიუხედავად მათი რელიგიური აღ-  
მსარებლობისა.

ზუბალაშვილები შემდგომშიც არ აკლებდნენ ყურადღე-  
ბას სტამბოლის ქართულ სავანეს, საფრანგეთში მონთობა-  
ნის ქართველ კათოლიკეთა ძმობას, უხვად აფინანსებდნენ  
იქაურ სტამბებს, სადაც იბეჭდებოდა ქართული წიგნები,  
გროვდებოდა აგრეთვე ევროპულ ენებზე დაწერილი ლიტერა-  
ტურა, ხელნაწერები, სამეცნიერო ნაშრომები... და იქმნებოდა  
ქართული კულტურის ჭეშმარიტად ძვირფასი საგანძურო თავ-  
მოყრილი უნიკალურ წიგნთაცავში – ბიბლიოთეკაში, რომე-  
ლიც დღეს, სპეციალისტთა აზრით, 80 ათასამდე ერთეულს  
ითვლის.

ერთი სიტყვით, ზუბალაშვილები თავიდან ბოლომდე იყ-  
ვნენ სტამბოლის დიდებული მონასტრის აშკარა თუ მეტწილად  
უჩინარი გულუხვი მეცენატები, დაწყებული სამონასტრო კომპლექსისათვის მიწის ფართობის შესყიდვიდან დამ-  
თავრებული იქ აღზრდილი ქართველი ახალგაზრდების და-  
სავლეთ ევროპაში სასწავლებლად გასაგზავნი თანხის გაღე-  
ბით.

ცნობილია, რომ ზუბალაშვილები თავიანთი საქმიანო-  
ბით დაკავშირდული იყვნენ ქართულ სოფლებთანაც. ისინი  
მალე დარწმუნდნენ, რომ გლეხობამ უკეთ უნდა ისწავლოს  
როგორც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ისე სოფლის  
მეურნეობის სწორი გაძლოლა. მათი აზრით, ასეთ შემთხვევა-  
ში გლეხობის ძირითადი სკოლა, გონივრული ცხოვრების გზის  
მაჩვენებელი შეიძლებოდა ყოფილი ქართული წიგნები, და-  
წერილი სპეციალურად სოფლის მცხოვრებთათვის. მადლიე-  
რებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ამგვარი წიგნების შექ-  
მნა-გამოცემის ავტორები და ინიციატორები ისევ ზუბალაშ-

ვილები გახდნენ. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ზაქარია მიხეილის ძე ზუბალაშვილს.

ზაქარია გახლდათ პირველი ქართველი ექიმი, კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი. დაამთაერა გერმანიაში ლაიფციგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და 1835 წლიდან დაიწყო საქართველოში პრატიკული საქმიანობა. იყო დიდად განათლებული პიროვნება, ზედმინევნით იცნობდა ქართულ მწიგნობრობას, საფუძვლიანად ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას, ენეოდა სამეცნიერო მუშაობასაც.

ზაქარია 1854 წლიდან, კავკასიის სამედიცინო საზოგადოების დავალებით, გლეხობის დასახმარებლად ქართულ ენაზე წერდა პატარ-პატარა წიგნებს, სადაც საუბარი იყო ადამიანთა, მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა ავადყოფობაზე, მათს მკურნალობაზე, ზოგჯერ ევროპელი მეცნიერების ნაშრომებსაც თარგმნიდა ქართულად. ასეთი წიგნები პერიოდულად იქცევდებოდა და სოფლის მოსახლეობას ურიგდებოდა თითქმის უფასოდ, რადგან თბილისში წლების მანძილზე სასოფლო წიგნების გამოცემას ძირითადად თაოსნობდნენ ზაქარიას ნათესავები, პირველ რიგში სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. მარტო 1902-03 წლებში მისი შემონირულობით დაბეჭდილა 20-ზე მეტი დასახელების წიგნი, მათ შორის იყო: „ნერილი სოფლელ მუშას“, „დიფტერიტი“, „ხეხილის გამრავლება, მყნობა და მოვლა“, „საუნჯე მეურნისა“, „პურის ბოსტანი“ და ა. შ.

განათლება-კულტურის სფეროშიც ზუბალაშვილთა შრომა-საქმიანობა თუ უსაზღვრო ქველმოქმედება, სტეფანე ზუბალაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ემსახურებოდა ერთ მიზანს – „ქართველი ერიც იქცეს განათლებულ, თვალხილულ ერად, ევროპის განათლებულ ერთა შორის ადგილი დაიკაოს, ისახელოს თავი როგორც ცოდნით, ისევე ოსტატური შრომითა და საქმით“.

## აუტორის ბთლოთქება

ამ სახით უნდა ნარვუდგინოთ მკითხველს კათოლიკე ზუბალაშვილების ერთი შტოს რამდენიმე თაობის ნარმომად-გენელთა თითქმის სამასწლოვანი ისტორია, მათი საინტერე-სო ცხოვრება-საქმიანობის ამსახველი ძირითადი ეპიზოდები.

სამუშაო მეტად რთული და შრომატევადი აღმოჩნდა არა მხოლოდ იმის გამო, რომ ზოგად საკითხებთან ერთად ამ გვარის 24 ნარმომადგენლის შესახებ არსებული ცნობები (ხშირად ურთიერთგამომრიცხავიც კი!) შეგვეკვე-რებინა და ჭეშმარიტებასთან უფრო მიახლოებული სურათი გვეჩვენებინა, არამედ იმიტომაც, რომ 2-3 საუკუნის წინანდე-ლი ფაქტების აღდგენა და შესაბამის უწყებებში სათანადო დოკუმენტაციის მოძიება ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. სამ-ნუხაროდ, დღეს თბილისშიც ალარავინაა ამ შტოს პირდაპირი მემკვიდრე...

მოუხედავად ამისა, წიგნზე ვმუშაობდით ინტერესით, სი-ამოვნებით და იმ რჩმენით, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებაში თი-თოვეული ჩვენგანისათვის მთავარი უნდა იყოს კეთილშობილე-ბა, ადამიანური სითბო-სიყვარული, სხვათა ღვანლის შეცნო-ბა-დაფასება და ღირსეული ადამიანის სახელის მოპოვება; რომ სანთელ-საქმეველი არასოდეს არ დაკარგავს გზას...

ჩვენი წიგნის პერსონაჟები რეალური ადამიანები არიან, გადაუტანიათ გაჭირვება-ხელმოკლეობაც, მძიმე ფიზიკური შრომაც, განუცდიათ მწუხარებაც, ალბათ, სიკეთის გაღების ნილ გულისტიკივილი და უმაღლერობაც მიუღიათ... მაგრამ ისი-ნი ნამდვილად არიან მისაბაძი და სამაგალითონი ცხოვრება-საქმიანობით, კეთილშობილებით, მეცნატობა-ქველმოქმედე-ბით. ყოველივე ამის სრულყოფილი აღნერა, ბუნებრივია, ერთ

მონოგრაფიაშიც ვერ მოხერხდებოდა. მართლაც, ამ ასპექტით კიდევ ბევრი ფაქტი თუ მოვლენა მოითხოვს დაზუსტებასა და დამძიება-შესწავლას... ვიმედოვნებთ, რომ ასეთი საქმიანი, ღირსეული ქართველი მამულიშვილების მოღვაწეობის აღწერა კვლავაც იქნება საინტერესო საზოგადოებისა და ისტორიის-თვის, სასარგებლო – ქვეყნისათვის; შესაბამისად, ზუბალაშვილებთან დაკავშირებითაც გამოვლინდება ბევრი საგულისხმო ინფორმაცია, დაინტერება ახალი ნაშრომები... ამჯერად ჩვენ კი განმარტების სახით მკითხველს გავაცნობთ იმ მასალას, რაც ვერ მოხვდა ძირითად ტექსტში თუნდაც იმის გამო, რომ ზოგიერთი ემყარება მხოლოდ სიტყვიერ განცხადებას, ანუ ვარაუდის ფარგლებშია (თუმცა არ არის გამორიცხული, ეს ვარაუდი მომავალში, ჭეშმარიტებად იქცეს).

კათოლიკე ზუბალაშვილების ამ ერთი შტოს ნარმომად-გენელთა მრავალმხრივი სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობა რომ ემსახურებოდა ეროვნული სიმდიდრის შექმნას, ეს იმთავითვე კარგად იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. მათ მიერ აგებული, არქიტექტურითა და სტილით გამორჩეული, სხვადასხვა დანიშნულების უამრავი შენობა, რომლებიც ათეული ნლების მანძილზე ქმნიდნენ დედაქალაქის იერსახეს, ზოგი მათგანი კი დღესაც ამშვენებს ძველი თბილისის უბნებს, XX საუკუნის 20-იანი ნლებიდან საბჭოთა ხელისუფლებამ სახელმწიფო საუკრებად აქცია... სამწუხაროდ, გარევეული ობიექტური მიზეზების გამო ჩვენთვის შეუძლებელი გახდა ყველა მათგანის ზუსტი აღნუსხვა (არადა ისტორიის მახსოვრობისათვის ეს აუცილებელია!); მათ შესახებ მოგვეპოვება მეტ-ნაკლებად სარწმუნო შემდეგი სხვა ინფორმაციები:

1) ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილის „მეორე სახლი იუნკერთა სასწავლებლის მახლობლადაა“... (ივერია, 1898 წ.)

2) ალექსანდრე ზუბალაშვილის სახლი მდებარეობდა ვოლოდარსკის ქუჩაზე, რომელშიც ერთხანს მილიციის სამართველო იყო (ც. ბერიძე, 1963 წ.);



3) ზუბალაშვილთა მიერ აგებული შენობებია: სტატუსური ბაზების მუზეუმი... გამომცემლობა „მერანის“ შენობა რუსთაველის გამზირზე, სასადილო „სამადლო“ დავითაშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთი აბანო აბანოთუბანში (ს. ფეიქრიშვილი, 1996 წ.)

4) ზუბალაშვილებს დღ. გალაკტიონის ქუჩაზე პქნდათ ორი სახლი: ერთში ნ. ნიკოლაძე ცხოვრობდა, მეორეც იქვე ახლოს ყოფილა (თ. კოკიშაშვილი – ანასტასია ზუბალაშვილის ქალიშვილი, 2010 წ.).

# ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

## մասնակից

## I. ზუბალაშვილები



ნიკოლოზ გიორგის ძე  
ზუბალაშვილი



ზაქარია მიხეილის ძე  
ზუბალაშვილი



კონსტანტინე იაკობის ძე  
ზუბალაშვილი



ელისაბედ მიხეილის  
ასული თაუმარიშვილი—  
ზუბალაშვილისა

ძმები ზუბალაშვილები



ლევანი  
ქალიშვილთან  
ერთად



ლევანი



Տիգանյան



Տեմիրյան



Ռայմոնդ





დავით ანტონის ძე ზუბალაშვილი



ანტონ დავითის ძე ზუბალაშვილი



ანასტასია დავითის ასული  
ზუბალაშვილი-კოკოჩიშვილისა



(ფოტო 2003 წლისა)



სურათი გადაღებულია ქ. ქუთაისში, დიმ. ფეიქრიშვილის ოჯახში. მარცხნიდან: პირველ რიგში პირველი – ალექსანდრე ანტონის ძე ზუბალაშვილი; მეორე რიგში მეორე – ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მღვდელი ფონ ფამიანე სააკაშვილი, მესამე – დავით ანტონის ძე ზუბალაშვილის ღვდა ეკატერინე ჩიქოვანი– ზუბალაშვილისა; მესამე რიგში მესამე – დავით ანტონის ძე ზუბალაშვილი.



13676. Тифлисъ. Общий видъ католического кладбища. №48

Джонатан Альберт Симонсон. Католическое кладбище в Тифлисе. Фото 1900-х годов. Фото: Евгений Григорьев.



2610. Тиф. Процесія на католическомъ кладбищѣ похорони С. К. Зубалова.


Տիֆունո ზუბալեշվილის დაკრძალვის პროცესი სოლოლაյის სახაფლաოზე

II. ზუბალაშვილთა შეწირულობებით აგებული  
საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები სიმარტინი

## ეკლესიები




თბილისის კათოლიკურა ღვთავსმშობლის მიძინების ლათინური ეკლესია.  
ფოტო 1910-იანი წლებისა



ଟେଲିକ୍ଲିପିସିଠି ପ୍ରାତିନିଧିକ୍ରମରେ ଦେଇଥିଲା ଶ୍ରୀପ୍ରାଦ ଅଳ୍ପପ୍ରାଣ୍ତିକି (ମିଶନିଞ୍ଚିପି) ମିତାଵାରି  
କ୍ରାଚାରି. ଜୁନ୍ଟିନ 2010 ନିଲାପିତା




გორის ქათოლიკეთა წმინდა  
ოჯახის ლათინური ეკლესია,  
ფოტო 1810-იანი წლებისა



გორის ქათოლიკეთა წმინდა ოჯახის ლათინური ეკლესია,  
რესტავრირებული 1910-იან წლებში



Ք' Սուտանօսուս յատուղուցետա  
Ըլցութանման վայրուն կանչուր  
Բասանցուս լուատունուրու ըպլանցուա.  
Տապագանուրացուա եւզո





ქართველ კათოლიკეთა მონასტრი კონსტანტინოპოლიში.  
თავდაპირებული ხედი



მონტობანის (საფრანგეთი) ქართველ კათოლიკეთა საცანე



Տիգամանցական եկեղեցը կատարված է պատմական ուղղությամբ.  
Հունվար 2009 թվական



მარიამებრავი მურჯალი  
იშვილის მოზირავთ  
ვარ მაყავე მოდი განვალი

კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია, ლურდის ღვთისმშობლის  
ქანდაკება



თბილისის  
კათოლიკური ტაძე.  
პეტრე-პავლეს  
დათინური ეკლესია.  
ფოთოები 1880-იანი  
წლების შუაზანებისა






დაწესებული ქამარული ტექსტი  
ლეიტონი - მიშეღებული მიმორიგნისა. თვისების  
ზღუდი - მართლა ადგენი მის სახელის  
კოსტანტინეს ძე ჰესის და გრინ  
საცხოვრებლა სკლირა ჩემისა


ბათუმის ქათოლიკეთა მარიამ ღვთისმშობლის ლათინური ეკლესია,  
თავდამირველი ხედი




ଦାତାଶୁଭିକ୍ଷା ପାତାଲାଙ୍ଗୁମ୍ବତା ମାରିବାରେ ଲ୍ୟାଟିସିଶିମୋଳିସ ଲାତିନ୍‌ଭାଷା ଏକାନ୍ଧୀଶ୍ଵରା.



ଶାନ୍ତିଶିଳ୍ପ ପାଦମାରାଧିକାରୀ ମାର୍ଗରେ ଲୋକପରିଷଦଙ୍କ ଲାତାନ୍ତିନ୍ଦୁର ପ୍ରକାଶକ।



უდის კათოლიკეთა ღვთსმშობლის მიძინების ლათინური ეკლესია.



ՖՈՒՆԴԱԿԱՐՈՒՄ քառողևորտա օբյեկտ շունչիս լաւաճնշորհ ըստ լուսագիր

კომსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილის  
სახელობის სახალხო სახლი (თეატრი)



ფოტო 1910-იანი წლების დასაწყისისა  
(ფლ. მარჯანიშვილის სახელმწიფო ფრამატული თეატრის შენობა)



სახალხო სახლის მაყურებელთა დარბაზი და სცენა



Տախալեթուն Տախալուս Տաթյուտեցրելու դաշտանոց

ნიკოლოზ გიორგის (ეგორის) ძე ზუბალაშვილის  
სახელობის უპოვართა სახლი  
(თავშესაფარი)



უპოვართა სახლის თავდაპირველი ხედი.  
ფოტო 1906 წლისა



ДОМЪ НЕИМУЩИХЪ ИМЕНИ Н. Е. ЗУБАЛОВА.

Видъ главнаго фасада.



ნიკოლოზ ზუბალაშვილის ბიუსტი  
უმოვართა სახლის ვესტიბულში



უპოვართა სახლის დერეფანი



Տաճարութեան համար պատրաստված առաջին հոգաբանական պատճենահանձնանոցը



Սամէճարկընդուռ




Յոհաննավանքի ըրտու ցեղական



Շոմոյարտա Տաճլուս շնոր, Ծաղկ



ଉଦ୍‌ଯୋଗ କେମନରିଜିଞ୍ଚିଲାଙ୍କ ମୁଦ୍ରଣଫାସିଟି ସାରକ୍ଷେପଣ





ՑՈՒՑԱՆԱՏ ՔԱՆՑԱԿԱՐԵՒՄ



უპოვართა სახლის შენობა დღეს – ამჟამად ბავშვთა პირველი დამოუკიდებელი სააგადმცოფო ძმ. ზუბალშვილების ქუჩაზე (№ 48). ფოტო 2010 წლისა

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუგალაშვილის სახელმწიფო  
ბავშვთა პირველი საავადმყოფო ავლაბარში



შენობის თავდაპირველი ხედი. ფოტო 1912 წლისა



საავადმყოფოს პირველი გამზია  
ნიკ. უმიდაშვილი (უმიკოვი),  
მედიც. დოქტ., დამსახ. ექიმი

19  $\frac{17}{IX}$  13

г. Тифлисъ

АДРЕСЪ  
ТИФЛИССКОЙ  
ДѢТСКОЙ БОЛЬНИЦѢ  
ИМЕНИ С. К. ЗУБАЛОВА.

საავადმყოფოს საზეიმოდ გახსნის დღეს მისასალმებელი ადრესი

ИМПЕРАТОРСКОЕ Кавказское Медицинское Общество приглашаетъ  
дѣлкую больницу имени С. К. Зубалова съ циемъ открытия ея дѣятель-  
ности!

2-го Февраля 1910 г., приглаштуя Тифлисское Городское Обществен-  
ное Самоуправление съ открытиемъ павильона имени Арамяны, Медицин-  
ское Общество выразило надежду, что планъ больничного городка въ  
скромъ времени украсится и другими больничными учрежденіями. И  
вотъ нынѣ мы присутствуемъ на празднике открытия дѣтской больницы,  
а черезъ не сколько мѣсяцевъ рядомъ же откроется почти уже готовый  
акушерскій павильонъ. Надежда Общества и всѣхъ тифлисцевъ осущест-  
вляется; благодаря счастливому сочетанію щедрой благотворительности  
братьевъ Зубаловыхъ и заботливаго отношенія Тифлисского Городского  
Самоуправленія къ врачебно-больничнымъ нуждамъ городского наседенія.

Будемъ надѣяться, что и другое пожеланіе Медицинского Общества о  
томъ, чтобы больничный городокъ превратился въ „клиническій“ горо-  
докъ, также осуществится въ скромъ времени и, можетъ быть, мы дожи-  
вемъ до того радостнаго для Кавказа дня, когда въ Тифлисѣ откроется  
медицинскій факультетъ и городскія больничныя учрежденія превратятся  
въ прекрасныя факультетскія клиники.

Но въ теперъ пусть открываемая нынѣ дѣтская больница послужить  
школой для воспитанія многихъ поколѣній широко образованныхъ дѣ-  
сихъ врачей!

Предсѣдатель

*M. Лурье*

Секретарь

*A. Сухоруческ*



საავადმყოფოს შენობა 1950-იან წლებში



სააკციალმუროოს შენიშვნა დღეს – ამჟამად იძულებით გადაადგილებულთა საერთო  
საცხოვრებელი. ფოტო 2010 წლისა

თბილისის კერძო ქართული  
სათავადაზნაურო გიმნაზია



ფოტო 1906 წლისა



ფოტო 1910-იანი წლებისა (დღ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი)



თბილისის სამუსეკო სასწავლებელი. ფოტო 1904 წლისა  
(დღ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია)

III.საგაჭრო-სამრეწველო დანიშნულების  
(ე.წ. "შემოსავლიანი") ნაგებობანი  
სასტუმრო "პალასი"



ფოტო 1900-იანი წლების დასაწყისისა



სასტუმროს შენობა XX საუკუნის 50-იან წლებში.  
ამჟამადღ შ. აშორანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი

## სასტუმრო "ლონდონი"




სასტუმროს შენობის წინა და უკანა ხედები. ფოტოები 1880-იანი წლებისა.  
ამჟამად საცხოვრებელი სახლი, ათონელის ქ. № 31.

იაკობ ივანეს ძე ზუგალაშვილის  
ქარვასლა ავლაბარში



ფოტო 1890-იანი წლების დასაწყისისა (ფოტოზე გამოსახულია  
ავლაბრის აზალი ხიდი, ქარვასლა და მეტეხის ციხე)



ქარვასლა აშენებულია XIX საუკუნის 40-იან წლებში.  
ფოტო 1880-იანი წლებისა

ଖୁବାଲାଶ୍ଵିଳେବିସ ନାବତନୋଦ୍ୟନମହାନିଃ  
ଅଭିନିଷ୍ଠିତରାପିଲୁଣି ଶେନନବା ଧାର୍ଯ୍ୟଶିଳ



ଫୁଲତିର ଘାରକୁଳ, 1880-ରୀଣେ ନିର୍ମାଣ କରିଛି ଏଥିରେ



ଶାବ୍ଦିକରଣା ହେଲୁଣିଲୁ ଯୁଦ୍ଧରୀଦିଃ ଧରନେ ଶୈଳିନୀଙ୍କ ଆଶ୍ରମକାଳୀନଙ୍କ ଶାବ୍ଦିକରଣା ରୂପରୂପାଦିକିଃ  
ପ୍ରସ୍ତରରୀଣିଲୁଧରୀ ଗାନ୍ଧୀରୀଃ । ଏହିମାତ୍ରାଦି ଏ ଗାନ୍ଧୀରୀଙ୍କୁ ବ୍ୟାଲିଙ୍କା ଶାବ୍ଦିକରଣା ସାମ୍ରାଜ୍ୟରେ

## IV. ზუგდალაშვილების საცხოვრებელი სახლები



კონსტანტინე ზუგდალაშვილის სახლი სასახლის ქუჩაზე  
(დღ. თავისუფლების შოთანი, ყოფილი ცეკვაშირის შენობის ადგილზე).  
ფასადი. არქ. შალერი, ფოტო 1880 წლისა



სახლი სოლოლაკში. ხედი ძმ. ზუგდალაშვილების ქუჩიდან (№ 23). ყოფილი ქალაქის  
მერიის კულტურის სამიართველოს სამსახურის შენობა, ამჟამად – ტელევიზიანია  
„ალანია“. ფოტო 2010 წლისა



სახლი გოლოვინის პრ. № 20 (დღ. რუსთაველის გამზ., № 30).  
ყოფილი ოსტიციის სამინისტროს შენობა



შენობის ხედი აღ. ჭავჭავაძის ქუჩიდან. ფოტოები 2010 წლისა



სახლი გოლოვინის პრ. № 8 (დღ. რუსთაველის გამზ., № 18). ამ სახლში 1906—1920 წლებში განთავსებული იყო საბავშვი შურჩალის „ნაკადულის“ რედაქცია.

ფოტო 2010 წლისა

საბავშვის დილით სერტებიანი ქურნალი

# ნაკადული

(წელიწადი ბეჭუთე)

სულის მაუწვერა მითიქიძე:

„ნაკადულის“ რედაქტორი, გოლოვინის პროსპ., ზურ-ლო-  
კას სახლი, № 8, კოველ-დარ 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთაც.


რედაქტორი: მ. ი. დემურია.  
უმცომესებრი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.



სახლი გოლოვინის პრ. № 16 (დღ. რუსთაველის გამზ., № 26), რომელიც ტყვებით  
დაცხილეს 1905 წელს. ფოტო დიმიტრი ერმაკოვისა.



შენობის (რუსთაველის გამზ., № 26) ხედი დღეს.  
ამ სახლში ცხოვრობდნენ მწერალი ლადო ავალიანი და ნათელა იანქოშვილი.  
ფოტოები 2010 წლისა.



სახლი ახალ ბეჭუთოვის ქუჩაზე (№ 9)  
 (დღ. ვაკეოლ ბერიძის ქ. № 1) მეორეიალური  
 დაფიც (ხედი ბერიძის ქუჩიდან).

ამ სახელში 1885.1888 ნოვემბრი,  
ქრისტიანობა იღეს ჭავჭავაძე,  
აკეთ მოთხევას უძრიგიყო  
„ორინოს“ ჩავტენები

Ուժոյն զայտը է 1885 և 1886 ամիսները Կարպատներում:



შენობის უკანა ხედი ჩაიციცხეს ქუჩიდან (№ 5). ფოტოები 2010 წლისა



ამ სახლში 1920 წლიდან 1928 წლამდე  
ცხოვრილი გაცნორები ქართველი  
პროფესიონალი გაცნორების  
ნიკოლაევი იყო სახველი მოღვაწე

ნიკოლაევი

1843—1928

В ЭТОМ ДОМЕ С 1920 ПО 1928 ГОД  
ЖИЛ ВЪДАЮЩИЙСЯ ГРУЗИНСКИЙ  
РУБЛЯЦЫ И ОБЩЕСТВЕННЫЙДЕЯТЕЛЬ

НИКОЛАЙ ЯКОВЛЕВИЧ  
НИКОЛАДЗЕ

სახლი სოლოლაქში, ჰანის ქუჩაზე  
(დღ. გალაქტიონის ქ. № 21). შემორიალური დაფუძნით.  
ფოტო 2010 წლისა



სახლი ძმები ზურალაშვილების ქუჩაზე, აგებული 1895 წელს არქიტექტორ  
ა. შიმენევიჩის მიერ. (დღ. უზენაესი სასამართლოს შენობა)



ლევან ქონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის სახლი მოსკოვში  
(Особняк Л.К. Зубалова на Садово-Черногрязской, 6).

ფოტო 1900-იანი წლების დასაწყისისა



ბუხრის დარბაზი



ლევან ზუბალაშვილის აგარაკი „ზუბალოვთ“ მოსკოვის ახლოს, უსოფოში. ფოტო  
1900-იანი წლების დასაწყისისა



V. ՏԵՂԱԴԱՏԵՂԱ

ԿԱՐԱԼՈՒՑ

LA' DONATION  
JACQUES ZOUBALOFF  
AUX MUSÉES DE FRANCE

PREFACE DE GUILLAUME JANNEAU  
ADMINISTRATEUR DU MOBILIERS NATIONAL



EDITIONS ALBERT MORANCE

Ապշար (Մայ) Նուելալոցով Ֆրանսիական պատմությունների մշտական համար է հրատակվել.

Գոռք Մանուկ Բանասական է.

Բազուկանալուր յուղագույն պատմությունների համար է.

Ալեքսանդր Մանուկ Մանուկյան համար է.

**ZOUBALOFF Jacques-Michel de**  
Tiflis (Tbilissi, U. R. S. S.) 1876 - Neuilly-sur-Seine 1941


Industriel, administrateur de sociétés, hommes de lettres, il se fit remarquer dans sa ville natale comme philanthrope, par la construction de toute une série de bâtiments publics, devenant ainsi citoyen d'honneur de Tiflis. Il fut aussi le fondateur et collaborateur de nombreux journaux et revues. Arrivé en France au tout début de notre siècle, il se consacra à l'étude des Beaux-Arts, tout en créant des œuvres musicales, et en pratiquant la peinture. Naturalisé français en 1922, il était membre du Conseil de la Société des Amis du Louvre, membre du Conseil de l'Union centrale des Arts décoratifs et membre de la Société des auteurs et compositeurs de Musique. Durement touché par la crise dans les années trente, il aurait fini ses jours dans la misère si l'administration des Musées ne lui était venue en aide (à partir de 1938). Jacques de Zoubaloff a été l'un des grands donateurs des musées nationaux, faisant bénéficier de sa générosité le Louvre, le Luxembourg, ainsi que les Arts décoratifs, le Petit-Palais, le Musée Galliera, les musées de l'Armée et de la Légion d'Honneur, les musées de Grasse, de Nantes et la ville de Reims. Il participa encore à de nombreuses acquisitions de l'Etat. Entre 1912 et 1932 le Louvre reçut notamment, pour le Département des Peintures, *L'Amour et Psyché* de Picot, la *Vénus marine* de Chassériau, l'*Intérieur de la cathédrale de Sens* de Corot, pour le Cabinet des Dessins, des aquarelles et dessins de Barye, Corot, Daumier, Regnault, ainsi que des albums de Barye, David, Géricault et Ziem, pour le Département des Objets d'Art et pour le Département des Sculptures, un ensemble de soixante-dix bronzes et plâtres de Barye, d'une importance et d'une qualité exceptionnelles, dont les modèles originaux des groupes des *Chasses* du surtout de table du duc d'Orléans, les figures du décor du Louvre commandées par Lefuel. *Charles I<sup>e</sup> dans la forêt du Mans*, de même que l'esquisse en plâtre, par Ruile, de *La Marseillaise* pour le groupe du *Départ de l'Arc-de-Triomphe de l'Étoile*, et deux œuvres de Dalou, dont une *Bacchanale* en bronze.

იაკობ ჯონსტონინეს ძე  
ზუბალაშვილის მოქლე  
ბოლგრაფიული მიმოხილვა  
(ქართული თარგმანი იხ.  
ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში)

Charity, non-violation, anti-AIDS

THE LIST OF GIFTS

## THE LIST OF GIFTS



Gift from the Heiress of Brothers Zubalashvili, Anastasia.  
«The Knight in the Tiger Skin» published in 1888


Дар наследницы братьев Зубалашвили г-жи Анастасии  
«Витязь в тигровой шкуре» 1888 года издания

ძმები ზუგალაშვილების შთამომავილმა  
ქ-ნდა ინასტრუმენტ «კათარზისს» 1888 წელს  
გამოცემული «კუჭხისტუკოსანი» უსახსოვება



**ეუეუნა ფეიქიძე შემოზღვი -** ფილოლოგი, ენათმეცნიერი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი.

იყვლევს ქართული ენის პრობლემებს, ქართული კულტურისა და ისტორიის საკითხებს. არის ავტორი 16 წიგნისა (მათ შორის რამდენიმე სახელმძღვანელოა). მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი აგრეთვე მშობლიური სოფლის (ახალშენის) ისტორია, უცხოელი ქართველოლოგების ცხოვრება-მოღვაწეობა.



021/1485



გამოცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. ვაკევაშვილი გამზ. 19, ტე: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

